

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი



თათია დავითაძე

მედეას მითოპოეტური სახე მითოსსა და ლიტერატურაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი მარინე გიორგაძე

ბათუმი

2025

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15. 09. 2025 წელი

თ. დავითაძე

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი.....	გვ.5
თავი I. მედეას სახისმეტყველების მითოსური გენეზისი.....	გვ.14
თავი II. მედეას მითოპოეტური სახის ტრანსფორმაცია ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურაში.....	გვ.24
2.1 . მედეა კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში.....	გვ.24
2.1.1. მიმნერმოსი - სიყვარულის უძლეველი ძალა.....	გვ.27
2.1.2. პინდაროსი: მედეას მითის პინდაროსისეული ინტერპრეტაცია.....	გვ.28
2.1.3. ევრიპიდეს „მედეა“ - სასტიკი შურისმაძიებელი ქალი.....	გვ.30
2.2.მედეა ელინისტურ ლიტერატურაში - აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“.....	გვ.39
2.3. მედეას მითოპოეტური სახე რომაულ ლიტერატურაში.....	გვ.46
2.3.1. ლუკიუს ანეუს სენეკა - მედეას პერონაჟის ტრანსფორმაცია.....	გვ.47
2.3.2. პუბლიუს ოვიდიუს ნაზო - სიყვარულის დესტრუქციული პოტენციალი მედეას მითში	გვ.52
2.3.3. ვალერიუს ფლავუსი - „არგონავტიკის“ თავისებურებები.....	გვ.56
2.4. მედეა ევროპულ ლიტერატურაში.....	გვ.62
2.4.1. პიერ კორნელი - მედეას როლის დემონსტრაცია.....	გვ.63
2.4.2. ჟან ანუი - „მედეა“ - თავისუფლების სიმბოლო.....	გვ.69
2.4.3. კრისტა ვოლფის „მედეა“ - ფემინიზმის მსხვერპლი	გვ.73
2.4.4. ანდრეას ფლურაკისის „მედეას ბურკა“ - იდენტობის სიმბოლო.....	გვ.89
თავი III. მედეას მითის რეცეფცია ქართულ მწერლობაში (პოემა, რომანები)	გვ.100
3.1. მედეა ქართულ ლიტერატურაში.....	გვ.100
3.1.1. მედეა აკაკი წერეთლის პოემაში „მედეა“	გვ.103
3.1.2. ლევან სანიკიძე - „ამბავი კოლხი ასულისა“	გვ.112
3.1.3. ოთარ ჭილაძე - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“	გვ.117
3.1.4. გრიგოლ რობაქიძე - „მეგი - ქართველი გოგონა“	გვ.123
3.1.5. გივი მარგველაშვილი - „კოლხი მედეა კოლხოზში“	გვ.129
თავი IV. მედეას მითოპოეტური სახე ქართულ პოეზიაში.....	გვ.136
4.1. ტიციან ტაბიძე - „მედეას სიმღერა“/ „მედეა“ სონეტი (ი.გრიშაშვილს)	გვ.137
4.2. იოსებ ნონეშვილი - „მედეა“	გვ.140

4.3. მუხრან მაჭავარიანი - „სიტყვა, თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ისევ მმათა თვისთა თანა, ისევ შუამთაში”	გვ.142
4.4. მანანა ჩიტიშვილი - „მედეა”	გვ.144
4.5. დიანა ანფიმიადის „მედეა”/„სხვა მედეა”	გვ.147
თავი. V. – 5.1. მედეა თანამედროვე დრამატურგიულ დისკურსში.....	გვ.151
5.1.1. ლაშა ბუღაძე - „ანტიმედეა”	გვ.153
5.1.2. ნინო ხარატიშვილი - „ჩემი და შენი გული” (მედეა).....	გვ.159
5.1.3. პაატა ციკოლია - „მედეა” (s01e06).....	გვ.166
5.1.4. გურამ მგელაძე - „მედეა”	გვ.171
5.2. „მედეას დაბრუნება“ - შეცვლილი სტერეოტიპები.....	გვ.176
ძირითადი დასკვნები.....	გვ. 179
გამოყენებული ლიტერატურა.....	გვ. 182

შესავალი

კოლხეთის ძლევა მოსილი ცივილიზაცია მუდმივ ინტერესს იწვევდა ანტიკურობაში. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში შთამბეჭდავდაა აღწერილი კოლხეთის სამეფოს ძლიერება და სიმდიდრე. არგონავტების მითი ამის ნათელი დასტურია. ბერძნული წყაროები აღწერენ კოლხეთის უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობას, მის სავაჭრო პოტენციალს. ცნობილი იყო, რომ კოლხეთი ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენდა მთლიანად აზიისკენ, ხოლო მისი წილი შავი ზღვის სანაპირო საუკეთესო იყო კოლონიების დასაარსებლად; სხვადასხვა ისტორიული და მითოლოგიური წყაროს მიხედვით, აქ უხვად იყო ოქროს საბადოები; კოლხები ფლობდნენ ცოდნას მეტალურგიულ ტექნოლოგიებზე, სამედიცინო და წამალთმცოდნეობის, ასევე მცენარეთმცოდნეობის სფეროში, საიდუმლო დამწერლობაზე, რაც იმ დროის საბერძნეთში დიდმნიშვნელოვან მიღწევად ითვლებოდა; სწორედ, ეს იყო მთავარი მიზეზი (ეკონომიკური, გეოგრაფიული, კულტურული), რის გამოც ისწრაფვოდნენ უცხო მიწის დასაპყრობად, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალებიც. ეს ერთგვარი დასტურია ანტიკური საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობისა და ბერძნების გაცხოველებული ინტერესისა კოლხური კულტურისადმი.

სწორედ, ამ ისტორიული პერიპეტიების საფუძველზე შეიქმნა მითი არგონავტების შესახებ, რომელიც მოგვითხრობს ბერძნების კოლხეთში მოგზაურობას ოქროს საწმისის მოტაცების მიზნით. უამრავი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რა მოიაზრებოდა ოქროს საწმისში, ყველა გამოთქმულ აზრს აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ისიც ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო ოქროს მოპოვების ხერხების უძველესი საიდუმლო დამწერლობის ან მეტალურგიის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აღწერილობა და სხვ., რაც ბერძნებს ძალიან სჭირდებოდათ; ამიტომ იყო მათთვის მნიშვნელოვანი კოლხური საწმისის მოპოვება, მაგრამ კიდევ უფრო ლოგიკურია, ოქროს საწმისი აღვიქვათ როგორც სიმბოლო „ოქრომრავალი“ კოლხეთის სახელმწიფო ძალაუფლების და ძლიერებისა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რაც უკვე ანტიკური წყაროებიდანაც ჩანს, რომ არგონავტების მითის უკან ისტორიული ამბები იკვეთება; ისეთი სანდო ისტორიკოსი

და გეოგრაფი, როგორიც სტრაბონი იყო (ძვ.წ. I ს.), - ამტკიცებდა: „ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა ისევე, როგორიც ოდისეოსისა და მენელაოსისა...“.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ, ასევე, რეალური ისტორიული და მითოლოგიური პერსონაჟია ძლევამოსილი კოლხეთის დიდებული მეფე აიეტის ქალიშვილი - კოლხეთის მეფის ასული მედეა. სწორედ ეს ანტიკური ეპოქის მითი გახდა საწყისი მედეას უკვდავი ამბის დაბადებისა, იმ საოცარი თავგადასავლისა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ავტორთან, სხვადასხვა ასპექტით იჩინა თავი, სანამ თითქმის სამი ათასწლეულის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდა მშობლიურ წიალს.

მედეა, მისი რთული და საინტერესო, მრავალშრიანი და მრავალწახნაგიანი მითოსური, ისტორიული, ლიტერატურული პერსონაჟი გახდა ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტი; კერძოდ, ჩვენი საკვლევი თემაა ის პრობლემა, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა არქეტიპულმა ისტორიულ-მითოლოგიურმა პერსონაჟმა მედეამ მითოსში, ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ), შემდეგ ევროპულ და, ბოლოს, ქართულ მწერლობაში, თანამედროვე ლიტერატურაში.

საკვლევი თემის აქტუალობა: საკითხი, რომელსაც ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი, უკვლევიანთ შესაბამისი დარგის სპეციალისტებს, მაგრამ დღემდე არ ყოფილა მასშტაბული და სისტემური კვლევის ობიექტი. მეორე მხრივ, უახლეს ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ, ლიტერატურაში სხვადასხვა ჟანრში (დრამა, ლირიკა, პროზა) ინტენსიურად იქმნება ახალი ნაწარმოებები მედეას ლიტერატურული პერსონაჟის მხატვრული სახის განსხვავებული და თანამედროვე ინტერპრეტაციით. ეს მარადიული პერსონაჟი კვლავაც რჩება მსოფლიო (ევროპული და ქართული) ლიტერატურისთვის საინტერესო თემად, შესაბამისად, აქტუალურია მისი, როგორც მითოსური პერსონაჟის დემითოლოგიზაციის, როგორც ტრადიციული ლიტერატურული პერსონაჟის დეკონსტრუქციის და რეკონსტრუქციის, მისი მხატვრული სახის თანამედროვე კონტექსტში (ფემინისტური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები) ახლებური ინტერპრეტაციით კომპლექსური ანალიზი და კვლევა.

საკვლევი თემის აქტუალობას აღრმავებს კვლევის მიმართულება, რაც მედეას მხატვრული პერსონაჟის იდენტობის ანალიზს მოიცავს, რადგან პარადოქსია, რომ მსოფლიო კულტურის (მითოსი, ლიტერატურა, ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია...) ერთ-ერთი გამორჩეული და პოპულარული პერსონაჟი ათასწლეულების მანძილზე ტაბუირებული იყო ქართულ მწერლობაში და მხოლოდ XIX საუკუნის შემდეგ, კრძალვით და გაუბედავად, XX საუკუნეში და განსაკუთრებით XXI საუკუნეში იქცა ლიტერატურული ინტერპრეტაციების ინტენსიურ ობიექტად.

კვლევის მიზნები და ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მედეას, როგორც მითოსური პერსონაჟის, ლიტერატურულ სახედ გარდაქმნის თავისებურებების კრიტიკული შესწავლა და სისტემატიზებული კვლევა ძველი და ახალი ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე, შესაბამისად, ჩვენ მიერ დასახული მიზნები შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ მედეას მიმართ ქართულ რეალობაში არსებული სტერეოტიპების მსხვერვისა და პერსონაჟის რეკონსტრუქციის პროცესს.

ამოცანები: ჩვენ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- მედეას არქეტიპული მითოპოეტური სახის ანალიზი ანტიკურ მითოსში (პირველწყაროების ანალიზი);
- მედეას პერსონაჟის მხატვრული თავისებურებების კვლევა ანტიკური და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტექსტების მიხედვით, სხვადასხვა ავტორთან (ეპოსი, ლირიკა, დრამა);
- მედეას მხატვრული პერსონაჟის კვლევა ევროპულ ლიტერატურაში (ეპოსი, ლირიკა, დრამა);
- მედეა ქართულ ლიტერატურაში (ჟანრების მიხედვით: პოეზია, პროზა, დრამა);
- მედეას მითოპოეტური სახის დემითოლოგიზაცია, დეკონსტრუქცია და რეკონსტრუქცია თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების საფუძველზე, (ახალი კვლევითი ასპექტები: სოციოკულტურული კონტექსტის ანალიზი, ფსიქოლოგიზმი, ფემინიზმი, იდენტობის ძიება).

კვლევის საგანი და ობიექტი: წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ობიექტია არგონავტების მითის მთავარი პერსონაჟის - მედეას სახისმეტყველების შესწავლა მითების (უპირველეს ყოვლისა, არგონავტების მითი) და ლიტერატურული ტექსტების - ანტიკური ლიტერატურა (ჰესიოდე, მიმნერმე, პინდარე; ევრიპიდე; სენეკა, ოვიდიუსი...), ევროპული ლიტერატურა (კორნელი, რასინი, ჟან-ანუი, კრისტა ვოლფი, ფლურაკისი...), ქართული ლიტერატურა (აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჭილაძე; ტიცინ ტაბიძე, იოსებ ნონეშვილი, მანანა ჩიტიშვილი, დიანა ანფიმიაძი; ნინო ხარატიშვილი, ლაშა ბუღაძე, პაატა ციკოლია, გურამ მგელაძე და სხვ.).

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევების შესწავლა და მათი კრიტიკული ანალიზი, სტუდენტებთან მსჯელობა მთავარი საკვანძო საკითხების გარშემო და ამის საფუძველზე დადგენა, თუ როგორ შეიცვალა ქართველი მკითხველის დამოკიდებულება მედეას მიმართ, რა ახალი თვისებები შეიძინა მან, როგორც მითისა და ლიტერატურის პერსონაჟმა, თანამედროვე სამყაროში, შესაბამისად თანამედროვე მწერლობაში.

კვლევის მეთოდოლოგია: სადისერტაციო ნაშრომში, თემის რთული და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კომპლექსური მეთოდის გამოყენება, ლიტერატურათმცოდნეობაში გამოცდილი კვლევის სხვადასხვა მეთოდის (ტრადიციული, უალტერნატივო და თანამედროვე) კომბინაცია, რამაც საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად გვეკვლია მთავარი საკითხები: თავდაპირველად ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდით შევისწავლეთ შესაბამისი ლიტერატურული ტექსტები; შემდეგ ეტაპზე შედარება - შეპირისპირების და კომპარატივისტული მეთოდით გავაანალიზეთ სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა ავტორის ტექსტებში მედეას მხატვრული სახის ინტერპრეტაციის მსგავსება და განსხვავება; ისტორიულ - კულტუროლოგიურმა მეთოდმა საშუალება მოგვცა, საკითხი შეგვესწავლა კულტურული პარადიგმების კონტექსტში.

ნაშრომის სრულყოფაში ძალიან დაგვეხმარა ტიპოლოგიური კვლევის მეთოდი, რისი მეშვეობითაც შევძელით ყველა ჩვენს ხელთ არსებული ტექსტის სრულყოფილი ანალიზი, მიღებული შედეგი კი, მოდელირებისა და სტრუქტურირების მეთოდების საშუალებით, დავალაგეთ შესაბამისი ქრონოლოგიითა და შინაარსით; გამოვიყენეთ

ინდუქცია - დედუქციისა და ტექსტის ანალიზ - სინთეზის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა, ლოგიკური დასკვნები გამოგვეტანა. ფემინისტური კვლევის მეთოდი ეფექტური გამოდგა პერსონაჟების გენდერული როლების ანალიზის, ზოგადად, ქალის სოციალური სტატუსის ანალიზის პროცესში. სიმბოლური ანალიზის მეთოდი დაგვებმარა გვეპოვნა მედეას მითოპოეტური სახის მთავარი კულტურული კოდი და გაგვებორციელებინა მისი არქეტიპული სახის იდენტიფიკაცია, რამაც საჭირო გახდა მედეას პერსონაჟის ფსიქოლოგიურ სიღრმეებში წვდომა და მის ქვეცნობიერში არსებული შინაგანი კონფლიქტების ანალიზი. შემდეგ ეტაპზე საჭირო გახდა პერსონაჟის ქცევის სიმბოლური კოდების გაშიფვრა, რაც სემიოტიკური მეთოდის საშუალებით განვახორციელეთ.

მედეას მითოპოეტური სახე ინტერპრეტაციის ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა, რაც ამართლებს მისი კვლევის პროცესში ტექსტების წაკითხვისა და კვლევის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, რაც დაგვებმარა მედეას მრავალშრიანი და კომპლექსური ბუნების შესწავლაში; მეთოდების კომპლექსურმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა წარმოდგენილი თემა სხვადასხვა განზომილებით და მიგვეღო შედეგი, რომელიც დავისახეთ კვლევის საწყის ეტაპზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევა ატარებს ინტერდისციპლინურ ხასიათს და სხვადასხვა ჰუმანიტარული მიმართულების სინთეზის საფუძველზეა განხორციელებული (ისტორია, წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია, კულტუროლოგია და სხვ.).

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: ისტორიულ-მითოლოგიურ-ლიტერატურული პერსონაჟის - მედეას, მრავალწახნაგოვანი სახე აკადემიურ სივრცეში მრავალჯერ დამუშავებული და შესწავლილია, თუმცა, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საკვლევი - მაინც ძალიან ბევრია. ამ ფაქტს, დროისა და ცივილიზაციის აზროვნების ცვლილებასთან ერთად, განაპირობებს ბოლო პერიოდში ქართველი მწერლების მიერ ანტიკური მითის განსხვავებული ინტერპრეტაციების გაჩენაც, რაც ავტომატურად იწვევს პერსონაჟის განსხვავებულ „წაკითხვას“, ეს კი საფუძველს იძლევა, განხორციელდეს ახალი გააზრებანი, შეივსოს

და გაღრმავდეს უკვე არსებული შეხედულებები, ამ თვალსაზრისით კი სამუშაო და საკვლევი საკმაოდ ბევრია.

საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვან სამეცნიერო მასალას წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე განხორციელებული შესაბამისი სამეცნიერო კვლევების შესწავლა (მითის სიუჟეტის ტექსტოლოგიური ანალიზი, ძველი ბერძნული ტექსტების შედარებითი ანალიზი, მედეას სახის ფსიქოლოგიური კვლევა, მითის პერსონაჟის ლიტერატურული ინტერპრეტაცია) და მისი დამუშავება კომპლექსური და ინტერდისციპლინარული მიდგომებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე მასშტაბურ კვლევას წარმოადგენს საკითხის მითოლოგიური და ისტორიული კონტექსტუალიზაცია, რაშიც მოიაზრება ქართულ - ბერძნული ურთიერთობები და ანტიკური პერიოდის კოლხური ცივილიზაციის კვლევა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მედეას საკითხს თავდაპირველად იკვლევდნენ აკაკი ურუშაძე, ლევან სანიკიძე და სხვები, თუმცა ეს იყო პერსონაჟის კვლევის მცდელობა მხოლოდ ისტორიული კონტექსტით, ხოლო ლიტერატურულად (პერსონაჟის მასშტაბურობას) აქტიურად იკვლევენ რისმაგ გორდეზიანი, ნანა ტონია, ქეთევან ნადარეიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, სოფიო შამანიდი, ირინე დარჩია და სხვები; სწორედ მათ სახელებს უკავშირდება მედეას პერსონაჟის გასააზრებლად ახალი ჰორიზონტების გაჩენა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე: ჩვენ მიერ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის სამეცნიერო სიახლე გახლავთ პირველი მცდელობა მედეას სახისმეტყველების შესწავლისა მითოსიდან თანამედროვე ლიტერატურამდე. ცალკეული გამოკვლევები აქამდეც ქვეყნდებოდა, მაგრამ კომპლექსურად, სისტემურად, სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით მასშტაბური კვლევა არ განხორციელებულა.

ნაშრომის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია ლიტერატურული პერსონაჟის - მედეას - მრავალმხრივი შესწავლა ფსიქოანალიტიკურ (ტრამვა, ემოციური ძალადობა, იდენტობის კრიზისი), გენდერულ (ფემინისტური გმირი), ინტერკულტურულ (სხვადასხვა კულტურის კონტექსტში), პოსტკოლონიურ (მარგინალურობა, კულტურული ტრამვა) და ინტერდისციპლინარულ (ლიტერატურათმცოდნეობა,

სოციოლოგია, კულტუროლოგია) კონტექსტებში სხვადასხვა პერიოდის ტექსტების მაგალითზე.

ნაშრომის თეორიული ღირებულება: სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ანტიკური მითოსისა და მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბური პერსონაჟის - კოლხი მედეას მითოპოეტური სახის ევოლუციის კვლევა დიდი არქეტიპული ქალღმერთის, კოლხეთის მეფის ასულის/დედოფლის ჰიპოსტასიდან ჩვენი თანამედროვე ფემინისტი ემიგრანტი ქალების ღრმა ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული იდენტობის მანიფესტაციამდე, რაც უსაზღვროდ აფართოებს არსებულ თეორიულ დისკურსს და კვლევის ახალ პერსპექტივებს აჩენს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა კვლევის შედეგები გამოვიყენოთ ლიტერატურის (ანტიკური, ევროპული, ქართული) სწავლების დროს სალექციო და სასემინარო პროცესში. მასალების თანამედროვე ინტერპრეტაციით გაცნობის საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ საკითხის სიღრმისეულად გააზრებას, კრიტიკულ განხილვას, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად გადმოცემას.

მედეას მხატვრული პერსონაჟის სიღრმისეული ანალიზის წარმოჩენა და გაცნობა განსაკუთრებით საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული აკადემიური (მკვლევრები, ლექტორები, სტუდენტები) და შემოქმედებითი (თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ქორეოგრაფია და სხვ.) საზოგადოებისთვის, რომლებიც ხშირად მიმართავენ კლასიკური პერსონაჟების თანამედროვე ინტერპრეტაციას.

ნაშრომის სტრუქტურა: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შესაბამის დარგში დადგენილ აკადემიურ სტანდარტებს შეესაბამება, ხოლო კვლევის სტრუქტურა წარმოდგენილია დასახული საკვლევი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და ქვეთავების, კვლევის ძირითადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი და დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა, გამოკვეთილია მთავარი მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი; ასევე, პუნქტებად და ქვეპუნქტებადაა ჩამოყალიბებული საკითხის

შესწავლის მდგომარეობა, სამეცნიერო სიახლე, კვლევის მეთოდოლოგია, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში - „მედეას სახისმეტყველების მითოსური გენეზისი“ - განვიხილავთ მითის პირვანდელ წყაროებს, მის ძირითად ვერსიებსა და მითოლოგიურ არქეტიპებს; ასევე, აღწერთ სოცო - კულტურულ გარემოს, პერსონაჟის ღვთაებრივ გენეალოგიას (ჰელიოსის საგვარეულო ხაზით) და მაშინდელი კოლხეთის კულტურულ სივრცეს.

მეორე თავში - „მედეას მითოპოეტური სახის ტრანსფორმაცია ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურაში“ - გაანალიზებულია, თუ როგორ მოხდა მითოსური პერსონაჟის ტრანსფორმაცია მთავარ ლიტერატურულ პერსონაჟად/გმირად; როგორი იყო მედეას პირვანდელი სახე კლასიკურ ბერძნულ, ელინისტურ და რომაულ ლიტერატურაში.

ევროპულ ლიტერატურულ ტექსტებში მედეას მხატვრულმა სახემ ახალი დატვირთვა შეიძინა: მან, როგორც ლიტერატურული ტექსტის გმირმა, რა დაკარგა (რითი განიდარცვა) მითოსიდან, ასევე გამოვყოფთ ევროპელი ავტორების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს პერსონაჟის მიმართ.

მესამე თავში - „მედეას მითის რეცეფცია ქართულ მწერლობაში“ (პოემა, რომანები) - უშუალოდ განვიხილავთ ქართველი მწერლების დამოკიდებულებებს მედეას პერსონაჟის მიმართ; ვაანალიზებთ, თუ როგორ წარმოჩნდა მედეას სახის აღწერის პირვანდელი მცდელობები ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში.

მეოთხე თავში - „მედეას მითოპოეტური სახე ქართულ პოეზიაში“ - განხილულია მედეას მხატვრული სახე ქართულ პოეტურ მემკვიდრეობაში. დისერტაციის ამ თავში განხილული პოეტები (ტიციან ტაბიძე, იოსებ ნონეშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მანანა ჩიტიშვილი, დიანა ანფიმიადი და სხვ.) მედეას მიმართ თანაგრძნობას გამოხატავენ, მათ მხარდაჭერას უცხადებენ და ცდილობენ, მოუძებნონ გამამართლებელი არგუმენტები, თუმცა სევდა და გულისტკივილი მომხდარი ტრაგედიის გამო იგრძნობა მათ პოეზიაში - ისინი გვიყვებიან სიყვარულის სახელით მოტყუებული ქალის ისტორიას, რომელიც, მართალია, ღალატის მსხვერპლი იყო, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს სიძლიერე.

მეხუთე თავში - „მედეა თანამედროვე დრამატურგიულ დისკურსში“ - ვიკვლევთ თანამედროვე მწერლების ახლებურ შეხედულებებს, მედეას ლიტერატურული

პერსონაჟის ახალ „წაკითხვებს“ და ინტერპრეტაციებს, მათ წარმომშობ მიზეზებს, რომლებმაც ლიტერატურული განზოგადება ჰპოვეს.

ამავე თავში მოცემულია ჩვენ მიერ ჩატარებული მოკრძალებული სოციოლოგიური კვლევის კვანტიტატური და კვალიტატური შედეგები და მათი კრიტიკული ანალიზი. კვლევა თვალსაჩინოს ხდის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში შეცვლილ სტერეოტიპს მედეას პერსონის მიმართ: მედეასი არ რცხვენიათ მისი ღალატისა და, სისასტიკის გამო, ცდილობენ, ახსნან მისი ქცევების მიზეზები, გაამართლონ და დაიცვან (ადვოკატირებასაც არ ერიდებიან) და ამაყობენ კიდევ, რომ ის ასეთი ძლიერი ქართველი ქალია.

თანამედროვე ახალგაზრდებისთვის მედეას არქეტიპული სახისმეტყველებიდან აქტუალურია არა სასტიკი, ძალაუფლების მსურველი, შურისმაძიებელი, „შვილების მკვლელი დედა“, არამედ - საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებული, ამაყი, საკუთარი იდენტობის მაძიებელი და მპოვნელი ძლიერი ქალი.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ზემოაღნიშნულ საკვლევ თავებთან ერთად, მოიცავს წარმოდგენილი საკითხის დასკვნით დებულებებს და გამოყენებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიას.

თავი I. მედეას სახისმეტყველების მითოსური გენეზისი

უძველეს მითოსურ წყაროებში მედეას სახე რთული და მრავალშრიანია, მის ასეთ მასშტაბურობას იწვევს არგონავტების მითის სიუჟეტში გამოკვეთილი ისტორიული, კულტურული, რელიგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები, რაც ზემოქმედებს მითის მთავარ მოქმედ პერსონაჟზე; შესაბამისად მედეას მითის სტრუქტურული შესწავლა მოითხოვს მითის დეფინიციის კლასიკური განმარტების გათვალისწინებას, რის მიხედვითაც, „მითს არ ჰყავს ავტორი. შესაბამისად, აქ არ მოქმედებს ჩვეულებრივი მიმართება ავტორი (= გადამცემი) - აუდიტორია (=მიმღები). მითს ხალხი აღიქვამს თავისი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფად, აქ თავად ხალხია გადამცემიც და მიმღებიც, მითი არ არის ნაწარმოები; იგი არის მხოლოდ ინფორმაციული სქემა რაღაც მოვლენის ან რომელიღაც გმირის შესახებ” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:20).

მედეას ამბის უამრავი ვერსია არსებობს; უხსოვარი დროიდან ხალხი იყო ამ ისტორიის გადამცემიც და მიმღებიც; შესაბამისად, ის თავიდანვე კოლექტიური შემოქმედების ნიმუშს წარმოადგენდა. მედეას პერსონაჟის ქრონოლოგიური კვლევა არგონავტების მითის პირვანდელი წყაროებიდან და ამავე მითის ვერსიებიდან უნდა დავიწყოთ; ასევე, ჩვენი კვლევის სრულყოფისთვის საჭიროა თავიდანვე გავიხსენოთ სამეცნიერო საზოგადოებაში ფართოდ ცნობილი თეზა, რომ მითი „გაიაზრება არა როგორც გამონაგონი ამბავი, არამედ როგორც სამყაროს „ისტორიის” მითოპოეტური გადმოცემა; ინფორმაციის სიუჟეტური ორგანიზაციის პრინციპი, ანუ მითოლოგიური კონფლიქტის სქრუქტურა” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:20).

არგონავტების უკვდავი ისტორია იწყება ფრიქსოსსა და ჰელეს (და - ძმის) ისტორიით, რომლებიც იყვნენ ბოროტი დედინაცვლისგან უარყოფილნი. დედას (ნეფელე) შვილები რომ გადაერჩინა, მათ გაუგზავნა ოქროს ვერძი, რომელიც იყო მათთვის ერთგვარი ხსნა, რადგან ისინი, ოქროს ვერძის დახმარებით, შეძლებდნენ კოლხეთში წასვლას და ბოროტი დედინაცვლისგან თავის დაღწევას, მართლაც, ძმები ოქროს ვერძის დახმარებით გაემართებიან კოლხეთისკენ, თუმცა ჩასვლას მხოლოდ ფრიქსოსი ახერხებს; მას კოლხეთის მეფე აიეტი დიდი სიხარულით შეხვდება, მოგვიანებით დაიღუპება ოქროს ვერძი და ოქროს საწმისს დაკიდებენ არესის ჭალაში,

ხოლო დარაჯად განამწესებენ გველს, თუმცა ძმების ეს ამბავი ასე არ სრულდება, ამ დროს თესალიაში იოლკოსის მეფე პელიასი უკანონოდ ართმევს ტახტს ძმას (ესონს) და გადაწყვეტს ძმიშვილის (იასონი), ანუ ტახტის ერთადერთი მემკვიდრის, მოკვლას, რომლის არსებობის შესახებაც აქამდე არაფერი იცოდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ პელიასი იპოვის გამოსავალს და იასონს შესთავაზებს ტახტის დაბრუნებას შესრულებული დავალების სანაცვლოდ; ეს დავალება კი ძალიან რთული და შესასრულებლად წარმოუდგენელი იყო, რადგან პელიასმა იასონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა, რაც ერთგვარ ხრიკს წარმოადგენდა იასონის მოსაშორებლად. ახლადდავაჟკაცებული იასონი, ახალგაზრდული ჟინის გამო, მაშინვე დათანხმდება ბიძის წინადადებას - ააგებს ხომალდ „არგოს“, შეარჩევს არგონავტებს და გაეშურება დავალების შესასრულებლად. მითის სიუჟეტიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ამბის მთავარი მოქმედი გმირი იასონია; მიიღო თუ არა იასონმა პელიასის ბრძანება, წასულიყო ოქროს საწმისის ჩამოსატანად, ჰერასა და ათენას დახმარებით ყველაფერი შეამზადა ექსპედიციისთვის. იგი წავიდა თრაკიაში ორფევსთან, რათა ეთხოვა მისთვის, რომ ეს უკანასკნელი გაჰყოლოდა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად (ურუშაძე, 1977: 29).

გზა კოლხეთის მიწისკენ ერთობ რთული და დაბრკოლებებით აღსავსე აღმოჩნდება, არგონავტებს ბევრჯერ გადაეწურებათ იმედი, რომ საწადელს ვერ მიაღწევდნენ და ვერ ჩავიდოდნენ უცხო მიწაზე, თუმცა, ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც აღწევნენ მიზანს და ჩადიან კოლხეთში. აქ კი მათ ხვდებათ ძლევამოსილი კოლხური ცივილიზაცია, მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი მედეა.

მითოსში მკაფიოდ განისაზღვრა კოლხეთის ძლიერება, რადგან მაშინ მთელმა ბერძნულმა სამყარომ იცოდა, რომ ეს ქვეყანა იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონდე ადგილი, რომელსაც ჰქონდა საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა, აქ მცხოვრები ხალხი კი ფლობდა მაღალ საბრძოლო კულტურას, მეტალურგიის წარმოების ცოდნას, ლითონდამუშავების ხელოვნებას, მაღალ სამეცნიერო შესაძლებლობებსა (ასტრონომიული ცოდნის მაღალი დონე და მსოფლმხედველობის სიღრმე), ვაჭრობის ხელოვნებას; ასევე, ბერძნების გონებაში კოლხური მიწა ყოველთვის ასოცირდებოდა ოქროსთან, რკინასთან, ხე - ტყესთან და თაფლთან;

სწორედ ამიტომ ქონდათ მათ მუდმივი ინტერესი ამ მიწისადმი; როგორც მკვლევარი ლევან ბერძენიშვილი ამბობს, „ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია, მიწაში ან წყალში დამალული ძველი კოლხეთი - აღმოსაჩენი, მაგრამ ერთი კი ფაქტია, ძველი ბერძნებისთვის აშკარა იყო, რომ კოლხეთი უმაღლეს ცივილიზაციას წარმოადგენდა, რომელიც რაღაც პერიოდში ბევრი თვალსაზრისით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე - საკუთრივ ბერძნული” (ბერძენიშვილი, 2023: 11).

არგონავტების მითში, კოლხეთის ძლიერების აღწერასთან ერთად, შემოდის მედეა - კოლხი ასული, რომელსაც შეუყვარდება იასონი და მზადაა, მისი სიყვარულისთვის გაწიროს ყველაფერი, რაც იმ მომენტში ერთგვარი გამოსავალი იყო არგონავტებისთვის დასახული მიზნის მისაღწევად. იასონი კარგად იყენებს ამ შესაძლებლობას და მიზანს აღწევს მასზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალის მეშვეობით, რადგან გრძნეული მედეა იყენებს მის მაგიურ შესაძლებლობებს - იასონს ეხმარება ოქროს საწმისის გატაცებაში, ამის შემდეგ კი თან მიჰყვება.

დღემდე არ წყდება ინტერესი, თუ რა შეიძლება ყოფილიყო „ოქროს საწმისი”; შესაბამისად, ამ საკითხთან მიმართებაში უამრავი მოსაზრება არსებობს. ვერსიების თანახმად, შესაძლოა, ეს ყოფილიყო კოლხეთის ძალაუფლების სიმბოლო, რაშიც მოიაზრებოდა მეფობის ლეგიტიმაციის ნიშანი, ან საკრალური ღირებულების რომელიმე ობიექტი, რადგან არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „ვინც მოიპოვებს ოქროს საწმისს, ის მოიპოვებს სამეფო ძალაუფლებასაც; შესაბამისად, ოქროს საწმისის მფლობელი სახელმწიფო ძალაუფლებასაც ფლობს” (ბერძენიშვილი, 2023:16).

სხვა მოსაზრებით, საწმისს უკავშირებენ სამეფო სამოსს ან რიტუალური დანიშნულების ტანსაცმელს. მეცნიერულ ვერსიებს თუ დავუჯერებთ ის, შესაძლოა, ყოფილიყო ტექნოლოგიური ცოდნის სახელმძღვანელო ბერძნებისთვის სანუკვარი ოქროს მოსაპოვებლად და მეტალურგიის განსავითარებლად. არსებულ მოსაზრებათაგან ქართველებისთვის განსაკუთრებით მისაღებია, რომ ოქროს საწმისი შესაძლოა ყოფილიყო წერის საიდუმლოება, რადგან ამაში მოიაზრებოდა „სპეციალური ტექნიკა, რომელსაც ძველი კოლხები ფლობდნენ და საკუთარ კირბებს პერგამენტზე ოქროთი წერდნენ. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ოქროთი

დაწერილ ტექსტს განსაკუთრებული, ჯადოსნური ძალა აქვს - თუკი პერგამენტზე ოქროთი კონკრეტული ტექსტი დაიწერება, ის აუცილებლად შესრულდება (ბერმენიშვილი, 2023:17). როგორც ვხედავთ, მრავალი მოსაზრება არსებობს ოქროს საწმისის ირგვლივ, საიდანაც ერთი ცალსახა პასუხის გამოკვეთა ვერ ხერხდება, თემის მასშტაბურობიდან გამომდინარე.

საწმისის გატაცების შემდეგ მედეასა და იასონს მოუწევთ ხანგრძლივი, ფათერაკებით აღსავსე გზის გავლა; დაბრკოლებების მიუხედავად, ისინი მაინც ჩავლენ იოლკოსში და აქ უკვე მედეა მეორედ უწევს დახმარებას იასონს - მისი მაგიური შესაძლებლობებით კლავს პელიასს; ამის შემდეგ კი მათ აღარ გაეჩერებათ იოლკოსში და თავის გადასარჩენად წავლენ კორინთოსში. ამ დროისთვის კორინთოსის მეფეა კრეონი, რომელსაც ჰყავს ერთადერთი ქალიშვილი კრეუსა, რომლის ცოლად შერთვასაც გადაწყვეტს იასონი, რადგან ეს იმ დროისათვის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიაჩნია. მიტოვებული და დამცირებული მედეა კი განაწყენდება იასონის ამ საქციელით და მას გაიმეტებს საუკუნო სატანჯველისთვის; მის დაუნდობელ შურისძიებას ერთი მხრივ ემსხვერპლებიან კრეონი და კრეუსა, ხოლო მეორე მხრივ - მედეასა და იასონის შვილები.

მითის ამ სიუჟეტიდან გამომდინარე, მედეას მითოლოგიურ გენეზისს რომ ჩავუღრმავდეთ და მისი სიღრმისეული შესწავლა მოვახდინოთ, თავდაპირველად უნდა გავიხსენოთ მკვლევარ რისმაგ გორდეზიანის შეხედულება: „როდესაც ვლაპარაკობთ მითზე, ვგულისხმობთ არა აუცილებლად ამბის რაღაც განსაკუთრებულ თემატიკას, არამედ იმას, რომ მითთა თხზვის პროცესში ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის ისტორიული მოვლენების ამსახველიც) ტრანსფორმირდება მოქმედების განვითარების კონკრეტული პროგრამის შესაბამისად და მასში მოხვედრილი ყველა პერსონაჟი, საგანი თუ მოვლენა ფუნქციონირებას იწყებს მითოლოგიური მსოფლალქმის პრინციპთა შესაბამისად” (გორდეზიანი, 2009:19). სწორედ, ამიტომ ჩვენც კვლევას მედეას გარშემო წარვმართავთ მითის დეტალური განხილვით.

ტერმინი „მედიცინა“, როგორც ფიქრობენ მედეას სახელიდან მომდინარეობს, რადგან მითის თანახმად, ქურუმში მედეა წამალმცოდნეობის საოცარი ნიჭით იყო

დაჯილდოებული და ბევრი უკუჩვენებელი სენის წამლობა შეეძლო; ასევე, მას შესწევდა უნარი, გაეცოცხლებინა ახალგარდაცვლილები და მოხუცებისთვის დაებრუნებინა ადრინდელი სიჭაბუკე; ის ფლობდა სამკურნალო მაგიის, იშვიათი წამლების დამზადების, მაგიური რიტუალების ჩატარების, ბუნებრივი სტიქიების მართვისა და მაგიური წამლების/საწამლავის დამზადების ხელოვნებას; შესაბამისად, შეეძლო უამრავი მცენარიდან ამოეცნო „დაფნა, შინდი და ტანაყრილი ჭადრები; ასფოდელოსი, კლიმენოსი და სურნელოვანი ადიანტოსი; თრიონი, კიპრიონი, არისტერეონი და ანემონი; ჰორმინონი, ირისიმონი და იისფერი კიკლამისი; სტექასი, პეონია და მრავალტოტა კატერნესი; მანდრაგორა, პოლიონი და მტვრიანი დიკტამნონი; კეთილსურნელოვანი კროკოსი და კარდამონი; კემოსი, სმილაქსი, ქამემელონი და შავი მეკონი; ალკია, პანაკესი, კარპასონი და აკონიტონი” (ორფიკული არგონავტიკა, 1977:39); ყოველივე ეს კი არის მტკიცებულება იმისა, რომ ის იყო კოლხური მაგიის ტრადიციის მატარებელი, რაც ადასტურებს ძველ წყაროებში მოცემულ ინფორმაციებს, რომ მედეას მამა აიეტი ნამდვილად გახლდათ ჰელიოსის ანუ „მზე- ღმერთის” შვილი, რომელიც მას პერსეისმა გაუჩინა; ასევე, აქვე უნდა ვახსენოთ კირკე, რომელსაც ჰომეროსი მის „ოდისეაში” მოიხსენიებს მშვენიერ ქალღმერთად და მის საცხოვრებელ ადგილად ასახელებს აიაიას, სადაც ტყეში განმარტოებით სახლობდა კირკე ღომებთან და მგლებთან ერთად. მედეას განსწავლულობა მედიცინაში მამიდამისის - კირკეს დამსახურებაც იყო, რაც კარგად ჩანს მითოსსა და ლიტერატურაშიც (მილერი, 2020).

მითოსური ცნობებით კირკემ მედეა და იასონი აფსირტეს მკვლელობის ცოდვისგან განწმინდა, რასაც მოგვითხრობს აპოლონიოს როდოსელიც. მითის მიხედვით, კირკე ჰელიოსმა საბოლოოდ დაასახლა ჰესპერიაში, სადაც ის სრულუფლებიანი ღმერთქალი იყო და თავისი ჯადოსნური ძალებით მოგზაურებს აქცევდა ცხოველებად.

მამიდისა და ძმისშვილის ურთიერთობაზე გვიყვება ორფიკული არგონავტიკაც, სადაც მედეასა და კირკეს ერთმანეთისადმი სიყვარული ამაღელვებლადაა გადმოცემული; ასევე, ულამაზესი აღწერილობაა მამიდა კირკესი - ჯადოქრული და ღმერთქალური; ის შეწუხებულია მედეას გასაჭირით, მათი შეხვედრის სცენა კი ყველას გაოცებას იწვევდა „ეგ როგორი ხვედრი ურგუნებია, უბედურო, კიპრიდას

შენთვის? ამაოდ მოსულხართ ჩვენს კუნძულზე, რამეთუ ჩადენილ (ცოდვას) ვერ დაემალებით მოხუცი მამის (შეურაცხმყოფელნი) და ძმის უწყალოდ დამლუპველნი..... ვფიქრობ, მალე ვერ მიაღწევთ მამისეულ სახლებს ჩადენილი დანაშაულისაგან მუდამყამს ნაღვლიანნი, სანამ ლაქას არ ჩამოირეცხთ წმინდა მსხვერპლებით ორფევის ცოდნის შემწეობით მალეას სანაპიროზე; ვერც ჩვენს სახლებში შემოხვალთ თხოვნა - ვედრებით, რადგან ერთი ცოდვითა ხართ მოსვრილნი, მაგრამ ახლავ გამოგიგზავნით ძღვნად პურსა და ტკბილ ღვინოს, მასთან ბევრ ხორცსაც” („ორფიკული არგონავტიკა”, 1977:114).

როდესაც მედეამ მიატოვა მშობლიური კოლხეთი და უცხო მიწაზე დასახლდა, ხშირად იგონებდა საკუთარ ფიქრებში სამშობლოს და განსაკუთრებით - მამიდას, რომელმაც მას გადასცა იმდენი ცოდნა, რომ ყველგან შეეძლო თავის გადარჩენა; ის სიამაყითაც კი ამბობდა, რომ იყო დიადი კირკეს ძმისშვილი, ხოლო პასიფაე, რომელიც, ასევე, აიეტესის და იყო, გამოირჩეოდა იმით, რომ იყო მონოტავროსის დედა, რომელიც თეთრი ხარისგან ჩაისახა; ასევე, ის ფლობდა მაგიურ ცოდნას და განაგებდა კრეტასა და მინოსში მომხდარ ამბებს. რაც შეეხება პერსესს, ის იყო ჰერსონესის სასტიკი მმართველი, მან „საკუთარი ძმა - აიეტესი დაამხო და ერთი პერიოდი თავად მართავდა კოლხეთს, სანამ მედეა საკუთარ ვაჟთან - მედოსთან ერთად არ დაბრუნდა და ბიძა ტახტიდან არ ჩამოაგდო” (ბერძენიშვილი, 2023:52). თითოეული ეს აღწერა მედეას წინაპრებისა სწორედ მის სიძლიერეზე მეტყველებს და ხაზს უსვამს მის ღვთაებრივ წარმომავლობას.

მედეას ზეციური წარმომავლობის თეორიას ამყარებს კიდევ ერთი მოსაზრებაც, რის მიხედვითაც დედამისი შეიძლება ყოფილიყო (და სავსებით დასაშვებია) დიად ქალღმერთ ჰეკატეს შვილი: „დიოდოროს სიცილიელი გვაუწყებს, რომ აიეტის მეუღლე იყო ჰეკატე, ასულები კირკე და მედეა, ძე - ეგიალევსი. თუ ამ ვერსიას გავყვებით, მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებამდე მივალთ; კერძოდ, მედეა, როგორც დემონური ფიგურა, არის არა მხოლოდ კოლხური სამყაროს კუთვნილება, არამედ მისი არქეტიპი საერთო მცირეაზიულ მითოსურ ტრადიციამდე ადის” (ტონია, 2022:86); ეს კონკრეტული ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს მედეას სიდიადეზე, რადგან იგი დედის და მამის ხაზით, ორივე დასაშვები ვერსიის გათვალისწინებით, არის ზეპუნებრივი ძალების მქონე ღვთაება. შესაბამისად, არც არის გასაკვირი,

ბერძნებმა მას გრძნეული, რომ უწოდეს, რადგან მითში ხაზგასმულია მედეას წინაპრების სიძლიერე, რაც იწვევს პერსონაჟის მასშტაბურობას.

მართალია, მითებში ზოგადად ბევრი ილუზიური ამბავია ასახული, რაც მითოსშემოქმედი სოციუმის მსოფლგაგების ტოლფასია, მაგრამ მედეასთან მიმართებაში მრავალი ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება; ამას ისტორიული ცნობებიც ადასტურებს. მთელი ანტიკური მითოლოგია მას განიხილავს არგონავტების მითის მნიშვნელოვან ნაწილად, ერთ მთლიანობად; ეს ფაქტი კი საშუალებას აძლევდა ძველი დროის ხალხს, სხვადასხვა მოსაზრება ჰქონოდათ მედეას საკითხზე და ის წარმოედგინათ, როგორც ”მსოფლიოს უდიდესი ჯადოქარი”, „ბალახთა და წამალთა მესაიდუმლე”, „მედიცინის დედამთავარი”; სწორედ, ასე წარმოჩნდა მედეას სახე მითოსურ წყაროებში. მითის შემქმნელები მედეას განსაკუთრებულ სულიერ ძლიერებაზე აკეთებენ აქცენტს და ამიტომაც არის ყველა მითის ვერსიაში ის ჯადოქრობის ზეზუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, ამიტომ აქვს მკვდრების გაცოცხლებისა და ცხვრის ბატონად ქცევის უნარი; ასევე, მის სახელს უკავშირებენ დრაკონების ეტლით გაფრენასაც.

ერთ - ერთი ვერსიის თანახმად, სახელი მედეაც მას ბერძნებმა შეარქვეს. უკვე აღვნიშნეთ, რომ მედეა მითში მკურნალი ქალია, რომლისთვისაც შეუძლებელი არაფერია. სახელის ეტიმოლოგიაც ამას ამტკიცებს. ქეთევან ნადარეიშვილი ლევან ბერძენიშვილის წიგნის „მედეა“ წინასიტყვაობაში წერს: „მედეას სახელი „მედ“ ფუძესთანაა დაკავშირებული (ბერძ. „ვფიქრობ“, „განვიზრახავ“, „გამოვიგონებ“). შესაბამისად, სახელი „მედეა“ გააზრებულია როგორც „რჩევის მიმცემი“, „დამგეგმავი“ (ბერძენიშვილი, 2022:6), ამიტომ აქვს მას, როგორც პერსონაჟს, დიდი და მრავალფეროვანი მითოსური ისტორია. მითებში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ მედეა ატარებს რიტუალებს, შესწევს უნარი, ამოიცნოს შესაბამისი რიტუალების ჩასატარებელი ბალახები, დაამზადოს მითგან ჯადო - წამლები, მოათვინიეროს გველეშაპი და ისეირნოს ეტლით, მას ემორჩილება ყოველივე და იასონის გადარჩენაც მხოლოდ მედეას შეუძლია.

მითში მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ მედეას გარეშე იასონი ვერ მიაღწევდა საწადელს და არგონავტების მოგზაურობაც უშედეგოდ დასრულდებოდა.

შეუძლებელი იყო, დავალება, რომელიც კოლხეთში ჩამოსულ იასონს აიეტმა მისცა, შეუძლებელი იყო ჩვეულებრივ მოკვდავს შეესრულებინა; სწორედ, მედეას გამჭრიახობამ და ნიჭმა გადაარჩინა იასონი, მისმა მოხერხებულობამ მოაპოვებინა ბერძნებს ოქროს საწმისი. მითში კარგად ჩანს, რომ ბერძნების გამარჯვების მთავარი გასაღები მედეა იყო; მხოლოდ ერთადერთი წყაროს - „ორფიკული არგონავტიკის“ თანახმად არის ყველაფერი სხვაგვარად: ოქროს საწმისის გატაცების ეპიზოდის გადმოცემისას, აღნიშნული წყაროს მიხედვით, იასონი და მედეა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან და ოქროს საწმისის გატაცებაში მხოლოდ ორფევსი მონაწილეობს; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა ამ ეპიზოდის მსგავსი შინაარსით წარმოდგენისა, რადგან ყველა სხვა წყაროს მიხედვით მთავარი მოქმედი პირები ამ კონკრეტულ მონაკვეთში მედეა და იასონი არიან.

საწმისის გატაცების ეპიზოდის შემდეგ შესწავლის მთავარი ობიექტია, მითის უძველეს ვერსიებში მედეას მიერ შვილების მკვლელობის თემა, რომელიც სხვადასხვა ასპექტით არის წარმოდგენილი. მასალებით ირკვევა, რომ როდესაც მედეა ზევსს უარს ეუბნება სიყვარულზე, ჰერას მხარდაჭერის იმედი აქვს და იმედოვნებს, რომ ის მის შვილებს დაიცავს და უკვდავებას შეჰპირდება; სამწუხაროდ, ასე არ ხდება და მედეას შვილები მითის ყველა შესაძლო ვარიანტში იხოცებიან, ოღონდ მიზეზი და მოქმედი პირები განსხვავებულია. ერთ-ერთი ვერსიით, კორინთოსელები კლავენ ბავშვებს ჰერას ტაძარში და ამით დასაბამი ეძლევა რიტუალურ კულტმსახურებას ბავშვების სულების მოსახსენიებლად; მეორე ვერსიით, თავად მედეა ხოცავს შვილებს, რადგან იცის, ცოცხალს მაინც არავინ დატოვებს ბავშვებს, ამიტომ გადაწყვეტს, თავად დახოცოს ისინი და ამით უფრო გაამწაროს იასონი. იმდენად ბევრი ვერსიაა ამ საკითხთან მიმართებაში, რომ ძნელია, დამტკიცდეს ჭეშმარიტება, თუმცა, ჩვენ ამის დადგენას არც ვცდილობთ, უბრალოდ აღვწერთ მითოსში გადმოცემულ გარემოებებს.

მედეას მთავარ შეცოდებად რჩება მის მიერ ღვიძლი ძმის - აფსირტოსის მკვლელობა, რომელიც მითის სხვადასხვა ვერსიებში განსხვავებული სახით წარმოჩნდება. კვლევის საგანია აფსირტოსის მკვლელობის ჩამდენი პირის ან პირების დადგენა და აქვე საყურადღებოა მისი ასაკიც, რადგან ფაქტია, რომ აფსირტოსი მითებში სხვადასხვა ასაკით გვხვდება: ის ხან პატარა ბავშვია, რომელიც მედეას თან მიჰყავს არგონავტებთან ერთად, როცა ოქროს საწმისი მიაქვთ და გზაში კლავს, ხან კი

პირიქით - წასვლამდე კლავს კოლხეთშივე და ისე გარბიან; ბოლო ვერსიებში კი შეინიშნები აფსირტოსის ზრდასრული ასაკიც, იმდენად ზრდასრული, რომ თავად დაედევნება მედეას და არგონავტებს. „ორფიკულ არგონავტიკაში“ ორფეუსი დეტალურად გადმოგვცემს, რომ, როცა აიეტმა შეიტყო მედეას გაქცევის ამბავი, პირდაპირ უბრძანა აფსირტოსს, დაედევნებოდა მას და, როგორც კი აფსირტოსი დას დაეწია, მედეამ მაშინვე მოკლა ის და წყალში გადააგდო. ზოგი ვერსიით ამ მკვლელობის ჩამდენად მოიაზრება მხოლოდ მედეა, ხან ვხვდებით იასონისა და მედეას ერთობლივად ჩადენილ მკვლელობის ვერსიას, ხან კიდევ თავად არგონავტები კლავენ მას. თუმცა, მაინც უძველეს ვერსიად უნდა მივიჩნიოთ მედეას მიერ საკუთარი ძმის მკვლელობა. (არგონავტები, 1999).

მედეას მითოსური ისტორიის კვლევის ბოლო ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ქალღმერთი მედეა დამარცხდა „მიწიერ“ გრძნობასთან - სიყვარულთან, ანუ ადამიანური გრძნობის წინაშე მედეა უძლური აღმოჩნდა, იმდენად უძლური, რომ თავად ზევსის სიყვარულიც უარყო და თავი სამუდამო სატანჯველისთვის გაიმეტა.

უამრავი მოსაზრება არსებობს, თუ რა ბედი ეწია მედეას: ერთ - ერთი ვერსიით, შვილების მკვლელობით გაუბედურებული ქალი მშობლიურ კოლხეთში ბრუნდება; სხვა ვერსიით კი, უცხო მიწაზე „ლტოლვილი მედეა“ თავდაპირველად ჩადის თებეში ჰერაკლესთან და მას სთხოვს დახმარებას, თუმცა იმედგაცრუებული რჩება, რადგან ჰერაკლე თავად ძალიან ცუდ დღეში დახვდება შერყეული გონებით, მედეა კი მის დახმარებას გადაწყვეტს, თუმცა დიდხანს არ ჩერდება, შემდეგ მიდის ეგევსთან ათენში და მისგან შეეძინება შვილი მედოსი; ამის შემდეგ კი იწყება ამბის მთავარი კულმინაცია: „თესევსის ათენში დაბრუნებისთანავე მედეამ, თავის შვილთან ერთად, დატოვა ატიკა და გაემართა აზიაში. აქ მან შეიტყო, რომ პერსესს თავისი ძმა აიეტი სამეფოდან გაუდევნია. მედოსმა მოკლა პერსესი და აიეტს ძალაუფლება დაუბრუნა. მედოსი იმდენად გაძლიერდა, რომ აზიის დიდი ნაწილი დაიკავა, მათ შორის ის მხარეც, რომელსაც, მისი სახელის მიხედვით, მიდია ეწოდა“ („არგონავტიკა“, 1999:47), ყველაზე საამაყო მაინც ის ვარაუდია, რომ მედეა გახდა დიადი აქილეუსის მეუღლე და ელისეის მინდვრებში გააგრძელა ცხოვრება.

სადაც არ უნდა წასულიყო საბოლოოდ მედეა, ის მაინც გამარჯვებული დარჩა ბერძნული მითის მიხედვით, მისი მითოპოეტური სახე კი - უკვდავი. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, ბერძნული მითოსის პერსონაჟია და არა მხოლოდ ქართულის. ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ის გაცილებით გვიან ჩნდება. თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ ქართული მითოსი და ლიტერატურა არ ახსენებს მედეას, ამაზე შეიძლება სხვადასხვა პასუხი გვქონდეს, თუმცა, როგორც ჩანს ვერ ვაპატიეთ მას სამშობლოს ღალატი და დავტოვეთ უცხო მიწაზე ბარბაროსად.

მედეას პერსონაჟის მითოსური გენეზისის კვლევამ ცხადყო, რომ მან აქტუალურობა ჯერ კიდევ ბერძნულ მითოსში მოიპოვა და შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში, ბოლო პერიოდში კი აქტუალური გახდა ქართულ მწერლობაშიც.

თავი II. მედეას მითოპოეტური სახის ტრანსფორმაცია ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურაში

2.1 . მედეა კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში

მედეა კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში მწერლების შთაგონების წყაროდ იქცა. კოლხი ასულის უკვდავ ამბავს მასშტაბურს ხდის ის გარემოებაც, რომ მისი დიადი სახელის არსებობა მკაფიოდ ჩანს ბერძნული კლასიკური პერიოდის დრამატურგიაში, სადაც დეტალურად არის აღწერილი და გადმოცემული მედეას და არგონავტების ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, ეს ამბავი მაშინდელი დროის დრამატურგებისთვის მთავარი შთაგონების წყარო იყო და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კიდევ, რომელი უფრო მძაფრად აღწერდა მედეას ისტორიას.

ჩვენამდე მოღწეული ანტიკური ლიტერატურის ტექსტებში მედეას მითოსური სახის შტრიხები ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა, ლიტერატურული ელემენტების გავლენა მაინც იგრძნობა, ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივიცაა. მკვლევარი ნ. ტონია შენიშნავს, რომ „მხატვრული ქმნილების შინაარსში ძვეს არა მხოლოდ გამოწვანა, არამედ ავტორისეული ხედვაც, აქმა იმ სამყაროსი, სადაც იგი მოღვაწეობს, გაზიარება მიმდინარე ლიტერატურულ - ფილოსოფიური ტენდენციებისა და ბოლოს, სურვილი მითში მანამდე არსებული პლასტების გადააზრებისა“ (არგონავტიკა- მედეა- მითი და ისტორია, 2024:507).

მედეას მხატვრული სახის წარმოჩენისას ბერძნულ ლიტერატურულ ტექსტებში აქცენტი გაკეთებულია მის ნიჭსა და მოხერხებაზე, სიბრძნეზე, სიძლიერეზე, სიმამაცეზე, ასევე ნაჩვენებია მისი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის, სიღრმისეული ემოციური სამყარო, ძლიერი შინაგანი კონფლიქტი, სიყვარულისა და შურისძების რთული გზა; შესაბამისად, გააზრებულია გენდერული ასპექტები და პიროვნული თავისუფლების ძიების საკითხები. რაც შეეხება პიროვნულ თავისუფლებას, რომლის მოპოვებასაც მედეას პერსონაჟი თითქმის ყველა ბერძენ ავტორთან ცდილობს, ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ტექსტები. ქ. ნადარეიშვილი თავის წიგნში „ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ ამბავთან დაკავშირებით და სიღრმისეულად

გვესაუბრება ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ ანტიკურ ცივილიზაციაში, იმის შესახებ, თუ რა უფლებები ჰქონდათ ქალებს ანტიკურ სამყაროში; წიგნში დეტალურადაა განხილული სხვადასხვა ეპოქა და ამ ეპოქაში ქალთა როლი. ყურადსაღებია ის, რომ მაშინ, როდესაც მედეა საბერძნეთში ცხოვრობდა, ქალთა უფლებები საერთოდ არც კი არსებობდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე უუფლებო პერიოდია მათთვის, რადგან ამ დროს ისინი მხოლოდ „ჰარემის მონებად“ აღიქმებოდნენ.

მედეასთვის არ არსებობდა წესები და კანონები, ის იყო თავისუფალი ქალი, რომელიც გადაწყვეტილებებს თავად იღებდა, რადგან ის იყო დამოუკიდებელი უცხო მიწაზეც კი. სწორედ, ეს რეალობა ძალიან კარგად გამოჩნდა ბერძენ ავტორებთან; მათ ტექსტებში ღიად შეიძლება ამოკითხვა, რომ მედეას ჰქონდა სხვათაგან განსხვავებული თავისუფლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერლების ჩანაფიქრი იყო მაშინდელი მოსახლეობისთვის თვალის ახელა, რადგან საზოგადოება განიცდიდა სოციალურ კრიზისს, ქალის როლი მთლიანად უგულვებელყოფილი იყო, მედეა კი - ერთგვარი ხსნა და მაგალითის მიმცემი, თუ როგორი ძლიერი უნდა ყოფილიყო ქალი. სწორედ, ასეთ სამყაროში მოხვდა კოლხი მედეა, რომელსაც ერთი ქალიც კი არ ჰყოლია დამცველი, პირიქით - ისინი იყვნენ პირველები, ვინც მედეა გაწირა; ეს პერსონაჟი, სწორედ, ქალების მიერ იყო განწირული და მიტოვებული.

ჩაკეტილ სამყაროში, სადაც მედეა უცხოდ ითვლებოდა, მისი ყველას ეშინოდა, რადგან არ იცოდნენ, როგორი იყო ის, რისი ჩამდენი იყო და, საერთოდ, რას მოიმოქმედებდა, ამიტომაც გაწირეს იგი ქალებმა. მათ ეშინოდათ მედეასი, რადგან გრძნობდნენ მის სიძლიერეს. მედეას აგდებენ ქალაქიდან, ართმევენ შვილებს, ღალატობს ქმარი, რჩება ყველაფრის გარეშე და, რაც მთავარია, სიყვარულის გარეშე; ამის მიუხედავად, ის იწყებს ბრძოლას რეალობის წინააღმდეგ, რასაც იმდროინდელი ვერცერთი ბერძენი ქალი ვერ გაბედავდა.

საყურადღებოა ფაქტი, რომ ქალებს განსაკუთრებით ეშინიათ მედეასი და, თანადგომის ნაცვლად, მის წინააღმდეგ არიან განწყობილები, რადგან ის ეუბნება ყველა ქალს, რომ არსებობს შესაძლებლობა რეალობის შეცვლისა, რომ არ უნდა

შეეგუონ მდგომარეობას რომელშიც ისინი იმყოფებიან, რომ ყველა ქალში უნდა გაიღვიძოს თავმოყვარეობის გრძნობამ, რომელიც ასე აკლდათ მაშინდელ ქალებს.

საზოგადოების პირისპირ მართოდ დარჩენილმა მედეამ, რომელსაც თავის გადარჩენის, სხვა გზა არ ჰქონდა გადაწყვიტა, „წესრიგის დარღვევა“ და იქცა პირველ ქალად, რომელმაც ხმა ამოიღო უთანასწორობის წინააღმდეგ. მას ქონდა მცდელობა, რომ ისეთ სამყაროს, რომელიც მის გარშემო იყო, საერთოდ არ ეარსება და ამიტომაც ანადგურებს ყველაფერს. მას, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა.

დრამა, პროზაული ნაწარმოებისგან განსხვავებით, ქალს „ძლიერად“ წარმოგვიდგენს, ის მას აკისრებს მნიშვნელოვან როლს. ამიტომ ინტერესდებოდნენ დრამის ავტორები მისით; მათ უნდოდათ, ისეთი ქალი ეჩვენებინათ სხვებისთვის, რომელსაც საკუთარი თავი და ცხოვრება თავადვე ებარა. მედეა ხომ ყოველთვის გადაწყვეტილებებს თავადვე იღებდა და ამაში სხვისი ნებართვა არ სჭირდებოდა. ათენში მთავრი საკითხი იყო ქალის კონცეფცია და არა - მდგომარეობა (ნადარეიშვილი, 2008: 31).

მედეა იყო ერთგვარი პროტესტი იმ რეალობისა, რომელშიც მაშინდელი ქალები ცხოვრობდნენ, თუმცა, აქვე არსებობს მეორე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეიძლება ამით ბერძენ ავტორებს იმის თქმა სურდათ, რომ მედეამ ის შეძლო, როგორც ბარბაროსმა, რაც ბერძენ ქალებს არ ძალუძდათ. იასონი ცდილობს, მედეა ბერძენ ქალად აქციოს და ქმრის მორჩილი გახადოს, როგორც ელინი, მაგრამ მედეა ხომ სხვა ქვეყნის შვილია, მისთვის ყოველივე უცხო და მიუღებელია; ამიტომაც არ ნებდება და იბრძვის თავისი ინტერესებისთვის. მედეა დაუმორჩილებელი ქალი იყო, მას ბევრი რამ განასხვავებდა ელინი ქალებისგან, მაგრამ საერთოც ჰქონდა მათთან - მას ისე უღალატეს და მიატოვეს, როგორც ელინი ქალებს ტოვებდნენ ქმრები. ამ ქალებს საერთო ტკივილი და დანგრეული ოჯახები აერთიანებდა.

კლასიკურმა ბერძნულმა ლიტერატურამ მედეა გამოიყვანა მითის ჩაკეტილი კონსტრუქციისგან და აქცია ლიტერატურულ პერსონაჟად; მას მისცა საუბრის, მოქმედების, შეცდომის, სიყვარულის და თავგანწირვის საშუალება, რითიც დაუახლოვა მკითხველს და უკვდავებას აზიარა.

2.1.1. მიმწერმოსი - სიყვარულის უძლეველი ძალა

მიმწერმოსი ცნობილია სასიყვარულო ელეგიების ავტორად, მისთვის მთავარი იყო სიყვარული, რომლის გარეშეც სიცოცხლე არაფრად უღირდა; შესაბამისად, ელეგიები, რომელსაც ის ქმნიდა ასახავდა სიყვარულის თავისებურ აღქმას ანტიკურ საბერძნეთში, რადგან „ძველ ბერძნულ სასიყვარულო პოეზიაში, ვითარცა ტრფობის ობიექტები, წარმოგვიდგებიან არა მარტო ქალები, არამედ - ბიჭებიც. არ იქნებოდა სწორი, ეს მოვლენა პათოლოგიური სიყვარულის თანამედროვე გაგებით განგვეხილა. საქმეც ისაა, რომ ბერძნული საზოგადოებრივი ცხოვრება ისე იყო ორგანიზებული, რომ კაცთა და ქალთა უშუალო კონტაქტებს არ ჰქონდა ინტენსიური ხასიათი (გორდეზიანი, 2009:189).

ჩვენთვის საინტერესო მიმწერმოსის შემოქმედება იმიტომ არის, რომ ის იყო ერთადერთი ავტორი, რომელმაც სცადა, ურთულესი არგონავტების თქმულება, რომელიც მიეკუთვნებოდა ეპიკურ მითოსს, გადაეტანა ლირიკაში და ასე მიეწოდებინა ხალხისთვის. ასევე, ამ ყველაფერთან ერთად, „აღსანიშნავია, რომ მასთან პირველად მოიხსენიება არგონავტთა აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის მიზანი - „დიადი საწმისი“ (გორდეზიანი, 2009 : 191).

განსაკუთრებით განსხვავებულია მიმწერმოსის ხედვა საზოგადოების აზრთან დაკავშირებით; მას არ აინტერესებს თანამოქალაქეთა მითქმა-მოთქმა, მისთვის მთავარია ჭეშმარიტება. ამიტომაც მიიჩნევდა, რომ მედეა მართალი იყო საკუთარი თავისა და სიყვარულის წინაშე, რადგან ის იბრძოდა ბედნიერებისთვის და სიყვარულის მარადიულობისთვის, ამიტომ ყველა დანაშაული, რაც მან ჩაიდინა, აპატიო მიმწერმოსმა.

„ დე, ჭეშმარიტება გვადგას

შენ და მე გვერდით, ყველაფერზე უფრო სამართლიანი რამ”

(გორდეზიანი, 2009:191).

მიმწერმოსი მედეას სახეს განსხვავებულად გვიხატავს და, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ არ ეშინია მკითხველის კრიტიკული დამოკიდებულებისა. შეიძლება ამით ვივარაუდოთ, რომ ის მედეას ერთ-ერთი დამცველიც კი არის.

2.1.2. პინდაროსი: მედეას მითის პინდაროსისეული ინტერპრეტაცია

პინდაროსი, საგუნდო ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ; მან, პირველმა, ფართოდ დაამუშავა და განიხილა მითი არგონავტების შესახებ. მისეული ტექსტის რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 300 სტროფს და მთლიანად მოიცავდა IV პითიურ ოდას (არკესილაოს კირენელს, რომელმაც ეტლების სრბოლაში გაიმარჯვა ძვ.წ.462წ). ზოგადად, მითებთან დაკავშირებით, პინდაროსს ჰქონდა საკუთარი მოსაზრება: „მისთვის მითი არის ამაღლებული განწყობის გვირგვინი. მან უნდა გაგვახსენოს უმნიშვნელოვანესი, ლეგენდარულ ნამყოსთან დაკავშირებული, სიამაყის აღმძვრელი ამბები; მითმა უნდა დაგვაფიქროს აწმყოზეც და მომავალზეც; ამასთანავე, მითმა ადამიანებს უნდა გაუძლიეროს ზევისა და ოლიმპიელი ღმერთებისადმი მოწიწება - იგი უნდა იყოს მათი სიკეთის, ძალის წარმომჩენი და არა სისუსტეებისა” (გორდეზიანი, 2009:274), მითების ავტორისეული თვალთახედვა სათანადოდ აისახა მის შემოქმედებაშიც.

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პოეტმა გასაოცრად წარმოაჩინა პათოსი არგონავტების მითის ამაღლებულობისა, ეს კი შეძლო მთლიანი მითის თანმიმდევრული აღწერისა და მისი ზუსტი შტრიხების ხაზგასმით, რადგან „ამ მითის გადმოცემით იგი ორ მიზანს ისახავს: ა) აფრიკაში ქალაქ კირენეს დაარსება ღმერთების ნებას დაუკავშიროს და ამის წინასწარმეტყველება თავად მედეას პირით იქნას წარმოთქმული და ბ) შეაქოს დელფოსში გამარჯვებული მეფე არკესილოს კირენელი, მისი მაღალი წარმომავლობის გათვალისწინებით და წინ წამოსწიოს არკესილაოსისა და ოპოზიციონერობის გამო მისგან განდევნილ დამოფილოსს შორის შერიგების აუცილებლობა” (გორდეზიანი, 2009:275).

ლირიკოსს სწამდა, რომ ღმერთი ყოველთვის აჯილდოებდა ადამიანებს და ამით აძლევდა მათ ცხოვრების სტიმულს ამ უნუგეშო სამყაროში; აქედან გამომდინარე, ის თვლიდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მედეა ღმერთმა მაინც იასონისადმი არსებული დიდი სიყვარულით დააჯილდოვა და ამიტომაც იყო ის ასეთი ძლიერი და შეუდრეკელი. შესაბამისად, ტექსტში პერსონაჟის დიადი აღწერით პინდაროსი ცდილობდა, ერთი მხრივ მკითხველის დაახლოებას მედეას სულიერ განცდებთან და მეორე მხრივ მათ დარწმუნებას მისეული მოსაზრების მართებულობაში.

ჩვენთვის საკვლევად განსაკუთრებით საინტერესოა მეოთხე პიტიურ ოდაში ავტორის მიერ გამიზნულად წარმოდგენილი მედეას მთავარი სიტყვა, რომელიც მან არგონავტების წინაშე წარმოთქვა „მისმინეთ, ვაჟკაცი ხალხისა და ღმერთების შვილებო! ვამბობ, რომ ამ ზღვანაცემ მიწაზე ოდესმე ეპაფოსის ასული ხალხის მიერ ნალოლიავენ ქალაქთა ფუძეს აღმოაცენებს იქ, სადაც დგას ზევს - ამონის ტაძარი” (ბერძენიშვილი, 2022:118), ამ სიტყვების ტექსტში ასახვით ავტორი პირდაპირი მნიშვნელობით უსვამს ხაზს მედეას დიდებას, მის უშიშარ ხასიათს და მომავალში მოსალოდნელი სიძნელეების მამაცურად გამკლავების უნარს.

ტექსტში, ასევე, აღწერილია მითის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდიც, აიეტის მიერ იასონისადმი მიცემული დავალება. ავტორი დეტალურად აღწერს, რომ ამ დავალების შესრულება დიდ სირთულეს წარმოადგენდა იასონისთვის, რადგან აიეტი მისგან მოითხოვდა ძლევაგამოსილი ხარების დამორჩილებას, იასონმა კი თავიდანვე იცოდა, რომ ამ დავალების შესრულება მედეას დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. რა თქმა უნდა, თავდავიწყებით შეყვარებული მედეა გადაწყვეტს იასონის დახმარებას და მისცემს მის მიერ დამზადებულ მაღამოს, რითიც ის ტკივილს დაიამებს, „ცეცხლის აღარ ეშინოდა, კოლხი ქალის წამლების მოიმედე. გუთანს დააწვა, კარგად დაამაგრა ხარებს ზურგზე, განიერი გვერდები აუჭრელა მწველი წკირით და თავისი საქმე ბოლომდე მიიყვანა. მისი ძალით გაოგნებულ და ენაწართმეულ აიეტეს გმინვა ამოხდა”(ბერძენიშვილი, 2022:129). სწორედ, ამ ეპიზოდის ამგვარი აღწერით ლირიკოსმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მედეას პერსონაჟის მასშტაბურობა და სიტუაციურად გვაჩვენა, რომ მედეას მაგიური ბუნებისა და ნიჭიერების გარეშე იასონი დამარცხდებოდა აიეტის დავალების წინაშე.

პინდაროსთან საინტერესო კუთხითაა განხილული, ასევე, სიყვარულის ისტორიაც, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში სხვადასხვა ავტორებთან აღწერილია მედეას მიერ იასონის შეყვარების ეპიზოდი, რაშიც, რა თქმა უნდა, აფროდიტე მონაწილეობს; პინდაროსთან ასე არ ხდება: შეიძლება ითქვას, რომ პირიქითაც არის საკითხი წარმოდგენილი, რადგან აფროდიტე ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირველად იასონს შთაუწერგავს უნარს, ამოთქვას თავბრუდამხვევი სიტყვები მედეას წინაშე, რითიც მაშინვე მოიპოვებს მის სიყვარულს; ამის შემდეგ კი უკვე „პირობა დადეს, ერთმანეთს ქორწინების ტკბილი ერთობით შეერწყმოდნენ (ბერძენიშვილი, 2022:128).

პინდაროსთან ზოგადად სიყვარულის ორგვარი გაგება შეიძლება, რადგან ლირიკის ტექსტში მოცემულია შემდეგი ფრაგმენტი: „პირველად კვიპროსს შობილმა მოუვლინა ადამიანებს ოლიმპოსიდან სიგიჟის გამომწვევი ჩიტი, რომ ესონის ვაჟს ასე ესწავლა შელოცვები და შელოცვით წართმეოდა მედეას მამისადმი სიყვარული, რომ პეითოს მათრახით სასურველი საბერძნეთის ცხელება დამართოდა (ბერძენიშვილი, 2022:128). ეს მონაკვეთი მართებულად გვაფიქრებინებს, რომ, ერთიმხრივ, ეს სიყვარული, შეიძლება იყოს ადამიანური გრძნობა, ანუ ქალის და კაცის ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც იასონმა მედეას უნდა შთაუწერგოს, და, მეორე მხრივ, ამ სიყვარულში შეიძლება მოიაზრებოდეს მთლიანად ელადის სიყვარული. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუ რომელ სიყვარულს გულისხმობდა სინამდვილეში პინდაროსი და რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო ავტორისთვის; შესაბამისად ეს საკითხი სამეცნიერო სივრცეში დღემდე პოლემიკის საგნად რჩება.

2.1.3. - ევრიპიდეს „მედეა“ - სასტიკი შურისმაძიებელი ქალი

ბერძნული ლიტერატურის კლასიკის პერიოდში საკმაოდ ბევრი დრამატურგი მოღვაწეობდა; მათგან მსოფლიო ლიტერატურას მხოლოდ სამი ტრაგიკოსის (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) შემოქმედება შემორჩა შედარებით სრული სახით, ამ სამეულიდან კი განსაკუთრებული პოპულარობა ევრიპიდეს ხვდა წილად.

ევრიპიდეს ბიოგრაფიულ ცნობებთან დაკავშირებით რამდენიმე წყარო მოიპოვება, სადაც ნათქვამია, რომ ის „განრიდებული მთელი დღეების განმავლობაში ფიქრობდა თავისთვის და წერდა, რამეთუ სძულდა ყოველივე, რაც არ იყო დიადი და ამაღლებული“ (ანტიკური ლიტერატურა, 2005:130). ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ მას უნდა ეცხოვრა ან ატიკაში, ან კუნძულ სალამისზე. მისი ბიოგრაფოსის ცნობით კი, ის არასოდეს ფიქრობდა მაყურებლის სიყვარულის ან კეთილგანწყობის მოპოვებაზე, მუდამ ცდილობდა, შორს ყოფილიყო პოლიტიკისგან და ზოგადად - სამოქალაქო საქმიანობისგან. მართებულად აღნიშნავს რისმაგ გორდეზიანი, რომ „ალბათ, ამან

განაპირობა კიდეც ხანდაზმული ევრიპიდეს წასვლა მაკედონიაში, მეფე არქელაოსის კარზე. იქ ტრაგიკოსი განსაკუთრებული პატივით მიიღეს, თუმც, როგორც ჩანს, გენიოს შემოქმედს ბევრი მოშურნე ჰყავდა” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:130).

ტრაგიკოსის შემოქმედების ანალიზისას დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევრიპიდე გამოირჩეოდა ნოვატორულობით, მისი ტექსტები კი უსწრებდნენ დროს, სადაც ერთგვარად ჰარმონიას კარგავდა სამყარო და არ არსებობდა რეალობის გამოსწორების გზები; ასევე რ. გორდეზიანის თქმით, „შეუძლებელია ერთ სქემაში მოვაქციოთ ევრიპიდეს შემოქმედების ნებისმიერი კარდინალური საკითხი - იქნება ეს დრამატურგის მიმართება რელიგიასთან, გმირთა ხატვის პრინციპები, თუ ტრაგედიის კონფლიქტის გადაწყვეტის გზები”(ანტიკური ლიტერატურა, 2005:130).

ევრიპიდეს ემახდნენ ქალთმომძულეს, რადგან ის საკუთარი დრამის ტექსტებში ქალებს აღწერდა სრული სიშმაგით; ამის დასტური კი მისი მთავარი ტრაგედია „მედეაა”, სადაც „პერსონაჟთა მოქმედებაში მეტია მიწიერი ვნებები, აქედან გამომდინარე - ადამიანური მანკიერებანი და ნაკლებია იმედის ის სხივი, რომელიც ესქილეს თავიანთი მოქმედების ღმერთის ნებასთან შემათანხმებელ და სოფოკლეს თავიანთი საქციელით ადამიანთა ჰუმანიზმისაკენ წარმმართველ გმირებთან შეხვედრის შემდეგ ჩნდება” (გორდეზიანი, 2009:390).

ევრიპიდეს განსაკუთრებული პოპულარობა სწორედ მედეას სიუჟეტზე შექმნილმა ტრაგედიამ მოუტანა, რადგან ის ტრაგიკოსის შემოქმედებაში ერთ - ერთ მთავარ ნაწარმოებად ითვლება. ტრაგედია ფართო მაყურებლის წინაშე ძვ. წ. 431 წელს წარსდგა დიონისეს დღესასწაულზე, სადაც რიგით მესამე ადგილი დაიკავა, რაც სრულ მარცხს ნიშნავდა ავტორისთვისაც და ნაწარმოებისთვისაც, თუმცა მან სრულიად შეცვალა ბერძნულ ლიტერატურაში დამკვიდრებული სტერეოტიპი მედეას სახისა, რადგან „ევრიპიდე ცნობილ მითოსს არატრადიციულ გაგრძელებას უძებნის, ხანაც ადგილობრივი ლეგენდის საფუძველზე ახალ მითოსს ქმნის. დემითოლოგიზაციის პროცესს ემსახურება სიუჟეტურ ქარგაში სრულიად უცნობი გმირების, ყოველდღიური ამბების, ყოფითი დეტალების შემოტანა” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:131), ამით, როგორც მწერალი, გათავისუფლდა დამკვიდრებული ელინური ჩარჩოებიდან, რადგან მაშინდელი დროის მწერლები ცდილობდნენ მკითხველისა და

მაყურებლის დარწმუნებას, რომ სამყაროს მმართველი იყო ღვთაებრივი ძალა, ხოლო ადამიანური გრძნობები და განცდები უნდა ყოფილიყო მიჩქმალული.

ევრიპიდე პირველი ავტორია, რომელიც მედეას სახეს განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგენს, როგორც მკვლევარი რ. გორდეზიანი მიუთითებს, „რადგან მან მნიშვნელოვნად შეცვალა დრამის შინაარსობრივი კონცეფცია. მართალია, ევრიპიდე ერთგული დარჩა თავისი პიესებისათვის ფაბულის ძირითადად მითოსიდან შერჩევის საკითში, მაგრამ ამ სიუჟეტებს, როგორც წესი, იგი გაცილებით უფრო თავისუფლად ეპყრობოდა და არსებითად ცვლიდა თავისი პრინციპების შესაბამისად” (გორდეზიანი, 2009:390), შესაბამისად, ევრიპიდემ სიღრმისეულად განახორციელა მედეას მხატვრული სახის ანალიზი, გვაჩვენა შურისმაძიებელი ქალი, რომელიც მსხვერპლად სწირავს საკუთარ შვილებს და მზადაა, გაანადგუროს ყველაფერი, რაც თავადვე შექმნა.

ავტორი ტრაგედიის შესავალშივე გვაწვდის ინფორმაციას (ძიძის სიტყვებით), თუ რა განსაცდელის წინაშე იდგა სიყვარულით შეპყრობილი მედეა:

„ნეტა, მძვინვარე სიმპლეგადებს გზა შეეკრათ და
კოლხეთის მიწას არ სწვეოდა ხომალდი არგო,
ან პელიონზე წაქცეული ვეება ფიჭვი
არ დაეთალათ კეთილშობილ გმირთა ნიჩბებად,
რათა პელიასს მირთმეოდა ოქროს საწმისი!
მაშინ ხომ ჩემი ქალბატონი, ჩემი მედეა,
თავდავიწყებით იასონზე შეყვარებული,
არ ისწრაფებდა იოლკოსის ციხე - ბურჯისკენ
და არც საბრალო პლეიადებს შთააგონებდა
მოეკლათ მამა, არც კორინთოდ დასახლდებოდა
ქმარ - შვილთან ერთად (მოყვასებს და მშობლიურ მიწას

განშორებული, ბედნიერად სადაც ცხოვრობდა)”.

(ევრიპიდე, 2022:93)

ასეთი შესავლის შემდეგ დრამატურგი აღწერს მედეას არჩევანს, რომელიც ძალიან ტრაგიკული და შემზარავია - „მედემ კოლხთა მიწის ძლიერების სიმბოლო ჩააბარა იასონს, რითიც უღალატა სამშობლოსა და უღალატა მამას, ძმა აკუწა, რათა კოლხთა დევნა შეეჩერებინა, მეფე პელიასი მისივე ქალიშვილების ხელით დაღუპა, დაფერფლა კორინთოსის მეფე კრეონი და მისი ასული და ბოლოს, საკუთარი შვილებიც სიცოცხლეს გამოასალმა. ყოველივე ეს მედემ უსაშინლესი ბოროტებით აღასრულა იმ იასონის გამო, რომელსაც, ალბათ, არც არასოდეს ყვარებია იგი” (ევრიპიდე, 2022:86).

ევრიპიდე არ უთანაგრძნობს კოლხ ასულს, პირიქით - მედეას მხატვრული სახის შექმნით, აზუსტებს მის მიმართ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ის, მართლაც, ქალთმობულე იყო, რადგან ტრაგედიაში „ევრიპიდეს მიერ დანერგილმა შვილების დახოცვის ამბავმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი, გავრცელდა და არგონავტთა თქმულების მერმინდელ გადმოცემებში ცენტრალური ადგილი დაიკავა. ცხადია ამ ამბის გავრცელებას ხელი შეუწყო, იმან, რომ ევრიპიდეს „მედეა”, როგორც სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე”, იყო ტრაგედია”. (ურუშაძე, 1964:41); ასევე, ავტორი გვიჩვენებს რეალობას, თუ როგორ გაწირა მედემ საკუთარი სამშობლო სიყვარულის გამო, როგორ უღალატა მშობლებს და მთელ ქვეყანას; ამის გამო ავტორი ბარბაროსსაც კი უწოდებს და ის განსაცდელი, რომელიც შემდეგ მას ეკისრება, სწორედ, ამ მთავარი ცოდვის გამო ხდება. ევრიპიდემ ამით მკითხველს აჩვენა, თუ რა შეიძლება დაემართოს ადამიანს, რომელიც გაწირავს სამშობლოს და საკუთარი ქვეყნის მიწას სხვა ქვეყნის მიწაზე გაცვლის:

„მოულოდნელად თავზე დამტყდარმა ამ ამბავმა,

სული შემიდრა და დავკარგე ცხოვრების აზრი.

სიკვდილსაც ვნატრობ, ძვირფასებო, ახლა მე მხოლოდ.

იგი ხომ ჩემთვის იყო მთელი ბედნიერება,

ჩემი მეუღლე, ვინაც ურცხვად გატეხა ფიცი.

ყველა მათ შორის, ვინაც კი სუნთქავს და ვინაც აზროვნებს,
გამოვიჩვევით უბედურებით ჩვენ, ქალები”.

(გორდეზიანი, 2009:395)

კიდევ ერთი ნიუანსი იკვეთება ევრიპიდესთან, ეს გახლავთ მედეას მიერ ძმის მკვლელობა; ეს მოტივი პირველად სწორედ ევრიპიდეს ტრაგედიაში გვხვდება (ბერძენიშვილი, 2022 : 25). ტრაგედიაში მედეა თავად აცხადებს ამას, როცა ქოროს ელაპარაკება: „მამაჩემო, ჩემო ქალაქო, უსირცხვილოდ გადმოვსახლდი თქვენგან, ჩემი ძმაც მოვკალი” (167). იასონიც ახსენებს მას ძმის მკვლელობას: „შენ, შენი ძმა მოკალი კერიასთან და ლამაზცხვირიან „არგოს” ხომალდზე ამოხვედი”(1334). „ევრიპიდესთან მედეა არა მარტო კლავს ძმას, არამედ ამას ყველაზე წმინდა ადგილას - კერიასთან სჩადის, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მედეას დანაშაულს” (ბერძენიშვილი, 2022:25), რადგან ავტორი ჩადენილ დანაშაულს მედეას თავად აღიარებინებს ქოროს წინაშე. შეიძლება, ამით ვივარაუდოთ, რომ ესეც ტრაგიკოსს დასჭირდა ტრაგედიის გამმაფრებისთვის: ტრადიციის თანახმად, ახლომდებარე რომელიმე ქვეყნის მეფეს უნდა გადაეწყვიტა ქალის ბედი: იგი შინ უნდა დაბრუნებულიყო, თუ ბერძნებს გაჰყოლოდა ელადაში. მედეამ რომ ეს ამბავი გაიგო, იასონს ახალი საშინელების ჩადენა შთააგონა: აფსირტოსს შეუთვალა, თითქოს არგონავტებმა იგი ძალით გაიტაცეს, არტემისის ტაძარში მიატოვეს და ახლა პირისპირ სურს ძმასთან საუბარი. აფსირტოსი მოტყუვდა და მარტო გაემართა მედეასთან შესახვედრად. იგი განგმირა ჩასაფრებულმა იასონმა, მოჰკვეთა სამსხვერპლო ნაწილები, ხოლო გვამი მიწაში ჩაფლა” (ევრიპიდე, 2022:452). ჩემი აზრით, ამით ევრიპიდე ბოლომდე სწირავს მედეას, ჯალათად აქცევს მას; ამავე დროს, პერსონაჟს გვაჩვენებს ტრაგიკულ გმირადაც, თითქოს მას სხვა გზა არ აქვს და გაცნობიერებულად იღებს ყველა სამსხვერპლო გადაწყვეტილებას, მათ შორის შვილების მკვლელობასაც:

„ ვაიმე, ბედკრულს!

ეს რა დღე მადგას? რა უბედურად

მოვთქვამ და ვგოდებ! მძულს ეს წყეული

ჩემი შვილები! ჭირს წაუღიხართ

თქვენც, მამათქვენიც და მთელი სახლიც!”

(ევრიპიდე, 2022:120)

მიუხედევადა იმისა, რომ შვილების მკვლელობა ერთ - ერთი ყველაზე მძაფრი სიუჟეტი იყო ევრიპიდეს „მედეაში”, უნდა აღვნიშნოთ: რომ არა ეს ეპიზოდი, მედეა დღეს ასეთი პოპულარული არ იქნებოდა „არსებობს გადმოცემა იმის თაობაზე, რომ ევრიპიდემ მედეა კორინთოსის მკვიდრთა თხოვნით გახადა მკვლელი იმიტომ, რომ თავად კორინთოსელები გაეთავისუფლებინა ამ ცოდვისაგან (ევრიპიდე, 2022:85); თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, კითხვა კი დახოცა თუ არა მედეამ საკუთარი შვილები? დღესაც კამათის საგნად რჩება.

შვილების დახოცვის ეპიზოდის აღწერით ევრიპიდე დაარღვია ჩარჩო ტრადიციულობისა და გმირი გვაჩვენა განსხვავებული სახით, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ევრიპიდე გახლდათ ერთგვარად ექპერიმენტატორი და თამამი ავტორი, რაც მაშინდელ დროში სიახლეს წარმოადგენდა, რამდენადაც იგი მიმართავს ტრადიციული მითების დემითოლოგიზაციას.

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, თუ რა იცოდნენ მედეაზე საბერძნეთში მანამდე, ვიდრე ევრიპიდე საკუთარ ვერსიას შესთავაზებდა მათ. ყველამ კარგად იცოდა, რომ მედეას შვილები შეეწირნენ მის საქციელს, მაგრამ მას ისინი არ დაუხოცავს, კორინთოსელებმა დახოცეს, მაგრამ ევრიპიდემ თავის ტრაგედიაში მედეას ხელით დახოცა ბავშვები და ამით შეცვალა მითის დამკვიდრებული სიუჟეტი.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ევრიპიდესთან არ არის სახელით მოხსენიებული იასონის მეორე საცოლე, რომლის გამოც ის ტოვებს მედეას, აქ მას სახელი არ ქვია და ესეც ერთგვარად მწერლის ჩანაფიქრს წარმოადგენს. გლაუკეს, რომლის სახელითაც ჩვენ მას სხვა ნაწარმოებებიდან ვიცნობთ, არ მოსწონს იასონის შვილები, რადგან მათ მეტოქის შვილებად თვლის.

მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ავტორი თავდაპირველად მედეას, როგორც მსხვერპლს ისე წარმოგვიდგენს. მან დათმო ყველაფერი, მაგრამ იასონმა უღალატა, ესეც არ აკმარა და ქალაქიდან გააძევა. აქ მკითხველი უთანაგრძნობს მედეას და ამართლებს მის გადაწყვეტილებას. მედეა არ ჩერდება, პირიქით, მისი შურისძიება

თანდათან იზრდება და მძვინვარებს. „მას სურს დატანჯოს იასონი და აი, ამ დროს გამოჩნდება ათენის უშვილძირობის გრძნობით შეწუხებული მეფე ეგევსი. ტრაგედიაში სიტყვით არ ჩანს, მაგრამ იგრძნობა, რომ სწორედ ეს შთააგონებს მედეას აზრს შვილების დახოცვის თაობაზე” (ევრიპიდე, 2017:15).

ფაქტია, რომ ევრიპიდემ დაარღვია ანტიკური ლიტერატურის ტრადიციული ქარგა, რადგან მასთან მედეა:

„ არ არის კეთილშობილი, რამეთუ ბარბაროსია და მკვლელი;

არ არის შესაფერისი, რადგანაც ელინი ასე არ მოიქცეოდა,

არ არის სამართლიანი, შვილების მიმართ მაინც;

არ არის თანმიმდევრული, რადგანაც არ იცის, რა გზას დაადგეს.

ეს ყველაფერი კი სიახლეს წარმოადგენდა ათენელი მაყურებლისთვის” (ევრიპიდე, 2017:17).

ევრიპიდემ სამსჯავროზე გამოიყვანა მითის ყველა პერსონაჟი და არჩევანის გაკეთება მკითხველს დააკისრა, ის თავად არ გვეუბნება, ვინ არის დამნაშავე, უბრალოდ გვთავაზობს რეალობას (მედეას შემთხვევაში ვნებისა და გონების ჭიდილს); ასევე, ავტორმა ასახა ადამიანური განცდები, ტკივილები და შიში მომავალი დღისა. მის პერსონაჟებს, განსაკუთრებით კი მედეას, თუ უყვარს, ბოლომდე უყვარს, თუ სძულს, ბოლომდე სძულს და თუ შურისძიება გადაწყვიტა, სწირავს ყველაფერს, საკუთარსაც კი და მზადაა, თავადაც შეეწიროს ამ შურისძიებას:

„მრავალს განაგებს ოლიმპოსზე მეუფე ზევსი,

გარდმოავლენენ განსაკვირველს ხშირად ღმერთები,

რასაც მოველით, არ აგვიხდება,

მოულოდნელს კი მოგვივლენს ღმერთი”.

(ევრიპიდე, 2022 : 146, 1415).

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს არ არის ისეთი ტრაგედია, სადაც მკითხველი სიმართლეს არ უნდა ეძებდეს, რადგან ზოგიერთ მომენტში ჩვენ არ

გაგვაჩნია თანაგრძნობა მედეას მიმართ, ზოგჯერ კი პირიქითაც ხდება და ძალიანაც ვუთანაგრძნობთ მას; ასე იმიტომ ხდება, რომ შინაგანად ყველა ვგრძნობთ და გვეშინია, ჩვენც არ მოვიქცეთ მედეას მსგავსად ანალოგიურ სიტუაციაში, ასეთი ღალატის დროს რის დაძლევისაც დიდი ძალისხმევა და მორალური სიმდიერე სჭირდება.

ევრიპიდეს მედეა ყველასგან გამორჩეული და განსაკუთრებულია, რადგან ის არ ისჯება არც იურიდიულად და არც ღვთაებრივად; იასონმა კი ევრიპიდეს მიხედვით, ცუდად დაასრულა საკუთარი უზადრუკი ცხოვრება:

„თავად კი წავალ ერეხთევსის სამფლობელოში,

იქ პანდიონის ძე ეგევსთან ერთად ვიცხოვრებ.

შენ, სულმდაბალო, სამარცხვინოდ დაიღუპები:

არგოს ნამსხვრევი თავს გაგიპოვს და მომაკვდავი

შეიგრძნობ ჩვენი ქორწინების შემზარავ ბოლოს!

(ევრიპიდე, 2022:144)

იასონი მკაცრად დაისაჯა, მედეა - არა; ალბათ, ეს იმიტომ მოხდა, რომ თითქოს სამყაროს რაღაც კანონზომიერებით არ შეიძლება დასაჯო ადამიანი, რომელიც უკვე ისედაც დასჯილია, დიახ, მედეა დასჯილი იყო მაშინ, როცა შვილები თავადვე დახოცა, რადგან ამ დროს მან გადაკვეთა „ადამიანურობის ზღვარი, რამაც განსაზღვრა და სხვა განზომილებაში გადაინაცვლა.

როგორც ვნახეთ, ევრიპიდეს მედეა რთული პერსონაჟია, ამავდროულად - საინტერესოც, ავტორის მთავარი ცდა, რომ „დაეფიქრებინა“ მაყურებელი, გამართლდა, რადგან, მიუხედავად ამდენი საუკუნისა, თაობათა და შეხედულებათა ცვლისა, ამ პერსონაჟს და ნაწარმოებს აქტუალურობა არ დაუკარგავს, მკითხველი და მაყურებელი დღესაც მედეასთან ერთად იბრძვიან, მასთან ერთად იტანჯებიან ღალატით, რადგან მედეა სრულიად მარტო იბრძვის ბოროტებისა და უსამართლობის წინაშე:

„მორჩა, გადაწყდა, ძვირფასებო, ახლა სასწრაფოდ

ბავშვები უნდა დავხოცო და გადავიხვეწო!

დროს თუ დავკარგავ უმიზეზოდ, მაშინ ჩემს შვილებს

სიცოცხლეს უფრო მტრული ხელი გამოასალმებს.

მაინც მოკლავენ... ამიტომაც მიჯობს, რადგანაც

მე მივანიჭე მათ სიცოცხლე, მევე წავართვა! “

(ევრიპიდე, 2022:137)

ევრიპიდეს თანადროული მკითხველისთვის მედეა სოციალური ნორმებიდან გამოსული გმირია რომელიც არ ემორჩილება საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს, მაგრამ მას ჰყავს ყველაზე დიდი „ადვოკატი” - თავად ევრიპიდე, რომელმაც ის ნაწარმოების მთავარ პერსონაჟად აქცია:

„ნურვინ მიმიჩნევს უმწეო და საბრალო ქალად,

რადგანაც ერთობ სხვაგვარია ჩემი ბუნება:

მტრისთვის სასტიკი, მოყვრისათვის - კეთილმოწყალე,

მხოლოდ ასეთებს მიეგებათ დიდი პატივი”.

(ევრიპიდე, 2022:122)

თამამად შეგვიძლია, ვთქვათ რომ ევრიპიდემ მითის ამგვარი ინტერპრეტაციით მედეას პერსონაჟი მასშტაბური გახადა და უკვდავება მიანიჭა.

2.2. მედეა ელინისტურ ლიტერატურაში - აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“

ელინისტური, ანუ ალექსანდრიული, ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში მედეას სახისმეტყველება რთულად და მრავალშრიანად აღიბეჭდა, რადგან ამ პერიოდის არგონავტების მითის სიუჟეტით დაინტერესებული ავტორი (აპოლონიოს როდოსელი), სხვებისგან განსხვავებით, მითის პერსონაჟის აღწერისას აქცენტს აკეთებდა განსაკუთრებით მის რამდენიმე მნიშვნელოვან მხარეზე; მათ მედეა აინტერესებდათ:

- როგორც მაგიური ფიგურა, რომელიც ფლობდა გამორჩეულ მაგიურ შესაძლებლობებს;
- როგორც ტრაგიკული გმირი, რომელიც წარმოადგენს ემოციურად დატვირთულ რთულ პერსონაჟს;
- როგორც პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების მნიშვნელოვანი სიმბოლო.

სწორედ, ასეთი ღრმა ფსიქოლოგიური შტრიხებით აღიბეჭდა მედეა ალექსანდრიული პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებში; ასევე, ამ პერიოდში მოხდა მისი მიმსამართით მთავარი საკვანძო სიტყვების „ბარბაროსი“ და „უცხო“ გამოყენება, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, მოვახდინოთ მედეას პერსონაჟის შესწავლა კულტურულ და გენდერულ დისკურსში და დავადგინოთ მაშინდელი საზოგადოებრივი ცნობიერების არქექტიპები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ელინისტური ლიტერატურის წიაღში დამკვიდრებულმა მრავალსაუკუნოვანმა მწყობრმა ლიტერატურულმა სისტემამ დიდი გავლენა იქონია ზოგადად მედეას თემატიკით დაინტერესებულ მომდევნო პერიოდის ავტორებზე - მათთვის არგონავტების მითის სიუჟეტის აღწერა იქცა მწერლობის მთავარ განსაზღვრებად, რამაც თითქოს საშუალება მისცა მწერლებს, უფრო გაეფართოვებინათ სამწერლობო არეალი და შეეტანათ საკუთარი ინტერპრეტაცია მითის სიუჟეტში.

აპოლონიოს როდოსელი გახლდათ ელინისტური ეპოქის ბრწყინვალე ეპიკოსი პოეტი, რომელმაც ძვ.წ. 270 წელს დაწერა „არგონავტიკა“ (პირვანდელ სახელწოდებად მიჩნეულია „არგონავტები“), რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ საგმირო ეპოსი, რადგან ის ერთადერთი სრულყოფილი (5835 ტაეპიანი) ბერძნულენოვანი ტექსტია დაქტილური ჰეგზამეტრით შესრულებული ჰომეროსიდან მოყოლებული ვერგილიუსამდე, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

არგონავტიკის ტექსტის აგებულებისა და შინაარსის შესწავლით შეგვიძლია, დანამდვილებით აღვნიშნოთ, რომ ეპიკოსს ხელთ ჰქონდა ყველა ის მასალა, რაც მაშინ არსებობდა მედეას მითის გარშემო, რადგან დეტალურად ვხვდებით არგონავტების თქმულების არქაული ვერსიის სრულად აღწერას, რაც მყარად ადასტურებს იმას, რომ აპოლონიოსი, მართლაც, კარგად იცნობს ყველა არსებულ ცნობას არგონავტების შესახებ. შესაბამისად, ნათელია, რომ ის ისარგებლებდა „როგორც ელინური პერიოდის მწერალთა, ისე მისი თანამედროვე ავტორების თხზულებებით. ეს თხზულებები სხვადასხვა რიგისა იყო; ძირითადად - მხატვრულ - მითოგრაფიული და ისტორიულ - გეოგრაფიული“ (ურუმადე, 1975:8).

კვლევის თანახმად, ტექსტის შესწავლის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ პოეტის მთავარ მიზანს გმირების კოლხეთში ლაშქრობის აღწერა წარმოადგენდა. შესაბამისად, ის დეტალურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს გზასაც სამშობლოდან კოლხეთამდე და უკან; ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მას სურდა, „ილიადისა“ და „ოდისეის“ მსგავსი ტექსტი შეექმნა.

სიუჟეტურად თითქოს აპოლონიოსთან ახალი არაფერია, ის იმასვე იმეორებს, რასაც - მისი წინამორბედი ავტორები, მაგრამ მაინც შეგვიძლია მსგავსება - განსხვავებების პოვნა. ზოგადად, „არგონავტიკა“ არ არის შინაგანად შეკრული პოემა, მაგრამ ავტორის დამოკიდებულება საკითხისადმი მაინც თვალსაჩინოა, „მთლიანობაში აპოლონიოს როდოსელის შემოქმედებაში სამი მნიშვნელოვანი სიახლე იკვეთება: ეროსის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ფსიქოლოგიური პროცესების ანალიზი და ახალი ტიპის სუსტი, აქცენტირებულად არაპეროიკული გმირის კონცეფცია“ (ანტიკური ლიტერატურა, 2005:211). პოემა შედგება 4 ნაწილისგან; საკვანძო სცენა გახლავთ მედეას ტრფობის ამსახველი ეპიზოდი, საიდანაც იწყება

მოქმედების მთავარი გარდატეხა; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აპოლონიოსი იყო პირველი ეპიკოსი, ვინც მოქმედების განვითარებაში მთავარი აქცენტი სიყვარულზე შეაჩერა.

„არგონავტიკის” პირველი თავი - იწყება აპოლონის ხსენებით, რადგან მან, თქმულების თანახმად იასონს აუწყა მოსალოდნელი ლაშქრობის ბედი:

„აპოლონ ფეხოს, შენგან დავიწყებ ძველთა საგმირო საქმეთა თხრობას,

მამაც მოყმეთა გუნდი რომ აჰყვა პელიას მეფის ხელმწიფურ ნებას,

კარგად ნაგები არგო გამართეს და მიაშურეს პონტოს ნაპირებს,

კლდე - კიანეთა გავლით გაცურეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.”

(ურუშაძე, 1975:43)

ეპიკური შესავლის შემდეგ საუბარია არგონავტთა ლაშქრობის წინაისტორიაზე, აღწერილია პელიასის წინასწარმეტყველება, რის გამოც ის გადაწყვეტს, რომ იასონი თავიდან მოიშოროს, მოუწყოს ლაშქრობა, რომელიც მისი თავიდან მოშორების და დაღუპვის ერთადერთი გზაა:

„ასე ამბობდნენ ქალაქში ყველგან, ხოლო ქალები, ხელაპყრობილნი,

შეჰლადებდნენ სადღაც სივრცეში უკვდავთა მაღალ, ციურ სავანეს,

ევედრებოდნენ, რომ ღირსებოდათ დღე მხიარული შინდაბრუნების,

თან შესჩიოდნენ ერთიმეორეს, შეჰქვითინებდნენ ცრემლმორეულნი”.

(ურუშაძე, 1975: 43).

მომდევნო ეტაპს წარმოადგენს აღწერა, თუ როგორ იქმნება 55 გმირისგან შემდგარი არგონავტთა ჯგუფი (იასონი, ორფეუსი, ასტერიონი, პოლიფემე, იფიკლე, ადმეტე, ერიტე, ექიონი, ეთალიდე, კორონე, მოფსოსი, ევრიდამანტი, მენეტიოსი, ევრიტიონი, ერიბოტე და სხვები) და როგორ მოემართებიან კოლხეთისკენ; ტექსტში დეტალურადაა აღწერილი ყველა გმირის წარმომავლობა, მათი დახასიათება და მარშრუტი (ლემნოსი, სამოთრაკე, ხერონესოსი, ჰელესპონტი, პროპონტი და ა.შ.); ასევე, აკაკი ურუშაძე შენიშნავს, რომ „აპოლონიოსი გეოგრაფიული

განსწავლულობით და ეპიკური სილალით გადმოგვცემს მოლაშქრეთა მარშრუტს. არგონავტებმა უკან მოიტოვეს პელაზგების ქვეყანა, პელიონის კლდეები, სეპიას კონცხი და სხვა ადგილები” (ურუშაძე, 1975:15). საბოლოოდ ისინი ძალიან ბევრს იმოგზაურებენ და მიაღწევენ ბითონიას, აქ კი პოემის პირველი თავი სრულდება:

„მთელი დღე - ღამე შეუფერხებლად მიაქროლებდა არგოს ზურგქარი,

მაგრამ როგორც კი გათენდა დილა, საგზაკეთილო ის ქარი ჩადგა.

გმირებმა შორით ნახეს ნაპირი, გაშლილ ზღვაში რომ ღრმად შეჭრილიყო,

ჩანდა უბიდან ერთობ მაღალი, თვალსაწიერზე გაშლილი მხარე

და მალე, როცა მზეც ამოვიდა, მას მიაშურეს ხოფების ცემით”.

(ურუშაძე., 1975:79)

მეორე თავი იწყება მეფე ამიკოსისა და პოლიდეკეს ორთაბრძოლით, სადაც გაიმარჯვებს პოლიდეკე და არგონავტებს მიეცემათ უფლება ბოსფორის სრუტეში შესასვლელად, შემდეგ კი გადავლენ კუნძულ თრაკიაში, სადაც ნახავენ ფინევს, რომელიც არგონავტებს აუხსნის გზის მომდევნო მარშრუტს; ამ ყველაფრის შემდეგ კი ავტორი აღწერს, თუ როგორ მოუწევს „არგოს” გავლა მოძრავ კლდეებში, როგორ მოკვდება მარიანდინების ქვეყანაში მისანი იდმონი და მესაქე ტიფისი, მერე კი საუბრობს, თუ როგორ ხდება ახალი მესაქის არჩევა, შემხვედრ ტომებთან (ხალიბები, მოსინიკები) გამკლავება, საბოლოოდ კი ნაჩვენებია, თუ როგორ დააღწიეს თავი არგონავტებმა უამრავ ხიფათს, რომელიც მათ კოლხეთისკენ მომავალ გზაზე შეხვდათ და როგორ ჩამოაღწიეს კოლხეთის მიწაზე:

„აი, დასრულდა! მოვედი კოლხეთს! აგერ ფაზისის შესართავიცა!

ახლა კი დროა, ვიფიქროთ ერთად, როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთ.

(ურუშაძე., 1975:115)

მესამე თავი იწყება პოეტის მიერ ეროტიული მუზის - ერატოს მოხმობით, რადგან მას აპოლონიოსი დახმარებას სთხოვს იასონისა და მედეას გამიჯნურების ეპიზოდის აღწერაში დაეხმაროს, რათა შემდეგ მოახერხოს ოქროს საწმისის გატაცების ეპიზოდის გადმოცემა:

„ მოდი, ერატო, ქალღმერთო ჩემო, შემატყობინე შენსა მგოსანსა,
ვით დაეუფლა ეზონის შვილი საწმისს მედეას ტრფობის წყალობით
და იოლკოსში ვით ჩაიტანა... მუზავ, კიპრიდას თანაზიარო,
შენც ხომ ხმატკბილი სიმღერით ხიბლავ, ვნებით აღანთებ ღამაზ ქალწულებს,
სიყვარულს თესავ და ამისთვისაც სასიყვარული გამკობს სახელი.

(ურუშაძე..., 1975:116)

ზოგადად არგონავტიკის ეს ნაწილი უფრო მეტი დრამატიზებით გამოირჩევა, რადგან მთავრი განსაცდელი იასონს, სწორედ, ტექსტის ამ მონაკვეთში ელოდება, ის აქ იღებს აიეტისგან დავალებას, რომლის შესრულებაც თავიდანვე შეუძლებლად მიიჩნეოდა, ამიტომ მიმართეს ჰერამ და ათენამ აფროდიტეს:

„წყნარად თალამონში იწყეს თათბირი, რარიგ ვუშველოთ არგონავტებსო.

პირველად ჰერამ ჰკითხა ათენას გამოსაცდელად: „ზევსის ასულო!

ჯერ შენ განსაჯე, რა გზას დავადგეთ? იქნება ხერხი სჯობდეს ღონესა,

რომ ხიმანკლური ფანდით დასტყუონ აიეტ მეფეს ოქროს საწმისი”.

(ურუშაძე..., 1975:117)

მათი მთავარი მიზანი იყო, რომ მედეას იასონი შეეყვარებოდა; ღმერთებმა კარგად იცოდნენ, რომ იასონის გადარჩენა მხოლოდ მედეას შეეძლო. აპოლონიოსთან, მართლაც, „მაღალი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული მედეას სულიერი ბრძოლა, იასონისა და მედეას შეხვედრა ჰეკატეს ტაძარში, ჯადოსნური წამლის გადაცემა და მიჯნურთა ფიცი. მედეას გრძნეულების შემწეობით, იასონი წარმატებით ასრულებს კოლხთა წინამძღოლის დავალებებს” (ურუშაძე..., 1975 :16).

მედეამ იხსნა იასონი განსაცდელისგან და უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მას, მის გამო გასწირა სამშობლო და მშობელი მამა; იასონმა კი მას ამის სანაცვლოდ შემდეგი პირობა აღუთქვა: „შენ საქორწინო თალამონში ჩვენს სარეცელს დაამშვენებ და ჩვენს სიყვარულს ვერაფერი დაარღვევს!” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:210).

მეოთხე, ფინალური, ეპიზოდი იწყება პოეტის მიმართვით ერატოსისადმი, რათა მისი დახმარებით ახლა უკვე მედეას სულიერი გაცდები აღწეროს და გვაჩვენოს, რომ ის გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს:

„ჰერამ კი შიში განუზომელი დაუსადგურა მედეას გულში
და კანკალებდა ქალწული ქალი, ვით ფურ - ირემი კანკალებს ტყეში,
მწევართა შიშით დაფეთებული, შმაგი ყეფით რომ ასდევნებია.
ერთბაშად მიხვდა, რომ საიდუმლო აღარ იქნება შეწევნა მისი
და საშინელი რაღაც სასჯელი თავს დაატყდება სამაგიერო”.

(ურუშაძე, 1975:157).

ასევე, ამავე ეპიზოდში ნახსენებია, რომ მედეა იასონს ეხმარება საწმისის მოტაცებაში და, არგონავტებთან ერთად, გარბის მშობლიური მიწიდან; გაქცევის შემდეგ კი მათ დაედევნება აფსირტოსი, რომელსაც დაუფიქრებლად აკუწავენ:

„ ტაძრის კარებთან დაეცა მოყმე, მაგრამ სანამდე დაღევდა სულსა,
გმირმა შადრევნად გადმოხეთქილი შავფერი სისხლით აივსო პეშვი,
პირშებრუნებულ დას შეაღვარა თეთრ პირბადესა და მოსასხამზე,
ყოვლის მხილველმა ერინიამ კი ეს საზარელი დანაშაულიც
დაუყოვნებლივ იხილა იქვე შურისმგებელი, სასტიკი თვალით”.

(ურუშაძე., 1975:169)

მიუხედავად იმისა, რომ აფსირტოსი აკუწეს იასონმა და მედეამ და ამით განაწყენებულმა ღმერთებმა უამრავი განსაცდელი მოუვლინეს არგონავტებს, ისინი მაინც ჩავიდნენ მშობლიურ მიწაზე, „თორმეტი დღისა და ღამის განმავლობაში ეზიდებოდნენ ისინი „არგოს” ლიბიის გადახრუკულ უდაბნოში. ბოლოს მიაღწევნ ღია ზღვას, გაივლიან კრეტას, თერას, ეგინას, ეგეოსის ზღვის სხვა კუნძულებს და პაგასეს ნავსადგურში შევლენ” (ურუშაძე., 1975:16).

კვლევის თანახმად ნათელია, რომ აპოლონიოს როდოსელი განიცდის ჰომეროსის გავლენას, რადგან მას სურდა, მიეზამა სამყაროს დიდი მწერლისთვის და გამხდარიყო მისი ეპოქის საუკეთესო საგმირო ეპოსის ავტორი; ამიტომ ცდილობს ის მოქმედების განვითარებას საკუთარი ინტერპრეტაციით და შემოაქვს მედეას ტრფობისა და სიყვარულის ამსახველი მოტივები, რომელიც შემდეგ დასაბამს აძლევს ბერძნული რომანის განვითარებას „ევრიპიდესეული სიყვარულის თემა აპოლონიოსმა ეპოსში გადაიტანა და იმდენად ძლიერად, რომ მცოდნენი მას თვლიან ფსიქოლოგიური რომანის პირველ შემქმნელად ანტიკურ ლიტერატურაში“ (ურუმაძე., 1975:34).

მთავარი ღირსება, რაც აპოლონიოსის საგმირო ეპოსს აქვს არის სიუჟეტის ერთიანობა და დაწვრილებითი აღწერა; ასევე, ის პირველი პოეტი იყო ბერძნულ მწერლობაში, რომელმაც სიყვარულის მოტივი წინა პლანზე წამოსწია და დეტალურად ასახა; მიუხედავად ამისა, ის მთელი სიზუსტით იცავს ეპოსის სტილს და ენას ყველა დამახასიათებელი ნიშნით.

როდოსელის საგმირო ეპოსს ბევრი კრიტიკოსიც ყავდა (კალიმაქე და მისი წრე), თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მაინც მოიპოვა დიდება - გახდა ერთგვარი საწყისი მომდევნო პერიოდის რომაული მწერლობისა, რადგან მას ბაძვდნენ რომაელი პოეტები (ვალერიუს ფლაკუსი, ოვიდიუსი); ასევე, აპოლონიოსის პოემა გახდა მთავარი საყრდენი მომდევნო პერიოდში შექმნილი „ორფიკული არგონავტიკისა“.

მართებულია, ვიფიქროთ, რომ აპოლონიოს როდოსელმა საწადელს მიაღწია, შექმნა არგონავტების მითის ლიტერატურული მოდელი, რომელიც მომდევნო პერიოდის ლიტერატორებისთვის მისაბამი აღმოჩნდა.

2.3. მედეას მითოპოეტური სახე რომაულ ლიტერატურაში

რომაულ ლიტერატურაში მედეას ტრაგედიის აღქმა მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. ამ პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებში ავტორები ცდილობენ, განსაკუთრებით წარმოაჩინონ მედეას სიღრმისეული ფსიქოლოგიური პორტრეტი; ისინი დაუფარავად აღწერენ მის შინაგან ტანჯვას და ემოციურ მდგომარეობას, ასევე, ნაკლებ აქცენტს აკეთებენ მის მრისხანებაზე და სისასტიკეზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომაულ ტრაგედიაში უფრო ძლიერია მედეას პერსონაჟი, ვიდრე - ბერძნულში, რადგან გამძაფრებულად არის წარმოჩენილი მისი მაგიური შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო დიდი სიმძაფრით აღწერს მედეას შინაგან ტრაგიზმს.

რომაელი ავტორები მედეას სახეს გაცილებით კომპლექსურად წარმოადგენენ, რადგან ისინი ბევრად ნაკლებ აქცენტს აკეთებენ მის „სხვაობაზე“ და „უცხოობაზე“, წარმოაჩენენ მედეას, როგორც ღრმა ემოციური ტანჯვის მქონე გმირს. მიუხედავად პერსონაჟის სახის ასეთი ინტერპრეტაციისა, ისინი არ ამართლებენ მედეას სისხლისმღვრელ ხასიათს, განსაკუთრებით კი შვილების დახოცვის თემას, თუმცა მკითხველს აჩვენებენ მიზეზს, თუ რამ მიიყვანა მედეა ამ საქციელამდე და მის ქმედებებს აღიქვამენ როგორც უკიდურესი გაბრაზების შედეგს, ანუ რომელი ავტორები თან გამოხეიან და თანაც უთანაგრძნობენ მედეას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, ისიც, რომ რომელი ავტორები საუბრობენ მედეას სოციალურ ჩაგვრაზე, რაშიც მოიაზრებოდა გენდერული და კულტურული დისკრიმინაცია, რადგან მედეა იყო ქალი, რომელსაც საზოგადოება მხოლოდ მეუღლის როლში აღიქვამდა, მის აზრსა და გრძნობებს კი არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ასევე, ის იყო უცხოელი (კოლხეთიდან), შესაბამისად, მას უყურებდნენ როგორც ბარბაროსს, მისი სოციალური მდგომარეობა კი პირდაპირ დამოკიდებული იყო მეუღლეზე - იასონის ღალატის შემდეგ ის დარჩა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარეშე, მას კი ამ მდგომარეობის გასამკლავებლად მხოლოდ სიბრაზე და შური ებადა, როგორც ერთადერთი იარაღი თავის გადასარჩენად; სწორედ, ამ დეტალების აღმნიშვნელ ტექსტებში რომაულმა ლიტერატურამ ხაზგასმით წარმოგვიდგინა მედეა.

2.3.1. ლუკიუს ანეუს სენეკა - მედეას პერსონაჟის ტრანსფორმაცია

მედეას მითი არამარტო ბერძნულ, არამედ რომაულ ლიტერატურაშიც აქტუალური იყო; ამის ნათელი მაგალითი კი ლუკიუს ანეუს სენეკას „მედეა“ გახლავთ, რომელიც მართალია, ევრიპიდეს პიესას დაეფუძნა; შესაბამისად, მასში გადმოცემულია კოლხი ასულის ამბავი, რომელმაც, შურისძიების მიზნით, დახოცა შვილები, მაგრამ მასში მაინც იგრძნობა ავტორის ინდივიდუალური ხედვა კლასიკური ბერძნული მითის სიუჟეტის ირგვლივ.

სენეკას მრავალფეროვანი მემკვიდრეობიდან, რომელიც ძირითადად ფილოსოფიური ხასიათის ტექსტები და ტრაგედიების გამორჩეულია ტრაგედია „მედეა“, რომელიც სენეკას შემოქმედების მწვერვალად ითვლება. ცნობილია, რომ „სენეკას ტრაგედიებში გარეგნული ფორმები ძველი ბერძნული ტრაგედიისა დარჩა - მონოლოგები, დიალოგები, ქოროს ლირიკული პარტიები, ასევე - სიუჟეტები. საინტერესოა, რომ ევრიპიდეს შემდეგ ტრაგედია პათეტიკისა და რიტორიკისკენ იხრება. ტრაგედია არა სცენისთვის, არამედ წასაკითხად იწერება. ძვ. წ. I საუკუნეში ამ ტიპის ტრაგედია რომშიც შემოდის. სენეკას თითქმის ყველა ტრაგედიაში არის მკაცრი, ძლევამოსილი, გაბუდაყებული „ტირანი“, რომელსაც უპირისპირდება ტანჯული „მოწამე“ (ანტიკური ლიტერატურა, 2005:377).

ანტიკური მედეას მითის სენეკასეული ვერსია გაცილებით მეტ ფსიქოლოგიურ სიღრმეს სძენს პერსონაჟს, ვიდრე მითის სხვა ინტერპრეტაციებში იყო ასახული. რისმაგ გორდეზიანის თქმით, „გმირებს ახასიათებთ განსჯა, იტანჯებიან რა ისინი, ჰყვებიან კიდევ მათ შესახებ, ახდენენ ამ განცდების კლასიფიცირებას. სწორედ, დეკლამაციური ხასიათის თვითანალიზი იყო გვიანანტიკური ლიტერატურის მონაპოვარი. ამ თვალსაზრისით სენეკა ე.წ. „ახალი სტილის“ წარმომადგენელია, რაც დეკლამაციურ პათეტიკას (როდესაც იკვეთება გამეორებით, გრადაციით, ჰიპერბოლით, შეკითხვებითა და წამომახილით, მეტაფორებითა და შედარებებით) და ლაკონიურ სენტენციებს წარმოაჩენს“ (ანტიკური ლიტერატურა, 2005:377); სწორედ, ასეთი, სხვებისგან განსხვავებული, მიდგომებით სცადა სენეკამ მედეას პერსონაჟის და მთლიანად მისი მითის წარდგენა ფართო მაყურებლის წინაშე.

სენეკას სამწერლობო სტილი, ერთი შეხედვით, წააგავს არა რომაულს, არამედ - ბერძნულს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედეას დრამაში მას გამოყენებული აქვს მონოლოგები, დიალოგები და ძირითადი მითის სიუჟეტები, რითაც ის, სწორედ, ევრიპიდეს სამწერლობო სტილს ემსგავსება, თუმცა, სენეკასთან, ევრიპიდესგან განსხვავებით, უფრო მეტად ახასიათებს გმირების ტრაგიზმი და მის ყველა ნაწარმოებში არის ტრაგიკული დამნაშავე, რომელიც იტანჯება; ასევე, მასთან, როგორც „ახალი სტილის” წარმომადგენელთან, შეინიშნება ინდივიდუალური ხედვაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის გმირებს გააჩნიათ თვითგანსჯის უნარიც; მედეას სიტყვები ამის ნათელი დასტურია: „შენივე დანაშაული აგაგზნებს შენ, ყველაფერი დაბრუნდება მეხსიერებაში: სახელგანთქმული მოპარული საწმისი, სამეფოს დიდება; ბოროტი გოგოს პატარა ძმა, ხმლით განწილული ცხედარი მიმოუგდე ზღვაში მამას, ხოლო ბებერი პელიასი ასო - ასო აქნილი იხარშება სპილენძის ქვაბში. უღვთოდ ვკლავდი და ხშირად სისხლს ვღვრიდი, თუმცა, არც ერთი დანაშაული არ ჩამიდენია მრისხანებისგან: მათ ყოველთვის უბედური სიყვარული მიკარნახებდა” (ბერძენიშვილი, 2022:252).

ევრიპიდესგან სენეკას კიდევ ერთი მთავარი ნიუანსი განასხვავებს - „კლასიკურ ბერძნულ ტრაგედიაში მკვლელობა სცენის უკან ხდება. სენეკასთან ეს ტრადიცია არაა დაცული. მედეა ერთ შვილს მონოლოგისას კლავს, მეორეს კი - იასონის თვალწინ” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:377); ეს შეცვლილი სიუჟეტიც მეტყველებს დრამატურგის ინდივიდუალურ ხელწერაზე.

სენეკასთან მედეას ტრაგედია იწყება პელიასის სასტიკი მკვლელობის ეპიზოდის შემდეგ განვითარებული მოვლენების აღწერით: „იასონი ცოლშვილითურთ კორინთოსში გადავიდა დევნილად. როდესაც მეფე კრეონმა იასონი სიძედ შეარჩია, მედეამ ქმრისგან განქორწინება მიიღო და მეფემ მას კვლავ დევნილობაში წასვლა უბრძანა. მედეამ მეფეს ერთი დღე გამოსთხოვა, კრეუსას, იასონის საცოლეს, ჯადოსნური საწამლავით გაჟღენთილი კაბა და ყელსაბამი გაუზავნა. პატარძალმა მოირგო თუ არა ეს საჩუქრები, ისინი ცეცხლით აენთო და მეფის ასული, საშველად მოსულ მამასთან ერთად, დაიწვა. მედეამ იასონისგან შობილი შვილები მამის თვალწინ დახოცა და გაფრინდა ცაში” (ბერძენიშვილი, 2022:245).

უშუალოდ დრამის პირველი მოქმედება კი იწყება მედეას სიტყვით, სადაც ის გაბრაზებულია ყველა ზეციურ მამოძრავებელ ძალაზე და ღმერთზე; ზოგადად ბედის განგებას უჩივის და წყევლის ყველას და ყველაფერს, განსაკუთრებით კი - იასონს: „იცოცხლოს, უცხო ქალაქებში იხეტიალოს უპოვარმა, დევნილმა, შეშინებულმა, სამუღველმა, სულ სათუო ჰქონდეს სახლ - კარი, მომაბეზრებელი სტუმარი იყოს უცხოთა კარზე, ჩემი ცოლობა მოენატროს და ესეც ყველაზე ცუდი რამ, რაც მინდა, ვითხოვო, მისი შვილებიც მამასა და დედას დაემსგავსონ!” (ბერძენიშვილი, 2022:247). ამ სიტყვებით მედეას ერთგვარად განაჩენი გამოაქვს იასონისთვის.

კარგად რომ ჩავუღრმავდეთ სენეკას ტექსტს, დავინახავთ, რომ მედეა იასონის ღალატის შემდეგ არ იწყებს წასასვლელის ძებნას, პირიქით - ამის სურვილიც კი არ უჩნდება: „მაშ, იმოქმედე! მოუხმე მთელ შენს ძალას და საკუთარ თავს დაეხმარე ახლა; დანაშაულის ეს ნაყოფი შენია, - არაფერი მიიჩნიო დანაშაულად! ტყუილად უსარგებლოა, მათ ისე ეშინიათ ჩემი ცნობიერების. შეუტეე იქ, სადაც არავის არაფრის ეშინია! იჩქარე, გაბედე, დაიწყე ყველაფერი, რაც შეგიძლია და რაც არ შეგიძლია” (ბერძენიშვილი, 2022:271). სწორედ, მედეას ასეთი სიტყვები გახლავთ მწერლის მხრიდან მედეას სიძლიერეზე აქცენტის გამახვილება.

დრამატურგი დრამის მთლიანი ტექსტით მკითხველს მიანიშნებს, რომ მედეას არ სჭირდება თავშესაფარი, ის იმდენად ძლიერია, რომ თავს ყველგან დაიცავს, რაც მის სიტყვებშიც იკითხება: „მას შევუტევ, მარტომ გადაიხადოს, რაც ეკუთვნის. ფერფლად ვაქცევ მის სახლს; სახლიდან ავარდნილი შავი კვამლის სვეტს დაინახავს შორეული მალეა, რომელიც ხომალდებს ხანგრძლივად აყოვნებს” (ბერძენიშვილი, 2022:253); ამ სიტყვების კითხვისას შეგვიძლია, თამამად და დანამდვილებით ვთქვათ, რომ სენეკას მედეა უფრო ძლიერია, ვიდრე ევრიპიდეს მედეა, მისი შინაგანი ტრაგიზმი სენეკასთან უფრო გაღრმავებულია; ასევე, ნაჩვენებია მისი სულიერი ტანჯვის სიღრმე და შური აღქმულია, როგორც გადარჩენის ერთადერთი საშუალება.

სენეკამ, ევრიპიდესგან განსხვავებით, მედეას უფრო მეტი „ლაპარაკის” უფლება მისცა და მთელი პიესა მედეას მონოლოგს დაუთმო, ის იწყებს და ამთავრებს მთელ ამ ტრაგედიას; აქ ვხვდებით ბევრ საუბარს და ცოტა მოქმედებას; ასევე, აუცილებლად

უნდა ვისაუბროთ იმ დეტალზეც, რომ სენეკასთან მედეას არ უთანაგრძნობს გუნდი, პირიქით - ისინი აშკარად უჭერენ მხარს იასონს: „სიყვარულის ცეცხლი ბრმავდება, როდესაც მას მრისხანება შეიპყრობს, მას არ ეშინია შეკავების, სძულს შეზღუდვა, არ ეშინია სიკვდილის; სწყურია, ხმლის წინააღმდეგ გამოვიდეს. დაინდეთ, ღმერთებო, გვედრებით, დაინდეთ, რომ იცოცხლოს იასონმა, ვინც ზღვა დაიმორჩილა; მაგრამ სიღრმეთა მბრძანებელი განრისხებულია, რომ მეორე სამეფო დაპყრობილია. ყმაწვილმა, რომელმაც გაბედა მარადიული ეტლის წაყვანა და არ მიაქცია ყურადღება მამის დასახულ გეზს, ცეცხლი დაიჭირა თავად, რომელიც თავისი უგუნურობით თვითონ გაფანტა ცაში” (ბერძენიშვილი, 2022:272).

დრამის ტექსტიდან აშკარად ჩანს რომ სენეკას ეშინია მედეას „დიდების” აღწერის და თითქოს თავს იკავებს; შესაბამისად, ასეთი მიდგომა მხატვრული თვალსაზრისით აკნინებს მის დრამას, მიუხედავად იმისა, რომ სენეკასეული მედეა ძლიერი და შეუპოვარია. მნიშვნელოვანი ნიუანსია, ასევე, ისიც, რომ სენეკა არ საუბრობს მედეას ბარბაროსობაზე, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს იმითაც, რომ ათენისგან განსხვავებით, სადაც იყო მიდგომა, რომ თუ მამით და დედით არ იყავი ბერძენი, მაშინ აქაურად არ ითვლებოდი, ასე არ ხდებოდა რომში, აქ ქალი მეტად იყო თავისუფალი და კაცის თანასწორი.

სენეკას მთელი პიესის მანძილზე, ასევე, აწუხებს მედეას მიერ საწამლავის დამზადების თემაც; თითქოს ავტორს ამ სიუჟეტის ეშინია კიდეც, რადგან ფიქრობს, რომ ეს სამყაროს შეცვლის წინაპირობაა; სწორედ, ამის გამო მიიჩნევს მედეას სამყაროს დირექტორად, რითაც ხაზს უსვამს მის ჯადოსნურ ძალაუფლებას, მაგიას კი წარმოაჩენს, როგორც შურისძიების იარაღს. საყურადღებოა, რომ პირველად, სწორედ, სენეკასთან ვხვდებით მედეას კოსმიურობაზე მსჯელობას და აღიარებას, რომ ის მთელი სამყაროს მბრძანებელია.

სენეკასთან მედეა არ აღიარებს დანაშაულს, პირიქით - ის ამბობს, რომ მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია, „სასჯელი მსუბუქია, თუ სუფთა ხელებით კეთდება, გააძლიერე დასასუსტებელი სული, აღმარი მრისხანება, გულის სიღრმეში ეძიე ძველებური ძალა, დაუოკებელი. რაც აქამდე გაკეთდა, სიყვარული უწოდეს; გამოფხიზლდი და იმოქმედე, რომ დაინახონ, რა მცირეა, რა ცოტაა ყველა წინანდელი

დანაშაული - ჩემი შურისძიება მხოლოდ ვარჯიშობდა. რა უნდა გაეკეთებინა გამოუცდელ, დამწყებ ხელს? რაა ქალწულის მრისხანება? მედეა ახლა ვარ, დანაშაულით გაიზარდა ნიჭი” (ბერძენიშვილი, 2022:285).

შვილებთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა აქვს სენეკას, ტექსტის მიხედვით იასონმა მედეა მიატოვა და, თუ ის არ არის მისი ქმარი, მაშინ მედეა მიიჩნევს, რომ არც ეს ბავშვები არიან მედეას შვილები: „მე, სულელმა, ვიჩქარე! ნეტავ, ჩემი მეტოქისგან ჰყოლოდა ჩემს მტერს შვილები! არა, მე კი არა, კრეუსამ შვა იასონის ბავშვები. მე ავირჩიე - დამსახურებულადაც სასჯელი” (ბერძენიშვილი, 2022:285). შესაბამისად, სენეკას მედეა არის მოაზროვნე ქალი, რომელმაც ზუსტად იცის, რას უმზადებს მას განგება; მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ თოკავს ვნებებს, რასაც მისთვის ზიანი მოაქვს. ამის მაგალითია მედეას მიერ აფსირტოსის მკვლელობაც, რომელიც სენეკასთან არის პატარა ბიჭი, მისი მკვლელობის ადგილად კი ერთსა და იმავე ტექსტში ორი ვერსია შეინიშნება - ერთი ვერსიის მიხედვით, მედეა კლავს და დანაწევრებულ სხეულს წყალში ყრის.

რაც შეეხება ფინალურ სცენას, მედეას სიტყვით სრულდება, სადაც ის იასონს მიმართავს, რომ შური უკვე იძია, რაც უნდოდა იმას მიაღწია, მას კი ახლა მხოლოდ შებრალების თხოვნა დარჩენია, მეტი - აღარაფერი, რადგან განრისხებულმა მედეამ მას სხვა ყველაფერი წაართვა: „შებრალებას ითხოვ? კარგია, შური ნამძიებია. მეტი აღარ მაქვს, ტკივილო, რასაც შენ შემოგწირავდი. შემომხედე, უმადურო იასონ, იცანი შენი მეუღლე?” (ბერძენიშვილი, 2022:289).

ნაწარმოების ბოლოს სენეკას კარგად აქვს ნაჩვენები, რომ მედეას აქვს წასასვლელი გზა, სადაც ცხოვრებას განაგრძობს, იასონი კი განწირულია: „ჩემი გზა ცაზე გადის; ორი დრაკონი ყელს ხრის და უღელს ემორჩილება. მე ჩემი სწრაფი ეტლით მივდივარ ცაში” (ბერძენიშვილი, 2022:289).

ასეთი იყო მედეას უკვდავი მითის გაცოცხლების პირველი მცდელობა სენეკას მიერ რომაულ ლიტერატურაში. მედეა რომაელ მწერალთან უფრო ემოციურია, ამასთანავე - ბრძენი, საშიში და დაუნდობელი, ვიდრე აქამდე რომელიმე ნარატივში ყოფილა: „სიმშვიდეს მოვიპოვე მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერს ჩემგან დალეწილს დავინახავ; ყველაფერი წაიქცევა, მე რომ ავმოქმედებდი! ტკბილია სხვების გაყოლება,

როცა ილუპები(ბერძენიშვილი,2022:265). სენეკას როლი მედეას პერსონაჟის პოპულარიზაციაში, მართლაც, დიდია, რადგან ის იყო მწერალი, რომელმაც მედეა მოარგო რომის რეალობას და შთაბერა ახალი სული - ბევრად ძლიერი და მბრძანებლური.

2.3.2. პუბლიუს ოვიდიუს ნაზო - სიყვარულის დესტრუქციული პოტენციალი მედეას მითში

მედეას მითით ინტერესდება ავგუსტუსის პერიოდის პოეზიის წარმომადგენელი პუბლიუს ოვიდიუს ნაზო, რომლის შემოქმედებაც მოიცავს ვირტუოზულ ლექსებს, ელეგიების კრებულებს და პოემებს, რომლებშიც ის საუბრობს ლალ და თავისუფალ სიყვარულზე, ადამიანურ გრძნობებზე და ჭეშმარიტ ქორწინებაზე. რისმაგ გორდებიანი აღნიშნავს: „ოვიდიუსმა თავის ელეგიებში უმღერა არა რომის გმირულ წარსულს, არა ავგუსტუსის დიდებულ საქმეებს, არა რომაელთა წარმატებულ ლაშქრობებს, არამედ სიყვარულს, რომელსაც შეეძლო სამოქალაქო ომებით გამოწვეული უბედურებების დავიწყება” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:353); ასეთი, რადიკალურად განსხვავებული, სამწერლობო სტილის გამო ოვიდიუსს მოიხსენიებდნენ, როგორც „მსუბუქი სიყვარულის ხალისიან მომღერალს”.

ოვიდიუსი ნაწარმოებებს ყოველთვის მკითხველის თვალთახედვით აგებდა, სიუჟეტებს გადმოსცემდა დრამატულად; მას ახასიათებდა პოეტური ენის სიმსუბუქე და სიცხადე, რისი მეშვეობითაც ადამიანებს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა ყოფილიყვნენ თავისუფალნი სიყვარულში; შესაბამისად, ქორწინების რღვევის საკითხიც მან აღიარა კულტურის ნიშნად:

„ ცოლის დალატი მხოლოდ უბირ სოფლელს აწუხებს,

ქალაქურ წესებს ვინაც არ იცნობს”

(ანტიკური ლიტერატურა 2005:353).

პოეტი ინტერესდებოდა, ასევე, მითის სიუჟეტებითაც და მათ საკუთარი ინტერპრეტაციით ბრწყინვალედ ასახავდა საკუთარ შემოქმედებაში; ის „სურვილისამებრ ანაწევრებს, ჩართავს მათში ყოფით დეტალებს ისე, რომ მითის შინაარსი არსებითად უცვლელი რჩება. პოეტი ახერხებს იმასაც, რომ წერილში ჩანდეს მითის ტრაგიკული ფინალი” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:354).

სიყვარულის თემაზეა აგებული ოვიდიუსის კრებული „ჰეროიდები”, სადაც გადმოცემულია სულიერი განცდები პერსონაჟი ქალებისა, (ეს კრებული 15 წერილისგან შედგება და ერთ-ერთია - მედეას წერილი იასონისადმი), რომლებიც არიან ქმრებისგან უარყოფილნი; მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ყველა ქალი მიტოვებულია და მათ ერთი ტკივილი აერთიანებთ, მაინც კარგად ჩანს თითოეული მათგანის ინდივიდუალური სახე, ხოლო რაც შეეხება „მეტამორფოზებს”, მასში აღწერილია „სიყვარული, ცოლქმრული ერთგულება, ეჭვიანობა, შურისძიება, ღვთისმოსაობა, ნადირობა, თავისუფლებისაკენ ლტოლვა და სხვა (ანტიკური ლიტერატურა, 2005:357).

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია „ჰეროიდების” კრებულში არსებული მედეას წერილი იასონისადმი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია გავიგოთ ყველა ის ინფორმაცია, რაც ცნობილია ოვიდიუსის შემოქმედების შესახებ, რადგან აქ აღწერილია ის ვნებიანი სიყვარული, რომელზეც საუბრობდა პოეტი და რომელიც ტრაგედიის ტექსტში თავად მედეას პირითაა წარმოთქმული: „აიეტესმა პელასგი ჭაბუკი გულდიად მიიღო და ბერძნული სხეულები ჭრელ საწოლებზე წამოწვნენ. მაშინ გნახე, მაშინ დავიწყე ფიქრი, ვინ შეიძლება ყოფილიყავი; ეს იყო ჩემი გონების პირველი მსხვერევა. დაგინახე და დავიღუპე! ნაცნობი ცეცხლით არ ვიწვოდი, ცეცხლი მეკიდა, როგორც ფიჭვის ჩირაღდანს დიდი ღმერთების წინაშე. ლამაზი იყავი და ბედისწერამ გამიტაცა, შენი თვალების სინათლემ ჩემი მოიპარა. შენ ეს იგრძენი, ვერაგო! ვის შეუძლია სიყვარულის კარგად დამალვა? მისი ცეცხლი გღალატობს და გამხელს” (ბერძენიშვილი, 2022:212), - ასე გადმოსცა მედეამ იასონისადმი სიყვარული, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოვიდიუსთან მედეას იასონი თავისით უყვარდება შინაგანად და ამ სიყვარულში არ მონაწილეობს არცერთი ღმერთი; შესაბამისად, ამ სახის სიყვარული მიაჩნდა ოვიდიუსს „მართალ” გრძნობად.

ზემოთ დასახელებულ წერილში მედეას სახე ყველასგან გამორჩეული და მრავალფეროვანია, რადგან ის აქ ყველაზე მეზრდოლ და ძლიერ ქალად არის წარმოდგენილი, რადგან, სავარაუდოდ, ოვიდიუსსაც ასეთი ძლიერი ქალები ხიბლავდა: „მე, ქალი, რომელიც საბოლოოდ ბარბაროსი გავხდი შენთვის, შენთვის ახლა ღარიბი ვარ, შენთვის ახლა მავნე ვარ, ეს ცეცხლოვანი თვალები ძილის მომგვრელი ბალახით დავთრგუნე და უსაფრთხოდ მოგეცი საწმისი, რომელიც წამოიღე. მამას ვუღალატე, სამეფო და სამშობლო დავტოვე, რისთვისაც საჩუქრად მივიღე დევნილობა, ჩემი ქალწულობა უცხოელი ავაზაკის ნადავლი გახდა, ძვირფას დედასთან ერთად, საუკეთესო და დავკარგე” (ბერძენიშვილი, 2022:215).

რაც შეეხება ოვიდიუსის „მეტამორფოზებს”, აქაც მედეასა და იასონის ისტორია ავტორისეული, განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხვდება: „წარმოდგენილ ვერსიათაგან განსხვავებით, ოვიდიუსის „მეტამორფოზებში” ღმერთები - აფროდიტე, ეროსი, ჰერა - არ მონაწილეობენ, რომ მედეას იასონი შეაყვარონ. მედეა აქ ლაპარაკობს რაღაც ძალაზე, რომელიც მასზე ზემოქმედებს - რომელიღაც ღმერთზე, რომლის სახელიც არ იცის” (ბერძენიშვილი, 2022:11).

„მეტამორფოზებშიც” მედეას მხატვრული სახე იყო ამადლებული და ძლიერ, მეზრდოლ ქალად წარმოდგენილი, რომელიც იყო თავისუფალი სიყვარულის მსხვერპლი და მაგალითი იმისა, თუ როგორ ძლიერად უნდა უყვარდეს ადამიანს; მისი სიტყვებიც ამის დასტურია: „მოიშორე ქალწულური გულიდან მოდებული ცეცხლი, თუ შეგიძლია, უბედურო! - რომ შემძლებოდა, ჯანსაღი ვიქნებოდი. მაგრამ ნების საწინააღმდეგოდ მიმათრევს ახალი ძალა, ერთი რამ მსურს და მეორეს მირჩევს გონება. ვხედავ უკეთესსა და კარგს და უარესს მივყვები. რატომ უცხო სკენ, მეფის ასულო, მიგიწევს გული და უშვებ უცხო სამყაროსთან ქორწინებას?” (ბერძენიშვილი, 2022:220).

დაკვირვებას საჭიროებს, ასევე, აფსირტოსის საკითხი ოვიდიუსის „ტრისტებიის” მიხედვით, მკვლევარი ქეთევან ნადარეიშვილის აზრით: „აფსირტოსი ისევ მედეას მიერ თან წაყვანილი პატარა ბიჭია. მას, ასევე, მედეა კლავს, ოღონდ ოვიდიუსის ამ პოემაში აფსირტოსის მკვლელობა უშუალოდ ტომისში ხდება, მკვლელობაც დეტალებშია აღწერილი” (ბერძენიშვილი, 2022:21). ტექსტის ეს მონაკვეთი ძალიან მძაფრად არის გადმოცემული, რადგან მედეა საკუთარ ძმას

ხელებსა და თავს მოკვეთს და კლდეზე ჩამოკიდებს, რათა კოლხებმა შეძლონ მისი მრისხანების დანახვა და შეწყვიტონ მისი დევნა: „სანამ ფიქრობდა, რა ექნა, ირგვლივ იხედებოდა და მზერა უეცრად ძმაზე შეჩერდა. როდესაც დარწმუნდა, აქ არისო, მან ბრძანა: „იგი თავისი სიკვდილით ჩემი ხსნის მიზეზი იქნება“. ბიჭმა არაფერი იცოდა და არაფრის ეშინოდა, და მისი უდანაშაულო გული ხმლით სწრაფად განგმირა, შემდეგ ნაწილ - ნაწილ აკუწა და მინდორში დაყარა ნაჭრებად, ბევრ ადგილას იყო მოსაძებნი“ (ბერძენიშვილი, 2022:240).

იგივე ეპიზოდი „ჰეროდების“ XII წიგნში მხოლოდ მედეას მიერ წარმოთქმულ სიტყვაშია ასახული: „რისი გაკეთებაც გაბედა, იმის დაწერას ვერ ბედავს მარჯვენა (იგულისხმება მედეას მიერ საკუთარი ძმის, აფსირტოსის, მკვლელობა), ნეტავ მე, მაგრამ შენთან ერთად, დავეგლიჯე ვინმეს ნაწილებად. მაგრამ მე აღარ მეშინოდა - ამის შემდეგ რისი უნდა გეშინოდეს? მიმაჩნდა, რომ ზღვაში ვიყავი უკვე დამნაშავე დედაკაცი. სად არის ღვთის ნება? სად არიან ღმერთები?“ (ბერძენიშვილი, 2022:215). ძმის ასეთი სასტიკი მკვლელობის აღწერით მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ ოვიდიუსი სიყვარულის გამო გაღებულ ყოველგვარ მსხვერპლს სამართლიანად მიიჩნევდა.

ყურადსაღებია, ასევე, „მეტამორფოზების“ VII წიგნის კიდევ ერთი ეპიზოდიც, რომელიც ეხება ესონის გაახალგაზრდავებას, აქ აიეტის ასული ტიპურ და ძლევამოსილ, ე.წ. „ლიტერატურულ ჯადოქრად“ გვევლინება (ბერძენიშვილი, 2022:76), ამის დასტურია მედეას სიტყვაც, რომელიც მიმართავს ღამეს, მთვარეს და ვარსკვლავებს: „ღამევ, უერთგულესო მცველო ჩვენი იდუმალი წეს - ჩვეულებებისა, ოქროს მთვარესთან ერთად სინათლის ცეცხლის შემცველო ვარსკვლავებო, შენაც, სამმაგო ჰეკატე, რომელმაც ყველა ჩვენი წამოწყება იცი, დამხმარედ მოდიხარ შელოცვებისა და ჯადოსნური ხელოვნებისთვის; შენ, დედამიწა, რომელიც იძლევი მაგიური ძალის ჯადოსნურ ბალახს, თქვენ, ქარო და სიო, მთებო, წყაროებო, ტბებო, ჭალების ღმერთებო და ღამის ღმერთებო, ყველანი მოდიით. თქვენი მეშვეობით, როცა მინდა, მდინარეები გაოგნებული ნეპირების თვალწინ სათავეებისკენ მიედინებიან, მღელვარეს ვაწყნარებ და ვადელვებ წყნარ ზღვას ჩემი შელოცვით, ვკრებ ღრუბლებს და ვფანტავ ღრუბლებს, გრიგალს ვიწვევ და გრიგალს ვაცხრობ, გველის ხახას ვამსხვრევ ჩემი შელოცვით, მიწიდან ვგლეჯ მუხას და ვაცოცხლებ კლდეებს,

ვამოდრავებ ტყეებს, ვუბრძანებ მთებს ცახცახს, მიწას ვაკვნესებ და მკვდრები გამომყავს საფლავებიდან” (ბერძენიშვილი, 2022:227).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოვიდიუსის შემოქმედებაში აღიბეჭდა მედეას ძლიერება, მისი შინაგანი ბუნების დიდსულოვნება, წრფელი სიყვარულის არსი და ბრძოლა ჭეშმარიტი სიყვარულის შენარჩუნებისთვის.

2.3.3. ვალერიუს ფლაკუსი - „არგონავტიკის” თავისებურებები

რომაული ლიტერატურის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო პოეტი ვალერიუს ფლაკუსი, რომლის ბიოგრაფიული ცნობების შესახებ ბევრი არაფერი მოგვეპოვება, მხოლოდ იმ ინფორმაციას ვფლობთ, რაც მის შემოქმედებაში, კერძოდ კი „არგონავტიკაში” არის ასახული.

ვალერიუსს ეკუთვნის პოემა „არგონავტიკა”, რომელიც რვა წიგნისგან შედგება და შემდეგ წყდება. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ფინალი, არც ის ვიცით, ზუსტად თხზულება რომელ წელს დაიწერა, ოდენ მიახლოებით ვადგენთ იმას, რომ პოეტი უნდა ყოფილიყო სენატორთა ფენის წარმომადგენელი და ახ.წ. 96 წლის დადგომამდე უნდა გარდაცვლილიყო; ასევე, რისმაგ გორდეზიანის თქმით, „როგორც პოემის შესავლიდან ჩანს, ვალერიუს ფლაკუსს თხზულება იერუსალიმის აღების შემდეგ და ჯერ კიდევ ვესპასიანუსის მმართველობის დროს დაუწერია, ანუ ახ.წ. 70 წლის შემდეგ” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:405). აქვე დასახელებულია ვეზუვის ამოფქვევის მოვლენაც, რაც, წყაროების მიხედვით, ახ.წ. 79 წელს უნდა მომხდარიყო; ეს კი გვაფიქრებინებს იმას, რომ ვალერიუსიც ამ მოვლენის მომსწრე უნდა ყოფილიყო და ამავე პერიოდში უნდა შეექმნა „არგონავტიკაც”.

„არგონავტიკა” ეპიკური პოემაა, რომელიც ეძღვნება იასონისა და არგონავტების მოგზაურობას კოლხეთში და ოქროს საწმისის მოპოვების ისტორიას. ფლაკუსის „არგონავტიკა” წარმოადგენს მედეას ცნობილი ბერძნული მითის რომაულ ვარიანტს, სადაც აშკარაა, რომ ავტორი განიცდის აპოლონიოს როდოსელის გავლენას, რასაც ადასტურებს ტექსტის შინაარსის შემცველი დეტალებიც, თუმცა, მიუხედავად ამისა,

ავტორი საკუთარ ორიგინალურ აქცენტებსაც უსვამს ხაზს და პოემაში დეტალურად აღწერს არგონავტების მოგზაურობას, დაბრკოლებებს, გმირულ თავგადასავლებს და მედეას ისტორიას.

ზოგადად რომაულ ლიტერატურაში მედეას სახე ტირანად გამოჩნდა; ის აქაც შვილების მკვლელი დედაა, მაგრამ, ასევე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რომაელი ავტორები მკაფიოდ უსვამენ ხაზს ამ საქციელის ჩადენის მთავარ მოტივს - იასონის ღალატს, ხოლო რაც შეეხება ვალერიუსს, მედეა მასთან ძლიერი და მეზრდოლი ქალია, რომელიც მუდმივად დგას იასონის გვერდით და ეხმარება მას. რ. გორდეზიანი შენიშნავს: „მართალია, მედეას საქციელს, ერთი მხრივ, ღმერთების ნება გადაწყვეტს, მაგრამ იგი თავადაც აღშფოთებულია მამის უსამართლობით, რომელმაც სტუმრისთვის მიცემული სიტყვა გატეხა” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:407).

არგონავტიკის პირველ წიგნში ასახულია აპოლონისადმი მიმართვა, რომლითაც პოეტი მას შემწეობას სთხოვს, მომდევნო ეტაპზე მიმართავს ვესპასიანუსს, შემდეგ კი აღწერს ფრიქსოსისა და ჰელეს ამბავს, რადგან ვალერიუსი ამ ისტორიას მიიჩნევს კოლხეთში ლაშქრობის საწყისად; ასევე, ამავე თავში ის აღწერს, რომ იასონმა აუცილებლად ოქროს საწმისი უნდა ჩაუტანოს პელიასს, ამისთვის კი აგებს „არგოს” და არჩევს არგონავტებს. ამ დროს ცაზე გამოჩნდება არწივი, რაც იასონს კეთილმაუწყებლად მიაჩნია. ამავე მონაკვეთში იასონი წასვლის წინ აგებს საკურთხევლებს და ლოცულობს ნეპტუნისადმი, ბოლო ეტაპზე კი პოეტი აღწერს გამოსამშვიდობებელ ზეიმს, სადაც „ორფევსი ფრიქსოსისა და ჰელეს შესახებ მღერის. სიზმარში იასონს მფარველი დემონი ევლინება, რაც მას ამხნევებს და იმედს შთაუწერგავს. იგი ემშვიდობება მშობლებს. ჩაჭრიან თუ არა ბაგირს, იუპიტერი არგონავტებს გასამხნევებლად ელვას მოუვლენს. ქარიშხლის შემდეგ, რომელსაც ნეპტუნუსი დააცხრობს, იასონი კვლავ ღმერთებს ევედრება და მსხვერპლს სწირავს. პელიასი იასონის მშობლებს ხოცავს” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:406).

მეორე წიგნში აღწერილია, თუ, როგორ ჩადიან არგონავტები კუნძულ ლემნოსზე, სადაც ცხოვრობენ კაცთმოძულე ქალები, რომლებმაც ქმრები დახოცეს; ასევე ვალერიუსი გვეუბნება, რომ ამ ქალებს ჰყავთ დედოფალი ჰიპსიპილე, რომლის წინამძღოლობითაც ისინი გაუმასპინძლებიან არგონავტებს, რომლებიც იქამდე

დაჰყოფენ ამ მიწაზე, სანამ ჰერკულესი არ ეტყვის, რომ გზა გააგრძელონ; ისინიც დაემორჩილებიან მას და გადავლენ მეფე კიზიკოსის მიწაზე.

მესამე წიგნში არგონავტები წასვლას აპირებენ კიზიკოსის მიწიდან, მაგრამ დინება ისევ უკან აბრუნებს მათ; ამას მოჰყვება სისხლისმღვრელი ბრძოლა, იღუპება არგონავტების ნაწილი, გადარჩენილები კი მათ მარხავენ და რიტუალებს აღავლენენ მათი სულებისადმი, ამ მონაკვეთში, ასევე, აღწერილია ყმაწვილ ჰილასის დაკარგვის ეპიზოდიც, რომლის სამეზნელადაც მიემართება ჰერკულესი, არგონავტები კი მას ტოვებენ და კიზიკოსის მიწიდან მიდიან.

მეოთხე წიგნში უკვე ჰერკულესი პოულობს ჰილასის და იწყებს პრომეთეს გათავისუფლებაზე ფიქრს, ამ დროს არგონავტები ჩადიან ბებრიკოსთა ქვეყანაში, სადაც იმართება შეჯიბრი მუშტი - კრივში და პოლუქსი ამარცხებს მეფე ამიკოსს. ამავე თავშია აღწერილი, თუ როგორ გაივლიან არგონავტები სიმპლეგადებს და როგორ ჩადიან მირიანდინიელთა ქვეყანაში.

მეხუთე წიგნში მისანი იდმონი და მესაჰე ტიფისი იღუპებიან, იასონი კი ხვდება მედეას; მედეა მას ასწავლის სასახლის გზას და არგონავტები მიდიან აიეტთან პირდაპირ სასახლეში, სადაც ის სტუმრებს დიდი პატივით მასპინძლობს. პოემის ამავე ნაწილში, ასევე, ნათქვამია, რომ იუპიტერი და მინერვა ნადიმობენ და იწყებენ ბჭობას.

მეექვსე წიგნში მინიელების გასანადგურებლად მიწაზე ჩამოდის მარსი, ამავე ეპიზოდშია აღწერილი, თუ როგორ სთხოვს იუნო ვენუსს დახმარებას, რათა მედეას იასონი შეუყვარდეს, იუნო კი გადაწყვეტს, მედეას მოევლინოს ქალკიოპეს სახით და მასთან ერთად ადევნებს თვალს იასონს.

მეშვიდე წიგნში მედეას უკვე უყვარს იასონი, აიეტიც, სწორედ, ტექსტის ამ ნაწილში აძლევს იასონს რთულ დავალებას; ამ დროს კი ვენუსი შეინილბება კირკეს სახით და მედეას იასონთან მიყვება, ხოლო ამის შემდეგ „ჯადოხალხის მეშვეობით, მედეა იასონს ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მოათვინიერებინებს და მიწიდან აღმოცენებულ მხედრებსაც დაახოცინებს” (ანტიკური ლიტერატურა, 2005:406).

ბოლო, მერვე, წიგნი სრულდება იმით, რომ მედეა, არგონავტებთან ერთად, გარბის, აფსირტოსი (ის აქაც ზრდასრულია) კი მათ წამოეწევა დუნაის შესართავთან, კერძოდ ტომისზე (გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განსხვავებულია აპოლონიოს როდოსელის ტექსტისგან) და ცდილობს, ხელი შეუშალოს; აქვე ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ იასონი მედეას დაბრუნებას ფიქრობს კოლხებისთვის ისევე, როგორც - არგონავტები; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთი მხრივ იასონს არგონავტები აძალებენ კიდევ მედეას დაბრუნებას, თუმცა, ამის წინააღმდეგი იასონიც არ ჩანს; რეალურად იასონს და არგონავტებს მედეა აღარც სჭირდებათ, რადგან თითქმის გააღწიეს კოლხეთის მიწიდან და, თუ მედეას აფსირტოსს გადასცემენ, ამით ჩამოიშორებენ კიდევ კოლხებს. ამავე მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ „კოლხები, აბსირტუსის მეთაურობით, მასთანაც დაედევნებიან არგონავტებს, ოღონდ მოქმედება აქ ისტროსის შესართავთან, კუნძულ პევკეზე, ტომისის ახლოს, ვითარდება. კოლხების გამოჩენამდე კუნძულზე მისული არგონავტები, იასონის გადაწყვეტილებით, ქორწილს გამართავენ (ქორწილის ჩატარებას აქ არა აქვს იგივე მოტივაცია)”. მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება აბსირტუსი. არგონავტები ფლაკუსთან, ისევე, როგორც „არგონავტიკაში”, განწყობილი არიან, მედეა კოლხებს გადასცენ და იასონისაგანაც ამას მოითხოვენ. იასონი არ ეწინააღმდეგება. მედეა მიხვდება თავის მოსალოდნელ ბედს და სასოწარკვეთილი და აღშფოთებული, ქმარს ელაპარაკება. ნაწარმოები მათი დიალოგით წყდება”(ბერძენიშვილი, 2022:29).

ვალერიუსამდე მოღვაწე ავტორებთან, რომლებიც მედეას მითის თემატიკით ინტერესდებოდნენ, საკუთარი დრამის ტექსტში ყოველთვის მითის სხვა პერსონაჟებს აძლევდნენ მედეას ბედის გადაწყვეტის უფლებას, ვალერიუსისეული ტექსტი კი ერთადერთია, სადაც იასონი იღებს გადაწყვეტილებას და წირავს მედეას, ოღონდ ამას ხმამაღლა არ აუღერებს, მაგრამ აშკარაა და ამას მედეაც ხვდება, რომ იასონმა გადაწყვეტილება მიიღო მის წინააღმდეგ.

მოცემული ტექსტიდან თვალსაჩინო ხდება, რომ ვალერიუსის იასონი განსხვავდება როდოსელის იასონისგან; ზოგადად ამ ორ ავტორს შორის, მსგავსებასთან ერთად, გვხვდება ბევრი განსხვავებაც, ეს სხვაობა კი შეიმჩნევა თავად პოემის სათაურშიც, ზოგადად ტექსტის აგებულებაშიც (წყობაში) და სამწერლობო ენაშიც.

მთავარი სხვაობა ამ ორ ავტორს შორის კი გახლავთ ის, რომ ვალერიუსი აპოლონიოსის მსგავსად არ მისდევს ტექსტის მწყობრ სტილს და ცვლის ტექსტობრივ თანმიმდევრობას; ასევე, ის იასონს წარმოგვიდგენს მოაზროვნე კაცად, რომელიც ნებისმიერ მოცემულ სიტუაციას აღიქვამს სწორად და იღებს გადაწყვეტილებებს, მას შეუძლია, თავად პირველმა გამოთქვას აზრი და უშიშრად დააფიქსიროს, მოახდინოს მობილიზაცია, იმსჯელოს სწორად და განსაჯოს სამართლიანად. ამ მოსაზრების დასადასტურებლად რ. გორდეზიანი გვთავაზობს იასონის სიტყვას, არგონავტებისადმი წარმოთქმულს, და გვეუბნება, რომ ეს სიტყვა არის მთავარი დასტური იმისა, თუ როგორია ვალერიუსის იასონი: „თესალიელი ტირანის ეშმაკური დიდსულოვნება კი არ მაქეზებს, ღმერთმა, ღმერთმა მოგვცა მარჯვე ნიშანი! თავად იუპიტერმა მოინდომა, რომ მის ქვეყანაში მიმოსვლა იყოს და მრავალი ადამიანის გარჯა და ძალისხმევა ირეოდეს. წამოდით, მამრებო, ჩემთან ერთად, საორჭოფო ჩაიდინეთ საქმეები, რომელთა ხსოვნაც გაგვახარებს ჩვენც და ჩვენს შთამომავლებსაც!“ (ანტიკური ლიტერატურა, 2005:407).

რაც შეეხება სიყვარულის თემას, იასონი თავიდან ძალიან ბედნიერია მედეათი, რადგან ის მას დაეხმარა ხარების მოთვინიერებაში, რის გამოც ღმერთის უდიდეს საჩუქარსაც კი უწოდებს, რადგან ხვდება, რომ მედეა ერთადერთია, ვინც მის გადარჩენას შეძლებს, სხვა შემთხვევაში კი დამარცხდება მიღებული დავალების წინაშე და დაარღვევს მიცემულ პირობას. ამ სცენის ასეთი სახით წარმოდგენისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი ცდილობდა იასონის პიროვნების დახასიათებას და მის დადანაშაულებას; სავარაუდოდ, ყველაზე კარგად იასონის სახე ბოლო ეპიზოდში უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ უფრო ზუსტად თქმა არ შეგვიძლია, ფრაგმენტულობის გამო, რადგან ნაწარმოები მედეას და იასონის დიალოგით წყდება.

როგორი დასასრული შეიძლებოდა ჰქონოდა ნაწარმოებს, ამასთან დაკავშირებით პოლემიკა არ წყდება დღემდე; მეცნიერთა ჯგუფი რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი, ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ ტექსტს აუცილებლად ექნებოდა გაგრძელება, თუმცა ავტორმა ვერ მოასწრო მისი დასრულება; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პირიქით - ნაწარმოები ავტორმა დაასრულა, მაგრამ ტექსტი დაკარგულია და გვთავაზობენ საკუთარ მოსაზრებებს, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო გაგრძელება; ზოგი კი საერთოდ თვლის, რომ ავტორმა ტექსტი ზუსტად ასე, მედეასა

და იასონის დიალოგით განგებ დაასრულა. მიუხედავად განსხვავებული ვარაუდებისა, ერთი რამ მაინც ნათელია: როგორი გაგრძელებაც არ უნდა ქონოდა ტექსტს, ავტორი მედეას აუცილებლად დროულად მოაგებდა გონს და ის აუცილებლად დასახვდა გეგმას, რომელიც მას და მის ინტერესებს დაიცავდა.

არგონავტების შესახებ ვალერიუსის ეს პოემა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ, პირველ ნაწილს მივაკუთნოთ ის ეპიზოდი, როცა არგონავტები კოლხეთში ჩამოდიან, ანუ მგზავრობა კოლხეთამდე და მეორე, კოლხეთში მომხდარი ამბები, რომლის ამოსავალ წერტილადაც ოქროს საწმისის გატაცება ითვლება.

ავტორისთვის მარტივი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ამოდენა პოემის შექმნა, რადგან მის წინაშე იდგა ბუმბერაზი მწერლების დიდი ამალა, რომლებსაც უკვე ამავე მითის სიუჟეტის აღწერით სახელი განთქმული ქონდათ; ვალერიუსს კი უნდა შეექმნა პოემა მისეული სიუჟეტებით და თან არ უნდა დაეკარგა ანტიკური მითის არქაული შინაარსიც, რადგან მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ასე თუ შეძლებდა ღირსეული ადგილის დამკვიდრებას რომაულ მწერლობაში.

ვალერიუსმა საბოლოოდ საწადელს, მართლაც, მიაღწია, რადგან პოეტური ენის სილამაზით ააგო დრამატული სიუჟეტები, სადაც პერსონაჟების სულიერი განცდები წარმოადგინა ფსიქოლოგიური სიღრმით და საერთო ჯამში მედეასა და არგონავტების ბერძნული მითის სიუჟეტს რომაული ელფერი შესძინა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალერიუს ფლაკუსის არგონავტიკის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბოლო ნაწილი დაკარგულია, რომაული ლიტერატურისა და ეპიკური პოეზიის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება.

2.4. მედეა ევროპულ ლიტერატურაში

თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში მედეასა და არგონავტების არქაული მითის სიუჟეტი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა და მოერგო ახალ ტენდენციებს, რაშიც იგულისხმება:

- არქაული მითის სიუჟეტის ფემინისტური გადააზრება - მედეას ისტორიას განიხილავენ გენდერული უთანასწორობის ჭრილში;
- პოსტკოლონიური პერსპექტივა - მედეა თანამედროვე ტექსტებში წარმოდგენილია, როგორც „სხვა“, უცხო კულტურის წარმომადგენელი (ბარბაროსი);
- ფსიქოლოგიური ანალიზი - ყურადღება მახვილდება მედეას სულიერ ტრამვებზე და მის შინაგან სამყაროზე;
- სოციალური კრიტიკა - ავტორები მედეას ისტორიას იყენებენ თანამედროვე საზოგადოების პრობლემების საანალიზოდ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედეა თანამედროვე ევროპულ ტექსტებში კომპლექსური პერსონაჟია, რომლის ქმედებებიც განპირობებულია არა მხოლოდ პირადი შურისძიების კონტექსტით, არამედ - სოციალური და პოლიტიკური ნიშნითაც, რადგან ის იმგვარი ღირსების მატარებელია, რომელიც მოქმედებს რაციონალურად, განიცდის შინაგან ბრძოლას, ვნებასა და მოვალეობას შორის და ირჩევს აბსოლუტურ თავისუფლებას.

ევროპელი ავტორების შემოქმედება განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ ისინი (პიერ კორნელი, ჟან ანუი, კრისტა ვოლფი) მედეას მითის აღწერისას იყენებენ იმ ეპოქის მთავარ იდეებსა და პრობლემებს, რომლებიც მათი მოდერნიზმის პერიოდს ემთხვევა; მაგალითად, კორნელი იყენებს - კლასიციზმის იდეალებს, ანუი - ეგზისტენციალიზმის წესებს, ვოლფი კი - ფემინისტურ და პოსტმოდერნისტულ მიდგომებს.

და ბოლოს, მედეას პერსონაჟის მრავალშრიანი სახის თანამედროვე ევროპული ინტერპრეტაცია გახლდათ მითის გაცოცხლების მცდელობა, რომელიც ევროპელ ავტორებს შესანიშნავად გამოუვიდათ.

2.4.1. პიერ კორნელი - მედეას როლის დემონსტრაცია

პიერ კორნელის საფრანგეთის ჰომეროსს უწოდებდნენ. მართალია „მედეა“ მის საუკეთესო ნაშრომად არ ითვლება, მაგრამ ამ ნაწარმოებმა, რომელიც 1635 წელს დაიწერა და დაეფუძნა ბერძნულ მითს მედეას შესახებ, ერთი წლის შემდეგ ავტორი გახდა უკვდავი და მას საფრანგეთის აკადემიის მუდმივი წევრის სტატუსი მოაპოვებინა, რადგან კორნელმა მითის ორიგინალ ვერსიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

პიესა შედგება ხუთი მოქმედებისგან და მკაცრად იცავს კლასიციზმის ერთიანობის პრინციპს. მოქმედება ვითარდება კორინთოსში ერთი დღის განმავლობაში, რადგან კორნელმა შეამჩივროვა მითოლოგიური სიუჟეტი ისე, რომ მთელი დრამა 24 საათში ეტევა; ასევე, ის პირველი ავტორია, რომელმაც გააუქმა ქორო და ფართო საზოგადოებას შესთავაზა მედეას პერსონაჟის ახლებური ინტერპრეტაცია, მისი დაინტერესება ამ პერსონაჟით კი განაპირობა მედეას „ჯადოქრობამ“.

ფრანგი მწერლის პერსონაჟები მის უკვდავ ნაწარმოებებში იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც ისინი სინამდვილეში უნდა ყოფილიყვნენ, სწორედ, ამ მიდგომით შექმნა მან მედეას სრულყოფილი ტრაგედია. ნაწარმოების კითხვისას აშკარაა, რომ ის ეყრდნობა სენეკას, მაგრამ იცნობს ევრიპიდესაც და ოვიდიუსსაც, ერთგვარ შედარებას აკეთებს ავტორებს შორის და დამოუკიდებლად ქმნის თავის მედეას, რომელიც ტექსტში არა მხოლოდ შურისმაძიებელი ქალია, არამედ - ღრმად მოაზროვნე და თვითრეფლექსიის უნარის მქონე პიროვნებაა. რაც შეეხება იასონის პერსონაჟს, კორნელისთან ისიც საინტერესოაა გააზრებული, რადგან ის გვევლინება, როგორც პოლიტიკური პრაგმატიზმისა და პირადი ამბიციების მსხვერპლი.

მედეას ტრაგედიის აღწერისას კორნელი იყენებს მაღალ პოეტურ სტილს, კონკრეტულად კი - ალექსანდრიულ ლექსს, ანუ თორმეტმარცვლიან სტრიქონებს წყვილური რითმებით; განსაკუთრებით გამოირჩევა მედეას მონოლოგები, სადაც პოეტური ენა ემსახურება პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობის აღწერას.

პიერ კორნელი მედეას ტრაგედიას იწყებს კორინთოსში პოლუქსისა და იასონის დიალოგით, ანუ ორი არგონავტის შეხვედრით; იასონი ძალიან გაიხარებს ამ დამთხვევით, რადგან პოლუქსს დაპატიჟებს ქორწილში და ამით ახალ ამბავს ხდის საჯაროს; „აქ მოსასვლელად უკეთეს დროს ვერ იპოვიდით და კიდევ უფრო რომ გაგაოცოთ, მოემზადეთ ჩემი მეორე ქორწინების სანახავად” (ბერძენიშვილი, 2022:293). - ეს სცენა იმითაა საინტერესო, რომ იასონის მისამართით ისმის პოლუქსის შეკითხვა: „- კი მაგრამ, მედეა მოკვდა?” რაზეც იასონი პასუხობს, რომ არ მომკვდარა, მაგრამ მას ახალი ქალი ანაცვლებს, შემდეგ შეკითხვაზე კი, თუ რა ქნა მედეამ, როცა ეს ამბავი გაიგო იასონის პასუხი გამოგნებელია: „ და რა ქნა ჰიფსიპილემ, რამდენჯერმე იფეთქა უსარგებლო მრისხანებით? იყვირა, იტირა, ათასი და ათასი სიავე მისურვა, მითხრა, ურწმუნო, უგულო, უსინდისო ხარო, შემდეგ მობეზრდა ეს ლაპარაკი და დამშვიდდა. მედეასაც შეუძლია, უბედურებას იმავეთი უპასუხოს: იკვნესოს, იტიროს, ორგული მეძახოს; მე მას სინანულით ვტოვებ, მაგრამ ვერაფერს ვუხერხებ უფრო დიდ ძალას, რომელიც კრეუსასკენ მიმაქანებს” (ბერძენიშვილი, 2022: 293). ამ დიალოგით კარგად ჩანს იასონის ცინიკური და მზაკვრული ხასიათი, მას ხომ მხოლოდ მეფის ასულები სჭირდებოდა საკუთარი დიდებისთვის და არც ახლა ღალატობდა ამ ტრადიციას.

არგონავტმა პოლუქსმა, რომელმაც მედეასთან ერთად იმოგზაურა, ზუსტად იცოდა, რომ იასონი საფრთხეში იგდებდა თავს, რადგან მედეა არ ჰგავდა ჰიპსიფილეს და ისიც იცოდა, რომ არ გაჩერდებოდა შურისძიების გარეშე; ამიტომ ის იასონის გაფრთხილებას შემდეგი სიტყვებით ცდილობს: „მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მხრიდან საქმე გადაწყვეტილია და არ არის დარჩენილი ადგილი მეგობრული რჩევისთვის, მე ამას მხოლოდ სანახევროდ თუ დავეთანხმებოდი. როგორც უნდა იყოს დასაბუთებული ეს სასტიკი დამოკიდებულება, იგი მედეასადმი ცოტა უმადურობას ამჟღავნებს, რაც მას თქვენთვის გაუკეთებია, ამას არ იმსახურებს. უნდა გეშინოდეთ მისი ღირსების შეურაცხყოფისა, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რა შეუძლია მის ჯადოქრობას” (ბერძენიშვილი, 2022:297).

კორნელისეული იასონი ყველაზე უარყოფითი პერსონაჟია, რაც აქამდე არსებულ ტექსტებში ასე მწვავედ არ ჩანდა, აქ ის არის კაცი, რომელიც არა მხოლოდ მედეას, არამედ საკუთარ თავსაც კი ატყუებს და გამოირჩევა დაუჯერებელი ცინიზმით, რაც მის ყოველ წარმოთქმულ სიტყვაში იგრძნობა: „სიყვარულისგან ორად გამეყო გული

და ათასი ვნებით მეგლიჯება. მედეას ვუმადლი ყველაფერს და მრცხვენია, მისსა და ჩემს ერთგულებას რომ ასე უყურადღებოდ ვტოვებ; ყველაფერს ვუმადლი კრეონს და ასეთ მძლავრ მეფეს მტრად მოვიკიდებ, ერთგული თუ ვიქნები. მედეა მენანება და კრეუსას ვაღმერთებ, ერთში ჩემს დანაშაულს ვხედავ და მეორეში - გამართლებას; სინანულზე მაღლა დგება ჩემი ტრიუმფალური სურვილები და ჩემი შვილების გადარჩენა; მაგრამ, აი, მეფის ასული გამოდის. ასეთი სახის ნათებას სამყაროში ყველაზე დიდი პატივისცემა ეკუთვნის და იგი, მგონი, უსაყვედურებს ჩემს ერთგულებას, რომ ასეთ სილამაზესთან გაჯიბრება გაბედა” (ბერძენიშვილი, 2022:298).

საინტერესო ფაქტია, რომ ტრაგედიათა უმრავლესობაში და თავად მითებშიც არსად გვხვდება კრეუსას პერსონაჟი აქტიურ როლში; ერთ - ერთი ავტორი კორნელია, რომელმაც კრეუსა წარმოგვიდგინა აქტიური და დატვირთული როლით ტექსტში მრავლად ვხვდებით იასონისა და კრეუსას დიალოგებს; სწორედ, ერთ - ერთი დიალოგის დროს სთხოვს იასონი კრეუსას, ბავშვები შეიწყალოს კრეონმა: „და მე, შემძლია იმედი მქონდეს, რომ ჩემი ლოცვა და ჩემი ცეცხლი განსაკუთრებულ წყალობას დაიმსახურებს? ჩვენი სიყვარულის სახელით, გადაარჩენეთ ჩემი პირველი ქორწინების ორი ნორჩი ნაყოფი; იფიქრეთ მათზე, დაუტოვეთ ისინი მამას და არ გააყოლოთ დევნილობაში დედას; მხოლოდ ის აძევებს ამ უბედურებას, რადგან შეთანხმებებში მათზე საუბარი არ ყოფილა.”(ბერძენიშვილი, 2022:299). რა თქმა უნდა, კრეუსა თანხმდება იასონის თხოვნას, ოღონდ - ჯადოსნური კაბის სანაცვლოდ, ამით კი საერთო ჯამში მედეას ეხმარება ჩანაფიქრის ასრულებაში.

იასონი თითქოს შვილების მოყვარული მამაა, ცდილობს, კიდევ ბავშვების გადარჩენას, კრეუსასთან მიდის და ბავშვების დატოვებას სთხოვს; ასევე, მედეას უკრძალავს მათ წაყვანას; ერთი შეხედვით, შვილების ბედი ანაღვლებს და კრეუსას ცოლად მოყვანას ბავშვებისთვის სასიკეთოდ თვლის, რასაც ეუბნება მედეასაც, ეს კი ერთგვარი თავის მართლებაა, მაგრამ სულ ამაოდ. იგი, მთლიანად აკნინებს მას, როგორც პერსონაჟს, და ართმევს მოსიყვარულე მამის სტატუსს: „, შენ რომ თვალები გქონოდა და ჩემს სულში წაგეკითხა და გენახა სუფთა მოტივები ჩემი ახალი ცეცხლისა! მამობრივი სიყვარულის ნაზმა გრძნობამ ჩემი შვილების გადასარჩენად დამნაშავე გამხადა, თუ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს უბედური გაყრა, რასაც მათზე ზრუნვა მაიძულებს”(ბერძენიშვილი, 2022:323). იასონის მიერ წარმოთქმულ ამ

სიტყვებს არანაირი ფასი და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ჩადენილი საქციელის შემდგომ.

კორნელისეული მედეა აქაც დევნილია უცხო მიწაზე, მაგრამ - ამაყი, რადგან ყველას დაუფარავად ეუბნება რომ ის არის მზის შთამომავალი და არავის გაუტოლებს თავს, ის ჯადოქარია: „ჩემი დაბადებისა და, ასევე, დღის შემოქმედო, რომელიც სინანულით შემოუვლი ამ საბედისწერო საცხოვრისს, მზეო, შენ ხედავ შეურაცხყოფას, შენს მოდგმას რომ უპირებენ! მომეცი შენი ცხენები, შენ ნაცვლად რომ გავაჭენო, აჩუქე ეს ჯილდო ჩემს მდუღარე სურვილს. მინდა, დავეცე კორინთოსს შენი ცეცხლოვანი ეტლით, თუმცა, სამყაროს დასასრული არ ემუქრება; შთანთქმული კორინთოსი იქნება დანარჩენის საწინდარი; ჩემი სამართლიანი მრისხანებისგან შობილი დაუნდობელი სურვილი მის საძულველ კედლებს ცეცხლში გაახვევს”(ბერძენიშვილი, 2022:301). ეს ჯადოქრობა კორნელისთვის ამოსავალი წერტილი იყო, მთავარი სამიზნე რის გამოც ამ პერსონაჟით დაინტერესდა.

კორნელისთან მედეა, დევნილთან ერთად, შურისმაძიებელი ქალიცაა, რომელიც მოჯადოებულ ტანსაცმელს უგზავნის კრეუსას და ადგილზე კლავს მას. აქ გვხვდება ერთი ფაქტი, რომელზედაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე მივანიშნეთ - ეს კონკრეტული მომენტი კი მხოლოდ პიერ კორნელისთანაა გამოყენებული, რაც კრეუსას მიერ კაბის ქონის სურვილის აღიარებაა: „არასოდეს არაფერს ასეთი ელვარება არ ჰქონია ღამეში მზის სინათლესავით; მარგალიტები ოქროსთან არის გაბნეულად შერეული, გვერდებზე ათასი ძვირფასი ქვაა მოფენილი, ღვთაებრივ ნარევს თვალს ვერ მოაცილებ. იმ ადგილებში ამის მსგავსი არასოდეს მომხდარა. მე, როგორც კი მე იგი ამ კაბაში ვნახე, აღარ ვაქცევდი ყურადღებას ოქროსს საწმისს; და თქვენ ცოტათი უნდა იეჭვიანოთ მასზე, რადგან მე ეს მომინდა, ისევე როგორც თქვენ. რომ დავამშვიდოთ მედეა და მისი დანაკარგი გამოვასწოროთ, მამაჩემის მარაგები მთლიანად ღიაა, შესთავაზეთ წასვლისას მეფის მთელი საგანძური, ოღონდ ეს კაბა და იასონი იყოს ჩემი” (ბერძენიშვილი, 2022: 314). ამ ფაქტს მედეა მის სასიკეთოთ გამოიყენებს და კაბას მოაჯადოებს ისე, რომ ის არავის მოკლავს, კრეუსას გარდა ვინც არ უნდა ჩაიცვას ის. მართლაც, შემოწმების მიზნით, მედეას მიერ მირთმეულ საჩუქარს აცმევენ მოახლე ნისას, რომელსაც არაფერი დაემართება, კრეუსას კი ადგილზე კლავს. „მეტისმეტად ცოტაა, რომ იასონი მომპარა შენმა თვალმა, არც ჩემი სარეცელი გეყო,

ახლა ჩემი კაბა მოგინდა, გაუმადლო მეტოქე; და ესეც კი ძალიან ცოტა იქნებოდა, ხელი დაგეველო და ძალით რომ წაგეღო, ჩემი თანხმობის გარეშე. არა, შენ გინდა, რომ მე თვითონ მოგართვა, ბავშვებს ვკარგავ და ეს დაკარგვა უნდა ვიყიდო; საჭიროა, რომ პატივი ვცე შენს ღვთაებრივ მისწრაფებებს და მადლობა გითხრა მარცვისთვის, რომელიც ჩაიდინე. შენ გინდა, ის მიიღო; ჩემი უარი იქნებოდა ახალი დანაშაული; მაგრამ მე ვაპირებ, მოგართო ამ კაბით, როგორც ჩემი მსხვერპლი, სიუხვისმაგვარი სიყალბით, რომ ერთად დავაკმაყოფილო ჩემი შურისძიება და შენი სიხარბე” (ბერძენიშვილი, 2022:329). - ასე მრისხანებით აასრულა მედეამ მისი მზაკვრული გეგმა.

ავტორი ტექსტში ნაკლებად განიხილავს მედეას, როგორც დედას; შეიძლება ითქვას, რომ ამით აკნინებს კიდევ მას, რადგან დედობა ერთ - ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო პერსონაჟისა; ნაწარმოებში მედეა მიიჩნევა, რომ ბავშვები არა მისი, არამედ იასონისანი არიან, რადგან ისაა საწყისი საიდანაც ბავშვები გაჩნდნენ, ეს გარემოება კი მედეას პერსონაჟს ტრაგიკულობას მატებს.

ცალკე გამოყოფის ღირსია ნაწარმოების ფინალი, სადაც მედეა შვილებს ხოცავს, მაგრამ აქ სიტუაცია სულ სხვანაირად ვითარდება, ვიდრე აქამდე ყოფილა სხვა ნაწარმოებებში. როგორც აღვნიშნეთ, იასონი, რომელსაც თითქოს მედეა უყვარდა, მაგრამ კრეუსა ელამაზემოდა, მამის ინსტინქტმა დაამარცხა მეუღლე; იგი გადაწყვეტს, რომ დახოცოს შვილები: „უგუნური დედის მძვინვარების იარაღები, ჩემი წარსული სიყვარულის უღირსი შთამომავლობა, რა უბედური ბედი გაგიმზადდათ თქვენ, მოუტანო დაღუპვა იმას, რომელმაც გადაგარჩინა? ეს თქვენ, პატარა უმადურებო, ბუნების მიუხედავად, უნდა მიგიტანოთ მსხვერპლად მათს საფლავებზე. დაე, ჯადოქარმა თქვენით დაიწყოს ტანჯვა; პირველი მისი წამება იყოს თქვენი სიკვდილის ნახვა. თუმცა, რა გააკეთეს იმის გარდა, რომ დედას დაემორჩილნენ?” (ბერძენიშვილი, 2022:351); როცა მედეა ამას გაიგებს, გადაწყვეტს, რომ დაასწროს იასონს და თვითონვე დახოცავს ბავშვებს იმ შეგნებით, რომ ისინი იასონის შვილები არიან და ესაა დანაშაული და არა მათი დახოცვა: „ლაჩარო, შენი სასოწარკვეთილება ისევ ბჭობს? აწიე თვალები, მოღალატე, და გაიცანი ეს ხელი, რომელმაც უკვე შური იძია შენზე ამ პატარა უმადურების სახით; ამ ხანჯალმა, რომელსაც ხედავ, ახლახან ინადირა მათს სულებზე და მათს სისხლში ჩაიძირა ჩვენი

ცეცხლის ნარჩენები. ბედნიერო მამავ და ქმარო, ჩემი გაქცევა და მათი საფლავი ცარიელ ადგილს გიტოვებს ახალი ქორწინებისთვის. გაიხარე, იასონ! წადი, დაეუფლე კრეუსას, აქ აღარ გეყოლება არავინ, ვინც ბრალს დაგდებდა; ჩვენი ცეცხლის ეს ნიშნები მეტად აღარ იქნება ჩემთვის შენი ღალატის საიდუმლო საყვედურები”(ბერძენიშვილი, 2022: 351).

ნაწარმოების ფინალში, ჩვენდა გასაკვირად, იასონი თავს იკლავს: „ამაო აღტყინებავ, რომლითაც ჩემი სასოწარკვეთა უნაყოფოდ ერთობა, ნუ მიშლი ხელს, შევუერთდე კრეუსას. ჩემმა დედოფალმა, ჩემმა მშვენიერმა სულმა, ამ მხრიდან რომ მოდიოდა, შურისძიება დაიტოვა, მე მას ვუტოვებ ღმერთებს; მხოლოდ მათ, რომელთა ძალა უდრის სამართლიანობას, შეუძლიათ, მიაღწიონ ჯადოქრის წამებას. მოიწონე ეს, ძვირფასო აჩრდილო, და აპატიე ჩემს ცეცხლს, თუ მე მოვდივარ სანახავად უფრო ადრე, ვიდრე შენ გინდოდა” (ბერძენიშვილი, 2022:354) - ამით კი ავტორი კიდევ უფრო მეტად გვაჩვენებს იასონის უსუსურობას.

ფრანგულ სამყაროში გადატანილი მედეას მითი, რა თქმა უნდა, განსხვავებული ასპექტებით წარმოჩნდა; როგორც ვნახეთ, პიესაში წამოჭრილია მნიშვნელოვანი ფილოსოფიური საკითხები, კერძოდ კი პიროვნული ღირსებისა და სოციალური ვალდებულებების კონფლიქტი, შურისძიების მორალური გამართლება და ადამიანური ვნებებისა და გონების დაპირისპირება. მთელი ტექსტი კი ორ - ორ სტრიქონიანი პოემაა, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის პოეზიას, რომელშიც ფორმულირებულია აფორიზმები, რომელიც ერთგვარად პიერ კორნელის სამწერლობო სტილის თავისებურებას წარმოადგენს.

დასასრულს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა პიერ კორნელის „მედეას” ამ ვერსიამ სრულიად შეცვალა ფრანგი/ევროპელი მკითხველის დამოკიდებულება მედეას მიმართ.

2.4.2. ჟან ანუის - „მედეა” - თავისუფლების სიმბოლო

ფრანგი დრამატურგი ჟან ანუი, რომელიც მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, დაინტერესდა მედეას თემით; მან შემოგვთავაზა უკვდავი ტრაგედიის თავისებური ინტერპრეტაცია, რომელიც 1946 წელს დაწერა და მთლიანად დააფუძნა ბერძნულ მითს მედეას შესახებ; მან შეინარჩუნა კლასიკური სიუჟეტის ძირითადი ხაზი, ანუ მედეასა და იასონის ისტორია, მაგრამ მითის სიუჟეტებს და პერსონაჟებს თანამედროვე ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზომილება შესძინა, რადგან პიესაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონაჟების შინაგან კონფლიქტებს და მორალურ დინებებს. მართალია, ეს პიესა არ ითვლება ავტორის შემოქმედების მწვერვალად, მაგრამ ის თავის სათქმელს მაინც საინტერესოდ წარმოაჩენს.

პიესა იწერება იმ პერიოდში, როცა საფრანგეთში არეულობაა; ამ დროს კი ასპარეზზე გამოდიან ეგზისტენციალისტები და აბსურდის თეორიის მიმდევრები; სწორედ, ამ ორი ძალის ჭიდილში უწევს ანუის პიესის დაწერა და ამიტომაცაა, რომ პიესაში ის ერთმანეთს უპირისპირებს: თავისუფლებასა და კომფორტიზმს, სიყვარულსა და ღალატს, იდენტობასა და თვითშეფასებას, ცივილიზაციასა და ველურობას. აშკარაა, რომ ამით ანუიმ შექმნა „აბსურდის” პიესა და მედეაც ამ აბსურდის მთავარ გმირად აქცია .

პიესა იწყება გამთენიისას მედეასა და ძიძის დიალოგით; ისინი არიან სასახლიდან შორს, ფურგონში, ღია ცის ქვეშ. მედეა გაღიზიანებულია და აწუხებს ხმაური, რომელიც სასახლიდან ისმის, ძიძა კი ეუბნება, რომ ეს ხმაური მას იმიტომ აღიზიანებს, რომ „აქაური” არ არის და ცდილობს, აუხსნას წესები: „ჩვენთან დღესასწაული უფრო ადრეა, ივნისში. გოგონები თმას ყვავილებით ირთავენ, ხოლო ვაჟები სახეს საკუთარი სისხლით იხატავენ და გარიჟრაჟე, პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, ბრძოლებს იწყებენ” (ბერძენიშვილი, 2022:357), ძიძის ასეთი რეპლიკა ავტორის ჩანაფიქრს წარმოადგენს, რათა მედეას „უცხოობას” გაუსვას ხაზი.

ანუის პიესა „მედეა” თავისუფლების შესახებ გვიყვება და გვიხსნის, თუ რა არის, სინამდვილეში იყო თავისუფალი და როგორია ამით გამოწვეული ბედნიერება; სწორედ, ამ მოტივზე ააგო მან მთელი პიესა. მისი პერსონაჟები არაფრით არიან

გამორჩეულები, მედეას და იასონის გარდა; ისინი უბრალო, ყოფითი ადამიანები არიან. აქვე მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ სამყარო არის კომპრომისული და ამიტომაც ის ეკუთვნის ყველას, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების გარდა, ხოლო ვისაც განსხვავებული შეხედულებები ექნება, სამყარო მათ რიყავს.

ღალატის თემა სულ სხვა ჭრილში გვიჩვენა ავტორმა; აქ იასონი მედეას კი არ ღალატობს, არამედ ის ღალატობს თავისუფლებას; იასონი ამბობს შემდეგ სიტყვებს: „მაშ, შენ გგონია, რომ სხვა სიყვარულის საძებნელად გტოვებ შენ? ნუთუ გგონია, რომ ხელახლა დაწყება მინდა? მარტო შენ კი არ მძულხარ, სიყვარულიც მძულს!“ (ბერძენიშვილი, 2022:377), - ეს სიტყვებია, სწორედ, დასტური იასონის უმეცრებისა, რადგან, მან აირჩია კომპრომისზე წასვლა და მშვიდი ცხოვრება მეფის ასულთან, სადაც მას ყველაფერი ექნებოდა, თავისუფლებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა.

მედეა ამ სამყაროსთვისაც მიუღებელია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ის აქაც განსხვავებულად ითვლება - ის ირჩევს თავისუფლებას, იასონი კი - კეთილდღეობას. მწერალი ამ პერსონაჟებში ასახავს მეოცე საუკუნის ფრანგ ხალხს, რომლებმაც, იასონის მსგავსად, დაკარგეს თავისუფლება კეთილდღეობის გამო.

ანუის მედეა ძლიერი ქალია და თავისუფლების სურვილით შეპყრობილი, ამბობს: „მე მედეა ვარ, სულ მარტო, მიტოვებული ამ ფურგონთან; ამ უცხო ზღვის ნაპირას, გაძევებული, შერცხვენილი, შეძულებელი, მაგრამ არაფერია მეტისმეტი ჩემთვის!. იმდერონ, სწრაფად იმდერონ თავიანთი საქორწინო სიმღერა! სწრაფად გამოაწყონ პატარძალი თავის სასახლეში. ქორწინებამდე მთელი გრძელი დღეა... აჰ! იასონ, შენ ხომ მიცნობ მე, შენ იცი, როგორი ქალიშვილი ჩაიბარე კოლხეთში. და რა გგონია? რომ ტირილს დავიწყებ? შენ მოგყვებოდი სისხლით და დანაშაულით, ახლაც დამჭირდება სისხლი და დანაშაული, რომ გამოგეთხოვო“ (ბერძენიშვილი, 2022:365).

იასონი კი უსუსური მაჩანჩალაა, რომელიც დანებდა ცხოვრებას, ის იბრძვის მონობისთვის, მის მიერ წარმოთქმული სიტყვაც ამას ადასტურებს: „მინდა, მორჩილი ვიყო. მინდა, რომ ამ სამყარო, ამ ქაოსმა, რომლის გავლით შენ ხელჩაჭიდებულს მიგყავდი, შეეძინოს საბოლოოდ ფორმა. შენ უეჭველად მართალი იყავი, როცა ამბობდი, რომ არ არსებობს არც გონება, არც სინათლე, არც მოსვენება, რომ სულ საჭიროა აფათურო სისხლიანი ხელები, უნდა დაახრჩო და შორს მოისროლო

ყველაფერი, რასაც ვერ შეიპყრობ; მაგრამ ახლა მე მინდა, გავჩერდე, მინდა, ადამიანი გავხდე” (ბერძენიშვილი, 2022:388).

საბოლოოდ კი ისონის ბრძოლა მედეასთან, მისი მხრიდან, გავს ღმერთთან ბრძოლას, რადგან მას ისე უყვარდა, როგორც კაცს უყვარს ქალი, ახლა კი, რადგან მიხვდა, რომ მედეა ღმერთია, იწყებს თავის გადარჩენას.

მედეა ანუისთან უძლეველ კრეონსაც კი ამხელს და მიანიშნებს, რომ მეფე რომელიც არ არის სასტიკი და დაუნდობელი, ვერ იქნება ქვეყნის კარგი მმართველი; რადგან კრეონი ვერ კლავს მედეას, პირიქით ის ტყუვდება და მიიჩნევს, რომ მედეა უკვე ვერაფერს იზამს და რომ მისი დიდება დასრულდა; რა თქმა უნდა, აქ მწარედ ცდება კრეონი, რადგან მედეა მას ემუქრება: „მე მედეა ვარ, ბებერო ნიანგო! მე ზუსტად ვწონი, ღმერთებს თუ უნდათ, შეუძლიათ, უფრო გაგიგონ. კარგი და ცუდი მეც გამეგება. ვიცი, რომ ნაღლით გვიწევს გადახდა, რომ ყველა დარტყმა მშვენიერია და რომ თავი უყოყმანოდ უნდა დაიცვა. და, რაკი სისხლი გაგიცივდა, ჯირკვლები მოგიკვდა და იმდენად მოეშვი, რომ ეს ღამე მაჩუქე, ეს ძვირად დაგიჯდება!”(ბერძენიშვილი, 2022:374). რა თქმა უნდა მედეა ამ მუქარას ასრულებს კიდევ.

მწერალი იასონს და მედეას წარმოგვიდგენს ერთ მთლიანობად; მიუხედავად იმისა, რომ მედეამ ბევრჯერ სცადა, იასონისთვის ელაღატა სხვა კაცებთან, ის მაინც იასონზე უზომოდ შეყვარებული ქალია, რომელსაც შეეძლო იასონის მოკვლა, მაგრამ ვერ მოკლა, სწორედ ამ დიდი სიყვარულის გამო: „შენ დაამთავრე. შენ განიწმინდე. შენ ახლა შეგიძლია, წახვიდე. მშვიდობით, იასონ!”(ბერძენიშვილი, 2022:391), - ამ სიტყვებით გაუშვა მედეამ იასონი.

ნაწარმოები შთამბეჭდავად სრულდება - მედეა ბავშვების ხელით იასონის ახალ სიყვარულს უგზავნის სკივრს, სადაც არის მოჯადოებული მოსასხამი და, როგორც კი ეს სკივრი იხსნება, სასახლეში კვდება ყველა და მთლიანად იწვება ყველაფერი; ანუ ამ მომენტს განსაკუთრებით დრამატულად გადმოგვცემს: „მოირბინა კრეონმა, უნდოდა, აეყვანა, მოემორებინა საბურველი და ოქროს სალტე, მაგრამ, როგორც კი შეეხო, ისიც გაფითრდა, ერთ წამს შეყოვნდა, საშინელება ჩაუდგა თვალებში, შემდეგ დაეცა, ტკივილისგან ღმუოდა. ახლა გვერდიგვერდ წვანან, გადასკვნილები,

სასიკვდილო კრუნჩხვებით სული ამოსდით და ვერავინ ბედავს მათთან მიახლოებას” (ბერძენიშვილი, 2022:394). ამის შემდეგ კი, როცა შურისმაძიებლები მედეასთან მოდიან, იგი მათ ახვედრებს უზარმაზარ ცეცხლს, რომელიც უკიდია ფურგონს, სადაც მედეას მიერ უკვე დახოცილი ბავშვები იწვებიან და მედეა, რომელიც უკანასკნელად მიმართავს იასონს: „ისინი მკვდრები არიან, იასონ! მკვდრები არიან, დავხოცე ორივე და სანამ ნაბიჯს გადმოდგამ, ეს რკინა მე განგმირავს. ამიერიდან მე დავიბრუნე ჩემი კვერთხი, ჩემი ძმა, ჩემი მამა და ოქროს საწმისი დაბრუნდა კოლხეთში: მე ხელახლა ვიპოვე სამშობლო და ქალწულობა, შენ რომ მომტაცე. როგორც იქნა, მედეა ვარ სამარადისოდ!” (ბერძენიშვილი, 2022: 397). ამ საქციელით მედეა ეუბნება იასონს, აბა, სცადე და დამივიწყეო, რაზეც იასონი პასუხობს რომ ასეც მოიქცევა და დაივიწყებს ყველას და ყველაფერს, რაც მედეას სახელს უკავშირდება: „დიახ, მე შენ დაგივიწყებ. დიახ, მე ვიცოცხლებ, მიუხედავად ამ სისხლიანი კვალისა, შენ რომ დატოვე ჩემს გზაზე; ხვალიდან მოთმინებით ისევ დაგიწყებ ჩემი კაცობის საბრალო ხარაჩოების აგებას ღმერთების გულგრილი მზერის ქვეშ” (ბერძენიშვილი, 2022:397). ის, მართლაც, ასე იქცევა, დაელოდება, ყველაფერი როდის იქცევა ფერფლად, მერე კი მიდის სასახლეში და იწყებს ახალი კანონმდებლობების შემუშავებას.

ნაწარმოები სრულდება ძიძის და მცველის დიალოგით, რომლებიც საუბრობენ მოსაწყენ ყოველდღიურ რუტინაზე, როგორიც არის ყავის მოდუღება, სარეცხის დარეცხვა, ვახშმის მომზადება და სხვა, მაგრამ მათ ახარებთ ფაქტი, რომ აქვთ პურის უხვი მოსავალი და, რაც მთავარია, ექნებათ „პური”, სხვა ყველაფერი კი მათთვის უმნიშვნელოა.

პიესის მთავარი სათქმელი იყო ის, რომ სამწუხაროდ უმრავლესობას არ უნდა თავისუფლება, რომელიც მოითხოვს მუდმივ ბრძოლას; მათთვის მთავარია, არ აკლდეთ „პური” და იყვნენ მშვიდად მონობაში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟან ანუის „მედეა” ფრანგულ სამყაროში იქცა ევროპული ცივილიზაციის „თავისუფლების” სიმბოლოდ. სწორედ, ამიტომაც, რომ მას დღემდე ევროპელი მხატვრები ხატავენ ხმლით ხელში, მაგრამ - შიშველს.

2.4.3. კრისტა ვოლფის „მედეა” - ფემინიზმის მსხვერპლი

კრისტა ვოლფის „მედეა - ხმები” დაიწერა 1996 წელს. რომანში ავტორმა ახლებურად წარმოაჩინა კარგად ცნობილი ძველი ბერძნული მითი მედეას შესახებ, კრისტა ვოლფთან მედეას პერსონაჟი წარმოდგენილია არა როგორც ჯადოქარი, რომელიც შურისმაძიებელია, არამედ - როგორც კომპლექსური პიროვნება, რომელიც, გარემოებიდან გამომდინარე, ემსხვერპლა საზოგადოების პოლიტიკურ დამოკიდებულებებსა და ინტრიგებს.

რომანში სიუჟეტები გადმოცემულია სხვადასხვა პერსონაჟის პერსპექტივიდან, რაც საშუალებას გვაძლევს, სხვადასხვა მოცემულობიდან შევაფასოთ არსებული სიტუაცია; ნაწარმოებში ყურადღება გამახვილებულია გენდერულ საკითხებზე, ძალაუფლების დინამიკაზე და „უცხო” მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე.

ვოლფმა რომანში შემოიტანა მითისგან განსხვავებული სიუჟეტებიც, მაგალითად ის, რომ მასთან მედეა არ არის საკუთარი შვილების მკვლელი, ის არ კლავს ბავშვებს, პირიქით - მწერალი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ბრალდებები, რომელიც არსებობს მედეას საწინააღმდეგოდ, არის მხოლოდ მოგონილი ჭორი კორინთოსელი ელიტის მიერ.

საანალიზო ტექსტი განსაკუთრებით საინტერესოა ფემინისტურ ჭრილში საკვლევად, რადგან ავტორი რომანში ცდილობს ეჭვის შეტანას ისტორიულად დამკვიდრებულ პატრიარქალურ დამოკიდებულებებში და გვთავაზობს ახლებურ ქალის სახეს, რომელიც ხშირად მიჩემალული იყო კლასიკურ ლიტერატურულ ტექსტებში.

რომანის სტრუქტურის შესწავლისას გამოჩნდა, რომ ტექსტი არის კომპლექსური და ინოვაციური, რადგან ის აგებულია ძირითადად მონოლოგებით, 11 მოქმედი ხმა მონოლოგის სახით გადმოგვცემს სიტუაციას, რაც გვაძლევს საშუალებას, სხვადასხვა მხრიდან შევისწავლოთ ის; ამით ავტორი ცდილობდა, სუბიექტურად ეჩვენებინა მედეას „სიმართლე”.

ვოლფი შესანიშნავად ახერხებს ძველი მითური სიუჟეტების გამოყენებას ტექსტში და მის მორგებას თანამედროვე საზოგადოების წესებზე; შესაბამისად, მასთან მედეა

არა მხოლოდ მითის პერსონაჟია, არამედ სიმბოლოა იმისა, თუ როგორ ექცევა საზოგადოება იმას, ვინც არ ემორჩილება დადგენილ საზოგადოებრივ ნორმებს.

ავტორმა ტექსტში მკვეთრად გამოყო მთავარი თემატური ელემენტები, რისი გადმოცემაც მას სურდა; ესენია:

- ძალაუფლებისა და პოლიტიკის გავლენა, რაშიც მოიაზრება პოლიტიკური გავლენები, რაც ახდენს ისტორიის დამახინჯებას ძალაუფლების მქონდე ადამიანების სურვილების შესაბამისად;
- გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევით ვოლფმა გვაჩვენა, თუ როგორ ხდებოდა ქალის როლის დაკნინება პატრიარქალურ საზოგადოებაში;
- ვოლფი შეეხო მედეას „ბარბაროსობის“ საკითხსაც, რითაც ხაზი გაუსვა მის უცხოელობას, ანუ კოლხეთიდან ჩასულობას; საერთო ჯამში კი ამით ავტორი გვესაუბრება კულტურულ კომფლიქტზე.

შეიძლება ითქვას, რომ ვოლფის ამგვარი დამოკიდებულება მედეასა და არგონავტების მითის მიმართ და მისი განსხვავებული ინტერპრეტაცია დაეხმარა მომდევნო პერიოდის თანამედროვე ავტორებს, მედეას მითზე შეექმნათ ისეთი ლიტერატურული ნარატივები, სადაც მოხდებოდა ძველი, ყველასთვის კარგად ცნობილი კლასიკური მითის პოსტმოდერნისტული რეინტერპრეტაცია, რაც უკვე დღეს მნიშვნელოვან ლიტერატურულ ტენდენციად ითვლება მთელს მსოფლიოში, რაშიც მოიაზრება მედეას პერსონაჟის ფემინისტური მხრიდან გააზრება; ეს მიდგომა კი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ზოგადად ლიტერატურულ დისკურსზე. ასევე, მნიშვნელოვანია მწერლის სამწერლობო მანერაც, რაშიც იგულისხმება მრავალხმიანი თხრობის ტექნიკა, ეს კი თავისთავად გავლენას ახდენს თანამედროვე მწერლების სამწერლობო ტექნიკაზეც.

ვოლფმა მედეას რომანში პერსონაჟები დაყო ორ კატეგორიად; ესენია ხმები და სხვანი, ხმებში შედიან: მედეა, იასონი, აგამედე, აკამა, ლაოკოონი და გლავკე, ხოლო სხვანში: კრეონტი, მეროპე, იფინოე, ტურონი, ლისა, არინა, კირკე, პრესბონი, ტელემონი, ფრიქსე და პელია, ჯამში კი რომანი შედგება თერთმეტი თავისგან.

ვოლფის რომანის „მედეა“ პირველი თავი იწყება სენეკას მედეას შემდეგი სიტყვებით :

„ დღემდე ყველაფერს სიყვარული

მაკეთებინებდა, მედეად, მერე ამდენმა

ტანჯვამ მაქცია”.

(ვოლფი, 2004:5)

მართებულად უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორმა ეს სიტყვები შესავალში განგებ დაწერა და ამით ამცნო მკითხველს მისი დამოკიდებულება მედეასადმი, რადგან ამ სიტყვებს თუ კარგად დავუფიქრდებით, მაშინვე მივხვდებით, რომ მედეას მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაული ავტორმა, სწორედ, სიყვარულის სახელით გაამართლა. რა თქმა უნდა, ეს მას, როგორც პერსონაჟს, ვერ ამართლებს, მაგრამ მკითხველში თანაგრძნობას მაინც იწვევს. ვოლფმა გვითრა, რომ ისტორია, რომელიც მედეას ირგვლივ ტრიალებდა, და ტანჯვა, რომელსაც ის განიცდიდა, მთელი ამ ისტორიის მანძილზე, მას აყალიბებდა „მედეად”, რომელიც შემდეგ მთელმა მსოფლიომ, სწორედაც, რომ მისი ამ დაუნდობელი ხასიათის გამო გაიცნო.

ყველა ნაწარმოები, რომელიც მედეას ისტორიაზეა შექმნილა, მოგვითხრობს მედეას და მამამისის დამოკიდებულებაზე და მედეას სინანულზე მამის წინაშე. კრისტა ვოლფი კი ემიჯნება ამ ნიუანსს და წინა პლანზე გადმოჰყავს მედეას დედა; სწორედ, მის დიდ მონატრებას, სიყვარულს და პატივისცემას გადმოცემს ავტორი პირველ თავში: „თურმე, რამდენი რამე გცოდნია ჩემზე? დედა, ნეტა ცოცხალი ხარ? „ხედავ, ამ შეუმჩნეველ, ჩაღრმავებულ ხაზს, მეორეს რომ კვეთს?” - და ისიც დასძინე, - „ფრთხილად, იცოდე, სიამაყემ არ გაგიციოს სულიო..” დედა, შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ ზოგჯერ ტკივილიც გიტოვებს გამანადგურებელ ნაკვალევს, თუმცა, ამას ვის ვეუბნები? „არგოს” ქიმზე რომ ვიდექი, იმ წყვილიადშიც კი ვხედავდი შენს თვალებს და ველარაფრით ვივიწყებდი. და თითქოს ეს სიტყვა, „დანაშაული”, მეხსიერებაში, სწორედ, ამ მზერამ ჩამიდუღაბა” (ვოლფი, 2004:6). - ამ სიტყვებით აშკარაა, რომ მედეა თავს დამნაშავედ გრძნობს მშობელი დედის წინაშე.

დედის მონატრებასთან ერთად, ავტორი კარგად გვაჩვენებს უცხო მიწაზე დამცირებულ მედეასაც, რომელსაც დედის დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება: „ოჰ, დედა, ჩემი ახალგაზრდობაც გაფრინდა, თუმცა, როგორც კორინთოელები

ამბობენ, ისევ ისეთი თავაწყვეტილი ვარ. მათთვის ყველა ქალი ასეთია, ვისაც ოდნავ ჭკუა უჭრის” (ვოლფი, 2004 : 9). ასევე, მედეას წარსულის მოგონებები არ ასვენებს, ენატრება ყველა და ყველაფერი, ცდილობს, იპოვოს გზა, რითიც შეეჩვევა აწმყოს.

ავტორს კარგად აქვს გადმოცემული მითში მედეას წინასწარმეტყველური ნიჭი; ამიტომ ის ტექსტში კარგად ასახავს მედეას მიერ უბედურების გარდაუვალობის წინასწარმეტყველებას და მასვე ათქმევინებს შემდეგ სიტყვებს: „ვერც ხელისგულზე გამოკვეთილი ხაზები მიშველის!” (ვოლფი, 2004:13), - თითქოს მედეა გრძნობს განსაცდელს, რომელიც მას მომავალში ელოდება, მაგრამ უკან მაინც არ იხევს.

ვოლფი ნაწარმოების პირველივე თავში ახდენს კოლხი და კორინთოელი მამაკაცების შედარებას; მისი თქმით, კოლხი მამაკაცები, კორინთოელებისგან განსხვავებით, დაუფარავად გამოხატავენ გრძნობებს და განცდებს, რაც ავტორს სრულიად ბუნებრივ და მისაღებ რეალობად მიაჩნია: „როცა მამამისს ძმის უბედურება შეუტყვია, არც კი უცდია თავისი ტკივილის დამალვა. იქვე, ხალხის თვალწინვე, დაუწყია მოთქმა. აქ კი, კორინთოში, მამაკაცს ახლობლის დაკრძალვაზე ცრემლიც არ გადმოუვარდება. მათ მაგივრადაც ქალები გოდებენ, თავს იკლავენ ტირილით” (ვოლფი, 2004 : 18).

ვოლფის მედეა, ზოგადად, ძალზე ნაღვლიანი და მგრძნობიარე პერსონაჟია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობს მითის მიხედვით მის რეაბილიტაციას, მისი მგრძნობელობა განსაკუთრებით ჩანს იმ მონაკვეთში, როცა მედეას ახსენდება ძმა: „მას მერე, რაც იმ ჯურღმულში პატარა ბავშვის ძველებს ხელით შევეხე, ჩემმა ხელებმა სხვა ბავშვის ძვლებიც გაიხსენეს, იმ ბავშვისა, რომლის ძვლებიც თავად გადავყარე გემბანიდან. მახსოვს, ერთი კი ვიკივლე და ეს ძვლები მეფის მდედართა მხარეს მოვისროლე, რის მერეც მეფემ ჩვენი დევნა შეწყვიტა. მას შემდეგ არგონავტებს, და მათ შორის იასონსაც, ჩემი ეშინოდათ. გემბანზე იასონს სულ სხვა თვალზე შევხედე: ნამდვილი წინამძღოლი, მტკიცე და შეუდრეკელი მეთაური - აი, ასეთი იყო ის აქ” (ვოლფი, 2004:21). აშკარაა, რომ მედეა ძალიან განიცდის ამ ამბავს და თითქოს სინდისი აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ვოლფთან ძმა მედეას არ მოუკლავს, მას ყველა ძმის მკვლელად მოიხსენიებს, ის ამის გამო ძალიან დამწუხრებულია და ნაწილობრივ კიდევ, რომ სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული სწორედ, მას დაბრალდა, მის

უდანაშაულობას კი არავინ დაიჯერებდა, რადგან მან ოქროს საწმისი არგონავტებს გაატანა და თავადაც წავიდა მშობლიური კოლხეთიდან: „მახსოვს, პირველად, სწორედ, ამ დღეს გავიგე სიტყვა „ლტოლვილი“. დიახ, არგონავტებისთვის ჩვენ ლტოლვილები ვიყავით” (ვოლფი, 2004:22), - ამ მონაკვეთში კი ავტორი აშკარად ხაზს უსვამს „უცხოობის” საკითხს.

რომანის მეორე თავი იწყება პლატონის „ნადიმი”- დან ამონარიდით:

„ რა ძლიერია მამაკაცებში სწრაფვა,

დარჩენ სხვათა მეხსიერებაში და

სამუდამოდ უკვდავყონ თავიანთი სახელები”.

(ვოლფი, 2004:25)

შესაბამისად, პოემის მთელი ეს თავი ეთმობა მედეას მითის მთავარ მამაკაცს, ანუ იასონს, რომელიც თავიდანვე ხვდება, რომ ეს ქალი (მედეა) არის მისი ბედისწერა; ის აღიარებს, რომ მედეას გარეშე კოლხეთში ვერაფერს მოიმოქმედებდა და საწმისსაც ვერ ჩაიგდებდა ხელში: „მედეას გარეშე კოლხეთი, მართლაც, მიუწვდომელი იქნებოდა. სწორედ, მან მიგვიყვანა მამამისთან, მეფე აიეტთან, რომელიც მოულოდნელობისაგან იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ მივედეთ”(ვოლფი,2004:33). ავტორი, ასევე აღწერს, თუ როგორ მოხიბლა იასონი მედეას გარეგნობამ და თუ როგორ იქცა, მედეასთან ერთად, ამ ლეგენდის ნაწილად: „თეთრი - წითელი ქვედაკაბა ეცვა, როგორსაც ყველა აქაური ქალი ატარებდა. მჭიდროდ მომდგარი შავი კოფთა. ორივე ხელისგული წყაროსთვის შეეშვირა და სვამდა. დაგვინახა თუ არა, წელში გასწორდა, ხელები დაიბერტყა და ლაღად, მტკიცე, თამამი ნაბიჯებით ჩვენკენ გამოემართა” (ვოლფი, 2004 : 28), ეს აღწერა არა მარტო მედეას ეკუთნის, არამედ ამით ავტორი გვიხასიათებს ზოგადად კოლხ ქალებსაც.

რომანში რამდენიმე აბზაცი ეთმობა კოლხების დახასიათებას; ისინი, იასონის თქმით, „მომხიბვლელი ველურები” არიან, რომლებიც მკაცრად იცავენ ოჯახის სიწმინდეს და აქვთ ბარბაროსული ადათ - წესები: „ დღესაც მზარავს იმის გახსენება, როგორ აღმოვჩნდით, სანაპიროდან თხილწარისა და ტირიფების გავლის შემდეგ რაღაც ველზე, სადაც მწყობრად დარგული ხეების ტოტებზე ცხვრის, ხარისა და თხის

ტყავები ჩამოეკიდათ, თითქოს ხის საზარელი ნაყოფიაო, არადა, შიგ გვამები გაეხვიათ. ალაგ - ალაგ გახეული ადგილებიდან ძვლები გამოჩრილიყო. ტომრები ქარზე აქეთიქით ირხეოდა. საშინელი სანახაობა იყო”(ვოლფი, 2004: 27). რა თქმა უნდა, ეს ორი კულტურა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ არგონავტების მიერ კოლხების ამ კუთხით შეფასება არ მიმაჩნია სწორად, რამდენადაც არქაული კოლხური ტრადიცია იყო ცხოველის ტყავში გახვეულ მიცვალებულთა გამოშრობა სამაროვან ხეებზე გაკიდებით. კოლხების „ბარბაროსული” ადათ-წესებიდან იასონი განსაკუთრებით გამოყოფდა მიცვალებულების დაკრძალვის ამ განსხვავებულ ამბავსაც და ამ წესს ყველაზე საშიშად მიიჩნევდა: „კოლხეთში მხოლოდ ქალებს მარხავენ, მამაკაცების გვამებს კი ხეებზე კიდებენ, სადაც მათ ფრინველები ჯიჯგნიან, ვიდრე ძვლები არ გამოჩნდება და ჩონჩხად არ იქცევა”(ვოლფი, 2004:40).

როგორც აღვნიშნეთ იასონი მედეას სახით კოლხ ქალებსაც ახასიათებს, მათ ამაყებს უწოდებს და ამბობს, რომ ისინი ქედმოხრილნი არასოდეს დადიან, მიუხედავად გასაჭირისა; ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ზოგადად ძალიან დიდი სხვაობა იყო კოლხ მედეასა და კორინთოელ ქალებს შორის; მისი თქმით, მედეა მუდმივად დაქროდა ქუჩებში, თუ ბრაზობდა ყვიროდა, თუ უხაროდა, ხმამაღლა იცინოდა, ეს ყველაფერი კი იასონს ძალიან უკვირდა.

მესამე თავი ევრიპიდეს მედეადან ამონარიდით - კრეონტის სიტყვებით იწყება:

ქალები ჩვენდა სასიკეთოდ

თუ მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებისთვის

არიან მოვლენილნი.?!
(ვოლფი, 2004:46)

მესამე თავში ვეცნობით მედეას მოსწავლის - აგამედეს მონოლოგს ფერმკრთალ მედეას რომ ხედავს, აგამედე აცნობიერებს, რომ ის არის ცუდად და თუ აქამდე სხვებს ეხმარებოდა, ახლა საკუთარი თავი უნდა გადაირჩინოს. აგამედეს თითქოს უხარია მის მასწავლებელს, რომელმაც ამდენი რამ ასწავლა, ასეთ ცუდ დღეში რომ ხედავს, რადგან თვლის, რომ თუ ასეთ დროს მედეას გვერდით დადგება, ის მას დააფასებს და

მთელი ცხოვრება მასთან ვალში იქნება: „მე მას ვჭირდები და უნდა ვიხსნა. რომ ვაიძულო, სამუდამო მადლიერებით ჩემზე იყოს დამოკიდებული” (ვოლფი, 2004:46).

აგამედე კარგად აღწერს, რომ მედეა იყო პირველი, ვინც მას ასწავლა საკუთარი თავის შეცნობა და ჩაუნერგა სიყვარული, აჩვენა ღირსება, რომელიც მას გააჩნდა და მისცა სტიმული, ყვარებოდა და მოსწონებოდა საკუთარი თავი: „შესანიშნავი მკურნალი დადგება შენგან, თუკი თავშეკავებული იქნებიო. და სიხარული ამ სიტყვებით მთლიანად ჩამიხშო: „მაგრამ, თუ მიხვდები სადაა შენი ადგილი. დაიმახსოვრე, მე და შენ კი არ ვართ მკურნალები, არამედ რაღაც არსებობს ჩვენში ისეთი, რაც კურნავს, ჩვენ მხოლოდ ვეხმარებით, როგორც შეგვიძლია, რათა შევუქმნათ მოქმედების სრული თავისუფლება, როგორც ჩვენში, ასევე ავადმყოფებშიც” (ვოლფი, 2004:47), - ამ მოძღვრებასთან ერთად, მედეა მას ასწავლიდა, რომ ცხოვრებაში ადამიანი ყველაფერს ერთად ვერ მოიპოვებს და რომ მან თავად უნდა იბრძოლოს ბედნიერებისთვის და საკუთარი თავისთვის, მიუხედავად მედეას ასეთი სიყვარულისა და დამოკიდებულებისა აგამედესადმი, მას მედეას დამარცხება მაინც უხარია და არ ასვენებს შური, რომელიც მასწავლებლის მიმართ ბავშვობიდან ამოძრავებს.

ამავე თავში ვხვდებით ფემინიზმის გამოვლინებასაც, რაც გამოიკვეთა კოლხეთსა და კორინთოსს შორის სხვაობების აღწერისას: „კოლხეთისაგან განსხვავებით, კორინთოსში სულ სხვაგვარადაა მიღებული. ცოტა არ იყოს, უცნაური ჩვევა აქვთ: პირველი სიტყვა კაცს ეკუთვნოდა, უფრო მეტიც, ქალის ნაცვლადაც მას უნდა ელაპარაკა” (ვოლფი, 2004:51), აშკარაა, რომ ამ სიტყვებით ავტორს უნდოდა, ეჩვენებინა ქალის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს შორის სხვაობა ორ ცივილიზაციას შორის.

მეოთხე თავი იწყება იასონის მიმართვით მედეასადმი:

„ იარე მაღალ - მაღალ სივრცეთა ეთერში
და დარწმუნდები, რომ იქ, საითაც შენ
მიდიხარ, ღმერთები არ არსებობენ!”

(ვოლფი, 2004:46)

კრისტა ვოლფი მეოთხე თავში ხაზგასმით ამბობ, რომ მედეა არ არის ძმის მკვლელი, მას არ მოუკლავს ძმა აფსირტე, ის უბრალოდ გარემოების მსხვერპლი გახდა და ეს დანაშაული ამიტომაც ბრალდება. ტექსტში კარგად ჩანს მედეას მიერ ძმის გლოვა და ძლიერი სიყვარული - მას ეცოდება და ენანება საკუთარი ძმა: „ძმაო, ახლაც თვალწინ მიდგახარ მძიმე სამეფო სამოსით. შენ, ასეთი პატარა, იჯექი იმ უზარმაზარ სამეფო ტახტზე, გვერდით კი შეუხედავი, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი აიეტი გედგა. ჯერ ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ალბათ, მხოლოდ ეს თუ მამართლებს. თუმცა, შიში და გაურკვევლობა, სახეზე რომ გეწერა, წამით მეც გადმოვმედო” (ვოლფი, 2004:65).

ამ თავში საუბარია იმაზეც, რომ კოლხეთში იყო ტრადიცია, რომელიც მიზნად ისახავდა მამასა და შვილს შორის არჩევანის გაკეთებას, ანუ, ან მეფეს უნდა ეცოცხლა, ან - ახალგაზრდა მემკვიდრეს. „ფანატიკოსმა ქალებმა”(ასე უწოდებს მათ მედეა), რომლებიც მოხუც მეფეზე უგონოდ იყვნენ შეყვარებულები, შესაძლებელი იყო გადაწყვიტეს, მოეკლათ ახალგაზრდა მემკვიდრე და ამით დაეცვათ მეფე: „ოდესღაც მემკვიდრის მოკვლის ამგვარი რიტუალი საყოველთაოდ, ამასთან, თავად მსხვერპლის თანხმობითაც ტარდებოდა (ვოლფი, 2004: 66), არც ამგვარი ქმედების ჩადენაა გასაკვირი ფანატიკოსი ქალებისგან, ეს მოსაზრება კი სავსებით შეიძლება მართებულიად ჩაითვალოს.

როგორც ვნახეთ, ვოლფის რომანში მედეა არ არის ძმის მკვლელი, პირიქით - მას ძმა ძალიან უყვარს: „ნუთუ ასე მიცნობენ, რომ მე მოვკლავდი საკუთარ ძმას, ნაკუწებად ვაქცევდი, მერე კი, ვითომც არაფერი, მოგზაურობისას პატარა ტომრით თან წამოვიღებდი?!” (ვოლფი, 2004: 68).

ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე კირკე ყველა ნაწარმოებში მოხსენიებულია როგორც მედეას მამიდა, კრისტა ვოლფთან კი ის არის მედეას დეიდად წოდებული, რადგან თავად მედეა ამბობს: „ მე არ მინდოდა ამ ჩანაფიქრის აღსრულება. ეს დანაშაულის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ ვგრძნობდი, იასონს მართლაც სჭირდებოდა ეს მონანიება. უკვე კუნძულთან ახლოს ვიყავით, სადაც უკვე კარგა ხანია, დედაჩემის და, კირკე ცხოვრობდა” (ვოლფი, 2004:69). კირკესთან მედეა ჩადის კუნძულზე იასონთან ერთად ცოდვების მოსანანიებლად, რომელიც მას არ

ჩაუდენია. ასევე, ის მიიღებს დარიგებას კირკესგან: „მედეა, მამაკაცი დიდი, საშინელი და აუტანელი ბავშვები არიან და მეტი არაფერი. დამიჯერე, ეს ასეა. საერთო სენივითაა. ეს შენი კაციც, ასე რომ მიენდე, მალე თავადვე ჩაგებლაუჭება, დაგიწყებს ჩაჭიდებას. უბედურებამ უკვე ჩაიბუდა მასში, მაგრამ სასოწარკვეთილებას კაცები ვერ იტანენ. ამ ტვირთს ჩვენ გვანდობენ. ვიღაცამ ხომ უნდა იტვირთოს მწუხარება. მაგრამ არა მან, კაცმა. ეს ქალის ხვედრია”(ვოლფი, 2004:71). მიუხედავად ასეთი დარიგებისა, მედეა არ დაუჯერებს დეიდას, არ ითვალისწინებს მის დარიგებას.

რომანის მეხუთე თავი იწყება კატონის ასეთი სიტყვებით:

„ვიდრე ქალი და მამაკაცი

თანასწორუფლებიანნი იქნებიან, ქალი

მუდამ შეძლებს მასზე გამარჯვებას”.

(ვოლფი, 2004:76)

მშობიარობის სცენა, რომელიც რომანის მეხუთე თავშია აღწერილი, სრულად ასახავს მედეას სიძლიერეს. ტექსტის თანახმად ის აჩენს ტყუპ, ჯანმრთელ ბიჭებს და მშობიარობის ტკივილს უმკლავდება ძლიერად, რაც იწვევს კორინთოელების გაოცებას: „როცა მათთან ბავშვი იბადება, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ამქვეყნად მოსვლა ცხოვრების ერთადერთი დანიშნულება იყოს. შეიძლება, ისინი სწორადაც იქცევიან და, მართლაც, მშვენიერია და სასიამოვნოც, როცა ახლადშობილი ასე საყოველთაო სიყვარულისა და სიხარულის ღირსი ხდება, თუმცა, ამავე დროს, ძალზე პრიმიტიულიცაა. რა საჭიროა ამდენი ძალისხმევისა და ენერგიის დახარჯვა იმისათვის, რომ გამოძვრე ამ თბილი, მაგრამ მაინც უხერხული საშოს წიაღიდან; არავინ იცის, როდის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ხომ მაინც უკან, ცაში დაბრუნება მოგიწევს”(ვოლფი, 2004:78). კოლხი ქალის გამძლეობა გაუსაძლისი ტკივილის დროს და მერე სიხარული ბავშვის დაბადებისას აკვირვებდა კორინთოელებს, მათ ეშინოდათ ახალი სიცოცხლის მოვლენის, რადგან ეს მათთვის ასოცირდებოდა ტკივილთან და არა - სიხარულთან.

მეექვსე თავს დასაწყისში წინამძღვრად აქვს ფრაგმენტი ინგებორგ ბახმანის „ფრანცა“- დან:

„ყველაფერი, რაც კარგი მქონდა,
სწორედ, მან წამართვა: სიცილი, სინაზე,
სიხარულის, თანაგრძნობის, თუ
დახმარების უნარი; ჩამიქრო სიცოცხლის
სხივი და ხალისი, ძირშივე, ფესვებშივე
მოსპო და გაანადგურა. ვერ გამიგია,
ნეტა რისთვის დასჭირდა?!“

(ვოლფი, 2004:91)

ამ თავში აღსანიშნავია მედეასა და გლავკეს ურთიერთობა. ტექსტის მიხედვით, მედეა თანაუგრძნობს მას და ეხმარება კიდეც. ის ცდილობს, დაეხმაროს გლავკეს მამის შიშისგან განთავისუფლებაში: „სწორედ ის, ის მარწმუნებდა, რომ უფლება მქონდა, მშვიდად გამეფიქრა: „მე მძულს საკუთარი მამა“, მერე რა, ამით შენ არც არაფერი დაგიშავდება და არც დამნაშავედ უნდა იგრძნო თავიო“ (ვოლფი, 2004:94.); მედეა კი მას ეუბნებოდა, რომ პირიქით - არ უნდა უარეყო მის თავში ჩაბუდებული ნაღველი და არ უნდა გაქცეოდა ამ შიშს, რადგან, მედეას აზრით, ეს გლავკეს გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ძმის მკვლელობის გარდა, მედეას კორინთოსში მომხდარი ყველა უბედურების საწყისად თვლიდნენ; შავი ჭირის ეპიდემიაც, რომელიც გავრცელდა და რომელსაც ბევრი ემსხვერპლა, მედეას ბრალდებოდა და მთავარ დამნაშავედაც მას მიიჩნევდნენ, მას კი არაფერი გაუკეთებია საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად აგამედემ ეს ამბავი რომ უამბო, მედეა თავადაც აღნიშნავს: „წარბიც არ შემიხრია, თუმცა, შიშისაგან თუ სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა. ახლა კი ნამდვილად მიიღებს, რაც დაიმსახურა და სამუდამოდ დაგვარგავ... ეტყობა, მის წინააღმდეგ რაღაცას ამზადებენ, მაგრამ მე მიმაღავენ. მაინც გავიგებ“ (ვოლფი, 2004:101). ავტორი ამით გვაჩვენებს, რომ რადგან მედეა „უცხო“ იყო, მარტივად აბრალებდნენ მას ყველა დანაშაულს, ყოველგვარი გადამოწმებისა და ჭეშმარიტების ძებნის გარეშე.

მეშვიდე თავი იწყება რენე ჟირარდის სიტყვებით „სიწმინდე და ძალადობიდან“:

„ როგორ სურთ ადამიანებს, ირწმუნონ,
რომ მხოლოდ ერთს ეკისრება მათ
უბედურებაში პასუხისმგებლობა,
სწორედ, ერთია დამნაშავე და ამ
ერთისაგან გათავისუფლება იოლია”.

(ვოლფი, 2004:107)

ეს თავი იწყება ლაოკოონის, ანუ მეორე ასტროლოგის, მონოლოგით, რომელიც ამბობს, რომ შავი ჭირი უკვე მოცოცავს, ის ყველაფერს მოედო და რომ მედეას გადარჩენა გამორიცხულია, ის დაიღუპება; წუხს, რადგან მას არ შეუძლია მისი გადარჩენა: „ყველაფერს თვალნათლივ ვხედავ, რაც მოელის, და მეც ამის მომსწრე გავხდები. რა უბედური ხვედრი მერგო წილად, თავად ვიხილო, შევიგრძნო, ვიწინასწარმეტყველო” (ვოლფი, 2004:107).

ლაოკოონი გაკვირვებულია, რატომ აინტერესებს მედეას ბედი, რადგან ადრე მას ქალები არ აინტერესებდა, ახლა კი ძალიან ღელავს, გარემოც ძალიან შემაშინებელია - გარეთ მხოლოდ იმის ხმა ისმის, თუ როგორ მიაქვთ და როგორ ყრიან დაღუპულთა ცხედრებს; ეს შავი ჭირი კი არ ჩერდება, პირიქით - უფრო მძვინვარებს, მედეა კი ხალხს ეხმარება, ავადმყოფები, რომლებსაც აქამდე მედეასი ეშინოდათ და მას მიიჩნევდნენ დამნაშავედ, ახლა ითხოვდნენ მის მისვლას, რადგან სწამდათ, რომ განიკურნებოდნენ. მედეა მათ ყველაზე მეტად ეხმარებოდა, ლაოკოონი კი მას აფრთხილებდა შემდეგი სიტყვებით: „ადამიანებს ერთი უცნაური სენი სჭირთ, ყოველთვის ცდილობენ, თავიანთი დანაშაული, საკუთარი გაუბედურების მიზეზი, სხვებს გადააბრალონ. ღმერთების გულის მოსაგებად, ქალაქს რომ სასჯელი ააშორონ, გადაუწყვეტიათ, ერთი ტყვე მონა შესწირონ” (ვოლფი, 2004:121), - ამ სიტყვებით წინასწარმეტყველებას გადასცემს ლაოკოონი მედეას, რადგან წინასწარ იცის, რაც მას მოელის.

მერვე თავიც რენე ჟერარდის სიტყვებით იწყება „სიწმინდე და ძალადობიდან”:

„დღესასწაულმა სარიტუალო ელფერი დაკარგა.

შესაძლოა, ცუდადაც დასრულდეს, რადგან

სადავეები თითქოს გიგანტურმა,

ძლევამოსილმა, ბოროტმა ძალამ ჩაიგდო

ხელში. ბოროტი ძალებისა და მათი

თანამზრახველებისათვის არანაირი

დაბრკოლება არ არსებობს. გეგონება, ყველას

პირი შეუკრავსო”.

(ვოლფი, 2004:123)

მერვე თავი იწყება მედეას მონოლოგით; ის განაჩენის მოლოდინშია, ანუ ლაოკოონის წინასწარმეტყველება ახდა. მედეამ კარგად იცის, რომ ყველასგან განწირულია: „ლისასგან, კოლხებისგან, ოისტრისაგან, არეტუზასგან, კორინთოელებისგან, საკუთარი შვილებისგანაც, დიახ, ჩემი და მისი, იასონის შვილებისგანაც კი. ახლა ისინი მასამართლებდნენ” (ვოლფი, 2004:127). ყველაზე მტკივნეული მედეასათვის, სწორედ, შვილების ასეთი დამოკიდებულება იყო. მედეა ნანობს, რომ კოლხეთიდან გამოიქცა, ნანობს ყველა დანაშაულს რომელიც მან ჩაიდინა და რომელიც არ ჩაუდენია, ეს სცენა მაცნეს მედეასთან მიახლოებით სრულდება.

ვოლფმა პოემის ამ მონაკვეთში მედეას სინანული განსაკუთრებულად აღწერა, გვაჩვენა მისი სულიერი ტრაგედია, განწყობა, სევდა და ნალველი; ასევე, მონანიების სურვილი, რადგან ის მთელი კოლხეთის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს.

პოემის მეცხრე თავი იწყება იასონის სიტყვებით ევრიპიდეს მედეადან:

„ნეტა, შეიძლებოდა, ბავშვები

სხვაგვარად, ქალების გარეშე

ჩნდებოდნენ. რა ბედნიერად იცხოვრებდა მაშინ კაცი”.

(ვოლფი, 2004:142)

იასონი თავის მონოლოგში, მედეას უწოდებს აფთარს და ამბობს, რომ მან თავი თავისით დაიღუპა, თავად კი მის გადასარჩენად ვერაფერს მოიმოქმედებდა და ამიტომაც იყო ჩუმად, რადგან იცოდა, აზრი არ ქონდა, რომ რამე ეთქვა, მასაც იგივე ბედი ეწეოდა. ასევე, ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები, თუ როგორ ეშინია იასონს მედეას მზერის, რადგან არ უნდა ეს ვინმემ შეამჩნიოს და ამით მასაც შეექმნას პრობლემები. ამ ეპიზოდში შესანიშნავად გამოჩნდა იასონის უსუსურობა.

ამავე თავში მედეა იცავს გლავკეს, რაც აქამდე არცერთ მედეას თემით დაინტერესებულ ავტორთან არ გვხვდება, ვოლფის მედეა ბოლო საუბრისას იასონს შემდეგი სიტყვებით აფრთხილებს: „გაფრთხილებ, არ გაბედო გლავკესათვის გულის ტკეწა. ის საოცრად ფაქიზი და ნაზი გოგონაა. მისგან არანაირი დედოფალი არ დადგება და, თუ სიმართლე გინდა, არც შენ ივარგებ კორინთოს მეფედ!” (ვოლფი, 2004:144). საბოლოოდ კი ამ სიტყვებით მედეა მიანიშნებს იასონს, რომ მას ეს სიყალბე ბედნიერებას ვერ მოუტანს და რომ ბედნიერებისთვის ბევრი დრო ისედაც არ დარჩენია.

ამავე მეცხრე თავში იასონი მედეას ქუჩის ქალს უწოდებს, ის განრისხებულია, რადგან „მთელი სამყაროს წინაშე მედეა კი არ იყო მიტოვებული ცოლი, არამედ მე გამოვედი მიტოვებული ქმარი, ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ახია, რაც დაემართა (ვოლფი, 2004:146), საზოგადოების ასეთ დამოკიდებულებას იასონი ძალიან განიცდის და ამავე მონოლოგში ამბობს, რომ ქალები მონებივით უნდა ცხოვრობდნენ იმის გამო, რომ მედეას მსგავსად არ მოიქცნენ, მათში უნდა იყოს მკვდარი ყოველგვარი შებრძოლების სურვილი.

მეათე თავი იწყება დიიტმარ კამპერის სიტყვებით:

„რადაცით ეს პლანეტა, არგოს მაგონებს:

არაფრის მაქნისი მისიით

უმიზნოდ რომ მიჩანჩალებდა,

ბოლოს კი დროის

უკუღმართობამ საერთოდ გარიყა ნაპირზე”.

(ვოლფი, 2004:149)

ამ სცენაში მედეას აძევებენ ქალაქიდან, ყველა ქუჩას ჩამოატარებენ, თითქოს ამით მისი დამცირება სურთ, მაგრამ მედეა უდრეკად იტანს დამცირებას და ბოლომდე არ კარგავს გამბედაობას. ის უჩინარდება ლისასთან ერთად და ვერავინ ახერხებს მის პოვნას, ხალხის აზრით კი ის „ვითომ თვით ქალღმერთმა არტემიდამ წაიყვანა თავისი ეტლით და ყველაზე უსაფრთხო მხარეში, ციურ სავანეში, დაავანაო” (ვოლფი, 2004:152), სინამდვილეში კი მედეა და ლისა თავს აფარებენ გამოქვაბულს, სადაც ძალიან რთულ პირობებში უწევთ ცხოვრების გაგრძელება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კრისტა ვოლფთან მედეა არ არის შვილების მკვლელი, პირიქით - კორინთოელები ხოცავენ მის ტყუპ ვაჟებს და ამით სწამთ, რომ მედეას სამუდამოდ იშორებენ თავიდან. მედეა გაკვირვებულია, თუ რატომ აბრალებენ მას შვილების დახოცვას, უკვირს ეს ყოველივე, ხოლო რაც შეეხება იასონს, ის დაჩაჩანაკებული რჩება ყველასა და ყველაფრის გარეშე და თავს აფარებს ხომალდის ნამსხვრევებს.

ნაწარმოების ბოლო, მეთერთმეტე, ეპიზოდი იწყება ადრიანე კავარეროს სიტყვებით „პლატონი ტროტცისადმი”:

„მამაკაცები მოკლებულნი არიან სიცოცხლის

წარმოშობის საიდუმლოს, სიკვდილში

ხედავენ იმ სამკვიდრებელს, რომელიც,

როგორც კი სიცოცხლეს შთანთქავს, უფრო

ძლევამოსილად წარმოაჩენს მათ”.

(ვოლფი, 2004:157)

ავტორი პოემის ამ საფინალო სცენაში გვესაუბრება კორინთოსში ერთ-ერთი ტრადიციის დამკვიდრების შესახებ, რომელიც მედეას თავს აძულებს ყველა მომდევნო თაობას და სამუდამოდ ლაფს ასხამს მის სახელს: „არინამ გვითხრა, რომ თურმე, ჩემი შვილების მოკვლიდან შვიდი წლის შემდეგ კორინთოს საუკეთესო

ოჯახებიდან შვიდ - შვიდი ქალ - ვაჟი გამოუყვანიათ, თმა გადაუხოტრავთ და ჩემი ბიჭების ხსოვნის აღსანიშნავად ჰერას ტაძარში მიუყვანიათ; მათ იქ ერთი წელი უნდა დაეყოთ და ჩემი შვილების ხსოვნისთვის ელოცათ. ახლა ყოველ მეშვიდე წელს ასე უნდა ყოფილიყო” (ვოლფი, 2004:158). მედეას აზრით, ამ ტრადიციის დამკვიდრებით ყველა მომავალი თაობა მას სხვების შვილების მკვლელადაც ჩათვლის.

მედეა კარგად აცნობიერებს, რომ ამბავი, რომელიც მას და იასონს გადახდა თავს არასოდეს დაავიწყდება მსოფლიოს, რომ მუდმივად შეთხზავენ მათზე ლეგენდებს, ოღონდ მედეა მუდან სამყაროს ბოროტი ჯადოქარი იქნება, იასონი კი - არგონავტების გმირი; ამას თავადვე ეუბნება იასონს: „მგონი, ხალხმა ჩვენზე ის შეთხზა, რაც თავად სურდა. შენ გმირად გაქციეს, მე კი - ბოროტ ალქაჯად”(ვოლფი, 2004:36).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბოლო ეპიზოდი, რომელიც მედეას მონოლოგით სრულდება: „როგორ მოვიქცე ახლა? არსებობს კი სადმე ისეთი სამყარო, ისეთი დრო, რომელსაც მე მოვერგებოდი? მაგრამ ვის ვკითხო, ვინ მიპასუხებს, არავინ მეგულება ასეთი” (ვოლფი, 2004: 158), - მედეას ამ რიტორიკულ შეკითხვას დღეს უკვე დანამდვილებით შეგვიძლია გავცეთ პასუხი, რომ ის ჩვენს საუკუნეშიც ცოცხალია, ახსოვთ და ცდილობენ, მისგან შექმნან ახალი პერსონაჟი, რომელიც კიდევ გაუძლებს საუკუნეებს და გადალახავს მსოფლიოს საზღვრებს, ჩვენს საუკუნეს რომ ნამდვილად მოერგო, ამის დასტურად ბოლო პერიოდში შექმნილი დრამატული პიესებიც კმარა.

კვლევის ბოლოს ნათელი გახდა, რომ ჩვენ მიერ განხილულ მედეას რომანში კრისტა ვოლფის მთავარი გზავნილი მკითხველისთვის არის ის, რომ ისტორიას ყოველთვის გამარჯვებულები წერენ და დღესაც სიმართლე ხშირად იმალება ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკური ინტერესების მიღმა, შესაბამისად, მან პოემაში მედეა წარმოგვიდგინა არა როგორც შურისმაძიებელი ჯადოქარი, არამედ - როგორც ქალი, რომელიც საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი ხდება.

კრისტა ვოლფის ძირითადი სათქმელი შეგვიძლია რამდენიმე ფუნქტად ჩამოვაყალიბოთ:

- ისტორიული სიმართლის ლეგიტიმაცია - ვოლფი გვეუბნება, რომ იმას რასაც ჩვენ ისტორიულ სიმართლედ ვიცნობთ, ხშირად ძალაუფლების მქონე ჯგუფების მიერ განგებ არის შეთხზული;

➤ საზოგადოების მიერ სხვა ქვეყნის წარმომადგენლის მიუღებლობა- რადგან მედეა უცხო მიწიდან იყო, ის იქცა მსხვერპლად, ეს კი გამოიხატა მის მარგინალიზაციასა და დემონიზაციაში;

➤ პატრიარქალური სისტემის კანონები: ავტორი აღწერს, როგორ ხორციელდება ძლიერი და დამოუკიდებელი ქალის, პიროვნების დემონიზება პატრიარქალურ საზოგადოებაში; ამის დასტურად კი გვიჩვენებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მედეას მთავარი დანაშაული არის ის, რომ ის უბრალოდ არ ჯდება საზოგადოებაში დანერგილ ქალურობის ჩარჩოებში;

➤ ძალაუფლებისა და პოლიტიკის შერწყმა - ვოლფი გვაჩვენებს, თუ როგორ შეუძლია პოლიტიკურ ინტრიგებს, გაანადგუროს და ამოძირკვოს ადამიანური ურთიერთობები და მათში ჩაკლას პიროვნული სულისკვეთება.

ავტორის მთავარი სათქმელი ჩვენ მიერ განხილულ პოემაში არის ის, რომ ყველა ადამიანმა, რომელიც თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიიჩნევს, კრიტიკულად უნდა განიხილოს თითოეული ის მოჩვენებითი „ჭეშმარიტება“, რომელიც საზოგადოებაშია დანერგილი; ასევე, ვოლფი მოგვიწოდებს, რომ უნდა დავფიქრდეთ ზოგადად ყველაფერზე, რაც ჩვენს გარშემო ხდება და ბრმად არ უნდა გვჯეროდეს სტერეოტიპებისა.

2.4.4. ანდრეას ფლურაკისის - „მედეას ბურკა“ - იდენტობის სიმბოლო

ბერძენი დრამატურგის - ანდრეას ფლურაკისის „მედეას ბურკა“ თანამედროვე სტანდარტებს მორგებული მონოპიესაა, რომელიც გვთავაზობს მედეას კლასიკური ბერძნული მითის განსხვავებულ, ჩვენს საუკუნეზე მორგებულ, ინტერპრეტაციას, რა თქმა უნდა, პიესაში შენარჩუნებულია კლასიკური მითის ძირითადი სიუჟეტური აზრი, რომელსაც შესანიშნავად ერწყმის მითის ა. ფლურაკისისეული ინდივიდუალური, თანამედროვე ინტერპრეტაცია, რაც პიესას აქტუალურსა და ინტერნაციონალურს ხდის.

მთელი პიესა მედეას მონოლოგია; იგი ყველა საკუთარ ისტორიას, წარსულს, აწმყოს და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება, სხვა პერსონაჟები კი პასიურ როლს ასრულებენ; ამიტომაც პიესა ხიბლავს რეჟისორებს, რომელებიც მუდმივად ცდილობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (ათენი, ნიუ - იორკი, ტირანა და სხვები.) და საქართველოშიც (2022 წელს გაიმართა პერფორმანსი) მის გაცოცხლებას სცენაზე ახლებური ინტერპრეტაციებით.

ა. ფლურაკისი „მედეას ბურკა“-ში გვიყვება ქალზე, რომელიც იმყოფება უცხო მიწაზე, არის ემიგრანტი, რომელსაც უხდება მისთვის განსხვავებულ და არამშობლიურ კულტურასთან და ყოველდღიურ, უცხო რეალობასთან გამკლავება, რადგან მისთვის აუცილებელია არსებულ სოციუმში თავისი იდენტობის დამკვიდრება, რათა გადარჩეს. ავტორი შესანიშნავად ახდენს ტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფას:

➤ ემიგრანტობა - მედეა უცხო მიწაზეა, სხვა იდენტობაში, სხვა კულტურაში, სხვა საზოგადოებაში, ყოველგვარი მშობლიურისგან შორს;

➤ საკუთარი თავის (იდენტობის) შენარჩუნება - მედეას პერსონაჟი გამუდმებით ცდილობს მშობლიური კულტურისა და მისთვის მისაღები ნორმების დაცვასა და შენარჩუნებას, რაც გამოიხატება მის სურვილში, მუდმივად ქონდეს არჩევანის თავისუფლება;

➤ პატრიარქალური წესების გავლენა - მიუხედავად იმისა, რომ მედეა იმ კულტურის მატარებელია, სადაც პატრიარქალური წესები და კანონები მოქმედებს, ის უცხო მიწაზე არსებულ ასეთ წესებს მაინც მუდმივად ებრძვის და ცდილობს,

გაუმკლავდეს საკუთარ თავშიც და უცხო კულტურაშიც არსებულ პატრიარქალურ სტერეოტიპებს.

ტექსტი იწყება განსხვავებული შესავლით: „სანაპირო. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე. მედეა, რომელიც ბურკითაა შემოსილი, შეზღონგზეა წამოწოლილი. თვალები დახუჭული აქვს. იქვე საზღვაო ჩანთა დევს” (ფლურაკისი, 2020 : 83), - ამგვარი დასაწყისით თავიდანვე იკვეთება, რომ მედეა თანამედროვე, ჩვენი დროის ქალია, რომელიც შეზღონგზეა წამოწოლილი, მზეს ეფიცება და ისვენებს. აქვე თამაშობენ მისი შვილებიც, მაგრამ, რატომღაც, ისინი გოგონები არიან; ნაწარმოებთა უმრავლესობაში ანტიკურობიდან მოყოლებული ხაზგასმულია, რომ მედეას ყავს ვაჟები, ხოლო მედეას შვილებად გოგონების წარმოჩენა ავტორის მხრიდან კიდევ ერთ სახესხვაობად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მედეას მონოლოგი იწყება მისი შემზარავი სიტყვებით, რომელიც დაგეგმილ უბედურებას მოასწავებს:

„დღეს მძიმე დღეა.

დღეს ყველას თავისი მიუზღვება.

ერთ საათში ყველაფერი თავდაყირა დადგება.

ასე სჯობს.

რაც მოსახდენია, მოხდეს!

ამას მაინც აჯობებს.

(ფლურაკისი, 2020 :83)

ტექსტის მიხედვით იკვეთება, რომ მედეას ემიგრანტობის მიზეზი იასონია; იგი თავადაც ამბობს, რომ მას იასონი შეუყვარდა და მისი სიყვარულის გულისთვის გაცნობიერებულად იქცა ემიგრანტად უცხო მიწაზე:

„აქ იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ ომს გამოვექეცი,

ან სიღარიბეს.

მამაჩემი მეფე იყო.

აქ არც სასწავლებლად ჩამოვსულვარ.

არც იმიტომ, რომ დამოუკიდებლად მეცხოვრა და

სხვის კისერზე არ ვყოფილიყავი.

აქ არც ვიღაც კაცის გამო ჩამოვსულვარ,

ვიღაც ჩვეულებრივი, რიგითი კაცის გამო.

აქ იასონის გამო ჩამოვედი”.

(ფლურაკისი, 2020 :83)

პიესაში მედეა და იასონი დევნილები არიან უცხო მიწაზე, მედეა კი დევნილობას განიცდის და ზუსტად იცის, რასაც ნიშნავს ეს „სტატუსი”:

„მარტო სამშობლო არ მიმიტოვებია, არც მარტო ოჯახი.

მეგობრები მივატოვე,

ენა მივატოვე,

ჩემი ახალგაზრდობა მივატოვე

სამუდამოდ.

საზღვარი როგორც კი გადავკვეთე,

უმაღლესი ღმერთი ვიქეცი,

საკუთარ მიწას მოწყვეტილი...

მიზეზი ყოველთვის მეორეხარისხოვანია.

მხოლოდ ღმერთილობა რჩება.

გავხდი მიუღებელი სამყაროში,

სადაც ფიქრობდნენ, რომ უცხოელები თავიანთ

სამშობლოში უნდა დატეულიყვნენ”.

(ფლურაკისი, 2020:88)

ტექსტის თანახმად მოქმედი გმირები მანქანებითა და თვითმფრინავებით გადაადგილდებიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თანამედროვეობას:

„ჩემმა ქმარმა „განსაკუთრებულად” გამომაპარა

სპარსული ხალიჩებით დატვირთულ სატვირთო

მანქანაში კი არ ჩამსვა,

ან ცხვრებით გამოტენილ მაცივარში, გაყინული აზია რომ

გადმომეკვეთა,

არც ნავზე დამსვა სხვა ლტოლვილებთან ერთად, ეგეოსი

რომ გადმომელახა.

იასონმა თვითმფრინავის ბილეთი დამიჯავშნა, ბიზნესკლასი”.

(ფლურაკისი, 2020 :89)

ფლურაკისი მედეას ისევ ძმის მკვლელად ტოვებს, მაგრამ მედეას კი არ მიჰყავს ის ძალით, არამედ ძმა თავად მიჰყვება გაქცეულ წყვილს და შემდეგ მედეას უწევს მისი მოკვლა გარემო პირობებიდან გამომდინარე, რადგან სხვა გზა აღარ აქვს:

„ როცა იასონთან ერთად გავიპარე,

უკან არც მომიხედავს.

ჩემი ძმაც აგვეკიდა.

სულელი არსება, რომელმაც ჩვენთან ერთად გაქცევით

საკუთარი სულელური პროტესტი გამოხატა.

მამაჩემი თავისი ზონდერებით უკან დაგვედევნა.

იასონი გიჟივით მართავდა მანქანას,

მაგრამ ისინი მაინც დაგვეწეოდნენ.

დანა ავიღე და ჩემს ძმას ყველი გამოვჭერი.

ქალივით კვნესოდა”.

(ფლურაკისი, 2020 :84)

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ფლურაკისთან მედეა ქვეყნის მოღალატე და ტირანია, რომელიც მუდმივად, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, ფიქრობდა ოჯახის წევრების დახოცვაზე, ამას თავადვე ამბობს მონოლოგში:

„ჩემი ძმის ხმაღს ვიღებდი

და უყოყმანოდ ვარჭობდი ბალიშს.

ბევრჯერ მომიკლავს ასე მამაჩემი

იმიტომ, რომ ჩემს ძმას ჩემზე წინ აყენებდა,

ძალაუფლების ფლობას ასწავლიდა.

ზოგჯერ დედაჩემსაც ვკლავდი ხოლმე

იმიტომ, რომ ოცნებობდა, მას დავმსგავსებოდი -

კაცებს დამორჩილებული,

ქალებს შორის გამორჩეული”.

(ფლურაკისი, 2020 : 85)

ამ სცენის აღწერით ავტორი შემზარავად გადმოგვცემს მედეას სულიერ მდგომარეობას, რომელსაც ბავშვობიდან სწყუროდა ვიღაცის მოკვლის სურვილი და ამითვის ბევრს ვარჯიშობდა ცხოველებზე, თუმცა, აქვე თავადვე ამბობს, რომ ადამიანის მოკვლა სულ სხვა ემოცია ყოფილა, რომელსაც გამბედაობა და სიძლიერე სჭირდება:

„ადამიანის მოკვლა სულ სხვა რამაა,

ვიდრე ცხოველის.

ისევე, ალბათ, როგორც საკუთარი ძმის მოკვლა,

საკუთარი სისხლის და ხორცის.

თითქოს ნაცნობ კარს ხურავ შენ უკან.

სამუდამოდ.

მე მხოლოდ კი არ დავხურე ის კარი,

ლურსმნებითაც ამოვჭედე”.

(ფლურაკისი, 2020 : 87)

მედეა ბრძენი ქალია თანამედროვე საუკუნეშიც; ფლურაკისთან ის საოცარი სიბრძნით გამოირჩევა, მან კარგად იცის, როგორ უნდა გადაირჩინოს თავი. პიესაში კარგად არის ნაჩვენები, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მედეას ჩვენს დროში რომ ეცხოვრა.

„ ერთ დილას, რვა თვის ფეხმძიმე რომ ვიყავი,

სკამიდან ავდექი და ზღვას მიუყახლოვდი.

მშვიდი ზღვა იყო.

არც ერთი ტალღა.

კაბა ცოტათი ავიწიე და ფეხები წყალში ჩავყავი.

ჩემი მუცლის ანარეკლში თევზმა გაცურა,

კუდით რაღაც მოხატა და გაუჩინარდა.

ორ რამეში ვიყავი დარწმუნებული,

რომ გოგო გამიჩნდებოდა

და რომ ზღვა ქალი იყო, ჩემსავით.

თავსაბურავი მოვიძრე, რომ გავცნობოდი”.

(ფლურაკისი, 2020 :94)

მედია, ტექსტის მიხედვით, ატარებს ბურკას, რომელიც ავტორმა განზრახ შემოიტანა მონოპიესაში, რათა ამით ეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს საკუთარ „იდენტობას“, ფესვებს, ადათ - წესებსა და წარმომავლობას:

„ბურკა იმიტომ კი არ მაცვია, რომ ვინმემ დამაძალა,

ვინმე კაცმა ან რამე კანონმა.

უბრალოდ, ასე მინდა.

მის გარეშე თითქოს შიშველი ვარ.

საშინელება არ არის, შიშველმა იარო იმის გამო,

რომ რომელიღაც კანონი ამას გაიძულებს?

მაგრამ ცოტა ხანში, ალბათ, ეჩვევი.

სახეს იმიტომ ვმაღავ,

რომ ეს ერთადერთია, რაც სამშობლოდან შემომრჩა.

თავიდან არ მინდოდა,

სამუდამოდ უცხოდ დავრჩენილიყავი.

ახლა ვამაყოფ ამით”.

(ფლურაკისი, 2020:100)

როგორც აღვნიშნეთ, ბურკის ამგვარი დატვირთვა ავტორის საუკეთესო ჩანაფიქრს წარმოადგენს, რადგან ეს გახლავთ თავსაბურავი, რომელიც, ერთი მოსაზრებით, შეიძლება, იყოს ნებისმიერ სიტუაციაში უკან დასახევი გზის არსებობა მედეასთვის და მეორე შემთხვევაში - მისი „იდენტობა“, რომლის დათმობაც არ სურს და მზადაა, ამისთვის გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი, თუნდაც - იასონის სიყვარული. ამდენად, ბურკა ნაწარმოების მნიშვნელოვანი რეკვიზიტია:

„ აქ რომ ჩამოვედით, თავიდან იასონი მარწმუნებდა,

ჩადრი მომეხსნა და

სახე გამომეჩინა.

უნდოდა, მის საზოგადოებას მიველე,

მათ ქალებს დავმეგობრებოდი.

მე, მეფის ასული, მათ დავმეგობრებოდი!

მგონი, გულის სიღრმეში მაინც მოსწონს,

სახეს რომ ვმაღავ,

რომ სხვა კაცს არ უნახავს ჩემი სქელი თმა,

არავის უნახავს ჩემი ტუჩების ფერი”.

(ფლურაკისი, 2020 :99)

პიესის დასასრულს მედეა სწორედ ამ რეკვიზიტით შეძლებს თავის გადარჩენას.

მედეამ გაცნობიერებულად იცის, რომ უცხო მიწაზე არანაირი უფლებები არ აქვს, რომ იასონს არ უყვარს და მის მიტოვებას აპირებს:

„ჩემს ქმარს სხვა ქალი შეუყვარდა.

ჭორად არ გამიგია.

ჩემი ქმარი ღამის წყვდიადში ფოსფორიკით ანათებდა,

როდესაც სახლიდან მიდიოდა, რომ დილით დაბრუნებულიყო.

გარს გველები მეხვეოდა.

ყველა ნიშანი ხილული იყო.

ჩემს ქმარს ვიღაც ჰყავდა.

არ იყო საჭირო ჩემთვის ამის თქმა. ისედაც ვხვდებოდი.

თუმცა...

გუმინ ქალაქიდან ქალბატონები ჩამობრძანდნენ

ურჯულოს მოსანახულებლად

და ყველაფერი ჩამიკაკლეს.

მომახსენეს, რომ ჩემი ქმარი მღალატობს ქალთან,
რომელიც ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა,
თანაც - მისი რჯულის ყოფილა.”

(ფლურაკისი, 2020:102)

თვალშისაცემია ფაქტი, რომ ფლურაკისის მედეა არ არის შვილების მკვლელი, პირიქით - ის მათ გადაარჩენს კიდეც კოლხეთში დაბრუნებით. მართალია, მედეა შვილების გარეშე რჩება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვს, სხვანაირად ვერ იხსნის მათ სიცოცხლეს - იგი ბავშვებს უკან, სამშობლოში აბრუნებს საკუთარ მამასთან (აიეტთან) და თითქოს ამით ინანიებს ჩადენილ ცოდვას მამისა და მთელი ერის წინაშე:

„მამაჩემს ეტყვი, რომ შვილიშვილი ხარ მისი.

თვალცრემლიანი მოგეხვევა და დედოფლად გაკურთხებს

და ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა ყოფილიყო

და როგორც არ არის.”

(ფლურაკისი 2020 : 108)

ასევე, უმცროს ქალიშვილთან საუბრისას მედეა გადაწყვეტს, ამდენი ხნის შემდეგ ბოდიში მოუხადოს მამამისს ჩადენილი დანაშაულებების გამო და ქალიშვილს აბარებს მასთან ბოდიშს, რითაც ის აღიარებს ჩადენილ დანაშაულს მამის წინაშე:

„და როდესაც ჩააღწევ, მინდა, ერთი რამ გააკეთო ჩემთვის,

ოღონდ, არ დაგავიწყდეს,

მინდა, ბაბუას ჩემგან ბოდიში მოუხადო.

ბოდიში ყველაფრისთვის.

უთხარი, რომ ხშირად ვფიქრობ მასზე,

რაც დრო გადის, სულ უფრო - ხშირად”.

(ფლურაკისი, 2020 :109)

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ მედეას ყველა სახლი მონოპიესაში ზღვის სანაპიროზეა, ეს ერთგვარი სამშობლოს ნოსტალგიაა:

„როდესაც მეორეჯერ გამოვიცვალეთ საცხოვრებელი,

უცნობებმა უცნობთა შორის,

ზღვასთან ახლოს მდგარი სახლი დავიქირავეთ.

ტალღები ერთ წუთსაც კი არ მშორდებოდნენ.

ამბობენ, სხვა პლანეტებზეც არის მიწისქვეშა ზღვები,

მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს ზღვას არ ჰგვანან”.

(ფლურაკისი, 2020:102)

მედეა ამ პიესაშიც იასონზე უზომოდ შეყვარებული ქალია, რომელიც მზადაა, მისთვის დაუფიქრებლად გაწიროს ყველაფერი, რაც აბადია:

„მე და მამიდა ერთმანეთს ვგავართ -

მასაც უცხო შეუყვარდა, ოდისევსი.

ყველაფერი გააკეთა მისთვის, მაგრამ იმან გული ატკინა,

სიმწრის სისხლი ადინა.

მეც უცხოელი შემეყვარდა.

ისტორია წრეზე ტრიალებს,

მეორდება”.

(ფლურაკისი, 2020:104)

პიესის დასასრულს მედეა კლავს იასონის ახალ სიყვარულს, რის გამოც გადაწყვეტენ მის დაჭერას, თუმცა, ვერავინ ცნობს მას, არავინ იცის ის სახეზე როგორია, რადგან თავსაბურავი, რომელიც მედეას აქვს შემოხვეული, მთლიანად უფარავს სახეს; მხოლოდ იასონი სცნობს მის ნამდვილ სახეს:

„ჩემი ბურკა

მეკობრეების ბაირადივით იფრიალებს ჰორიზონტზე.

თავის ქალა ჩემს დროშაზე

სისხლს გაუყინავს”.

(ფლურაკისი, 2024 :106)

ბოლო წუთებში მედეა იხდის ბურკას და თავს წარმოაჩენს ჩვეულებრივ ქალად, რომელიც ზღვის სანაპიროზე ირუჯება; მასთან მისულ სამართალდამცავებს კი ეუბნება, რომ მან დაინახა ქალი, რომელმაც გაიხადა ტანისამოსი და ზღვაში გაუჩინარდა.

ავტორმა გვიჩვენა სრულიად მარტო დარჩენილი ქალი უცხო სამყაროში, დევნილი, დამცირებული და ღირსებაშეღახული, მაგრამ ეს მას არ აღელვებს, რადგან თავის სიმართლეს ბურკის ქვეშ მალავს.

პიესაში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ აგრძელებს მედეა ცხოვრებას, ბრუნდება თუ არა სამშობლოში და, საერთოდ, რა ბედი ეწევა მას; ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა, უამრავი მოსაზრებანი გვაქვს, რომლებიც, უბრალოდ, გამოთქმულ ჰიპოთეზებად რჩება.

სიუჟეტი, რომელიც აღწერს მედეას ტრაგიკულ ისტორიას, სადღაც ბოლოში წყდება, ის იწყებს ახალ ცხოვრებას ძველი „იდენტობის” გარეშე; ამიტომაც იხდის ბურკას, ანუ ამით იშორებს წარსულს და იწყებს ახალ ცხოვრებას.

ასევე ვერაფერს ვიტყვით მედეას შვილების შესახებ, რადგან ძნელი სათქმელია, ჩავიდნენ თუ არა ისინი კოლხეთამდე, ან, თუ ჩავიდნენ, მიიღო თუ არა აიეტმა და სცნო თუ არა ისინი შვილიშვილებად; თუმცა, მედეას განზრახვა (შვილების კოლხეთში დაბრუნება) უკვე ითვლება მონანიებად.

ერთი რამ მონოპიესიდან ნამდვილად ჩანს: პერსონაჟს, რომელმაც ერთდროულად გაანადგურა წარსული, აწყო და მომავალი, არ გაუჭირდებოდა, ახალი იდენტობით ღირსეულად ეცხოვრა იმ ადგილას, სადაც მისი ფასი იცოდნენ.

III თავი: „მედეას მითის რეცეფცია ქართულ მწერლობაში

(პოემა, რომანები)“

3.1. მედეა ქართულ ლიტერატურაში

მედეას პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ გვიან ჩნდება; მას არ თვლიდნენ ქართული ლიტერატურის ორგანულ პერსონაჟად; ის უფრო ბერძნული მითებისა და ანტიკური ლიტერატურის სახედ მოიაზრებოდა, რადგან, სწორედ, ანტიკურმა ლიტერატურამ შემოგვინახა მედეა, იმ სახით როგორც ის იყო ცნობილი მსოფლიო ლიტერატურაში.

ქართულ მითოლოგიაში მედეას შესახებ არაფერია ნათქვამი; სავარაუდოდ როცა მან კოლხეთი დატოვა არგონავტებთან ერთად ის მოღალატედ ჩათვალეს და მისი სახელიც დაივიწყეს, თუმცა, დღეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით რომ „ქრისტიანობამდელი საქართველო, ძველი კოლხეთი, უმაღლესი ცივილიზაციაა, ამ ცივილიზაციის გვირგვინი კი კონკრეტული პიროვნებაა - მედეა!“ (ბერძენიშვილი, 2023:74).

ქართველი მწერლები შეგნებულად თავს იკავებდნენ ამ ამბის გადმოცემისგან, რადგან მათ აფრთხობდათ სისასტიკის და ბოროტების ის მასშტაბები, რაც მედეას სახელს უკავშირდებოდა და კითხვები, რომლებიც აუცილებლად წამოიჭრებოდა:

- მართლა უღალატა ოჯახს და სამშობლოს?
- მართლა მოკლა საკუთარი ძმა?
- მართლა დახოცა თუ არა საკუთარი შვილები?

შესაბამისად ეს გარემოება აფიქრებდა და აშინებდა ქართველ მწერლებს და ამით უნდა აიხსნას მათი ხანგრძლივი დუმილი და ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურაში კოლხი მედეას პერსონაჟი მხოლოდ XIX საუკუნიდან ჩნდება. მანამდე ის ქართული ლიტერატურის ნაწილი არ ყოფილა.

საუკუნეები დასჭირდა იმის გააზრებას და მიღებას თუ რაოდენ მასშტაბური იყო მედეას სახისმეტყველება მსოფლიო ლიტერატურაში და სინამდვილეში თუ როგორი დიდი წინაპარი იყო ქართველებისთვის მედეა, რომლის გამოც კი არ უნდა

შერცხვენოდათ, არამედ უნდა ეამაყათ, ხოლო მის მიერ შვილების მკვლელობის სიუჟეტის გამოგონებაც უნდა ეპატიებინათ ევრიპიდესათვის, რადგან „სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კოლხი ქალისგან შექმნა მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე გრანდიოზული ქალი პერსონაჟი, რომლის წარმომავლობის შესახებ ყველამ შესანიშნავად იცის” (ბერმენიშვილი, 2023:62).

პირველი ქართველმა მწერალი ვინც გაზედა და ხმამაღლა დაიწყო მედეაზე საუბარი, გახლდათ აკაკი წერეთელი, რომელმაც მედეასა და არგონავტების მითის საფუძველზე შექმნა პოემა და მას სახელად უწოდა „მედია”.

აკაკი წერეთელმა თითქოს სტიმული მისცა საზოგადოებას რადგან მომდევნო პერიოდში უკვე გაიზარდა მედეას თემისადმი ინტერესი მწერლების, ისტორიკოსებისა და მკვლევრების მხრიდან; ისინი აქტიურად დაინტერესდნენ მედეათი, თუმცა, მიუხედავად ამ ინტერესისა, ყველა მათგანმა და შესაბამისად, მკითხველებმაც ერთხმად, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, დამნაშავედ აღიარეს კოლხი ასული, რადგან, მათი თქმით, მედეა ქართველი, კოლხი ქალი იყო, რომელმაც უღალატა სამშობლოს, კოლხეთის სამეფოს წაართვა დიდება, დაამხო მისი ძლიერება, გაწირა საკუთარი ძმა და მამა, ყველაფერი დათმო იასონის სიყვარულის გამო; სწორედ, ეს ვერ აპატია - ეს ქართველებმა მას, თანაც შვილების დახოცვის ცოდვაც თან ახლდა მედეას ისტორიას, რომელიც ქართველებზე განსაკუთრებულად მოქმედებდა და უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა. ქართველ მწერალთა და მკითხველთა აზრით, მედეას მიერ ჩადენილი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაული არ გავდა ქართველი ქალის ქმედებას, რომელმაც გრძნობასა და მოვალეობას შორის გააკეთა არჩევანი და გაწირა სამშობლო, ძმა, მშობელი მამა და დახოცა შვილები.

საზოგადოებაში დამკვიდრებულმა სტერეოტიპებმა საბოლოო ჯამში მედეას გარშემო გამოიწვია ის, რომ ქართველმა ავტორებმა მედეას პერსონაჟი უარყოფითი კონტექსტით წარმოგვიდგინეს. სამწუხაროდ, ასეთი იყო საუკუნეების წინათ არსებული დამოკიდებულება მედეას პერსონაჟის მიმართ საქართველოში, მაგრამ, დღეს, საბედნიეროდ, დაიწყო კოლხი მედეას „დაბრუნება” ქართულ რეალობაში.

ქართველებისთვის სამწუხარო რეალობას წარმოადგენდა ისიც, რომ ევროპამ საქართველო გაიცნო მოღალატე ქალის სახით, რადგან მედეა იყო პირველი კოლხი ქალი, რომელიც გასცდა საქართველოს საზღვრებს და მთელი კოლხეთი გააცნო ევროპელებს; ამიტომაც თვლიდნენ, რომ თითქოს მედეამ „შეარცხვინა“ ჩვენი ქვეყანა და უჩვენა მსოფლიოს, რომ ვართ ერი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, საკუთარი გრძნობების გამო გაწიროს სამშობლო, ოჯახი, შვილები.

ქართული საზოგადოება მუდმივად მიიჩნევდა, რომ მედეას ბევრი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, რადგან ის იყო კოლხეთის მეფის ასული, რომელსაც პირველ რიგში პასუხისმგებლობა ჰქონდა საკუთარი ქვეყნის წინაშე, შემდეგ კი მამისა და ოჯახის მიმართ, მათი აზრით, ქვეყნის წინაშე დაკისრებული მოვალეობა გულისხმობდა თავგანწირვას, მედეამ კი, ოქროს საწმისის გაცემით საკუთარი ქვეყნიდან გაიტანა ყველაზე დიდი სიმდიდრე, თავისუფლება და სამშობლოს წაართვა ძველი დიდება და სახელი, რაც უპატიებელ დანაშაულად ითვლებოდა.

ქართველებმა დღემდე ვერ ვაპატიეთ მედეას დანაშაული, რომელიც მან ქვეყნის წინაშე ჩაიდინა. სავსებით სწორად შენიშნავს, სოფიო შამანიდი, რომ: „დღევანდელი საზოგადოება აღარ უნდა ახდენდეს საკუთარი თავის, საკუთარი ერის იდენტიფიკაციას ამა თუ იმ გმირთან, თუმცა როგორც ჩანს, ადამიანის გენეტიკური მეხსიერება ძალზე ძლიერია, რაც ხშირად ქვეცნობიერად განაცდევინებს მას თავისი წინაპრის (თუნდაც მითოლოგიურის) საქციელს - საგმიროს ან პირიქით, და თუ ეს საქციელი უღირსია, მაშინ იგი ყველა ხერხით შეეცდება, გაამართლოს თავისი წინაპარი” (შამანიდი, 2024:9); ამიტომაც არის, რომ დიდხანს ვერ უთანაგრძნობდნენ ქართველი მწერლები მედეას, მკითხველი კი ვერ განიცდიდა მასთან ერთად ტკივილს; იქ, სადაც იწყებოდა სამშობლოს ღალატი, მკითხველიცა და ავტორიც ტოვებს მედეას ბედის ანაბარად, რადგან „ამ ქვეყანაში ხშირად მედეა მხატვრული კულტურიდან რეალობაში გადაინაცვლებს და საზოგადოების განსჯის საგანი ხდება - მას განიხილავენ ტექსტებს მიღმა - არა როგორც რომელიმე ნაწარმოების პერსონაჟს, არამედ - როგორც რეალურ ადამიანს. შესაბამისად, მედეას სახე არა ფილოლოგიურ, არამედ ზნეობრივ - ეთიკურ ჭრილში განიხილება” (შამანიდი, 2024:13), ამ მხრივ კი მედეას მიმართ კრიტიკა საკმაოდ მძლავრი და დაუნდობელია.

მომდევნო პერიოდის ქართულ ლიტერატურაში „ბრუნდება“ მედეა; სულ სხვანაირად, მთელი თავისი მასშტაბურობით ჩვენ დღეს ვამაყობთ კიდეც იმით, რომ ის იყო, ქართველი, კოლხი ქალი, ჩვენი დიდებული წინაპარი, რომელმაც უცხო მიწაზე საკუთარი იდენტობის საკითხი განსაზღვრა და ასე გააცნო მსოფლიოს ჩვენი სამშობლო.

მედეას პერსონაჟის სახისმეტყველება ქართულ მწერლობაში საკმაოდ ვრცელი და რთული საკითხია შესასწავლად, განსაკუთრებით კი - მისი ლიტერატურული პერსონაჟის ასახვის პირვანდელი მცდელობების სათანადოდ გაანალიზება, რომელიც მოიცავს XIX – XX საუკუნეთა პერიოდს; სირთულეს და საკითხის მასშტაბურობას იწვევს ის გარემოება, რომ მედეას სახე ქართულ ლიტერატურაში (ტექსტების მაგალითზე) მუდმივად ვითარდებოდა და თანდათან ახალ ინტერპრეტაციებს იძენდა.

3.1.1. მედეა აკაკი წერეთლის პოემაში „მედია“

აკაკი წერეთელმა გააცოცხლა მედეა ქართულ რეალობაში და ახალი სიცოცხლე შთაბერა მას, რომელიც შემდეგ ერთგვარ სამანდ იქცა სხვა ხელოვანთათვის, რადგან აკაკიმ შექმნა და დაამკვიდრა გარკვეული კანონზომიერებები მედეასა და არგონავტების ამბის: „აიეტის კოლხეთის სამეფოს არსებობა რეალობაა და კოლხეთთან დაკავშირებული პერსონაჟები საქართველოს უძველეს ისტორიას ასახავენ; არგონავტების ლაშქრობა კოლხეთისათვის საბედისწერო იყო, რადგან ოქროსს საწმისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის; აუცილებლობად მიიჩნევა მედეას სრული რეაბილიტაცია და მისი „გათავისუფლება“ ჩადენილი ცოდვებისაგან” (შამანიდი, 2024:19).

აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქართველებს მედეა არ უყვარდათ, რცხვენოდათ მისი ავტორმა ამ ნაწარმოების შექმნით კი ერთგვარი ბიძგი მისცა სხვა მწერლებს, რომ ეს პერსონაჟი საკუთარი ინტერპრეტაციით დაემუშავებინათ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, აკაკიმ როგორც „პირველმა“, ვინც ამ

საკითხზე წერა დაიწყო, სხვებს განუსაზღვრა შეხედულებები, რომლებიც შემდეგ დამკვიდრდა და დიდხანს არც შეცვლილა.

ა. წერეთელი ცდილობს მედეას რეაბილიტაციას და ამისთვის იყენებს არგონავტების მითის სიუჟეტებსა და ევრიპიდეს მედეას ტექსტს. ასევე, ცნობილია, რომ „თავდაპირველად პიესა ტრილოგიად იყო ჩაფიქრებული: მედია კოლხიდაში, მედია ელადაში და მედია სამშობლოში დაბრუნებული, თუმცა განზრახვა შეუსრულებელი დარჩა - პოეტმა 1875 წელს გამოაქვეყნა მხოლოდ მისი პირველი ნაწილი, სახელწოდებით მედია” (შამანიდი, 2024:20), თუ კარგად დავაკვირდებით ამ დაყოფას, მაშინვე ნათლად დავინახავთ, რომ წერეთელი ცდილობდა მედეას სამშობლოში დაბრუნების ეპიზოდის აღწერით მის რეაბილიტაციას და თითქოს ყველა იმ ცოდვისა და შეცდომის აღმოფხვრას, რასაც მანამდე მედეას მიაწერდნენ.

წერეთლის დრამა დაყოფილია 5 მოქმედებიან ნაწილებად, რაც სცდება ანტიკური დრამის წესებს და გადადის პოეტის თანამედროვე ეპოქის დრამატურგიის წესებზე; ამას ადასტურებს ისიც, რომ პოემაში არ მონაწილეობს ქორო და არ არის შეზღუდული გმირთა რაოდენობა ეპიზოდებში; მას, ასევე, შემოჰყავს სხვა ახალი პერსონაჟები (მოქრი - მოჭიდავე; ქლიბი - დელი) და ცვლის სახელებს საკუთარი ქვეყნის ტრადიციული სახელებით (იათა - კოლხეთის მამასახლისი; გექადა - მამასახლისის მეუღლე; მედია - მათი ასული; იასირ - მათი ძე; თირთა - იათას და; ძუძუდა - მედიას დობილი; იაზონ - ბერძნის მთავარი).

პიესის მნიშვნელოვანი დეტალია ჩვენი ძირძველი მითის პერსონაჟი - „ამირანის” გამოჩენა, რომლის ხმასაც არგონავტები გაიგონებენ კოლხეთში შემოსვლისას, ეს ეპიზოდი წერეთელმა განზრახ შემოიტანა პიესაში, რათა ის დაეკავშირებინა აპოლონიოს როდოსელის ვერსიისათვის, რომლის თანახმადაც არგონავტებს შემოესძებათ პრომეთეს ხმა, ანუ ამ ინტერპრეტაციით აკაკი შეგნებულად ცდილობს პრომეთესა და ამირანის მითების იდენტურობის ჩვენებას და ამ მოსაზრებას საკუთარ კომენტარებში შემდეგნაირად ამტკიცებს: „ბერძნული სიტყვა „პრომეთეოსი” ნიშნავს „შორსმჭვრეტელს”; აქაც ამირანს „შორსმხედველობას” აწერენ: „ცაში არა გამოეპარებოდა რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო”, - გვარწმუნებს ზეპირგადმოცემა” (შამანიდი, 2024:23).

პიესაში მწერალს განგებ აქვს დატოვებული კოლხეთის მიწაზე არგონავტთა ყოფნის ეპიზოდი, თუმცა პიესა ძირითად ფაბულას მაინც მიყვება, ანუ: იასონი კოლხეთში ჩამოდის; იასონსა და მედეას ერთმანეთი უყვარდებათ; იასონი გაიტაცებს საწმისს და მედეასთან ერთად დატოვებს კოლხეთის მიწას. ამ ეპიზოდებს, რა თქმა უნდა, აკაკი მისეულად აღწერს - ის გადაწყვეტს, თხორობა დაიწყოს იმ ეპიზოდიდან, როცა იასონი და მედეა პირველად ხვდებიან ერთმანეთს, რითაც პაექრობას უცხადებს ევრიპიდეს.

განსაკუთრებულია პიესის პირველი მოქმედება, რომელიც იწყება გარემოს აღწერით, სადაც მედეა გაიზარდა; ამისთვის აკაკი იყენებს მის სამწერლობო ტექნიკას და უხვად იშველიებს მეტაფორებსა და ეპითეტებს, მწყობრ, მელოდიურ რითმებს:

„რა საოცარი რამ თამე იყო!..

აქ ირყეოდა მთლად მთა და ბარი

და იქ ქვესკნელი ისე კვნესოდა,

თითქოს ჯოჯოხეთს აეშვას ზარი!..

ზესკნელ - ქვესკნელის ბანის მომცემად

ცა, მრისხანებით გადმოძუხარე,

ადიადებდა ქვეყნის გასაჭირს

და დედამიწა თრთოდა მწუხარე!..”

(წერეთელი, 1989: 398)

წერეთელთან თირთეია (კირკე), სხვა წყაროებისგან განსხვავებით, არის კოლხეთში, მედეას გვერდით, თუმცა, მისი ფუნქცია - ჯადოქრობაში განსწავლულობა - შენარჩუნებული აქვს, ის ისევ ეხმარება მედეას და რჩევას აძლევს:

„ რაც გაგახსენდეს, ნურას დაფიცავ,

მიამბე, შვილო, და დამისახე!..

ზოგი სიზმარი ამქვეყნიური

ხარბი ოცნების მონადენია,
ზოგი ციური განცხადებაა
და მნათობისგან მონაფენია!..
გარჩევა უნდა მათ ერთმანეთში
და მერე ახსნა... ეს არც მნელია:
გონების შუქი იქ უფრო გასჭრის
და გაანათებს, სადაც ბნელია”.

(წერეთელი, 1989: 403)

პიესის პირველი ეპიზოდის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედეა კოლხეთის მიწაზე ცხოვრობს სიმშვიდეში, ბედნიერებასა და უდარდებლობაში.

მეორე მოქმედება იწყება იასონის მონოლოგით, სადაც ის აღწერს კოლხეთის მშვენიერებას და „ბარბაროსთა მხარეს” (როგორც ისინი უწოდებდნენ კოლხეთს), ადარებს მის მშვენიერ ელადას:

„მე კი ახლავე წამომიტყუა
უცხო ბუნების მშვენიერებამ!..
ამაფროთოვანა, ზემიტაცა...
სრულად გამმჭვალა მით ნეტარებამ!..
მშვენიერია ჩვენი ელადა,
მაგრამ ეს მცირე ბარბაროსთ მხარე
ისე სჯობია მას შედარებით,
როგორც ვარსკვლავებს - გავსილი მთვარე!..

(წერეთელი, 1989 : 408)

ამავე ეპიზოდში უყვარდებათ მედეასა და იასონს ერთმანეთი, აქვე ცდილობს აკაკი იასონის სახის წარმოჩენას და მისი ფლიდობის აღწერას, რასაც მწერალი კარგად

ახერხებს და ნათელს ხდის, რომ იასონი ცდილობს დაბრკოლებების გადალახვას არა გმირობით, არამედ - ეშმაკობით:

„მიყვები რჩევას იმ დედაბრისას
და გამოვნახავ სადმე უფლისწულს,
რომ ჩვეულების მიხედულობით
დავუძმობილდე, დავემეგობრო
და შესასწავლად ამ უცხო მხარის
გამოვიყენო უფრო მეტი დრო!..
შევიტყო ხალხის რიგი და წესი,
ავწონო მათი ზნე - ჩვეულება,
ღმერთებს მივმართო და ჩემ სურვილებს
შევუკავშირო მათი უფლება...”

(წერეთელი, 1989: 418)

ამევე პოემის მეორე მოქმედებაში იასონი იწყებს მედეას ამბის გამოკითხვას და ძლიერად მოიხიბლება მისით, რადგან მჭედელი ეუბნება:

„ის მედიაა, მამასახლისის
მზეთუნახავი და პირმზე ქალი,
აქ დადის ხოლმე, ამ ტყე - ჭალებში,
ჰკრეფს და აგროვებს ყვავილ - ბალახებს,
რომელიც წამლად კი გამოდგება
და რომელიც არ - ხელსაც არ ახლებს!..

(წერეთელი, 1989: 412)

პოემის მესამე ეპიზოდში საცნაური ხდება, რომ იასონს მედეაზე უარის თქმა არ სურს, თუმცა, არც ის უნდა, სხვების ბედი გაიზიაროს; ამიტომაც გადაწყვეტს, მედეას

მიძასა და ძმას დაუახლოვდეს, რითაც შეიტყობს მოქრის, ანუ მოჭიდავის, დამარცხების წესებს, რათა, მოგების სანაცვლოდ ჯილდოდ მიიღოს მედეა:

„აქაც მე ჩემი ანგარიში მაქვს...

სხვა რამეს ვეძებ და გამოველი!

შენც სსსუ! და მეც სსსუ! სჯობს, რომ ერთმანეთს

საშველად მივცეთ ორივემ ხელი.

მე ვარ მემკვიდრე თესალიისა,

იაზონია ჩემი სახელი;

მედიასათვის გადმოვხვეწილვარ

და დახმარებას შენგან მოველი”.

(წერეთელი, 1989: 422)

მეოთხე მოქმედებაში იასონი უკვე ამარცხებს მოქრის და მედეას საბოლოოდ იგდებს ხელში, თუმცა, ამით მაინც არ არის კმაყოფილი, რადგან მას ოქროს საწმისის მიღებაც სურს და თხოვნით მიმართავს იათას:

„სულ სხვა რამე მაქვს შემოსავედრი,

როგორც ელლადის თქვენთან მოციქულს,

და ველი თქვენი დიდსულობისგან,

არ გამისტუმრებთ მე გაწბილებულს!

„ოქროსმატყლოვან” ვერძს ვითხოვ თქვენგან,

უნდა ელლადას ის დაუბრუნოთ

და ორი ქვეყნის ძმური კავშირი

შეჰკრათ საერთოდ და საუკუნოდ!

მათ საკუთრებას რომ მათვე მისცემთ,

ამით მოიგებთ თქვენ ელლადის გულს!

მეც - ცოტა სახელს... და მედია კი,

როგორც მიზეზი, - ქვეყნის სიყვარულს...”

(წერეთელი, 1989: 441)

სოფიო შამანიდის თქმით, მეოთხე ეპიზოდში წერეთელი განსაკუთრებულად ახდენს მითის სინთეზს შესაბამისი არგუმენტებით; მკვლევარი მიიჩნევს, რომ „იათას არგუმენტი ამავეი ოქროს საწმისის საბერძნეთიდან კოლხეთში გადმოტანისა მხოლოდ ზღაპარია და რომ სინამდვილეში ოქროს საწმისი იმთავითვე მათ (ქართველებს - თ.დ.) ეკუთვნოდათ. ამდენად, ბერძნებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ პრეტენზია, რომ ოქროს საწმისი მათია. საინტერესოა იასონის არგუმენტიც, რომელიც, მართალია, არ აპროტესტებს იათას ვერსიას, მაგრამ მიაჩნია, რომ ოქროს ვერძის დაბრუნება ორ ქვეყანას შორის მეგობრული კავშირის გარანტი იქნება”(შამანიდი, 2024:27).

ბოლო, მეხუთე, მოქმედების კულმინაციაა იასონის მიერ ოქროს საწმისის გატაცება მედეას დახმარებით; იგი იტაცებს თავად მედეასაც, ხოლო იასონის მსხვერპლად წირავს ზღვას, სარკმელთან მდგომი მედეა კი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

„ მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა!..

მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე!

მშვიდობით, ჩემო სალოცავებო:

მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე!

მშვიდობით, ჩემო კარგო დედ-მამავ!..

ჩემო მამიდა და ჩემო ძიძა!..”

(წერეთელი, 1989 : 452)

აკაკი წერეთლისეული მედეა ასე მარტივად თმობს ყოველივე ძვირფასს, რაც მას გააჩნია. მისი ცხოვრების მთავარი საწყისი და ბოლო იასონია, ვისგანაც მოელის სიკვდილ-სიცოცხლეს.

პიესის ფინალურ სცენაში მწერალი განსაკუთრებული დრამატიზმით აღწერს განრისხებული და განადგურებული აიეტის (იათას) მიმართვას თირთასადმი:

„ხომ გრძნეული ხარ შენ, თირთაია,
ყოვლისმოქმედი და შემძლებელი?
მიცვალეულის სულის ჩამდგმელი...
ცოცხლის გამთირავ - გამქვავებელი?
გამოიჩინე იმ შავი დღისთვის
საჭირბოროტო ძალა გრძნეული,
რომ მტერს ხმელეთი ზღვად გადაექცეს
და ზღვა დაუხვდეს გაქვავებული!..”

(წერეთელი, 1989:462)

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ეპიზოდზე, სადაც ავტორი თითქოს იმედს იტოვებს, რომ მედეა არ გასწირავდა სამშობლოს. აკაკი წერეთელი გვიხატავს მედეას მტირალ სახეს და იმედოვნებს, რომ ის მოიტაცეს ბერძნებმა, რომ საკუთარი სურვილით არ მიუტოვებია ყოველივე:

„რაში არა ჰგავს?.. ვინ იფიქრებდა?!
ნებაყოფლობით რომ გაჰყოლოდა,
რად იჯავრებდა და იტირებდა?”

(წერეთელი, 1989:459)

აკაკის პოემაში არაფერია ნათქვამი მედეას მიერ შვილების დახოცვაზე, იასონის ღალატზე და საერთოდ, იმაზე, თუ როგორ აგრძელებს მედეა ცხოვრებას უცხო ქვეყნის მიწაზე. ავტორი გაურბის მედეას შემდგომი სახის აღწერას და ცდილობს, მის დანაშაულს გვერდი აუაროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაცნეს სიტყვებს თუ ჩავუღრმავდებით, კიდევ ერთხელ დავინახავთ, რომ იასონმა მედეა მისი ნების წინააღმდეგ, ძალით წაიყვანა:

„მედია ნავში იჯდა მტირალი,

თმა გაეშალა... უწუხდა გული!..

ბუბუდაც თავზე დასტრიალებდა

და აბრუნებდა, გამწარებული”.

(წერეთელი, 1989: 459)

პოემას ავტორი იასირის გლოვით ასრულებს, ის აღარ ინტერესდება მედეას ბედით. ამით აკაკი წერეთელი გვეუბნება, რომ იასირის მკვლელობაში მთავარი დამნაშავეები არიან ბერძნები, რომლებმაც საკუთარი ვერ გაიმეტეს და ზღვას მსხვერპლად კოლხეთის ძე შესწირეს:

„აღელვებულ ზღვის დასამშვიდებლად

თავისიანი რომ ვერ გასწირეს,

იასირ დასდევს ბერძნებმა მსხვერპლად”.

(წერეთელი, 1989 : 460)

საყურადღებოა, რომ აკაკი წერეთელი მთელი ნაწარმოების განმავლობაში ცდილობს, გადაფაროს მედეას დანაშაული და გვერდი აუაროს მის სისასტიკეს. ზოგადად, პოემაში ძალიან სუსტად გამოჩნდა მედეას სახე, - ის ავტორს ჩვეულებრივ პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი, რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დატვირთვას არ ანიჭებს, არაფერს ამბობს მის ძლიერებასა და ნიჭიერებაზე; ამის მიუხედავად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელმა პირველმა, გაუხსნა გზა ქართულ ლიტერატურაში მედეას პერსონაჟს.

ა. წერეთლის პოემა „მედია” საქართველოსთვის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია, რადგან:

- მედეას პერსონაჟი სიმბოლოა ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედისა (როგორც მედეამ გაწირა ქვეყანა და თავისუფლება უცხო მამაკაცის გამო, ასევე დაკარგა საქართველომაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა უცხო ძალების გამოისობით;

- ოქროს საწმისი წარმოადგენდა საქართველოს სიმდიდრისა და ძლიერების სიმბოლოს, რომელიც მან უცხოელების გამო დაკარგა;
- იაზონის დაუნდობელი და ვერაგული ღალატი სიმბოლოა იმ ქვეყნების ღალატისა, რომელთა იმედიც საქართველოს ოდითგანვე ჰქონდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკაკი წერეთელმა პოემაში „მედია“ განსაკუთრებული ოსტატობით აღწერა სამშობლოს სიყვარულის თემა და მისი ღალატის სიმძაფრე და ტრაგიკულობა. ასევე, კლასიკოსმა ხაზი გაუსვა პირადი გრძნობებისა და სამშობლოს წინაშე არსებული მოვალეობების ჭიდილს, რითიც მწერალი ცდილობდა, მკითხველში აემაღლებინა ეროვნული თვითშეგნება და გაეღვიძებინა სამშობლოს სიყვარული.

3.1.2. ლევან სანიკიძე - „ამბავი კოლხი ასულისა“

ქართველი ავტორი, რომელმაც სცადა მედეას პერსონაჟის გაცოცხლება ქართულ სინამდვილეში ლევან სანიკიძეც იყო - პროფესიით ისტორიკოსი და ანტიკური სამყაროს მკვლევარი, რომელიც, პროფესიიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა ბერძნებს, კოლხებს და მაშინდელ ცივილიზაციას.

ლ. სანიკიძე რომანში „ამბავი კოლხი ასულისა“ აგრძელებს მედეას სახის რეაბილიტაციას; ის აშკარად განიცდის აკაკი წერეთლის სამწერლობო სტილის გავლენას და ცდილობს, მედეას მითი დრამატურგიული ტექსტისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ საზომში მოაქციოს, ასევე, მისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მედეას მიერ შვილების დახოცვა - არ დახოცვის ამბის გადაწყვეტა.

ნაწარმოები იწყება წინათქმით, სადაც ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება მედეას პერსონაჟისა და ევრიპიდეს ვერსიის მიმართ. რომანი იწყება მედეას, ანუ ახალგარდა და ლამაზი კოლხი ქალის, ცხოვრების აღწერით, კერძოდ კი ნაჩვენებია,

თუ როგორ იზრდება მედეა კოლხური ტრადიციებითა და წეს - ჩვეულებებით, სადაც უმთავრესი აქცენტი კეთდება სულიერ ღირებულებებზე. ამ, ერთგვარად მშვიდი, ამბის თხრობას ტექსტში ცვლის ბერძენი ვაჭრების ჩამოსვლის ეპიზოდი, რის გამოც იწყება კონფლიქტი, ანუ ორი კულტურის ჭიდილი, რაც დამაბულობას ქმნის ჩამომსვლელებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტექსტი ერთი მხრივ მიუყვება ევრიპიდეს ტრაგედიის სტრუქტურას, მაგრამ ლ. სანიკიძე ბევრ დეტალში ეწინააღმდეგება კიდეც მას და ამართლებს კოლხ ასულს, რადგან ის მიიჩნევს, რომ მედეა აღმოჩნდა რთული არჩევანის წინაშე - მას, ერთი მხრივ უწევდა კოლხეთისა და აქაური ხალხის ადათ - წესებისა და ტრადიციების დაცვა და მეორე მხრივ მას იზიდავდა ბერძნული კულტურის ბრწყინვალეობაც. ამ ფაქტების დასამტკიცებლად კი ავტორს პიესაში შემოაქვს უმარავი დამატებითი ეპიზოდი, სადაც ნათლად იკვეთება კოლხეთში იმ დროს არსებული პოლიტიკური ინტრიგები, მედეასა და იასონის სიყვარულის ისტორია და კონფლიქტი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის.

დამატებით ეპიზოდებში ავტორი, ასევე, ცდილობს, ხაზი გაუსვას მედეას ქალურ თვისებებს; სანიკიძისეული მედეა არის მოსიყვარულე დედა და ცოლი, ყველა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში იგრძნობა სიყვარული და პატივისცემა იასონისა და შვილების მიმართ; ასეთი აღწერით ავტორი გვეუბნება, რომ მედეა განასახიერებს კოლხი ქალის იდეალს, რომელსაც აქვს როგორც სათუთი ხასიათი, ასევე - შინაგანი სიძლიერეც.

ტექსტის მიხედვით, ლევან სანიკიძე ცვლის განსაკუთრებულად ტრაგედიის იმ ეპიზოდების შინაარსს, სადაც ევრიპიდე მედეას დამნაშავედ წარმოგიდგენს. რა თქმა უნდა, ამას ავტორი განგებ აკეთებს, რადგან, მისი აზრით, მედეა უდანაშაულოა.

სანიკიძესთან მედეა არის კრეუსას მიმართ - მეგობრული, სტუმართმოყვარე - კორინთოსელების მიმართ, უანგარო - ყველას მიმართ, რადგან არავისგან სანაცვლოდ არაფერს ითხოვს; ის მკურნალია, სიკვდილს გადაარჩინა თავად კრეონი და კრეუსა; ის საბერძნეთის მოსიყვარულე, მშვიდობისა და სიმშვიდის მოყვარულია; ამგვარად შეცვლილი ტრაგედიის ეპიზოდებით ავტორი ცდილობს, მედეა ყველას წინაშე წარმოაჩინოს უდანაშაულოდ და უცოდველად.

აკაკი წერეთლის მსგავსად, ლ. სანიკიძეც ამატებს პერსონაჟებს; მას ტექსტში შემოჰყავს კორინთოსის მაცხოვრებლები: ავგია, კიმონი და დიკეფილე; სწორედ, დიკეფილე არის სიმართლის მოყვარე პერსონაჟი, რომელიც მედეას შეატყობინებს ბერძნების განზრახვას, რომ ბერძნები მედეას დახმარებით და მის მიერ ნასწავლი მეთოდებით აპირებენ კოლხეთის დაპყრობას. დიკეფილესგანვე შეიტყობს მედეა, რომ მისი ძმა აფსირტოსი, რომელიც შესარიგებლად იყო მოსული, ჩუმად მოკლა იასონმა და შემდეგ, კვალის დაფარვის მიზნით, აფსირტოსის ხანჯლით თავადვე მიიყენა ჭრილობები, რათა მედეა მოეტყუებინა, თითქოს იასონის მოსაკლავად საბრძოლველად მოსული აფსირტოსი ბრძოლაში დაამარცხა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. სწორედ, ამ დროს გაიგებს მედეა, რომ იასონი, გამეფების გამო, აპირებს მის მიტოვებას და კრეუსაზე დაქორწინებას, რის შემდეგაც მედეას კორინთოსიდან წასვლა მოუწევს.

ნათელია, რომ ლ. სანიკიძე ცდილობდა, ტექსტში ისეთი პერსონაჟები შემოეყვანა, რომლებიც ერთად შექმნიდნენ კოლხეთის სამეფოს მრავალფეროვან სურათს და წარმოაჩენდნენ ძირძველი კოლხეთის დიდებას. მედეას გარდა, ასეთი პერსონაჟი, ტექსტის მიხედვით, იყო ფასისის ქურუმი, რომელიც იყო კოლხური ტრადიციების შემნახველი და დამცველი. რომანის მიხედვით, ის წარმოადგენდა მრჩეველს, რომელიც ასრულებდა ერთგვარი სულიერი ავტორიტეტის როლს. აქვეა კიდევ ერთი პერსონაჟი - ვაჭარი ბერძენიც, რომელიც ნათელი მაგალითია კოლხეთისა და საბერძნეთის სავაჭრო ურთიერთობებისა; მის სახეში იკვეთება ორი კულტურის დამოკიდებულება ვაჭრობის მიმართ, ხოლო რაც შეეხება ტექსტში აღწერილ კოლხ მეომრებს, ისინი წარმოადგენდნენ კოლხური საბრძოლო შეიარაღების პოტენციალს, სიძლიერესა და ფასეულობებს.

როდესაც მედეა გაიგებს, რომ იასონი აპირებს მის მიტოვებას, ის გაოცებული და თავზარდაცემულია ვერ ხვდება თუ რა დაუშავა ბერძნებს ასე, რომ გასწირეს, ამ შეკითხვაზე პასუხი აქვს თავად დიკეფილეს, რომელიც მედეას ეუბნება, რომ მთავარი პრობლემა ისაა, რომ მედეა არ არის ბერძენი შესაბამისად, ის ბარბაროსია და რამდენიც არ უნდა აკეთოს სიკეთე და როგორც არ უნდა უყვარდეს იასონი, მაინც გაწირავენ მას, როგორც უცხო მიწის შვილს „საინტერესოა, რომ სანიკიძესთანაც, ისევე როგორც ევრიპიდესთან, იასონი ეუბნება მედეას, რომ მას, ბარბაროსთა ქვეყნის შვილს, დიდი

პატივი ერგო იმით, რომ საბერძნეთში მოხვდა: ევრიპიდე - „ბარბაროსთა ქვეყნიდან გამოგიტაცე და ელადაში დაგამკვიდრე, სადაც შეიცან სამართალი და კანონები, შენს სამშობლოში გამეფებული თვითნებობისა და ძალმომრეობის ნაცვლად“; სანიკიძე - იასონი: „... ფასი ვერ დაგიდვია საბერძნეთისთვის; მან ხომ, დიადმა, შენ, ბარბაროსი, თვის უპირველეს მოქალაქის ცოლად გაქცია!“ (შამანიდი, 2024 : 34).

ლევან სანიკიძე აშკარად ვერ მაღავს გაბრაზებასა და წყენას ბერძნების მიმართ და რომანში გაცხადებულად საუბრობს და აღწერს მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს:

- თქმულება ამირანზე, რომელიც ბერძნებმა მიითვისეს და ეროვნულ საკუთრებად წარმოაჩინეს;
- ადონისის სირიული თქმულებაც საბერძნეთის საკუთრებათ ჩათვალებს;
- აზიიდან ჩამოტანილი ვაზის ჯიშებით თავი ღვინისა და ვენახის ქვეყანა ჰგონიათ;
- პირველი ხომალდის მშენებლობაც ფინიკიელებს ჩამოართვეს და თავი ამ საქმეშიც პირველებად გამოაცხადეს;

ამდენი სივერაგის შემდეგ ავტორს უკვე აღარ უკვირს ბერძნების უმსგავსობა, რაც მათ მედეას წინაშე ჩაიდინეს; სწორედ, ამის შემდეგ გადაწყვეტს სანიკიძე, ნაწარმოების ფინალი ევრიპიდეს ტექსტს დაამსგავსოს - ის აბოროტებს მედეას და აკვლევინებს კრეუსას. მედეას მიერ მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ შემდეგში განსაზღვრა მთლიანი კოლხეთის ბედი, თუმცა, სანიკიძესთან მაინც შვილებს არა მედეა, არამედ კორინთოსელები (ავგია, კიმონი) კლავენ, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ხანჯალს, რომელიც ბავშვების სისხლით არის მოსვრილი, გულწასულ მედეას ჩაუდებენ ხელში.

ლ. სანიკიძის რომანის ფინალი განსხვავდება მედეას ტრაგედიის ყველა ფინალისგან, რადგან მედეა სანიკიძესთან წვავს ყველაფერს, რაც საბერძნეთში ყოფნისას შექმნა და თავადაც თავს იწვავს. ამგვარი დასასრულით ავტორმა გვიჩვენა ნამდვილი ტრაგედიის სახე.

„ამბავი კოლხი ასულისა“ მნიშვნელოვანი ისტორიული რომანია, რომელშიც მედეას ამბის მიღმა აღწერილია მაშინდელი კოლხური ცივილიზაცია, ტრადიციები

და კულტურა; ამ ყველაფერს კი ავტორი ისტორიული და მითოლოგიური მოტივების თანხლებით აღწერს, რაც ხაზს უსვამს მწერლის სამწერლო ბოლო ნიჭის სიდიადეს და მეტ დამაჯერებლობას სძენს მისეულ ტენდენციას.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ რომანში მოქმედება ანტიკურ ხანაში ვითარდება; ეს ზუსტად ის ეპოქაა, როცა კოლხეთი შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურული ცენტრის სახელს ატარებს. ასევე, ეს დრო გამოირჩევა განსაკუთრებით ბერძენთა კოლონიზაციითა და მათი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებით. ავტორი დეტალურად აღწერს კოლხეთის სოციალურ წყობას, ეკონომიკურ მდგომარეობას და რელიგიურ რიტუალებს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ლ. სანიკიძის რომანს, მიუხედავად იმისა, რომ ის ისტორიული ნაწარმოებია, აქვს ბრწყინვალე მხატვრული ღირებულება, რაც გამოიხატება ენობრივი მხარის სიმდიერეში, ანუ ავტორი უხვად იყენებს მდიდარ ლექსიკას, სადაც დიდი რაოდენობით შედის არქაული ფორმები. ავტორს, ასევე, კარგად აქვს დამუშავებული პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები და მთელი სიღრმით აღწერს მათ, განსაკუთრებით კი - მედეას სახეს. ასევე, სანიკიძე იშვიათი ოსტატობით ახდენს არსებული ისტორიული ფაქტების შერწყმას მხატვრულ გამონაგონთან და ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს მათ; მწერალი ბრწყინვალედ ახერხებს თხრობის დინამიკისა და კომპოზიციური წყობის ერთიანობას.

სანიკიძე რომანში „ამბავი კოლხი ასულისა“ საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს უძველეს ქართულ მითოლოგიურ სიმბოლოებს: ასეთია ოქროს საწმისი, რომელიც მიიჩნევა კოლხური ცივილიზაციის სიმდიდრედ და სიმდიერის გამოხატულებად; ის გვესაუბრება წყლის სტიქიის სიმბოლიკაზეც, რომელსაც აკავშირებს ფაზისთან და ზღვასთან; ნაწარმოებში ვხვდებით მზის და მთვარის კულტებთან დაკავშირებული რიტუალების აღწერასაც, რაშიც თავისთავად იგულისხმებოდა კოლხეთში გაბატონებული რელიგიური წარმოდგენები და მაგიური ხელოვნება.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლევან სანიკიძემ გაარძელა აკაკი წერეთლის გზა (მიუხედავად იმისა, რომ „ამბავი კოლხი ასულისა“ ისტორიული რომანია), აღწერა მედეასა და არგონავტების მარადრეზონანსული ამბავი და ქართულ

ლიტერატურულ მემკვიდრეობას დაუტოვა პოემა, რომელიც მოიცავს ანტიკური კოლხეთისა და ძლევამოსი მედეას მრავალმხრივ საინტერესო ამბავს.

3.1.3. ოთარ ჭილაძე - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“

ოთარ ჭილაძის ნაწარმოებში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელიც მითოლოგიური რომანია, მნიშვნელოვნად წარმოჩნდა მედეას პერსონაჟის სახისმეტყველება. ცნობილია, რომ ვიდრე ავტორი უშუალოდ ამ საკითხზე დაიწყებდა მუშაობას, ძირფესვიანად შეუსწავლია მითი არგონავტების შესახებ. შესაბამისად, ის ნაწარმოების სიუჟეტებს ავითარებს მაშინდელი კოლხეთის სამეფოში, უფრო კონკრეტულად კი - მის დედაქალაქად წოდებულ ვანში.

ტექსტის მიხედვით, ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო და აქ მაცხოვრებლების საქმიანობაც ზღვას უკავშირდებოდა. ო. ჭილაძე ნაწარმოების შესავალსაც ამ გარემოების აღწერით იწყებს: „ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო; როცა კოლხეთის მიწაზე პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი და მორიდებულად ითხოვა თავშესაფარი. ზღვამაც, სწორედ, იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას. ყველა ვანელს, დიდიან - პატარიანად, კალთაზე რომ გამოეხა ზღვა, მაინც გაიპარებოდა, რადგან ვერავითარი ძალა ვეღარ აღუდგებოდა წინ ბუნების ჩანაფიქრს. ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო, ზღვა გამბედაობას მოიკრეფდა და შეუდგებოდა ამ, მართლაც, ვერაგული განზრახვის აღსრულებას“ (ჭილაძე, 2018:5), - ნაწარმოების ასეთი დასაწყისი, თითქოს, მკითხველს ამცნობს მოსალოდნელ საშიშროებას.

ნაწარმოების შესავალშივე ავტორი საუბრობს მაშინდელი კოლხეთის ძლიერებისა და დიდების შესახებ; ის გვეუბნება, რომ ვანი გამოირჩეოდა მევენახეობითა და მეთევზეობით, აქ მაცხოვრებლები კი ყიდდნენ ღვინოს. შესაბამისად, გაცხოველებული ვაჭრობა იმართებოდა ვანის ნავსადგურში, რასაც

აქაურების სიმდიდრე მოჰქონდა: „ყველას, ვისაც კი ბედი თუ განზრახვა ვანისკენ აქნევინებდა პირს, ერთი სული ჰქონდა, საკუთარი თვალით ენახა, რაც ამბად გაეგონა, რისი გულისთვისაც მართლა ღირდა, გაბმულიყო ამსიგრძე გზაზე. მან ჩამოსვლამდე იცოდა, ვანური სამკაულისათვის ათი ქალი რომ გამოყვებოდა ცოლად; ვანური ხანჯალი რომ შეება, ანდა ვანურ აკვანში ჩაეწვინა შვილი, შურისაგან ნახევარ ქალაქს დაებრიცებოდა სახე. ის კი არა, მომაკვდავისათვის რომ ეთქვათ, ვანურ სარკოფაგში ჩაგაწვენთო, ისე გაუხარდებოდა, ისე იოლად გადაეყრებოდა მოახლოებული სიკვდილის შიში, თითქოს ვანური სარკოფაგი სიკვდილისგანაც დაიფარავდა” (ჭილაძე, 2018:8), - ასეთ აღწერას მწერალი განგებ მიმართავს, რათა მკითხველს აჩვენოს კოლხეთის ძლიერება და სიმდიდრე.

წიგნში თავმოყრილია სამი მნიშვნელოვანი ნაწილი („აიეტი”, „უხეირო”, „ფარნაოზი”), რომელიც ავტორს მიზანმიმართულად დაუნაწევრებია, რათა მათში მოგვითხრობს სხვადასხვა გმირის ამბები, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია დროითა და სივრცით.

ჩვენი ყურადღების საგანია წიგნის პირველი თავი (აიეტი), სადაც ავტორი საუბრობს მითოლოგიური თემების ირგვლივ, აღწერს არგონავტების ჩამოსვლას კოლხეთში, ოქროს საწმისის მოტაცებას და მედეას ტრაგედიას.

რაც შეეხება არგონავტების ჩამოსვლის ეპიზოდს, ეს ეპიზოდი საკმაოდ კარგად აქვს ავტორს გადმოცემული, როგორც ტექსტიდან ირკვევა, არგონავტები ზღვაში დახრჩობას გადაარჩენენ ფრიქსეს ვაჟებს (არგუსი, კიტისორე, მელასი, ფრონტისი), ისინი საბერძნეთში მიდიოდნენ, რადგან მამის უკანასკნელი სურვილი საბერძნეთში (სამშობლოში) დაბრუნება იყო. შვილიშვილების გადარჩენით გახარებული აიეტი გადაწყვეტს, არგონავტების დასაჩუქრებას, თუმცა, ისინი მისგან მოითხოვენ აიეტისთვის ძალიან ძვირფას „ოქროს საწმისს”, რადგან, არგონავტების თქმით, ეს მათი საკუთრებაა, ვინაიდან, სწორედ, ამ მფრინავი ვერძით ჩამოვიდა კოლხეთის მიწაზე პატარა ფრიქსე. იასონი თავად უყვება ამ ისტორიას აიეტს: „იასონიც აღელდა, მაგრამ მაინც დაატანა თავს ძალა, რათა პირობის ყველა სიტყვა გამოკვეთილად ეთქვა, რაც მეფემ უთხრა:სიზმარში ბიძაშენის, მამაშენის ბიძაშვილის - ფრიქსეს აჩრდილი გამომეცხადა და იმ ვერძის ტყავის უკან დაბრუნება მთხოვა, რომლითაც იგი

კოლხეთში გაფრინდაო. მე აღარც ასაკი მიწყობს ხელს და აღარც ღონე მომდევს, ამოდენა საქმე ვითავო, შენ კი ახალგაზრდა ხარ, წაბრძანდი, ჩამოიტანე, ბიძის აჩრდილიც მოასვენე და გვარსაც მოაშორე ცოდვაო. რა ექნა ჭაბუკს, ისიც ადგა და წამოვიდა. - დაამთავრა იასონმა ზღაპარი და ისევ გაიღიმა, მომხიბვლელად, გულუბრყვილოდ” (ჭილაძე, 2018:106), ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ აიეტი განრისხდება და გადაწყვეტს, იასონს მოუწყოს ერთგვარი გამოცდა; ამ გამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ კი ის მას გადასცემს ოქროს საწმისს. მთელი ვანი ამ ამბავს განიხილავდა, მათი თქმით: „აიეტი ისე გაცოფებულა, უთქვამს, ჩემს სუფრას რომ არ შეხებოდით, სუყველას ენებს დაგაჭრიდით, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, მოვითმინო. ამაშიც იყო სიმართლის ნატამალი, რადგან ერთი გზობა აიეტმა მართლა გადაწყვიტა, იქვე, სუფრასთანვე, დაეხოცა ყველანი, წიწილებივით წაეგლიჯა თავები შვილიშვილებისთვისაც, როცა მათი და მათი ნათესავის მიკიბულ - მოკიბული ლაპარაკი ყელში ამოუვიდა” (ჭილაძე, 2018:106).

რაც შეეხება „ოქროს საწმისს”, მწერალი დაწვრილებით აღწერს, თუ რა მოიაზრებოდა სინამდვილეში მასში: „ყველაფერი კი ვერძის დაკვლით დაიწყო. ფეხით დაკიდულ ვერძს ყასაბმა ტყავი რომ გააძრო, მკლავები მოსწყდა, მუხლიც შეაშველა, მაგრამ მაინც ვერ დაიმაგრა და თვითონაც ჩამოშვებული ტყავი ქვეშ მოჰყვა. ”მიშველეთ, გავიჰყლიტეო”, - აყვირდა ბოლოკივით გაწითლებული ყასაბი. ვერძის ტყავი, მართლაც, ოქროს ზოდისვით დამძიმებულიყო. ოცმა კაცმა ძლივს აუწია პირი, ყასაბს ჩაჩეჩქვილი ფეხები რომ გამოეთრია” (ჭილაძე, 2018:65). აიეტმა ეს „ოქროს საწმისი ჩათვალა ფრიქსეს საჩუქრად, მიიჩნევდა, რომ მკვდრის საჩუქრის უარყოფა არ შეიძლებოდა; ამიტომ უნდა შეენახა და მოევლო მისთვის. რა თქმა უნდა, ის ასეც მოიქცა და საწმისი მოათავსა ტახტის უკან სპეციალურად გამოჭრილ განჯინაში, რომელსაც ფარდაგი ფარავდა.

რომანში ოთარ ჭილაძე ხაზგასმით ამბობს, რომ მედეა მოღალატეა, მან გაწირა საკუთარი ქვეყანა, უღალატა სამშობლოს, რადგან როგორც კი დაინახავს იასონს, მაშინვე მოიხიბლება მისით, შემდეგ კი თავდავიწყებით უყვება; ასევე, ის ეხმარება მას აიეტის გამოცდის დამლევაში, ოქროს საწმისის გატაცებასა და ქვეყნიდან გაქცევაში: „მედეამ უცხოელის მძიმე და ცხელი მარჯვენა ორივე ხელით აიღო და გააგრძელა - მომიყევი, როგორია ის ქალწული, შენ რომ გელოდებო. მედეას თვითონვე

გაუკვირდა, ისე მშვიდად და თავისუფლად უთხრა ეს უცხოელს, როგორც სტუმრად მოსულ ბავშვს ჰკითხავენ ხოლმე რაღაცას, უმნიშვნელოს, სხვათა შორის, უფრო თავისუფლად რომ იგრძნოს თავი და გაშინაურდეს. - ძვირფასო, - გაუბედავად თქვა უცხოელმა, რადგან უცებ იგრძნო, ქალს უყვარდა, არა, უფრო სწორად, მერე იგრძნო, როცა უკვე ნათქვამი ჰქონდა ეს სიტყვა, ამიტომაც ცოტა ხნის მერე უფრო თამამად გაიმეორა - ძვირფასო, და მედეას ორივე ხელი პეშვში მოიმწყვდია”(ჭილაძე, 2018:134), აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ქრონოლოგიურად გვიჩვენებს, თუ როგორი უსუსური იყო მედეა თავიდან, როგორ არ შეეძლო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და მერე - როგორ იქცა დაუნდობელ ქალად. ავტორმა მას განაჩენი ქვეყნის ღალატის გამო გამოუტანა: „მედეამ განჯინის გასაღები მაშინვე იპოვა, რადგან იცოდა, აიეტს კეფაზე ჰქონდა თმაში ჩაწნული, ახლა ტახტი უნდა გამოეჩოჩებინა, რადგან ტახტი ზუსტად იმ ფარდაგამოფარებულ განჯინაზე მიედგათ, რომელშიც ვერძის ტყავი ეკიდა. მედეა ტახტს მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. „მომეხმარეო” - გამწარებულმა გასძახა უცხოელს, მარმარილოს სვეტს რომ ამოფარებოდა. უცხოელმა მოირბინა და ამ სიმძიმე, ლომისფეხებიანი ტახტი, არანაკლებ მძიმე მეფიანად ადვილად გააჩოჩა, რადგან „ამირანის მალამოს” უკვე გაეჟღინთა მისი სხეული” (ჭილაძე, 2018:156). საყურადღებოა, რომ მანამ, მანამ სანამ მედეა კოლხეთის მიწაზე იყო, ავტორი მასზე დარდობდა და თანაუგრძნობდა კიდევ, მაგრამ, როდესაც მედეამ დატოვა კოლხეთის მიწა, ოთარ ჭილაძემაც შეწყვიტა მასზე ფიქრი და მისი ამბის თხრობაც.

მედეამ ვანს წაართვა დიდება და მთლიანი სამეფო ხელში ჩაუგდო აიეტის მიერ წარსულში სამეფოდან გამევეებული ბიძაშვილის - ოყაჯადოს შვილსა და მის არმიას, რომლებმაც აიეტს ტახტი წაართვეს და მოკლეს; შთამბეჭდავად აღწერს ავტორი აიეტის სამეფოს დამხობას: „დაუშრეტელ მდინარეზე ტევა აღარ იყო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ხომალდები, რომელთაც, ჯარის გარდა, აიეტის მიერ განდევნილთა ოჯახებიც მოჰყავდათ. შურისძიება ამოდიოდა ჭიდან. საშობლოში დაბრუნებულნი აღარ უცდიდნენ ხომალდის დაყენებას, პირდაპირ წყალში ხტებოდნენ და ნაპირისკენ მიცურავდნენ, მერე წელამდე წყალში მიბორძიკობდნენ, მერე მიხობავდნენ და ასე ხოხვით ადიოდნენ სანატრელ ნაპირზე, გაშმაგებულნი კოცნიდნენ და ჭამდნენ შლამსა და ტალახს” (ჭილაძე, 2018:173).

როგორც ვნახეთ, ავტორს არ გამორჩენია მედეას ძლიერების წარმოჩენა, ის ცდილობს, მისი ძლიერება წინა პლანზე წამოსწიოს, რაშიც მოაზრება იდუმალ მამიდა ყამართან მისი სულიერი სიახლოვე და ჯადოქრული მაგიის ცოდნა, რაც მას მემკვიდრეობით უბოძა: „მედეა აღმოჩნდა ის ნოყიერი მიწა, სადაც მამიდა ყამარს შეეძლო, მშვიდად ჩაეთესა თავისი ცოდნის მარცვალი. მამიდა ჯიუტად ებლაუჭებოდა სიცოცხლეს, ქედს არ უხრიდა, ბოლო წუთამდე ჭოკივით წელგამართული დადიოდა, რადგან გული უგრძნობდა, ადრე თუ გვიან, ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდებოდა იმ საქმეს, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენი წელი შეელია” (ჭილაძე, 2018:40).

მედეას მამიდას ო. ჭილაძე განსაკუთრებულად ახასიათებს: „მამიდა ყამარზე ამბობდნენ, კაცს თუ შეხედა, ადგილზე გააქვავებსო. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იყო, მაგრამ მართლა უცნაური თვალები ჰქონდა, მწვანე, ცეცხლიანი, გეგონებოდათ, წარბები და წამწამები თვალების სიმხურვალეს შეუტრუსიაო” (ჭილაძე, 2018:40), - ამგვარი დახასიათება ავტორს სჭირდებოდა მისი სიმღიერისა და მაგიური განსწავლულობის საჩვენებლად.

რაც შეეხება იასონს, ავტორი მას, მედეასგან განსხვავებით, პირიქით, აკნინებს, რადგან პოემაში ვხედავთ უძლურ და მშოშრარ იაზონს, რომელმაც საწადელს მხოლოდ ქალის - მედეას დახმარებით მიაღწია, მედეა ეხმარება მას ხარების დამარცხებაში თავისი ბალახეულით დამზადებული ზეთის მეშვეობით და, ასევე, ასეთივე ჯადოქრული ხსნარით აძინებს მამამისსაც, რის შემდეგაც იასონი უპრობლემოდ იტაცებს ოქროს საწმისს.

იასონს (მედეას დახმარებით) მიეწერება, ასევე, მედეას ძმის - აფრასიონის სიკვდილიც, რადგან, მწერლის აზრით, „იასონს გადარჩენა უნდოდა მხოლოდ, მაშინაც და ახლაც, მეტი არაფერი, საკუთარი ტყავის გადარჩენა. მაგრამ ამასაც სისხლი დასჭირდა. იმ ქალის ძმის სისხლი, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა, არა, აჩუქა, ხელახლა გააჩინა. მერე რა, განა ასე არ ჯობდა იასონისთვის და იმ ქალისთვისაც, თუკი მართლა უყვარდა იასონი? ასე ჯობდა, ყველასათვის ასე ჯობდა, თანაც, მალე, იმდენი სისხლი დაიდვრებოდა, მედეას ძმის სისხლი შიგ წვეთივით ჩაიკარგებოდა. ყველანი თანაბრად მართლები, ანდა თანაბრად ცოდვილნი აღმოჩნდებოდნენ ღმერთების წინაშე” (ჭილაძე, 2018:166), აფრასიონმა წინასწარმეტყველებით იცოდა, რომ

დაილუპებოდა, მაგრამ ის მაინც დაედევნა მედეასა და არგონავტებს, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველების თანახმად ის ილუპება და უკან მხოლოდ ერთი მეზღვაური ბრუნდება, რომელიც კოლხებს ამცნობს ამ საზარელ ამბავს.

ოთარ ჭილაძეც გვერდს უვლის მედეას მიერ შვილების დახოცვის თემას და ცდილობს მის მიჩქმალვას; ის იმდენად ფარავს ამ დანაშაულს, რომ არც კი მოგვითხრობს, რა ბედი ეწია მედეას კოლხეთიდან წასვლის შემდეგ.

ინტერესისა და დაკვირვების ობიექტია აიეტიც, რომელიც იტანჯება შინაგან „მე“ - სთან ბრძოლაში; ის ყველა მომხდარ ფაქტში საკუთარ თავს მიიჩნევს დამნაშავედ და თვლის, რომ წარსულში ჩადენილმა შეცდომებმა ნაყოფი გამოიღო და მოსვენებას არ აძლევს მას და მის შთამომავლებს: „ახლა აიეტმა იცოდა, შეცდომა რომ ჩაიდინა, რადგან, სწორედ, ფრიქსეს ნაშიერებს გადაებირებინათ მის წინააღმდეგ დედაცა და დეიდაც, მისი ღვიძლი ქალიშვილები, და გუშინდელი ბიჭივით გაეცურებინათ კაცი, რომელიც საზარელი ხმითა და ღონით ომის ღმერთს ედრებოდა. მაგრამ აიეტის არსება მაინც წინააღმდეგი იყო, მიეღო ის შეცდომა, შეცდომა დაერქმია იმისთვის, რასაც ადამიანის მოვალეობად თვლიდა, სიკეთედ აღქმული ბოროტებად დაენახა” (ჭილაძე, 2018:158).

ზღვის უკანდახევა, მედეას ღალატი, შვილის სიკვდილი, ტახტის დაკარგვა, ყველაფერი ეს ერთ დროს დიდებით მოსილ აიეტს დაატყდა თავს, ის კი ასეთი განსაცდელისთვის მზად არ აღმოჩნდა.

ავტორი აღწერს და გადმოგვცემს პერსონაჟების სულიერ ბრძოლას ერთმანეთისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ; მან საოცარი ოსტატობით გვიჩვენა მედეასა და აიეტის ტრაგედია, ძალიან ბევრი კითხვა, რომელიც ნაწარმოების ირგვლივ არსებობს, უპასუხოდ დაგვიტოვა. მთავარი პასუხგაუცემელი კითხვა კი არის ის, თუ რა ბედი ეწია მედეას.

3.1.4. გრიგოლ რობაქიძე - „მეგი - ქართველი გოგონა“

ემიგრანტი მწერლის - გრიგოლ რობაქიძის რომანი „მეგი - ქართველი გოგონა“ პირველად რუსულ ენაზე დაიწერა იმ მოტივით, რომ მისი წაკითხვა შესძლებოდა მის მეგობარ რაინჰოლდ ჩაკერტს, რომელმაც ქართული არ იცოდა, მწერლის მთავარ მოტივს კი წარმოადგენდა, რაც შეიძლება მალე ეთარგმნა მის მეგობარს გერმანულად, რადგან, მისი თქმით, უკვე სისტემატიურად ფიქრობდა გერმანიაში ემიგრირებაზე, ამიტომაც, დროის დაზოგვის მიზნით, პირდაპირ რუსულად დაწერა რომანი, რომლის პირვანდელი სათაური ყოფილა „მედეას ნაწნავები“, თუმცა, 1932 წელს, როცა რომანი ტიუბინგენში გერმანულად დაიბეჭდა, მას ეწოდა „მეგი - ქართველი გოგონა“.

რომანის გმირები (მეგი - მეგრელი გოგონა; ციცინო - მისი დედა; მენიკი - მეგის ძიძა; უტუ - მათი მოსამსახურე; ასტამური - მეგის სატრფო; ბუჩუ - მეგის ბავშვობის მეგობარი; ჯვებე - ასტამურის ახლო მეგობარი) პარალელს ავლებენ არგონავტების ცნობილ მითთან; შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი რეინტერპრეტაციაა კოლხი მედეას ამბისა, რადგან ავტორს მითის სიუჟეტი თანამედროვე სამყაროში გადმოაქვს და ორიგინალურად იაზრებს მის შინაარსს.

ნაწარმოების წაკითხვისას უმაღვე ვხვდებით, რომ გრიგოლ რობაქიძის მეგრელი მეგის სახეში იკითხება კოლხი მედეას სახე, რადგან თავად ავტორიც ამბობს: „სახლში ყველას ღრმა ძილით ეძინა, მეგის კი არა და არ ეკარებოდა თვალებზე რული; რაკი ირწმუნა, რომ ნამდვილად საქვეყნოდ ცნობილი კოლხი ქალის მემკვიდრე იყო, შიშშია შეიპყრო“ (რობაქიძე, 2018:296). ტექსტის მიხედვით, ნათელია, რომ მეგიც მედეას მსგავსად იტანჯება ცხოვრებისეული სატანჯველისგან. ასევე, ავტორი მენიკის პირით მკითხველს უყვება არგონავტების ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების ლეგენდას: „უცხო ტომის ადამიანებმა გემი, თურმე, მდინარის სათავეში შეაცურეს, მერე მეფის სასახლის ჩრდილოვანი ჭალაც დაინახეს; იმ ჭალაში უზარმაზარი გველეშაპი დარაჯობს ტანძლიერ მუხას, რომლისთვისაც შემოუხვევია ფარფლებიანი ტანი. მუხის დაკოჟრილ ტოტებზე ოქროს საწმისი ჰკიდია. უცხოელები თვალს შეავლებენ კუნელის ბუჩქებსა და ტირიფებს; მენიკი ჰყვება... მოყოლის დროს სახელები ერთმანეთში ერევა, მაგრამ ათასწლოვანი ტყის ფოთოლთა შრიალი ასევე ათასწლოვანი ამბების რუდუნს ეხმიანება და სახელები სარწმუნოდ გაისმის: ეს

არგონავტები არიან. მათ იასონი მეთაურობს. ეს კი მდინარე ფაზისის სათავეა. აქედან მოჩანს მეფე აიეტის სასახლე, წმინდა ჭალა და მუხაზე დაკიდებული ოქროს საწმისი, რომელსაც ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი უდგას დარაჯად. ჯერაც არ გამქრალა ის ტირიფები და კუნელის ბუჩქები, რადგან ფესვებს იდგამდნენ და ახალ - ახალი ყლორტები გამოჰქონდათ საუკუნიდან საუკუნებმდე...” (რობაქიძე, 2018:294), - მითის ასეთი დეტალების ტექსტში ასახვა პირდაპირი დასტურია იმისა, რომ გრ. რობაქიძე მთლიან რომანს მედეას უკვდავ ისტორიას უძღვნის.

ავტორი რომანში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს კოლხეთისა და კოლხი ხალხის დეტალურ აღწერას; ის იხსენებს ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ კოლხეთსაც და მეგის ამბის მოყოლას იწყებს კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობის მინიშნებით: „გორაკის ჩრდილოეთით სვანეთის მთების კალთები და კავკასიონის მთაგრეხილები იკვეთება; სამხრეთით - ჯავახეთის მთები გურიის მთისწინეთს ებჯინება; აღმოსავლეთით - იმერეთი ჩაფლულა სიმწვანეში; დასავლეთით კი - შავი ზღვის, ანუ, როგორც მას ძველები ეძახდნენ, „Pontus Euxinus”- ის თვალშეუდგამი სივრცე მოჩანს. სახლის აივნებიდან ვრცელ დაბლობს ჰკიდებს კაცი თვალს, შავ ზღვამდე რომ აღწევს და უზარმაზარი კარიბჭესავით გაწოლილა სვანეთის მთაგრეხილებსა და გურიის მთებს შორის. ირგვლივ სიმინდის ყანები და ტყეებია, აქა - იქ კი ტბები და ჭაობნარი. დაბლობზე, გრძელ - გრძელ კალაპოტებში, თევზია; ფარფლებივით მზინვარე მდინარეები მიედინება: ცხენისწყალი, აბაშა, კოდორი და სახელგანთქმული რიონი” (რობაქიძე, 2018:285). ამის შემდეგ რობაქიძე გადაინაცვლებს კოლხი ხალხის დეტალურ დახასიათებაზე გვიყვება, რომ „აქ, ყოველ ნაბიჯზე, შეხვდებით ჯადოქრებს, კუდიანებსა და ალქაჯებს, ბრძენ მბჭობელებსა და ჯარა ექიმებს, მარჩიელებს, ოჩოპინტრეებსა და მაქციებს; ისინი უხილავ არსებებად ქცეულან და კუდიანთა თავყრილობებს მართავენ. დიახ, ეს მთვარის ქვეყანაა და არა - მზისა. ამიტომ აქ მზის ნაცვლად მთვარეს სცემენ თავყვანს და ადამიანები ძრწოლითა და სასოებით მსახურებენ თავიანთ ღვთაებას” (რობაქიძე, 2018:287), - ასეთი დეტალური აღწერით მწერალი უცხოელ მკითხველს აცნობს კოლხურ გარემოს და ხალხს.

კოლხეთის, კოლხი ხალხის, მედეას უკვდავი მითისა და ოქროს საწმისის ამბის გახსენების შემდეგ მნიშვნელოვანია განვიხილოთ გრ. რობაქიძის რომანის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი - ასტამური (მედეას მითის თანახმად იგივე იასონი),

რომელიც გრ. რობაქიძესთან არის აფხაზი და, ჩვენდა გასაკვირად, ავტორი მას წარმოაჩენს საოცარი სიძლიერის მქონე ვაჟკაცად; ის გვეუბნება, რომ „ასტამური ნამდვილი ვაჟკაცი იყო, ჯანდონით სავსე და ძლიერი; სისხლი ისე ძალუმად და დაუდგრომლად უჩქეფდა ძარღვებში, რომ ნებისმიერი ჭრილობა მაშინვე უშუშდებოდა, როგორც კი ზედ გამჭვარტლულ აბლაბუდას დაადებდნენ ხოლმე”(რობაქიძე, 2018:316).

ნაწარმოების მიხედვით, ასტამურმა იძალადა მეგიზე, რადგან ის ძალიან უყვარდა და ცდუნებას ვეღარ უძლებდა, თუმცა, ჩადენილ დანაშაულს ის გულწრფელად ძალიან ნანობს: „ასტამური გრძნობდა, რომ იმ დღეს მეგის გულში რაღაც ჩაკვდა” (რობაქიძე, 2018:316). ამ ამბიდან მალევე მეგი გაიგებს, რომ ფეხმძიმედაა, ის მალავს ფეხმძიმობას და ასე ჩუმად (რვა თვის შემდეგ) იბადება ბიჭი, მეგის კი, მედეას მსგავსად, შვილის მიმართ უჩნდება ორმაგი გრძნობა: ერთი დედობრივი და მეორე სიძულვილის, რომელიც წარსულს ახსენებს. სწორედ, ამაში ემთხვევა მედეასა და მეგის დამოკიდებულება შვილებისადმი; ავტორი გვეუბნება, რომ „მეგის საერთოდ არ ანაღვლებდა ახალშობილი და მის მიმართ არავითარი დედობრივი გრძნობა არ გასჩენია. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის სხეულში, თავადაც რომ არ იცოდა, რა გზით, შემთხვევით მოხვდა რაღაც უცხო სხეული, რომელიც მან, უჩინარი ძალის წყალობით, კვლავ გამოდევნა თავისი სხეულიდან”(რობაქიძე, 2018:349).

გრ. რობაქიძე რომანში მედეას მითიდან აღებული სიუჟეტების აღწერის გარდა, ვხვდებით ამორძალთა არქეტიპების ნიშნებსაც, ამას მოწმობს თავად რომანის ერთ - ერთი თავის სახელწოდებაც - „ამორძალის წაღდი”, სადაც საუბარია მეომარ ქალებზე, რომლებიც, გადმოცემის მიხედვით, ძველად უნდა დასახლებულიყვნენ კოლხეთის მიწაზე. მწერალი აღნიშნავს, რომ „ეს ქალები სრულიად განმარტოებით ცხოვრობდნენ და ყველა სამუშაოს თავისი ხელით ასრულებდნენ: მუშაობდნენ მინდორში, მოჰყავდათ მოსავალი, უვლიდნენ პირუტყვს, განსაკუთრებით კი ცხენები უყვარდათ. უფრო ძლიერი ამორძალები ნადირობდნენ და საკუთარ თავს საბრძოლო ხელოვნებაში ცდიდნენ” (რობაქიძე, 2018:311). სწორედ, ამ ამორძალ ქალებს ამსგავსებს გრ. რობაქიძე მედეას და გვეუბნება, რომ შთამომავლებში ეს თვისებები გენეტიკური კოდის მეშვეობით თანამედროვე დროშიც გადმოდის, კერძოდ, ამ

მსგავსებას ხედავს მეგის დედა ციციწოში, რადგან თავადვე გვეუბნება, რომ „ამორძალები შეიარაღებული იყვნენ მშვილდ - ისრებით, წაღებითა და მსუბუქი ფარებით; ცხოველის ტყავისგან ამზადებდნენ ჩაფხუტებს, აბჯრებსა და ქამრებს”. სიტყვა „წაღდის” გაგონებაზე ციციწო შეკრთება და ამ დროს პროფილი ამორძალის ნამგალა მთვარისებურ წაღდს მიუგავს. მას სახლში აქვს ასეთი წაღდი” (რობაქიძე, 2018:311).

რომანში მეგის ძიძა (მენიკი) მუდმივად ესაუბრება მეგის და დაწვრილებით უხსნის ამორძალების ქცევებს და ტრადიციებს. უყვება, თუ როგორ აჩენდნენ ისინი შვილებს უსიყვარულოდ, როგორ არ უყვარდათ მათ საკუთარი ვაჟიშვილები და როგორი სიძულვილი ამოძრავებდათ მათ მიმართ; ასევე, ტექსტში ხაზგასმულია, რომ მეომარი ქალები, რაც უნდა გასაკვირი იყოს, შვილებად მხოლოდ ქალიშვილებს თვლიდნენ და მათი არსებობა ახარებდათ, რადგან „ამორძალებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ გოგონები იყვნენ მათი სისხლი და ხორცი და დედობრივ ზრუნვას არ აკლებდნენ, თუმცა, ძუძუს არასოდეს აჭმევდნენ, რათა მკერდი არ დაჰკნობოდათ და ბრძოლებში ხელი არ შეშლოდათ. პატარებს ფაშატის რძეს და ცვარ - ნამის წყალს ასმევდნენ, თაფლივით რომ ილექებოდა მდინარის ლელქაშზე” (რობაქიძე, 2018:312).

ტექსტის თანახმად ირკვევა, რომ სინამდვილეში არავის აინტერესებდა, თუ რას განიცდიდნენ ეს ქალები, რა ტკივილის გადატანა უწევდათ მათ, „თავად სიტყვა „ამორძალი” ყველაფრისმთქმელია. სულ პირველად არსებობდა სიტყვა „ამაო - რძალი”, რაც „ამაო პატარძალს” ნიშნავდა. მოგვიანებით „ა” ბგერა ამოვარდა და მივიღეთ „ამო - რძალი, ანუ „სანეტარო პატარძალი”(რობაქიძე, 2018:312).

რობაქიძის „მეგი - ქართველი გოგონა”, მედეას მსგავსად, ზუსტად ასახავს, ყველასგან მიტოვებული, განადგურებული, მარტოსული და მდუმარე მეგის ცხოვრებას, რომელსაც დედაშვილობის ყველაზე დიდი ტვირთის ატანა გაცნობიერებულად უწევდა: „გოგონა თავჩაქინდრული მოდიოდა. სრული კაბა ეცვა, ათქვირებული ტანი რომ დაემალა. მხრებზე მოსხმული ყვითელი აბრეშუმის გრძელი ქალაღია საიმედოდ იცავდა მას ცნობისმოყვარე თვალთაგან. თავზე თეთრი თავსაფარი შემოეხვია, რომლის ბოლოებში ნაწნავები ჰქონდა ჩაწნული. გოგონა ნელი

ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ბავშვი არ იყო, მუცლით რომ ატარებდა. ახლა მეგის რაღაც სხვაც აზნევდა და აშფოთებდა” (რობაქიძე, 2018:343).

მეგი დიდხანს ითმენდა გასაჭირს; ერთ დღესაც, როგორც ავტორი ამბობს, ის „არაადამიანურმა, ველურმა, პირველყოფილმა მძვინვარებამ შეიპყრო, მარჯვენა ხელი ნაწნავს ჩასჭიდა და ბავშვს ყელზე მიაჭირა, მერე კი, საშინელი სიძულვილით აღსავსემ, მისი პაწია თავი მკერდზე მაგრად მიიკრა. ბავშვმა დაიყვირა” (რობაქიძე, 2018:359), მიუხედავად ამისა, „დედა” გონს მალევე მოეგო და ბავშვი გადარჩა, თუმცა, დედის ამ ქმედების გამო, ჩვილი ავად გახდა და მეორე დღესვე გარდაიცვალა. ამ ფაქტით დათრგუნული მეგი, სწორედ, საკუთარი ნაწნავით გადაწყვეტს თავის ჩამოხრჩობას, მაგრამ, მფარველი ანგელოზის დახმარებითა და შეწევნით, ამ განზრახვას გადაიფიქრებს. ავტორი მოგვითხრობს: „შიშით შეაქცია გოგონამ ზურგი საშინელ ფიქრებს, თავი ყულფიდან გამოყო და ხიდან ჩამოხტა. მერე ფეხქვეშ კვლავ შეიგრძნო დედამიწა. შიში სადღაც გაქრა. ახლა იგი იმ ბარტყს ჰგავდა, ნისკარტით ნაჭუქს რომ ამტვრევს და გარეთ გამოდის; ჰოდა, მეგი იმ საშინელი სიღრმეებიდან თავისუფალ სივრცეში ამოიჭრა, ფრთაშესხმული და ხელახლა დაბადებული” (რობაქიძე, 2018:366).

სიუჟეტები რომლებიც ტექსტში გვხვდება, მთლიანად აღებულია მითებიდან. ავტორი რომანის მეშვეობით უცხოელ მკითხველს, ასევე, აწვდის ცნობებს საქართველოში თურქების შემოსევის შესახებ; ის ცდილობს, არსებული ისტორიული ფაქტი დაუკავშიროს ტექსტის სიუჟეტს და უდიდესი სამწერლობო ტექნიკით რომანში გამოყოფს ცალკე თავს - „თურქების შემოსევა”, რომელშიც აღწერილია 1855 წლის 25 ოქტომბრის მოვლენები, როცა ომარ - ფაშა დიდძალი ლაშქრით მოადგა ენგურს იმ მოტივით, რომ რუსების ყურადღება ლარსიდან საქართველოსკენ გადმოეტანა. ასევე, აქვე ნახსენებია და დეტალურად განხილული 1803 წელს რუსეთსა და სამეგრელოს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები, რის მიხედვითაც სამეგრელოს ტერიტორიის დაცვა რუსეთის მოვალეობა იყო. ავტორი თხრობას ასრულებს იმით, რომ „16 ნოემბერს ყარსი დაეცა, 23 ნოემბერს კი ამბავი მოვიდა, ციხესიმაგრე ომერ - ფაშას ხელში გადავიდაო და, რაკი თურქეთის ლაშქარს სამეგრელოში ადარაფერი ესაქმებოდა, ომერ - ფაშამ დეკემბერში ცხენისწყლის

მიდამოებიდან რედუტ - კალეს მიმართულებით თავისი ჯარების გაყვანა დაიწყო” (რობაქიძე, 2018:375).

დასკვნის სახით შეგვიძლია, აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ რომანით შეეცადა მსოფლიო ლიტერატურის მკითხველისთვის გაეცნო მედეას ქვეყნის ადათ-წესები. ტექსტის ბოლოთქმაში თავადვე მიმართავს მედეას ნაწნავებს შემდეგი სიტყვებით „ო, ნაწნავებო! მეგის ძოწის ნაწნავებო! ასე მგონია, თქვენში ჩემი ქვეყნის მზეს ვხედავ და მშობელი მიწის სურნელს შევიგრძნობ. ის გოგონა ჩემი ქვეყნის შვილი იყო და თქვენთან ერთად იზრდებოდა, მერე კი თქვენ მისი სუნთქვა შემოინახეთ. ეს თქვენ იყავით მისი ათქვირებული მკერდის მხილველნი, დაუცხრომელი ნატვრით რომ გადაიშლებოდა ხოლმე თქვენ წინაშე. იგი ცარიელი ვნება და, იმავდროულად, თავად უბიწოება იყო თხემით ტერფამდე. სწორედ, მისი ეს ვნება და უბიწოება გამოსჭვივის თქვენში, ძოწის ნაწნავებო! ის გოგონა ამორძალის წალდივით სასტიკი იყო და თქვენი შეხება მეც შიშს მგვრის, სხივმოსილო ნაწნავებო! მისი შვილი კი მოახრჩეთ, მაგრამ თქვენ მისი ყმაწვილქალობის სიხარულიც იყავით!” (რობაქიძე, 2018:399), - ტექსტის ასეთი ბოლოთქმა თითქოს ავტორის მხრიდან ცდა იყო იმისა, რომ მკითხველს რეალურად დაენახა, თუ როგორი ქვეყანა იდგა სინამდვილეში კოლხი მედეას უკან და რა ადათ-წესები ქონდა მას.

3.1.5. გივი მარგველაშვილი - „კოლხი მედეა კოლხოზში“

გერმანულენოვანი მწერალი გივი მარგველაშვილი, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური რეჟიმის სისტემა ძალიან კარგად იცოდა და რომელიც თავადაც იყო ამ რეჟიმის მსხვერპლი, დაწერა წიგნი სახელწოდებით „კოლხი მედეა კოლხოზში“, რომელიც მთლიანად ასახავს ავტორის წარმოსახვას პოსტმოდერნულ და პოსტსტრუქტურალისტურ ჭრილში.

რომანის პოსტმოდერნისტული მახასიათებლებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ინტერტექსტუალობა, რაშიც მოიაზრება მედეას ანტიკური მითის თანამედროვე ინტერპრეტაცია, ნაწარმოებში სხვადასხვა კულტურის ტექსტის შემოტანა (კრისტა ვოლფი - „მედეას ხმები; კარლ მაქსი - კაპიტალი; ევრიპიდე - მედეა) და მითის სიუჟეტისა და საბჭოთა რეალობის შერწყმა; ასევე, პოსტმოდერნისტული მახასიათებელია ირონია და პაროდია, რომლის მეშვეობითაც მარგველაშვილი ახერხებს საბჭოეთში ცხოვრების ირონიულ გადააზრებას, მაშინ არსებული იდეოლოგიური მექანიზმების პაროდირებასა და მედეას მითის სიუჟეტების გროტესკულ გარდაქმას.

რომანი, თავდაპირველად დაიწერა გერმანულ ენაზე და ის ფართო მკითხველის არენაზეც პირველად ბერლინში გამოვიდა, თუმცა, მოგვიანებით ის ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზეც; სწორედ, მაშინ გაიცნო ქართველმა მკითხველმა ეს ნაწარმოები, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში ბიჭვინთაში, მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მედეას ქანდაკების ირგვლივ ვითარდებოდა. ნაირა გელაშვილი აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში გვეუბნება, რომ „დიდი მარტოობისა და გარიყულობის განცდას მწერალში თავის მძიმე ბედისწერაზე უფრო თავისი წიგნების ბედისწერა იწვევდა. ის ძალიან განიცდიდა, რომ მისი ტექსტების დიდი ნაწილი ესოდენი დაგვიანებით დაბრუნდა ენობრივ სამშობლოში; რომ ამის გამო მას ცოტა მკითხველი ჰყავდა“ (მარგველაშვილი, 2021:18).

როგორც აღვნიშნეთ, ავტორი ტექსტში ნათლად გამოყოფს რამდენიმე ძირითად საკითხს (არსებული საბჭოთა სისტემის კრიტიკა, კულტურული იდენტობის დამადასტურებელი საკითხები და ძველი მითოლოგიური საკითხების შერწყმა თანამედროვეობასთან), ახდენს არსებული რეალობის სიმულაციურობას და ასე

ცდილობს იმ კულტურათმორისი კონფლიქტების აღწერას, რაც რეალურად არსებობდა.

ნაწარმოებს ყავს მთავარი პერსონაჟი - „ხელოვნური მკითხველი“, რომელიც პირველ პირში გადმოგვცემს ზოგადად არსებული ტექსტებთან პერსონაჟების ცხოვრებას და გვეუბნება, რომ მათი არსებობა დამოკიდებულია მკითხველის წარმოსახვაზე, თუ მათ არ ეყოლებათ წამკითხველი, ისინი შეწყვეტენ არსებობას. ნაწარმოების ასეთი დასაწყისი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ მწერალი თხოვრებას იწყებს მეტაფიქციურად და თავადვე ქმნის პერსონაჟს - „ხელოვნურ მკითხველს“, რომელმაც იცის, რომ ის ავტორმა განგებ შექმნა. მწერალი ნაირა გელაშვილი გივი მარგველაშვილის წიგნის - „კოლხი მედეა კოლხოზში“- წინასიტყვაობაში წერს: „გივი მარგველაშვილის (აქ: ვაკუშის) პერსონაჟებმა იციან, რომ მათი ბედისწერა მთლიანად დეტერმინირებულია, ის მათმა ავტორმა განსაზღვრა: მან მიუსაჯა ყველას ერთ გარკვეულ სიუჟეტში ცხოვრება, მან დაადგინა, ვინ მთავარი გმირია, ვინ - მეორეხარისხოვანი თუ წამიერად გაელვებული; ასევე, მილიონობით სხვა ავტორებმა, დაადგინეს რომელმა პერსონაჟმა რომელი უნდა მოკლას, ვინ ვის უნდა უღალატოს, ვინ ვის უნდა შეუყვარდეს, ვინ ვის უნდა დაშორდეს თუ უღალატოს ამ სიუჟეტში. ეს ყველაფერი კი იმდენჯერ მეორდება, რამდენჯერაც წიგნს წაიკითხავს ადამიანი. უსაზღვროდ განმეორებადი ერთი და იგივე ისტორია, მით უფრო, თუ ეს ტრაგიკული ისტორიაა, პროტესტის გრძნობას იწვევს წიგნის გმირებში. ეს იგივეა, რაც დიქტატურაში ცხოვრება, თანაც - უსასრულოდ განმეორებად იგივეობაში. მაგრამ, თუ არავინ კითხულობს ამა თუ იმ წიგნს, მაშინ მეორე უბედურება იწყება: დახურულ ყდებს შორის მოქცეული პერმეტული ცხოვრება, პერსონაჟების თანდათანობითი დაავადება უმკითხველობის შედეგად, რასთანაც გვაქვს საქმე „კოლხ მედეაში“ (მარგველაშვილი, 2021:13).

გ. მარგველაშვილის ნაწარმოების თანახმად „ხელოვნური მკითხველი“ ასრულებს ავტორის წინაშე მიცემულ პირობას, რომლის მიხედვითაც სიცოცხლეს სძენს რომანის მთავარ პერსონაჟს - ვაკუშის, ვაკუში კი, მკითხველების არყოლის გამო, მარტოა მიტოვებული და უამრავი თავისუფალი დრო აქვს და სულ უბრალოდ ის უბრალოდ დაეხეტება ბიჭვინთის ქუჩებში.

ნაწარმოების მთავარი სცენა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, სწორედ, მაშინ იწყება, როდესაც „ხელოვნური მკითხველი“ ვაკუუმს დაინახავს მედეას ქანდაკებასთან. შემთხვევითი არ უნდა იყოს ფაქტი, რომ ამ დროს მას ხელში უჭირავს წიგნი - კრისტა ვოლფის „მედეა“ და ქანდაკებას ესაუბრება.

ჩნდება კითხვა: რატომ მიანცდამაინც კრისტა ვოლფი და მისი მედეა? თუ კარგად დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს მარგველაშვილს შემთხვევით არ გაუკეთებია, რომ ამ ჩანაფიქრის უკან იმალება ერთგვარი გეგმა, რომელიც წარმართავს მთლიან ნაწარმოებს; ავტორის თქმით, „მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის ხელით ჩამოსხმული მედეა და გერმანელი მწერლის - კრისტა ვოლფის კალმით აღწერილი მედეა ორი სრულიად სხვადასხვა ინდივიდია. მართალია, ერთმანეთს ჰგვანან, მაშასადამე, ერთმანეთს ენათესავებიან, მაგრამ - მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასლები უკავშირდება ერთმანეთს თუ დედანს. დედანს ასლებისაგან მთელი ეონები აშორებს. და ეს ეონები - წიგნისა თუ ქანდაკების სამყაროები - ერთმანეთისაგან დროითი სტრუქტურითაც განსხვავდებიან - საკითხავი სამყარო მრავალფეროვან ხდომილებათა დინამიური თანმიმდევრობაა და მთლიანია: მედეას მთელ გულსაკლავ (საკითხავ - ცხოვრებისეულ) ამბავს შეადგენს. ქანდაკების სამყარო, ამის საპირისპიროდ, მუდამ შეჩერებული და გაქვავებული წამის სამყაროა” (მარგველაშვილი, 2021 : 173).

ვუღფი ერთ - ერთი პირველი გერმანელი ავტორი იყო, რომელმაც მედეას ისტორია გადმოგვცა ექვსი პერსონაჟის მონოლოგით; ვულფთან მედეა არ არის შვილების მკვლელი, მისი სიუჟეტის თანახმად ბავშვებს ხოცავენ კორინთოსელები, ევრიპიდესგან განსხვავებით კი მედეა ამ ტექსტით არც ძმა აფსირტოსის მკვლელია, ანუ ყველა მანკიერება, რაც მედეას პერსონაჟს ახასიათებდა ევრიპიდესგან მოყოლებული, ავტორმა ჩამოაშორა და სულ სხვა რეალობა გვიჩვენა; სწორედ, ამის ჩვენება და დამტკიცება სურდა ქართველებისთვის გ. მარგველაშვილსაც - მისი აზრით, „ ქვეყნად იმდენი მედეა არსებობს, რამდენიც ამა თუ იმ შემოქმედებმა შექმნეს და ამ შემოქმედებით სამყაროში ისინი, თავიანთი მითურ - ლეგენდური პროტოტიპის მიხედვით, განსხვავებულად არიან ასახულნი” (მარგველაშვილი, 2021:173).

გივი მარგველაშვილს რომანში შემოჰყავს მეორე მოქმედი პერსონაჟი - მფრინავი მტვერსასრუტი „პოლიპენ პოლიმატი“, რომელიც მაშინდელი საბჭოთა მოწყობის მოსახლეობის იდეოლოგიური აზროვნების განმწმენდია და ერთგვარად მათ განმანთავისუფლებლად ითვლება.

მფრინავი „პოლიპ პოლიმატი“, ტექსტის მიხედვით, თავს დასტრიალებს მედეას ქანდაკებას და რაღაცაზე ბაასობს მასთან; აქაც ნათელია მარგველაშვილის ჩანაფიქრი, რის გამო მოჰყავს მედეას გაქვავებულ ქანდაკებასთან „პოლიპ პოლიმატი“, როგორც თავად ამბობს ტექსტში. მას სურს, მედეას განთავისუფლება ცოდვებისგან, რაც მას არ ჩაუდენია (შვილებისა და ძმის მკვლელობა) და რაც ევრიპიდემ გამოიგონა; ამ საქციელით კი ნათელი ხდება, რომ ავტორი მედეას ამართლებს და სურს მისი განწმენდა. სწორედ, ამიტომ ნაწარმოებში გამიზნულად შემოაქვს ქრისტა ვოლფის მედეას წიგნი და ამიტომ აკითხებს მას ქანდაკებას, თითქოს ამით სურს, თავად მედეას გააგებინოს ნამდვილი სიმართლე და უთხრას, რომ ის არ არის დამნაშავე საუკუნეთა უკან ჩადენილ არცერთ დანაშაულში: „ - ის სასიხარულო ცნობა, რაც ჩემგან შეიტყო, ამ წიგნშია მოქცეული, - მითხრა პერსონაჟმა ვაკუშმა და მიმითითა ქრისტა ვოლფის წიგნზე „მედეა“ - პოლიპის მეშვეობით, რომელიც ტელეპატეფონის სახით გამოვიყენე, ორი სიტყვით გადავეცი, რაც აქ მასზე წერია. ასე ჩავძახე: შენი ორი ვაჟი, მეიდოსი და ფერესი, შენ არ დაგიხოცია. ისინი, შენს სხვა შვილებთან ერთად, კორინთელებმა ჩაქოლეს, რადგან თავიანთი მეფის - კრეონის და მისი ქალიშვილის - გლაუკას მკვლელობაში გდებდნენ ბრალს და ამგვარად გადაწყვიტეს შენი დასჯა, თუმცა, სინამდვილეში არავინ მოგიკლავს და ყველა შენი დანაშაულიც მხოლოდ იმ ადამიანთა წარმოსახვაში იყო, შენთვის ცუდი რომ სურდათ” (მარგველაშვილი, 2021: 132).

ეგრეთწოდებული „ხელოვნური მკითხველი“, რომელიც ტექსტში შემოჰყავს მარგველაშვილს, აკონტროლებს პერსონაჟების ყველა მოქმედებას, რათა ზედმიწევნით შეასრულონ ავტორის ჩანაფიქრი და განზრახვა და თუ შეამჩნევს პერსონაჟების არათემატურ საქციელს, მაშინვე ემუქრება ავტორთან ჩივილით; თუმცა, ჩვენს ვაკუშის ამის არ ემინია „ ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში მითხარით, პრაქტიკულად, მისივე სიტყვებია; უფრო მეტიც: ყველაფერი, რაც მე და თქვენ აქ ვთქვით, ვაკეთეთ თუ გულში გავივლეთ, მისგან

მოდის: ავტორ ვაკუუმის ნებისა და წარმოსახვის შედეგი გახლავთ. იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ, რასაც აი, ახლა, ამწუთას ვამბობთ, რაზეც ვსაუბრობთ, ასევე მისი კალმიდან არ არის გადმოსული, რომ ამ მოთხრობაში ჩვენი შეხვედრაც მთლიანად ავტორის დაგეგმილი არ არის, ანუ მასში თემატურად არ არის გათვალისწინებული. მან კი ყველაფერი, სწორედ, ისე დაწერა, როგორც მოხდა და ამ წამსაც ხდება” (მარგველაშვილი, 2021 : 178).

საბოლოოდ მარგველაშვილის ვაკუმი დასახულ მიზანს აღწევს, ქანდაკება ცოცხლდება და იწყებს კრისტა ვოლფის ტექსტის წაკითხვას. ტექსტის კითხვისას მედეა ხვდება, რომ ის არ არის ისეთი საშინელი, როგორიც ევრიპიდემ გახადა, რის შემდეგაც ქანდაკება იწყებს სახეცვლილებას: „ტანჯვით დამახინჯებული ნაკვთები გადაუკრიალდა, ნაოჭები, გმინვით დაგრეხილი ბაგიდან რომ ეწყებოდა და ღაწვებს უკვეთდა, ერთიმეორის მიყოლებით გაუქრა, მზერა თანდათან გაულღვა, ქანდაკების თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, უღონო ბრაზით დახრილი თავი კი ნელა ასწია” (მარგველაშვილი, 2021:86). ამის შემდეგ ვაკუმი ქანდაკებას ისევ საწყის მდგომარეობაში აბრუნებს, თან უტოვებს წიგნს და სთხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ მონაკვეთებს, რომლებიც განზრახ მოუნიშნა წითლად, ეს წითლად მონიშნული ადგილები კი მედეას უდანაშაულობას ამტკიცებს.

რომანის მთავარი თემა არის მედეას ქანდაკების ტრაგიკული ბედის შეცვლა, თუმცა, ეს ლიტერატურული პერსონაჟის ბედის ცვლილებაზე უფრო რთული და შრომატევადია, რადგან აქ საქმე გვაქვს წამიერად გაქვავებულ მონუმენტთან; ამ გაქვავებულ წამში, კი ჩანს, სწორედ, ის მომენტი, როდესაც მედეამ გონებაში გაიფიქრა საკუთარი შვილების დახოცვა „და მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა ის ამ წამში სამუდამოდ გააქვავა, წინ აღარ გაუშვა” (მარგველაშვილი, 2021:17).

რაც შეეხება რომანის სახელს - „კოლხი მედეა კოლხოზში”, ასახავს მითოსური მედეას კავშირს „კოლხოზთან”, ანუ მაშინდელ საბჭოთა საქართველოსთან. თავად სიტყვა „კოლხოზი” კი შეესაბამება საბჭოთა კავშირის ეკონომიკას, რომელიც მთლიანად იყო აღმოცენებული სიყალბეზე. მედეას თემატიკასთან შერწყმით კი ასახავს მთელ საბჭოთა საქართველოს. სათაურის კონკრეტულ განმარტებას გვაძლევს ნაირა გელაშვილი, რომელიც აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ძველი

„კოლხეთი” მთლიანად უძველესი საქართველოს სიმბოლოა, „კოლხოზი” კი - არა მხოლოდ წარუმატებელი საბჭოთა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობისა, არამედ - მთელი საბჭოეთისა. კოლექტიური მეურნეობა, კოლექტიური ყოფა (მწერლის ბიოგრაფიული რეალობაა ის, რომ გივი მარველაშვილი წლების მანძილზე, ღრმა საბჭოთა უძრაობის პერიოდში, რამდენიმე მეგობართან ერთად, ისვენებდა ხოლმე ბიჭვინთაში მდებარე ე.წ. „ციტრუსოვი სოფხოზში”, იქვე იყო მედეას ქანდაკებაც). ასე დაასრულა ძველმა ცივილიზაციამ თავისი ისტორია: კოლხოზმა კოლხოზით” (მარგველაშვილი, 2021:10).

ნაწარმოებში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი ამახვილებს საბჭოთა კავშირის ძალადობრივ რეჟიმზე და ამ რეჟიმის წარმომადგენლების (ლენინი/ სტალინი) მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე, როგორც იყო მაშინდელი რეპრესიები, დახვრეტა, გადასახლება და ადამიანთა დაშინება.

ავტორი ლენინისა და სტალინის მიერ ჩადენილ დაუნდობელ, სასტიკ ქმედებებს ადარებს მედეას მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულებებს. ეს შედარება ტექსტში ავტორს განზრახ აქვს გაკეთებული, რადგან მისთვის სასტიკი დედის მიერ ჩადენილი დანაშაულებები, სწორედ რომ, ლენინისა და სტალინის სისხლიან რეჟიმთან ასოცირდება: „ ამ ორ მთავარ იდეოლოგს კი მედეასთან ის აქვთ საერთო, რომ ორივე დამნაშავეა საკუთარი ხალხის ჟლეტაში. ორივენი წარბმუხრელად ამწესებდნენ მილიონობით ადამიანს; მაგალითად, როდესაც ეგონათ, რომ მავანმა და მავანმა მათ იდეას უღალატა ან რაღაც ფორმით დაუპირისპირდა მათ კურსს. იმქვეყნად გამწესება, სხვათა შორის, მუდამ დახვრეტას არ ნიშნავდა. იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს ან მათ, ვინც ასეთებათ იყო მიჩნეული, მასობრივად ამწყვევდნენ ბანაკებში და, რადგან მსგავსი ბანაკებიდან უმრავლესობა აღარასოდეს ბრუნდებოდა, ესეც, შეიძლება ითქვას, მიღმა ქვეყანა იყო” (მარგველაშვილი, 2021: 128).

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გ. მარგველაშვილის რომანში მოცემულ კოლხ მედეასა და ლენინსა და სტალინს შორის არსებულ მსგავსებასთან ერთად, ფიქსირდება მათ შორის განსხვავებაც და ამას ავტორი, რა თქმა უნდა, გამიზნულად აკეთებს; ეს განსხვავება ჩანს ერთ ეპიზოდში, როცა ის ექვეყნეშ აყენებს მედეას მიერ ჩადენილ დანაშაულებებს და მას ერთი მხრივ ევრიპიდეს გამოგონებას მიაწერს,

თითქოს ამით ავტორი აბათილებს მედეას დანაშაულს, მაგრამ სხვაგვარად იქცევა ლენინისა და სტალინის შემთხვევაში, რადგან სხვა გზა არც აქვს, მათ მიერ ჩადენილ სისხლისღვრებს (მასობრივ მკვლევობებს) ვერაფრით ვერ აბათილებს და ვერც ვერავის მიაწერს, ეს რეალობა კი საბოლოო ჯამში საკმაოდ დიდ განსხვავებას იძლევა. ნაირა გელაშვილი წიგნის - „კოლხი მედეა კოლხოზში“ - წინასიტყვაობაში ამგვარად მსჯელობს: „თუ მედეა შვილების მკვლეელია, მაშინ იგი, მიუხედავად პირადი ტრაგედიისა, სისასტიკის არქეტიპულ მოდელად გვევლინება და შინაგან ნათესაობაში მოდის ლენინთან და სტალინთან, რომელთა იდეოლოგიამ და პრაქტიკამ მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა“ (მარგველაშვილი, 2021:11).

ზემოთ აღწერილი ფაქტით გ. მარგველაშვილი ღიად აკრიტიკებს საბჭოთა კავშირის რეჟიმს, რომელიც, მისი აზრით, იყო ტრაგიკული პოლიტიკური შეცდომის მკვეთრი გამოვლინება, რასაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, საერთო ჯამში კი დანაკარგი ძალიან დიდი იყო.

გ. მარგველაშვილი ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაციით გვაჩვენებს კოლექტიური შრომის აბსურდულობას, ე.წ. „გეგმიურ ეკონომიკას“, აღწერს ბიუროკრატიული სისტემის უაზრობებს, არსებული კომუნისტური პროპაგანდის გამოვლინებებს, იდეოლოგიური შეხვედრების ფორმალურ ხასიათს და, ამავდროულად, მწერალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საბჭოთა ადამიანის ფორმირების მცდელობებსა და ტრადიციული კულტურის ნიშნების წაშლის უამრავ მაგალითს.

ამრიგად, გივი მარგველაშვილი რომანში „კოლხი მედეა კოლხოზში“ იყენებს მეტაფიქციას, როგორც ხერხს კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხების ასაღწერად და ცდილობს, მკითხველი დააფიქროს წარსულზე, ძველად არსებულ რეალობასა და რეჟიმზე, ამით კი გვაძლევს ერთგვარ სტიმულს, რომ ჩვენც განვსაჯოთ და გადავიზიაროთ საბჭოთა საქართველოს მაშინდელი სავალალო მდგომარეობა.

თავი IV. მედეას მითოპოეტური სახე ქართულ პოეზიაში

მას შემდეგ, რაც მედეას პერსონაჟმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში და ლიტერატურის ნაწილად იქცა, მასზე საუბარს აღარ ერიდებოდნენ პოეტებიც; შეიძლება ითქვას, რომ ისინიც „გათამამდნენ“ და მედეას მიმართ მხარდაჭერასა და გულისტკივილს ლექსის სტრიქონებით გადმოსცემდნენ.

ვინ იყო მედეა პოეტებისთვის: სამშობლოს მოღალატე ქალი, შვილების მკვლელი დედა თუ ტრაგიკული პიროვნება? ამ კითხვაზე პასუხს ყველა პოეტი თავისებურად პასუხობს, ხშირ შემთხვევაში კი პასუხი ორაზროვანია - ისინი ვერ სწირავენ წინაპარ მედეას, რომელიც მათი ქვეყნის შვილია, მათი იდენტობის გამოხატულებაა უცხო მიწაზე, მაგრამ, იმავდროულად დანაშაულისაც ვერ პატიობენ.

ჩვენ მიერ ამ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით განხილული პოეტები (იოსებ ნონეშვილი, ტიცუან ტაბიძე, მუხრან მაჭავარიანი) მედეას ერთგვარ თანადგომას უცხადებენ და ცდილობენ, მოუძებნონ გასასამართლებელი არგუმენტები, თუმცა, სევდა და გულისტკივილი მომხდარი ტრაგედიის გამო სამივე მათგანთან იგრძნობა; მათ პოეზიაში აისახა ისტორია სიყვარულის სახელით მოტყუებული ქალისა, რომელიც, მართალია, ღალატის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს სიძლიერე.

პოეზია ხომ თავისი არსით ხოტბის შესხმაა რაღაც / ვიღაც დიადზე, დრომ კი აჩვენა, რომ ჩვენი კოლხი მედეაც ასეთი ყოფილა. ზოგადად, მედეას პერსონაჟის მიმართ დაინტერესება პოეტების მხრიდან შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მათ, თავიდანვე განჭვრიტეს, რომ ეს მითოსური გმირი გამოირჩეოდა მრავალპლანიანობით.

მედეას მითმა ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, რადგან მითოსური ამბის მიღმა პოეტებმა მკითხველს აჩვენეს, თუ რა გავლენა და მნიშვნელობა აქვს სინამდვილეში ეროვნულ კულტურას, წესებს, კანონებს და ადათებს, თუ როგორ მოქმედებს ის თითოეულ ჩვენგანზე, სადაც არ უნდა ვიყოთ.

საბოლოო ჯამში მედეას მითოსური სახისმეტყველება ქართულ პოეზიაში აისახა, როგორც მისი ემანსიპაციის სიმბოლო, რაც დღემდე იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას თანამედროვე პოეზიაშიც.

4.1. ტიციან ტაბიძე - „მედეას სიმღერა“ / „მედეა“ სონეტი (ი.გრიშაშვილს)

ტიციან ტაბიძემ „მედეას სიმღერა“ დაწერა და თითქოს მედეას პირით გადმოგვცა მისი სატკივარი. ლექსის დასაწყისი შემზარავი და ამაფორიაქებელია, თითქოს მკითხველს ანიშნებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ:

შუა ღამეა. ძრწის ქარიშხალი,
ზღვა ბოხოქარი კვნესის, ღრიალებს,
სჩანს - პასეიდონ განრისხებულა
და ადამის მეთ წარღვნას უქადაგებს.

მეორე სტროფში კარგად ჩანს, რომ პოეტი შეეცადა, მკითხველს რეალობა მედეას მხრიდან დაენახა და წარმოედგინა; თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ეს მცდელობა გამოუვიდა კიდევ:

ვიცი, ახლოა ჩემთან სიკვდილი,
თავს დამციმციმებს მისი აჩრდილი.
მეც იმას ვეძებ... ოხ! მოდი, ტალღავ !
გულში ჩამიკარ, ობლად შთენილი.

ტიციანის მედეა ნანობს ყოველივეს, მას მხოლოდ სიკვდილი სურს და უფლის სამსჯავროზე წარდგენა:

არ მენანება, მინდა დავტოვო

მცდარი, ამაო საწუთროება;

სიკვდილი იყო ჩემთვის ცხოვრება,

სხეულშესხმული ამაოება.

ლექსის წაკითხვისას იქმნება ილუზია, რომ მედეა დაღლილია ყველაფრისგან და სურს, დასრულდეს ყოველივე; ასევე, ის თითქოს უფალს საყვედურობს იმ ბედის გამო, რომელიც მას განგებამ არგუნა. აქ მედეა ზღვის წიაღში მოელის საფლავს, მხოლოდ იქ პოვებს თავდავიწყებასა და შვებას:

ზღვის წიაღში მოველი საფლავს,

მხოლოდ იქ ვპოვებ თავდავიწყებას;

ასე საბრალო თუ ვიქნებოდი,

გაუჩენივარ რისთვის განგებას?!

პოეტი ლექსს მედეას უკანასკნელი სურვილით ასრულებს:

ჩემი ლტოლვანი ვერ დაიტია,

მევიწროება ეს ცრუ სოფელი;

სიკვდილს გეძახი, ნუ იგვიანებ,

ჩემი თხოვნაა უკანასკნელი.

მედეას სიკვდილის ნატვრის მეტი აღარაფერი დარჩენია, რადგან მან ყველაფერი დაკარგა, ამ უბედურებისგან თავის დასაღწევად კი ერთადერთი გამოსავალი სწორედ რომ სიკვდილილა დარჩენია.

„მედეა“ სონეტი (ი.გრიშაშვილს)

ლექსი „მედეა“ სონეტი (ი.გრიშაშვილს) ტიციან ტაბიძემ 1910 წელს შექმნა და ნათლად გვაჩვენა თავისი დამოკიდებულება მედეას პერსონაჟის მიმართ. მოგვიანებით, 1911 წელს, ის კვლავ ქმნის მეორე ლექსს „მედეა“ იმავე თემაზე და უძღვნის იოსებ გრიშაშვილს. ლექსი იწყება მედეას სინანულით:

ნუ მომაგონებთ შვების გაზაფხულს,

ჩემთვის დაღუპულს, ჩემთვის დამარხულს!

ვინ განმიახლებს დამჭკნარ გვირგვინებს?

ვინ დამიბრუნებს იმ ნეტარ დღეებს!

მედეა ნანობს სამშობლოს ღალატს, მას ახსენდება მამული, რომელიც მიატოვა და წუხს იმის გამო, რომ სამშობლო, მშობლის წიაღი მას მკვდარსაც არ მიიღებს:

უცხო მხარეში სული ღონდება:

ჩემი მამული მომაგონდება...

ვაგლახ! ჩამოჭკნა ალერსის ბაღი,

მკვდარს არ მიმიღებს მშობლის წიაღი.

გასაოცარია ტიციან ტაბიძის დამოკიდებულება მედეას მიმართ, არც ერთი პოეტი და მწერალი ასე არ თანაუგრძნობს მედეას, როგორც - ის. ლექსში პოეტი მას „კოლხეთის უცოდველ ასულსაც“ კი უწოდებს და დასასრულს მოგვიწოდებს, შევუნდოთ ცოდვა, რადგან:

უცხოთა შორის, უცხო მხარეში

ის ცოცხლად შთავა ცივ სამარეში.

ტიციან ტაბიძე მხოლოდ და მხოლოდ მედეას მიერ სამშობლოს ღალატზე საუბრობს და გვერდს უვლის მის მიერ მძიმე და უპატიებელი ცოდვის - შვილებისა და ძმის დახოცვის ამბის თხრობას; ორთავე ლექსში პოეტი მოგვიწოდებს ყველა ქართველს, რომ მედეას შევუნდოთ, ვაპატიოთ და ვუთანაგრძნოთ.

4.2. იოსებ ნონეშვილი - „მედეა“

იოსებ ნონეშვილის ლექსი „მედეა“ ერთგვარი თანაგრძნობის გამოცხადებაა კოლხი ასულის მიმართ. პოეტს არ ავიწყდება, რომ სადღაც, კორინთოსში, არის მისი წინაპარი, რომელიც მუდმივ გოდებაშია და ლექსსაც თანაგრძნობით იწყებს:

აქ, ქალაქ არგოში,
კორინთოს მახლობლად,
ძველი ბურჯები რომ ჩანან,
უეცრად მომესმა გოდება კოლხური:
ვაი, ნანაია, ნანა!..

მეორე სტროფში ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ, სწორედ, კოლხი მედეაა ის ქალი, რომელიც დღემდე უპატრონოდ მიტოვებული, ტანჯვაშია უცხო მიწაზე:

წვიმს... ალბათ ეს შენ ხარ
ცრემლებად დაძრული
და გინდა, არც გაიდარო...
კოლხეთის ყველაზე ლამაზო ასულო,
ჩემო დატანჯულო დაო!

პოეტი ცდილობს მედეას გამართლებას და ყოველივე განსაცდელს აბრალებს პირველ, გამოუცდელ სიყვარულს და ბერძენ სასიძოს, რომელმაც მოატყუა კოლხი ასული:

თავი შეგაყვარა ბერძენმა სასიძომ,
შენც პირველ სიყვარულს ენდე.
ელინს წარგიტაცეს
და ოქროს ვერძივით
გაგყარეს მშობლიურ ქედებს.

ი. ნონეშვილი აქვე ამბობს, რომ მწარედ შეცდა მედეა, როცა სამშობლოდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, პოეტი თითქოს ადანაშაულებს კიდეც, რომ თავიდანვე ვერ განჭვრიტა, რაც დაემართებოდა უცხო მიწაზე:

მაგრამ სხვის მიწაზე ვის გაუხარია,

შენ რად დაგინდობდნენ, ქალო,

თუ ასე ლამაზი,

ბრძენი და კარგი ხარ,

ბერძენი რად არა ხარო?!

პოეტი, აგრეთვე, ხაზს უსვამს მედეას სიბრძნეს და მიაჩნია, რომ ბერძნებს შემურდათ მედეას გამორჩეულობა, რადგან მათ ეგონათ ბარბაროსი ქვეყნის მკვიდრი არ შეიძლებოდა ასეთი კარგი ყოფილიყო:

უარგვეს შურით და ღალატით დევნილი,

მფარველი ღმერთიც ვერ გცნობდა

და ვინ უწყის...

დაგწამეს თუ ჩაგადენინეს

ქვეყნად უმძიმესი ცოდვა.

შეგარქვეს გრძნეული,

ბოროტი, ავსული,

რა აღარ გიწოდეს, ნეტავ...

ამქვეყნად ყველაზე ბედკრულო ასულო,

ყველაზე ტანჯულო დედავ!

პოეტი არაფერს ამბობს შვილების დახოცვაზე, პირიქით - მას ტანჯულ დედად მოიხსენიებს, იცოდებს იმის გამო, რომ საკუთარ მიწას მოწყვეტილია, მაგრამ აიძულებს, რომ მისი ქვეყანა მასზე დღესაც დარდობს და გულშემატკივრობს:

შენი დედულეთი აქედან შორია,

ვაი, რომ ვერასდროს ნახავ!..

იქ ბევრი მედეა,

თამარი,

შორენა

შენს ბედზე დარდობენ ახლაც.

როგორც ვნახეთ იოსებ ნონეშვილი მთელი გულისტკივილითა და სიყვარულით საუბრობს ჩვენი, ქართველების, უიღბლო წინაპრის - მედეას ტრაგიკულ ბედზე და ცდილობს, ახლა მაინც მთელი საქართველოს სახელით დახმარების ხელი გაუწოდოს ყველასგან მიტოვებულ მედეას.

4.3. მუხრან მაჭავარიანი - „სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ისევ ძმათა თვისთა თანა, ისევ შუამთაში”

მუხრან მაჭავარიანი 1978 წელს წერს ლექსს - „სიტყვა თქმული, ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ისევ ძმათა თვისთა თანა, ისევ შუამთაში”: ამ ლექსში პოეტი იხსენებს მედეას დაუვიწყარ მითოსურ ტრაგედიას და ამით ხაზს უსვამს ვითარებას, რაც მის თვალწინ დღეს ისევ ხდება:

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –

ტოკავს ასკილი,

ანდა გრაკალი;

ზუსტად იმგვარი,

ზუსტად ისეთი

(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –

სულეველაფერზე თავის კანტური, –

საქციელია არაქართული!

ლექსის შინაარსი დასაწყისშივე ნათელს ხდის, რომ პოეტი გაბრაზებულია, მისი გაბრაზების გასასამართლებლად კი ახსენდება მედეას მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული საკუთარი ქვეყნის მიმართ და გულისტკივა, რომ, მიუხედავად ამხელა შეცდომისა, დღესაც ვერაფერი ვისწავლეთ და იგივე დანაშაულს ჩავდივართ სამშობლოს წინაშე:

უცხოვს როდესაც კოცნი იაზონს

და ზურგზე ისვამ,

როგორც იაზო;

თავმა თუ არა,

ტვინუსუარო, –

ტანმა ქე მაინც უნდა გიაზროს, –

რა შეიძლება მოჰყვეს იმ ამბორს.

რაც მოყვა მედეას „ამბორს” კარგად ვიცით და, სწორედ, ამ ფაქტის შეხსენებას ცდილობს პოეტიც, რომ ისევ არ დავკარგეთ „ოქროს საწმისი”:

მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, –

ვიცი: ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,

ვიცი, რა მოჰყვა მედეას ამბორს,

როგორ დავკარგეთ, მახსოვს, საწმისი.

ლექსში არსად ჩანს მედეასადმი თანაგრძნობა, პირიქით – იგრძნობა, რომ პოეტი მას ადანაშაულებს და ერთადერთი, რაც პოეტს ახლა უნდა, ისაა, რომ ახალმა თაობამ არ გაიმეოროს მედეას შეცდომა; სწორედ ამიტომ მოყავს არგუმენტად მედეას მიერ ჩადენილი დანაშაული, თითქოს გული სწყდება, რომ წარსულის ტრაგედიაზე ვერაფერი ვისწავლეთ.

4.4. მანანა ჩიტიშვილი - „მედეა“

თანამედროვე პოეტი, მანანა ჩიტიშვილი საკმაოდ ვრცელი მოცულობის ლექსში „მედეა“, მედეას მოიხსენიებს, როგორც „ კოლხეთის მეფის ბრძენ სულს“ და ამით ხაზს უსვამს, რომ მისთვის კარგად არის ცნობილი კოლხი ასულის მითოსური სახის შტრიხები: მედეა - ქალღმერთი, მედეა - ჰელიოსის შთამომავალი, მედეა - ჯადოქარი, მედეა - გრძნეული, მედეა - მკურნალი ქალი...

განსხვავებით სხვა პოეტებისგან, რომლებიც ცდილობდნენ მედეას ღალატი და არგონავტებისთვის ოქროს საწმისის მოპოვებაში დახმარება როგორმე გაემართლებინათ და მიზეზად სიყვარულის ყოვლისშემძლე, ყოვლისშემძუსვრელი და ყოვლისმპყრობელი ძალა დაესახელებინათ, მ. ჩიტიშვილი ლექსს პირდაპირ საყვედურით იწყებს:

აკვნიდან ქართულ „ნანას“ ისმენდი,

ამ ხმებმა თითქოს სხვისთვის იდინა,

რა სიყვარული შეგხვდა ისეთი,

თვით სამშობლო რომ გაგაყიდინა!

პოეტს ვერ გაუგია და ვერ უპატიებია მედეასთვის, თუ „როგორ შეხსნა ღალატის გველმა მისი გულის კარები“ და როგორ გახდა თანამოაზრე მომხდურთა, ანუ ელინთა - არგონავტებისა და იაზონისა, რითიც „ მიუგდო უცხოთ საჯიჯგნად ერის ღირსება და უკვდავება“.

პოეტისათვის, ტრადიციულად, ოქროს საწმისი არის სიმბოლო კოლხეთის უძლეველობისა, ზღაპრული სიმდიდრისა და უკვდავებისა, შესაბამისად, ამ განძის დაკარგვას მოჰყვა კოლხეთის დამხობა:

ვაი, დამხობილ ტაძრებს, პალატებს,

ვაი, დაქცეულ ბჭეს და კერიას!..

ლექსის მთავარი მოტივი არის მედეას მიერ სამშობლოსა და მამისეული ოჯახის ღალატით გამოწვეული ტკივილი და ტანჯვაა, რასაც ავტორი უკიდურესად განიცდის:

ღალატზე მეტი ღალატი ჰქვია,

შენივ სისხლ-ხორციტ თუ გაიწირე!

პოეტი ხშირად მიგვანიშნებს საკუთარ განცდებზე: „ მე ვტირი.., ” „ გული ჯავრისგან გახლეჩას ღამობს .., ” „ ჯერ ისევ მეწვის იარა... ”.

მ. ჩიტიშვილის ლექსში აშკარად ძლიერია პოეტის პატრიოტული გრძნობების გამოვლენა, რომელიც შელახა და შეძრა მედეას მიერ ჩადენილმა ღალატმა:

სამშობლოს ორგულს და მოღალატეს

შენდობა არსად არ უწერია!

პოეტი კიცხავს მედეას, რომ იმის ნაცვლად, თვითონ გამხდარიყო კოლხეთის მცველი („ შენ თვითონ უნდა აფარებოდი კოლხეთისაკენ მომართულ ისარს,,) თავისი ღალატით „ მამულს უმზეო დღე გაუთენა ”.

პოეტ მანანა ჩიტიშვილის მიერ მედეასადმი გამოტანილი განაჩენი შეუვალია:

იცის უფალმა, თუმცა მებრალვი,

შენდობა მაინც არ შემიძლია.

უფრო მეტიც - პოეტი მიგვანიშნებს მედეას ტრაგიკულ ბედზე სამშობლოს დატოვების შემდეგ, თუმცა, ამაზე დეტალურად არ საუბრობს და მედეას ტრაგედიას, სწორედ, ამ ღალატით ხსნის:

თოვლს წვიმა ცვლიდა, ავდარს - მზედარი,

დრო - ჟამმა თავის წესზე იბრუნა

და მთელი შენი ნამოქმედარი

მისხლობრივ შენვე შემოგიბრუნა!

რჩება შთაბეჭდილება, რომ მედეას ღალატი მ. ჩიტიშვილისათვის განზოგადდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდ ღალატად („ და ყველაფერი, რაც მოხდა შემდეგ, ამ ღალატს როგორ მიეტოლება,,). ამით აიხსნება პოეტის სასტიკი განაჩენი მედეას მიმართ:

წყევად შემორჩი აქაც და იქაც,

ახლაც არ ვიცი, დრო რას გიპირებს,

მე ვერ შენდობით წაგიქცევ ჭიქას

და ვერც ქართულად ვერ დაგიტირებ!

საგულისხმოა, რომ მ. ჩიტიშვილის ლექსის სტრიქონებში მხოლოდ ერთხელ, ისიც იმპულსურად, მაგრამ მაინც, გაიჟღერა სიბრალულმა მედეას მიმართ („თუმცა მებრალვი”); ამ გრძნობას ერთგვარად აძლიერებს ლექსის მოულოდნელი ფინალი, სადაც მედეას მიმართ პოეტის ქვეცნობიერი სიბრალული და სინაზე კვლავ იჩენს თავს:

და თრთის ზღვის ტალღა, როგორც კულუღი,

სახსოვრად დედას რომ დაუტოვე.

ამგვარი ფინალი აჩენს ეჭვს, რომ პოეტის სისასტიკე მედეას მიმართ არის გარეგნული და გულში მას უთუოდ აქვს სიბრალული და თანაგრძნობა თავისი ლექსის პერსონაჟის მიმართ, რომლის დამალვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობს.

ლექსის ბოლოსიტყვაობაში მ. ჩიტიშვილი წერს, რომ „ლექსი „მედეა” მისთვის განსაკუთრებულია ბევრი რამით, პოეტმა გარკვეული ხანი მისი მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა ვერც გაზედა თუ ვერც გაიმეტა. ეს გასაგებიცაა, რადგან ქართველი პოეტები ყოველთვის ცდილობდნენ მედეას რეაბილიტაციას და გამოხატავდნენ მის მიმართ თანაგრძნობასა და სიბრალულს. მათგან განსხვავებით მანანა ჩიტიშვილის ლექსში სხვაგვარი აქცენტებია დასმული - პოეტმა მედეას მაგალითზე განაზოგადა სამშობლოს მოღალატის სახე, რომელსაც „შენდობა არსად არ უწერია”, ამიტომაც წერს პოეტი ლექსის ბოლოსიტყვაობაში, რომ მან მედეა გამოიყვანა „როგორც გლადიატორი კოლიზეუმის არენაზე” და დატოვა უფლის სამსჯავროზე - „უფალი შეეწიოს”!

4.5. დიანა ანფიმიადი - „მედეა“ / „სხვა მედეა“

კიდევ ერთი თანამედროვე პროექტი, რომელიც კოლხი ასულის ამბით ინტერესდება დიანა ანფიმიადია. მან ორი ლექსი მიუძღვნა მედეას, სახელწოდებით „მედეა“ და „სხვა მედეა“. საინტერესოა, რომ პროექტი ქალი მედეას თემას უაღრესად თანამედროვე, ემიგრაციის კომპლექსტში განიხილავს, რადგან სამწუხარო რეალობაა, რომ, ბედის ირონიით, თანამედროვე ქართველი ქალების დიდი ნაწილი ცხოვრების რთულმა პირობებმა, სწორედ, საბერძნეთში მოახვედრა ემიგრანტებად.

„მედეა“

ლექსში „მედეა“ აპოეტა ამბობს, რომ ჩვენი დიადი წინაპრის ტრაგედია გამოწვეული იყო იმით, რომ მედეა მუდმივად დაეძებდა სამშობლოდან გასაქცევ მიზეზს, რადგან სხვა ახსნა არ აქვს მის საქციელს. ამის დასტურად კი ანფიმიადი უამრავ ფრაზას იყენებს ლექსში: „ის, ვინც ღრუბლიდან შუა ზღვაში გადავარდება“; „ის ვინც საკუთარ გამონაბოლქვ სუნთქვას გაჰყვება უცხო მხარეში“; „ის, ვინც საკუთარ ტყავს გაიხდის, დარაჯს მიუჩენს“. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ჩამდენი მუდმივად მზადაა, გაწიროს სამშობლო და გაიქცეს, სხვა დანარჩენი კი მხოლოდ მიზეზია.

პოეტი ვერ პატიობს მედეას სამშობლოს მიტოვებას, პირიქით - ამბობს, რომ ვინც უცხოელს შეიყვარებს, გასაქცევ მიზეზს პოულობს; ასევე, სჯერა, რომ ადამიანი რასაც დასთესს, იმას მოიმკის ბოლოს და ასე დაემართება მედეასაც:

ის, ვინც მინდორში კბილებს დასთესს-

მოიმკის შიმშილს.

- გასაქცევად საჭირო მიზეზს,

რადგან მიწიდან ამოწვერილ

ყველა გოლიათს

ფესვებს მაინც მახრა შეუჭამს.

ავტორის თქმით, მედეა კვლავ დაბრუნდება თავისი ქვეყნის მიწაზე, რადგან მას სწამს, რომ მედეას აქვს ბევრი მიზეზი დაბრუნებისა, მას არცერთი სხვა ქვეყნის მიწა არ მიიღებს, მშობლიური მიწის გარდა:

ის, ვინც უცხოელს შეიყვარებს

(სწრაფმავალ ხომალდს)

გასაქცევად დაეძებს მიზეზს,

რადგანც ყველა იმ მდინარის პირას ბრუნდება,

სადაც ცალი სანდალი დარჩა.

მედემ მიატოვა მდიდარი კოლხეთი, ახლა კი ის გაღარიბებულია და დიდი ხანია, არ მოაქვს მდინარეებს ოქრო, მედეას დაბრუნებას კი პოეტი არ მიესალმება, პირიქით - ამბობს:

გზები, რომ არა

დაგტოვებდი,

მოგიბეზრებდი

ლექის ბოლოს თითქოს მწერალს უჩნდება თანაგრძნობა და ამბობს, რომ თავადაც დაეძებს გასაქცევად მიზეზს:

და ისე მშვიდად,

როგორც ნიმფა ტანზე რძეს ივლებს, –

მეც გასაქცევად დავეძებ მიზეზს –

ვხოცავ ჩვენს შვილებს...

დიანა ანფიმიადის ლექსი „მედეა“ არა მხოლოდ, კოლხ მედეას, არამედ ეძღვნება ყველა ემიგრანტ ქალს, რომლებმაც მიატოვეს საკუთარი შვილები და წავიდნენ უცხო ქვეყნის მიწაზე. ამ ბავშვების მიტოვება პოეტმა შეადარა მედეას მიერ შვილების დახოცვას და ამით გაკვეთილი მისცა შვილებმიტოვებულ დედებს.

„სხვა მედეა“

დიანა ანფიმიადის მეორე ლექსი „სხვა მედეა“, თავიდანვე იწყება გოდებით - პოეტი ნაღვლობს იმ რეალობის გამო, რომელშიც მედეა იმყოფება:

„რა შეიძლება მომხდარიყო ან როგორ უნდა მომხდარიყო,
ან რატომ უნდა მომხდარიყო ასე.“

პოეტი საუბრობს ბავშვების აღზრდაზე და იმაზე, თუ რაოდენ რთულია იყო დედა, თუ რამდენი ბრძოლაა საჭირო შვილების აღსაზრდელად და ამით მიანიშნებს, რომ მედეა ვერ იყო კარგი დედა; მის დედობას პოეტი ადარებს „ქვისა და ქათმის“ ურთიერთობას: როგორც ქათამია უცხო ქვისთვის, ისეთივე ცივი დამოკიდებულება ჰქონდა მედეას შვილებისადმი, ვერ აჭმევდა და „მშვიერი მაჩვებით“ ყავდა მიტოვებული. ამ ყველაფრის გამო კი პოეტი ძალიან დამწუხრებულია:

„ბავშვებს ისეთი მოვლა უნდათ რომ უფრო მკვეთრად შემოხაზონ

ამ დავალების ყველა სიტყვა და ასო.

კვებავ ნახევრად მშვიერ ჩვილებს - ყანაში ქურდი მაჩვებით

ძუძუზე მგლები - ათი, ორმოცი, ასი

მგზავრი ხარ - გზების მასპინძელი

უცხო - ისევე ახლობელი

როგორც ქათამი

ქვისთვის - კრუხად რომ დასვა“.

დ. ანფიმიადი ვერ პატიობს მედეას შვილების დახოცვას და თითქოს ცდილობს, აჩვენოს მას, რაოდენ ტკბილია შვილი:

„გახსენი შენი საგანძური

ქარები-ალმასები-გახარებულ

თვალებს მიაგებე დედის სითბო

და შენი ბარტყები

(ბახალები იმისთვის)

გულში მაგრად ჩაიხუტე,

ისე ჩაიხუტე,

ჩაიხუთონ...

დ. ანფიმიადიმ განსაკუთრებული სიმწვავით გადმოგვცა მედეას საუკუნოვანი მითის ისტორია და წინა პლანზე წამოსწია დედის (მედეას) მიერ შვილების დახოცვის სიმძაფრე.

საგულისხმოა, რომ XXI საუკუნეშიც მედეა აფორიაქებს თანამედროვე პოეტების ფანტაზიას და შემოქმედებით იმპულსებს აღძრავს მათში. თითქმის ყველა პოეტთან იგრძნობა მედეას მიმართ თანაგრძნობა, მისი სიბრაღული და ცდა იმისა, რომ როგორმე გაამართლონ მისი საქციელი, აპატიონ სამშობლოსა და ოჯახის ღალატი, რაც დიდი სიყვარულის გამო ჩაიდინა, თუმცა, თვალშისაცემია, რომ თანამედროვე პოეტებიც კი გვერდს უვლიან მედეას მიერ შვილების მკვლელობის თემას.

მედეა ჩვენი წინაპარია, პოეზია კი - მისი თავშესაფარი, სადაც უნდა გაცოცხლდეს და ქართულ სინამდვილეს მოერგოს, ასე „გააცოცხლეს“ ჩვენი დროის პოეტებმა მედეა, ახალი სიცოცხლე შესძინეს მას, ზოგიერთი მათგანი გამოსავალსაც კი სთავაზობს, ზოგი წინასწარ აწვდის ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ზოგიც კიდევ ბერძნებს ადანაშაულებს ჩადენილ დანაშაულში. ასეა თუ ისე, მედეამ თანაგრძნობა მოიპოვა თანამემამულეთაგან, რაც მას ასე ძალიან აკლდა და რასაც საუკუნეების განმავლობაში გულით ელოდა.

თავი V. მედეა თანამედროვე დრამატურგიულ დისკურსში

5.1. მედეას იდუმალი პერსონაჟის სრულიად ახლებურ გადააზრებას გვთავაზობენ თანამედროვე დრამატურგებიც, ბოლო ხანებში შეიქმნა რამდენიმე ავტორის პიესა, რომლებშიც მედეას თემატიკა ახლებურადაა გაცოცხლებული და წარმოჩენილი.

დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რატომ გადაწყვიტეს ჩვენი დროის დრამატურგებმა მედეას პერსონაჟის პირვანდელი სახის ცვლილება და მისი რეკონსტრუქცია XXI საუკუნეში, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამით ისინი ცდილობენ კოლხი მედეას მიმართ არსებული მრავალსაუკუნოვანი სტერეოტიპების დანგრევას და მის გაცოცხლებას ახლებური ხედვებით.

დრამატურგები: ლ. ბუღაძე, ნ. ხარატიშვილი, პ. ციკოლია, გ. მგელაძე საკუთარი ინტერპრეტაციით ცდილობენ ამბის გადმოცემას, თუმცა, ყველა მათგანში წარმოდგენილია მიტოვებული, შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული ქალი, რომელიც იბრძვის გადარჩენისთვის. თანამედროვე ავტორებმა მედეა გააცოცხლეს დღევანდელობაში, მას შეუქმნეს მოცემულობა, რომელშიც ყველა ჩვენგანი ცხოვრობს და კვლავ მისცეს შანსი, ეცხოვრა და ებრძოლა საკუთარი ბედნიერებისთვის, ასეთმა ინტერპრეტაციამ ნათელი გახადა, რომ არის ცხოვრებისეული კანონზომიერებები, რომელთაც არ აქვთ დრო და სივრცე; აღმოჩნდა, რომ მედეას თანამედროვე სამყაროშიც რომ ეცხოვრა იმავეს გააკეთებდა და ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა 25 საუკუნის წინათ.

თანამედროვე ქართველ დრამატურგებთან მედეა წარმოადგენს ქართველების ეროვნული იდენტობისა და, ზოგადად ქალის ემანსიპაციის სიმბოლოს, რადგან მათ დრამატულ ტექსტებში კოლხი ასული მუდმივად ცდილობს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და დაცვას დღეს არსებულ გლობალიზაციის პირობებში, ხოლო რაც შეეხება მედეას გენდერულ მოტივებს, ის ყველა დრამატურგთან არის გამოყოფილი, როგორც ერთგვარად „დაჩაგრული ქალის ხმა“, რომელიც მუდმივ ჭიდილშია პატრიარქალურ სისტემასთან. შესაბამისად, დრამატურგები მის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს განიხილავენ არა მხოლოდ პირად ტრაგედიად, არამედ - ზოგადად არსებული სოციალური პროტესტის გამოხატულებად.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დრამატურგიულ ტექსტებში მედეას მითოლოგიური სიუჟეტები შერწყმულია თანამედროვე სამყაროში არსებულ სოციალურ პრობლემატიკასთან, რადგან ავტორები მედეას სახეს იყენებენ როგორც მეტაფორას იმ რეალობის საჩვენებლად, რომელსაც თანამედროვე ქალები აწყდებიან.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ, რომ მითის პერსონაჟი მედეა თავის ტრაგიკულ სახეს ინარჩუნებს თანამედროვე მწერლობაშიც, რადგან მისი შინაგანი კონფლიქტი დედობასა და თავისუფლებას შორის რჩება მოუგვარებელ და გადაუჭრელ პრობლემად.

ერთი მხრივ მედეას ანტიგმირობა საზოგადოებისთვის მისაღებია და შესაბამისი ახსნაც მოეძებნება, რადგან იგი მსხვერპლია ღმერთების, საზოგადოების და გარემოებების. მისი სისუსტე შეიძლება ჩავთვალოთ დამთრგუნველად, თუმცა, ეს დაცემა მისი გარდაქმნის წინაპირობა იყო. მედეაში მოკვდა ბრმად შეყვარებული ქალი და გაცოცხლდა შურისმაძიებელი ბოროტება; ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ ფაქტს, რომ პერსონაჟის საქციელი განაპირობა ემოციურმა ფონმა და აფექტურმა მდგომარეობამ.

თვალშისაცემია, ასევე, დრამატურგების მიერ მითის ახლებური გადააზრება, კერძოდ კი მითის ცნობილ სიუჟეტში მათ შემოაქვეთ თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, ჩვენი დროის კანონმდებლობები და სისტემა, რომელიც ისევ დაუნდობლად მოქმედებს „სუსტი სქესის“ წინააღმდეგ.

სიყვარული, ემიგრანტობა, სამშობლოს დაღატი, ძმის და შვილების მკვლელობა დღეს ისევ უპატიებელ და მიუტევებელ ცოდვად ითვლება, თუმცა, ერთი რამ მაინც ნათელია - დღეს ყველასგან განწირულ და მიტოვებულ მედეას ბევრად მეტი დამცველი ყავს, ვიდრე ოდესმე ჰყოლია, რადგან დრამატურგები კარგად იაზრებენ, რომ მედეას პერსონაჟისთვის დამღუპველი აღმოჩნდა შურისძიების დაუცხრომელი მოტივის ქონა, რომელმაც არ მისცა მას საშუალება, შეეფასებინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულებების მასშტაბურობა.

მთავარია, რომ თანამედროვე ლიტერატურა საუკუნეების შემდეგ ცდილობს, მედეას გადასარჩენად პასუხი უპოვოს ყველა მის მზაკვრულ საქციელს. ეს კი უკვე მედეას პერსონაჟის გამარჯვებაზე მეტყველებს, რადგან ის გვეუბნება „არ ვიცი, შეიძლება თუ არა ლიტერატურული პროცესის წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ, თუკი

ჩვენს რეალობას გადავხედავთ, მგონია, რომ ახლა, სწორედ, იდეალისტი გმირების დრო დადგა, ისეთი ადამიანების (და შესაბამისად, ისეთი პერსონაჟების), რომლებსაც დღევანდელი კონსიუმერისტული, პრაგმატული, პოპულისტური, ფუნდამენტალისტური საზოგადოების შეჯანჯღარება შეუძლიათ” (შამანიდი, 2024:116). ჩვენი აზრით კი მედეა, სწორედ, ასეთი პერსონაჟია, რომელიც აღვიძებს მკითხველს და აძალებს ფიქრს იმ რეალობაში, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება.

თანამედროვე დრამატურგიულ ტექსტებმა მედეას პერსონაჟს შესძინა დამცველი ქართველი ქალების დიდი არმია, რომლებსაც, დღეს უკვე კარგად ესმით მედეას ტკივილის და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, ამიტომაც უცხადებენ მას თანაგრძნობას და, ჩვენდა გასაკვირად, დახმარების ხელსაც კი უწვდიან.

5.1.1. ლაშა ბულაძე - „ანტიმედეა“

თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში ლაშა ბულაძემ ნაწარმოებით „ანტიმედეა“ შემოიტანა მედეას ტრაგედიისა და თავად პერსონაჟის ახლებური ხედვა, რომელიც ჩვენი რეალობისთვის სრულიად ახალია, რადგან ავტორი ტექსტში მედეას აცოცხლებს ჩვენს დროში და გადმოჰყავს იმ რეალობაში, სადაც ჯერ კიდევ დაუცხრომელი შიშია პატარა, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ.

იარლიყი „ბარბაროსი“, რომელიც მედეას უხსოვარი წარსულიდან თან ახლავს, ავტორმა შეცვალა ტერმინით „ემიგრანტი“; ამის მიუხედავად, მედეასთვის არაფერი შეცვლილა, რადგან ორივე დროში ის „უცხოა“, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპულ ცივილიზაციას. როგორც სოფიო შამანიდი ამბობს, „ანტიმედეა ჩაკეტილი და დამფრთხალი ევროპიდან განდევნილი ქალის ისტორიაა“ (შამანიდი, 2024:44).

ბულაძის მოქმედი გმირები არიან მედეა (ანტიმოქალაქე), იასონი (ქმარი / საქმრო), გლაუკე (ახალი ცოლი), ძიძა, საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენელი, სპეციალური ზონის ზედამხედველი, კრეონის თანაშემწე, გაერთიანებული ევროპის ულტრამემარცხენეების პარტიის ერთ - ერთი ლიდერი, ქორო (უსიტყვო მოწმეები და გულშემატკივრები). თუ გადავხედავთ მოქმედი გმირების ამ გალერეას, ერთგვარად

ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს განსხვავებული სახის ტექსტთან, რომელსაც საფუძვლად უდევს ევრიპიდეს „მედეას“ ფაბულა.

„ანტიმედეა“ - ში საუბარია ჩვენი დროის ემიგრანტებზე, ძირითადად - ქალებზე, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს საკუთარი ქვეყანა და გადასახლდნენ უცხო ქვეყნებში. მთავრი მოქმედი პერსონაჟი, მედეას მსგავსად, მარტოა უცხო მიწაზე; ისიც, მის მსგავსად, მიტოვებულია ქმრისგან, მაგრამ არა უარყოფილი, რადგან იგი ბოლო წუთამდე ცდილობს მის დახმარებას.

ავტორმა საკმაოდ კარგად გამოიყენა ევრიპიდეს ფაბულა და მასში შეიტანა საკუთარი ინდივიდუალიზმი იმ მოტივით, რომ იასონის ღალატის უკან ნათლად წარმოაჩინა მთელი ევროპა, ადამიანის უფლებების დამცველი სამყარო, რომელიც სინამდვილეში დაუნდობელია „უცხოს“ მიმართ და თავს იმ მოტივით იმართლებს, რომ საკუთარ „ცივილიზაციას“ იცავს „ბარბაროსისგან“.

ლაშა ბუღაძის პერსონაჟები არც კეთილები არიან და არც - ბოროტები, ისინი თითქოს გვანან ანტიკურ პერსონაჟებს, მაგრამ მაინც განირჩევიან მათგან, უბრალოდ ყველა მათგანს უწევს ბრძოლა მძიმე რეალობასთან, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

„რეალური“ ანტიკური ეპოქის იასონი და ბუღაძის იასონი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ანტიკურ ტექსტებში, უპირველეს ყოვლისა, ევრიპიდეს ტრაგედია გვაქვს მხედველობაში, იასონი დაუნდობელი და მოძალადეა, გულცივი, ასევე შეუბრალებელიც, მაგრამ თანამედროვე (ბუღაძისეული) იასონი, პირიქით, დაბნეულია და ცდილობს მედეას გადარჩენას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვიდმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მიატოვა და სხვა შეიყვარა. და რას აკეთებს ამ დროს მედეა? ეს პერსონაჟი აქაც გამარჯვებული და ძლიერი ქალია. ის დაუპირისპირდა არამარტო კონკრეტულ პიროვნებას, არამედ - ევროპულ კანონებს, აიმაღლა სიტყვა მაშინდელი ხელისუფლების და კანონების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მედეა (ბუღაძის ტექსტის მიხედვით) 17 წელია, რაც ევროპაში ცხოვრობს იასონთან, ჰყავს მასთან შვილები, აღმოჩნდა რომ, ევროპული კანონის მიხედვით, მაინც არ ითვლება ამ მიწის შვილად, ის „ანტიმოქალაქეა“, ამ მიწის მოქალაქეობისთვის კი, ევროპული კანონების მიხედვით, იასონთან ცხოვრების 30 წელია საჭირო.

საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს დრამატურგი კრეონის სახით, რადგან ის მასში მოიაზრებს ევროპული სახელმწიფოს სახეს, რომელიც „ემიგრანტის“ წინააღმდეგია და ამით არა მარტო, თავის აზრს გამოხატავს, არამედ საზოგადოების განწყობას გადმოსცემს; მის სიტყვებში კარგად ჩანს შიში, მიუღებლობა, ზიზღი და აუტანლობა, ამას კი მის გარშემო არსებული რეალობით ასაბუთებს: „მე არ მომწონს, რომ იმ ქუჩაზე, სადაც მე გავიზარდე, ძველი აფთიაქი დაკეტეს და საქაბაზე გახსნეს უცხოელებმა!.. ჩამოსულეებმა... და იქვე მწვანეკედლებიანი საჩაიეც... ჩემს ძველ ქალაქში, ჩემს სახლთან, საიდანაც ყველა ჩემი ძველი მეზობელი აიკრიფა და სადღაც გადასახლდა... და რატომ? ამას ხმამაღლა არც იტყოდნენ რეფერენდუმამდე... მაგრამ ვეღარ ცნობდნენ ქუჩებს, მოედნებს და გარემოს, რადგან ეს გარემო უცხო კულტურამ... არა, ბოდიში, უკულტურობამ შერყვნა... დიახ!.. აი, ასე! შერყვნა! თქვენ ხმარობთ ასეთ ძველ და ლამაზ სიტყვებს? შერყვნა, შებილწვა, შელახვა... აი, რეფერენდუმის მერე ყველა გამოიყენებს ასეთ სიტყვებს, ყველა გაიხსენებს... უკომენტაროდ! ომარ!.. აი, რა სიმპათიური მძღოლი მყავს! ამას ისე კი არ ვამბობ, როგორც ჩვენი ექსქალაქისთავი... მამაკაცურად ვაფასებ მამაკაცის სიმპათიურობას და გაჩვენებთ, რომ მის მიმართ უადრესად კეთილგანწყობილი ვარ... მერე რა, რომ უცხოელია! მე აგრესიული უცხოელები არ მომწონს ჩემს ქვეყანაში, თორემ პატიოსან და მოწესრიგებულ ხალხს არაფერს ვერჩი!.. მომკლავს ჩემი ქალიშვილი!.. უკომენტაროდ!.. მაგრამ გადაკეთდნენ, ან ჩვენ დაგვემსგავსონ, ან დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, ყველგან გახსნან თავიანთი საჩაიეები...” (ბუღაძე, 2020:122).

ევროპა მედეასგან ითხოვს „დამსგავსებას” და „მორჩილებას”, მედეა კი იწყებს ბრძოლას; ის არა მარტო საკუთარ თავს იცავს, არამედ გამოდის ყველა ემიგრანტის, განსხვავებული ადამიანების დამცველიც. ის არის ისეთი პიროვნება, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი „ევროპელი”.

მედეა საუბრობს მარტოობაზე, რომელსაც ადამიანი უცხო მიწაზე ყოფნისას განიცდის და აღნიშნავს, რომ რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, შენ მაინც სხვა ხარ, სხვა ტომის და მიწის შვილი, ამიტომ აქ არ უნდა ელოდო დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ მართალი ხარ.

ანტიკურ პერსონაჟ მედეასაც უცხოდ მიიჩნევდნენ და ბარბაროსს ეძახდნენ. როგორც ლ. ბუღაძის თანამედროვე ტექსტიდან ჩანს, ეს ტერმინი დღესაც აქტუალურია, რადგან ამ საუკუნის ემიგრანტებსაც ბარბაროსებს უწოდებენ. გავიხსენებ კრეონის სიტყვებს, რომელიც ასე მიმართავს მედეას: „ბარბაროსო...შენ რა იცი, მშობელი რას გრძნობს...” (ბუღაძე, 2020:175). ასეა დღესაც, უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ემიგრანტებს ხშირად სრულფასოვან ადამიანებად არ თვლიან, არ ხდება მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, ისინი, უმეტესწილად „არალეგალები“, შესაბამისად - კანონგარეშენი, უუფლებონი არიან, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს მათ მდგომარეობას.

ჩვენი დროის მედეასთან, ისევე როგორც ანტიკურ პერსონაჟ მედეასთან, ყველა დამნაშავეა, პირველ რიგში კი - იასონი, ადამიანი, რომელმაც კოლხი ასული უცხო ქვეყანაში წაიყვანა, შემდეგ კი მიატოვა. მედეას სიძულვილი იასონისადმი დიდია, რაც კარგად ჩანს მის სიტყვებშიც: „ მაგრამ აი, შენ ხომ მიიღე, რაც გინდოდა?! ვითომ ბრაზობ... ამ დროს, ოცნებობ, გამაგდონ... თან სხვისი ხელით... და არა შენით... შენ პატიოსანი ხარ... შენ ბედნიერებას იმსახურებ... არა, მე ეს გამაგიჟებს, ვგრძნობ... თქვენ მე მაგიჟებთ!.. ახლა ხმა უნდა ამოიღოს საზოგადოებამ! დღეს დემონსტრაცია უნდა მოეწყოს! რეაქცია უნდა აჩვენოთ!“ (ბუღაძე, 2020: 190).

გათანამედროვეებული მედეა, რომელიც ავტორის მთავარ მიღწევას წარმოადგენს, იბრძვის სისტემის წინააღმდეგ. ბიუროკრატიულ ამორალურობასა და ულტრანაციონალისტების ახალ ჩანაფიქრს, მედეას მსგავსად, უამრავი სხვა ქვეყნის შვილი შეეწირა, რაც ერთი ჩვეულებრივი ახირებაა, რომელიც თითქმის ძირძველი ევროპელების ინტერესს იცავდა. ეს ის ამბავია, რომელიც შეიძლება, მუდმივად განმეორდეს და მას ისევ უამრავი ადამიანი (ემიგრანტი) ემსხვერპლოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ლ. ბუღაძის პიესა მოგვითხრობს შიშით შეპყრობილი ადამიანების კონფლიქტზე, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო სისტემით, რაც აზიანებს ემიგრანტებს და უძლურს ხდის მათ, თუმცა, მედეა მებრძოლი, თანამედროვე ქალია, ის ბედს არ ეგუება, არ ჩერდება და, ბოლოს, გამარჯვებულიც თავად გამოდის; მას ქმარი წაართვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, დაამცირა

გლაუკე: „მე შემზიზღდა ის ქალი, ჩემი კონკურენტი, და არ მაინტერესებს, ახლა მითანაგრძნობს თუ არა? საწყალი, როგორ ღელავს... ნეტა არ გადაყვეს ჩემ უბედურებას!.. მატყუარა... ბოზი! აი, ასე! ჩემზე ეს არ მოქმედებს... მე ახლაც სიმართლეს ვამბობ... რომ არ გასულიყო, იგივეს ვიტყოდი... ბევრჯერ მითქვამს... მაგასთან როგორ წევს? გული მერევა, როცა წარმოვიდგენ... თუკი ეს მოწონს, ასეთ კაცთან როგორ ვიცხოვრე ამდენი წელი? როგორ გაბედა ჩემი პირადი ცხოვრების შეცვლა? ვინ მისცა ამის უფლება? ოცი წელია ერთად ვიყავით... მაშინ რატომ წამომიყვანა? იქ რატომ არ დამტოვა, სადაც ვიყავი? რატომ გადამაწყვეტინა, რომ შემყვარებოდა? როგორ შეიძლება, რომ ამაზე არ მოთხოვოს ვინმემ პასუხი? და ახლა მე მგულშემატკივრობს?... მოვიდეს და მუხლებზე იღოლოს... ფეხები მილოკოს... მაგრამ მე მაშინ არ შემშინებია... არ ჩამოვკიდებივარ - მეთქი, თუ მიდიხარ, წადი!... სამი თვის მერე, რაც ეს გავიგე... ჰო, სამი თვე არ შევიმჩნიე... მეტიც... ეს პერიოდი კონფორმისტი ვიყავი... კლასიკური ცოლი... მერე გავზრადი!..” (ბულადე, 2020: 193).

გლაუკე არ არის ბედნიერი, ისიც ხვდება, რომ მედეას წინაშე დამნაშავეა და რომ ამ ქალთან ის დამარცხდა სამუდამოდ, მას ბედნიერება აღარასოდეს აღარ ეღირსება : „ მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ შენმა ცოლმა წინასაქორწინოდ მოწამლული საჩუქარი გამომიგზავნა: მას უნდა, რომ წინასაქორწინოდ მომშხამოს, თავი შემადულოს, ამომიწვას ყველაფერი, რაც რაციონალური და სათუთია ჩემთვის და - არ გეწყინოს - ეს მოწამლული საჩუქარი შენ ხარ... რადგან რაღაცნაირად გადაგვარებული დაბრუნდი მისგან... შეცვლილი და დაღლილი, გამოფიტული და არა ისეთი დაღლილი, როგორი დაღლილიც მე ვარ - ნერვიულობით და უიმედობით დაღლილი, - არამედ სხვანაირად, აი, დანაშაულებრივად დაღლილი და გაქუცული... მე არ მინდა, რომ იმაზე მეტი ვიცოდე, რასაც ვხედავ, მაგრამ ჩემ თავს ვერაფერს ვუხერხებ: მეჩვენება, რომ თქვენ დღეს სექსი გქონდათ. აი, მოვიწამლე, მორჩა... მე ცოცხლად მწვავს ჩემი ეჭვი! (ბულადე, 2020:203).

შვილების საკითხი ლ. ბულადის პიესაშიც აქტუალურია - ისინი აქაც მთავარი დაზარალებულები არიან როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, მათ ორივე მშობელი სწირავს: „ჯობია, იმაზე იფიქრო, აქედან რომ გახვალ, რას იტყვი. შემიძლია, დაგეხმარო: როცა გკითხავენ - სად არიან შენი შვილები, ასე უპასუხე: მე შვილები აღარ

მყავს, ისინი ცოლმა მომიკლა. ან ასე - ცოტა უფრო რთულად - ისინი მკვდრები არიან ჩემთვის. ან მე ვარ მათთვის მკვდარი” (ბუღაძე, 2020:213).

საყურადღებოა უკანასკნელი დიალოგი ბუღაძის იასონსა და მედეას შორის: იასონი: „რა გინდა, ბარბაროსო? რატომ გვანადგურებ? საწყალი კაცი სიკვდილის პირასაა... ჩემს პარტნიორს სპილოს დოზის დამამშვიდებლები მისცეს... ის მოწამლულია... შენ მათ დალუპავ მამის გარეშე... ბავშვებს რას ერჩი?

ყოფილი ცოლი {მედეა}: გიკლავ, რომ ყოველთვის გახსოვდეთ!

ყოფილი ქმარი {იასონი}: დაემშვიდობე და აქ მომიყვანე. ხუთ წუთს გაძლევ!

ყოფილი ცოლი {მედეა}: კარგი, ნუ ნერვიულობ, ხუთი წუთი არც დამჭირდება”! (ბუღაძე, 2020: 2014).

ასე გაწირა ემიგრანტი მედეა ყველამ, მაგრამ მან მაინც საკუთარი კვალი დატოვა, აჩვენა ევროპას (წარსულშიც და ახლაც), თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ღირსეული ქალი და, ზოგადად, საზოგადოება.

ანტიკურ სამყაროში მცხოვრები კოლხი მედეას არქეტიპი, შეიძლება ითქვას, ყველა ემიგრანტ ქართველ ქალში დღესაც ცოცხალია და იბრძვის გადასარჩენად. „ბარბაროსობა” (ემიგრანტობა) არ ნიშნავს საკუთარი პიროვნების დაკარგვას და ღირსების შელახვას, შეიძლება იყო უცხოელი - „ბარბაროსი“ სხვა ქვეყანაში, მაგრამ იყო ღირსეული მოქალაქე.

ლაშა ბუღაძის „ანტიმედეა” თითქოს აცოცხლებს კოლხი მედეას ტკივილებს და ცხადად წარმოაჩენს, თუ რა სირთულეების გადატანა უწევთ ქართველ ემიგრანტ ქალებს უცხო ქვეყნებში, რათა არ დაკარგონ საკუთარი თავი და ღირსება. შეიძლება ითქვას, რომ ეს პიესა, ფაქტობრივად, ბრძოლაა ჩვენში დამკვიდრებულ „ემიგრანტობასთან”.

5.1.2. ნინო ხარატიშვილი - „ჩემი და შენი გული (მედეა)“

ნინო ხარატიშვილის პიესა „ჩემი და შენი გული“ მედეას წარუშლელი ისტორიის განსაკუთრებულ მხარეს - „სიყვარულს“ უსვამს ხაზს და სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით გვთავაზობს უკვდავი მითის სიუჟეტს; ეს პიესა ორ შეყვარებულ ადამიანზეა, ავტორი კი დეტალურად აღწერს მათ შინაგან სამყაროს და ემოციურ მდგომარეობას, რადგან მის პერსონაჟებს ბრძოლა უწევთ გარშემო არსებულ რეალობასთან და მდედარი ბედის სიმუხთლესთან.

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ავტორს ნაწარმოებში მხოლოდ რამდენიმე აუცილებელი პერსონაჟი ჰყავს (მედეა - კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილი, იასონის ცოლი; იასონი - იოლკოსის დევნილი მბრძანებელი; (ნელინია) ნია - მედეას მოახლე; კრეონი - კორინთოს მეფე; გლაუკე - კრეონის ქალიშვილი; ორი ბიჭი - მედეას და იასონის შვილები), რითაც თითქოს ასე უფრო გასაგებს ხდის სიუჟეტს და ზედმეტი არეულობისგან იცავს მკითხველს. მოქმედების ადგილი არის კორინთო და მოქმედების დროდ შერჩეული აქვს მარადისობა.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ეპიზოდებს ტოვებს, თითქოს მზა მასალას გვაძლევს, რადგან მოქმედებას იწყებს პირდაპირ კორინთოსიდან, მას არ აინტერესებს წარსული, ცდილობს აწმყო დაგვანახოს და გვიჩვენებს, რა მიიღეს სიყვარულისთვის გაწეული მსხვერპლის სანაცვლოდ.

„მარადისობა“, რომელიც შერჩეულია მოქმედების დროდ, სიყვარულის საზომია, რადგან თავად სიყვარულია მარადიული, სხვა ყველაფერი კი - ადამიანის სიცოცხლის მსგავსად, წარმავალია; სწორედ ამის ჩვენება სურს ავტორსაც.

მედეა - მიყვარხარ!

იასონი - მიყვარხარ!

მედეა - მიყვარხარ!

იასონი - გაჩუმდი. ჩავალთ მალე.

მედეა - არსად არ ჩავალთ.

ერთად ვიქნებით ისევ

(ხარატიშვილი, 2020:11).

პიესა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, იწყება მედეასა და იასონის დიდი სიყვარულის წარმოჩენით, ნაჩვენებია, თუ როგორ უყვართ ერთმანეთი, მიუხედავად მათ გარშემო არსებული რეალობისა, „მედეა, იასონი - ლანდების მსგავსი ორი სხეული, გადახლართული, გაქვავებული. სხედან, არ იძვრიან, ერთმანეთით ტკბებიან. მედეა ბროწეულს აჭმევს იასონს გემზე.” (ხარატიშვილი, 2020:11). რაც შეეხება „ბროწეულს”, რომელიც ხშირად ჩანს პიესაში, ეს ჩვენი აზრით, არის სიმბოლო წარსულში დაღვრილი და მომავალში დასაღვრელი სისხლისა.

ნ. ხარატიშვილის „მედეა” განსხვავებულ ასპექტებს გვაჩვენებს, თუმცა დიდად არ განსხვავდება ევრიპიდეს მედეასგან. იასონი მთელი პიესის განმავლობაში მედეას უწოდებს ჭიანჭველას, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ არის და ავტორის გამიზნული ჩანაფიქრი გვგონია, რადგან ჭიანჭველა არის ერთგულების, შრომისმოყვარეობისა და თავგანწირვის სიმბოლო; სწორედ, ეს თავგანწირვა ჩანს მედეას მხრიდან იასონის სიყვარულის მიმართ, რადგან ის აქაც უზომოდ შეყვარებული ქალია, რომელიც მზადაა, სიყვარულისთვის გაწიროს ყველა და ყველაფერი:

„სიყვარულში ჩამძირე და წრე შეიკვრება,

ბედისწერას წინ აღვუდგები,

ღმერთებს დავამხო,

სამყაროს ვშთანთქმავ,

ოღონდ გიყვარდე!

სხვა არაფერი მადარდებს,

თუ შენი გული

ჩემს ხელში ფეთქავს”

(ხარატიშვილი, 2020 : 13).

ნ. ხარატიშვილის მიერ ტექსტში გამოყენებული დასათაურებები (კორინთოში, დაძაბულობა ჰაერში, სიცხე - დამბლადამცემი, ჩამიჩუმი არ ისმის, შინაგანი ბრძოლები; კრუნჩხვები კანზე; ომები ტვინში; მარცხის ტოლფასი გამარჯვება; გლაუკე ეხვევა, კოცნის, იასონი წელზე ეხვევა, კოცნის, მერე ხელს კრავს, გლაუკე ეცემა, იასონი უკან იხევს; უბედურების შენელებული სიმახინჯე; დანგრეული კონტინენტი; სადღაც ზეცასა და ქვესკნელს შორის; დაჩეხილი სამოთხე, რომელიც სისხლად იღვრება; მიწა, რომელიც რუკაზე არ არის დატანილი და სხვა...) ერთგვარი მინიშნებებია მოახლოებული ტრაგედიისა, თითქოს დრამის ტექსტის ამ შიდა დასათაურებებს მკითხველში შემოაქვს დაძაბულობა და შიში მომავლისა.

მედეას მოაშორეს შვილები, ის მთელი პიესის მანძილზე იმეორებს „ჩემი ბიჭები“, ჩემი ბიჭები“, ბავშვებს არ აჩვენებენ და ამით სჯიან და, სწორედ, ეს აბოროტებს და აძლიერებს მედეას, რომ მისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს.

მედეა - ისინი ჩემი შვილები არიან.

ნუ დაივიწყებ, ვინ გააჩინა.

იმ გემზე, მაშინ, დროის მიღმა,

შენ შემპირდი,

რომ არასდროს გავჩერდებოდი.

ჩვენთვის ხომ მხოლოდ ის სამყარო არსებობს,

რომელსაც ჩვენ ვქმნით.

(ხარატიშვილი, 2020 : 37)

ნ. ხარატიშვილის პერსონაჟმაც გაწირა სამშობლო, მამა, ძმა, ყველაფერი შესწირა იასონს და მის სიყვარულს. ამ სიყვარულის გარეშე კი ის მოკვდება, არაფერი და არავინ არ იქნება, ვერ გაუძლებს ამას, ვერ გადაიტანს; თუ ეს სიყვარული არ ექნება, მაშინ არც არაფერი იარსებებს:

„ შენი იყოს ყველაფერი, რაც მაბადია.

შენს ტყვედ მიგულე,

შენს ნეკნებში გამომწვევდელი.

დღის შუქსაც ნულარ დამანახვებ,

ნურსად გამიშვებ.

მე ეს სამყარო არაფრად მიღირს.

შენით ვიცოცხლებ,

ხომ მაძლევ ნებას?”

(ხარატიშვილი, 2020 :13)

ამ პიესაში, მედეას გარდა, საკმაოდ საინტერესო პერსონაჟია კრეონიც. ის ერთადერთია, რომელმაც იცის მედეას მძვინვარების ამბავი, მაგრამ მაინც გადაწყვეტს მისთვის ყველაფრის წართმევას და რა თქმა უნდა, დამარცხდება და საკუთარ შვილსაც გააუბედურებს. კრეონს მოსწონს კიდეც მედეა, მუხედავად იმისა, რომ ის არ ჰგავს კორინთელ ქალებს; მართალია, ამ განსხვავებულობის გამო, მას საყვედურობს კიდეც, მაგრამ ეს გამბედაობა და შეუდრეკელი სული მოსწონს მასში, რასაც მისი სიტყვებიც ადასტურებს: „- არ მემეტები სასიკვდილოდ. ნუ მაიძულებ. არ მინდა შენი სისხლიანი სახე ვიხილო. ეგ ცეცხლი მინდა, დავიხსომო, ახლა რომ ელავს შენს თვალებში” (ხარატიშვილი, 2020 :63).

ნ. ხარატიშვილთან გლაუკე უდანაშაულო პერსონაჟია, რომელიც გარემოების და მამის მსხვერპლი გახდა; ის გამოუცდელია და მისი მოტყუებაც მარტივია, იცის მედეამაც, მისი დამარცხება ადვილია, ისიც იცის, რომ გლაუკე ამ ყველაფერს არა საკუთარი სურვილით, არამედ მამის დავალებით აკეთებს, რასაც მოწმობს კრეონის სიტყვებიც: „მომისმინე, ჩემო გოგო. დავბერდი. შენ ქმარი გჭირდება, მე კი - ვაჟიშვილი. სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა. ცხოვრება გემს ჰგავს, რომელიც უნდა მართო. შენს გემზე იმდენი ოქროა და იალქნებიც ისეთი ახალია და მძლავრი. გამორჩეულია შენი გემი, თუმცა, ჯერ კიდევ ხმელეთზეა, წყალში ვერ შეცურდება”(ხარატიშვილი 2020 : 32). იოლია გამოუცდელი და სუსტი ქალის მართვა, იასონს, ამ სისუსტის გამო, არც მოსწონს გლაუკე, სიყვარულზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია, მაგრამ გლაუკე მას სჭირდება უკეთესი მომავლისთვის.

იასონი, როგორც ყველა ნაწარმოებში, აქაც უმადურობით გამოირჩევა, თუმცა მედეა ძალიან უყვარს; ავტორი თითქოს თანაუგრძნობს იასონს და სურს, გადაარჩინოს ის, როგორც პერსონაჟი.

ხარატიშვილის იასონი მედეაზე თავდავიწყებით შეყვარებული კაცია და ეს სიყვარული მთელი პიესის მანძილზე იგრძნობა კიდეც, განსაკუთრებით კი შემდეგ სიტყვებში: „ამდენი ხანი ველოდი, რომ სახლი გვექნებოდა, თავშესაფარი. საწმისი კი არ მინდოდა, შენ მინდოდი, ჩემო...” (ხარატიშვილი 2020 : 64). მიუხედავად ცდუნებისა, მას მაინც ედარდება და ეფიქრება მედეაზე, ვერ იმეტებს მისატოვებლად და, თუმცა, მაინც საყვედურობს, რომ მედეას არ შეუძლია მცირედის დათმობაც კი, ეს ბრალდება, რა თქმა უნდა, უსაფუძლოა, რადგან მედეა ის ქალია, ვინც მის გამო ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დათმო, ისე, რომ არც კი დაფიქრებულა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტიც, რომ ხარატიშვილი იასონს წარმოაჩენს საკმაოდ ბრძენ და წინდახედულ პერსონაჟადაც, რადგან მან იცის, თუ რისი ჩამდენია მედეა; კრეონსაც ხშირად უმეორებს, რომ მედეა მისი ცოლია, მისი შვილების დედა, რომ ყველაფერი დათმო მედეამ მისთვის და ასე ვერ მიატოვებს. ამ პერსონაჟის მიმართ ერთგვარი თანაგრძნობაც კი მიჩნდება, როგორც მკითხველს, ის სუსტია მედეას წინაშე და თავს გრძნობს მიტოვებულად: „ცივი და მკვდარი ვიყავი უშენოდ. რომ შემეძლოს, ყველაფერს შემოგწირავდი, ისევ ჩამოვიდოდი კოლხეთში, ისევ მოგიტაცებდი, ისევ წავართმევდი ყველას შენს თავს, ყველა ბრძოლას თავიდან გადავიტანდი” (ხარატიშვილი 2020 : 66).

მედეა მგრძნობიარე ქალია, შეყვარებული ქალისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით გამოირჩევა, უყვარს თავდაჯერებულად, ძლიერად და მუდმივად იბრძვის ამ სიყვარულისთვის; მას ეშინია საყვარელი ადამიანის დაკარგვის და ეს ბუნებრივიც არის. სიბოროტე, რომელიც მედეას სულში ჩასახლდა, გამოწვეული იყო სიყვარულის დაკარგვის შიშით; მისმა პერსონაჟმა სამყაროს უჩვენა, თუ რისი გაკეთება შეუძლია შეყვარებულ ქალს. როგორც ყველა ქალი, მედეაც ოცნებობს, მაგრამ ოდენ ოცნების ამარად არ რჩება - ის მოძრაობს, იბრძვის და მოქმედებს უშიშრად:

„სიძულვილი რომც გეწეროს,

თუ სიყვარული გინდა,

ყველა საზღვარი უნდა გაარღვიო,

მაგრამ თუ სიყვარულს გაგიწილებენ,

რატომ დარჩება სიმუღვილის მეტი?”

(ხარატიშვილი 2020 : 50).

პიესის მეორე ნაწილი უფრო მეტი დრამატიზებით გამოირჩევა, რადგან ახლოვდება ფინალური სცენა, სადაც დიადი სიყვარულის წინაშე მარცხდება ყველა - გლაუკე, კრეონიც და თავად მედეაც. მედეამ იცოდა, რომ დიდი სიყვარული იყო დიდი ტანჯვა და ასეც მოხდა, მას მოუწია ამ სიყვარულისთვის დიდი მსხვერპლის გაღება.

ფინალურ სცენაში მედეა ხოცავს შვილებს, ოღონდ აქ ბავშვები გამომწყვდეულნი არიან შუშის ოთახში, რომელიც ივსება წყლით და რომლის გასაღებიც აქვს მედეას, მას შეუძლია ბავშვების გადარჩენა, მაგრამ ჩანაფიქრი სისრულეში მოჰყავს: „ბავშვებს სძინავთ შუშის ოთახში. მედეა აკვირდება მათ, მერე გასაღებს იღებს ჯიბიდან და ათვალიერებს. მიდის შუშის კედელთან ძალიან ახლოს, ეფერება, ბავშვებს ეფერება კედლის მიღმა. კოცნის. თავს ურტყამს კედელს, მერე სცილდება, გონს მოდის” (ხარატიშვილი 2020 : 79). ამის შემხედვარე იასონი იკლავს თავს და მედეაც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს: „მედეა კივის. უცებ ჩუმდება. სცილდება იასონს და ბავშვებს, სადღაც კუთხეში დგება და დანას ირტყამს გულში. სამყარო იძირება” (ხარატიშვილი 2020 : 80), გადარჩება მხოლოდ გლაუკე, რომელიც ისედაც განწირული იყო ცხოვრების ამაოებისგან.

ნ. ხარატიშვილის პიესაში ნათლად ჩანს წინასწარმეტყველების ძალა და სიყვარულის ძლიერება. სიყვარულის და საყვარელი ადამიანების გარეშე მედეას სიცოცხლეს არ აქვს აზრი, მაგრამ უდაოდ ნათელია, რომ შვილების დახოცვას ის უფრო მარტივად გადაიტანდა, ვიდრე - იასონის სიკვდილს. თავსაც მას შემდეგ იკლავს, რაც იასონი მოკვდება. იასონის სიკვდილის შემდეგ მისთვის არ არსებობს სამყარო - მედეაც ქრება და აზრს კარგავს ყოველივე.

ავტორი საკუთარ სათქმელს ფინალური სცენის აღწერით გადმოგვცემს. უდანაშაულო ბავშვები, რომლებიც მინის გამჭვირვალე ყუთში არიან ჩაკეტილნი

პასუხს აგებენ მშობლების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო, ისინი კვდებიან ნელა და წამებით საკუთარი მშობლების თვალწინ, დედ - მამა კი არაფერს აკეთებს მათ გადასარჩენად, არადა, ორივეს უყვარს შვილები, იასონი უძლურია მედეას წინაშე ისევე, როგორც მედეა არის უძლური სიყვარულის წინაშე.

„მკვდარია გული -

ჩემი და შენი გული.

სისხლის გუბედ იქცა გრძნობები”

(ხარატიშვილი 2020 : 66).

შვილების დახოცვის ეპიზოდის ამგვარად აღწერა თანამედროვე მწერალს დასჭირდა იმისათვის, რომ სამყაროსთვის ეჩვენებინა, თუ რა არის პროტესტის უკიდურესი ფორმა, რომელიც ააშკარავებს ქალის ხმას და მისი ბრძოლის სურვილს თავისუფლების მოსაპოვებლად.

და ბოლოს, დრამატურგმა გვიჩვენა, რომ ბრძოლას იმის გამო, რაც მოითხოვს მსხვერპლის გაღებას, არასდროს ექნება აზრი, ვერასდროს მოიპოვებს გამარჯვებასა და ბედნიერებას.

5.1.3. პაატა ციკოლია- „მედეა” (s01e06)

პაატა ციკოლია არის რეჟისორი, რომელმაც თანამედროვე სპექტაკლების ექსპერიმენტული დადგმები შემოგვთავაზა. ერთ - ერთია „მედეა”, რომელიც მან ახლებური სტანდარტით წარმოგვიდგინა და სცენისთვის თავისებურად გადააკეთა, რასაც, რა თქმა უნდა, მოყვა საზოგადოების ორაზროვნება, რაც ბუნებრივად იყო, რადგან, „ფაქტობრივად, პირველად ქართული დრამატურგიის ისტორიაში, ავტორმა ყველაზე უფრო რადიკალური მედეა შემოგვთავაზა, რომელიც ნამდვილად არ მოეწონებოდა მაყურებელს, რომელსაც კოლხი ასული საკუთარ წინაპრად განუსაზღვრავს” (შამანიდი, 2024:52).

დღეს უკვე მედეას ისტორიის ძალიან ბევრი ინტერპრეტაცია არსებობს; „ავტორები, რომელთა საშუალო ასაკიც 35 წელია, არსებითად ემიჯნებიან მათ წინამორბედებს და სრულიად თავისუფლები არიან ეთნიკური კომპლექსისგან. მართალია, მათი მიდგომა მედეას პერსონაჟის მიმართ სხვადასხვაგვარია, მაგრამ ის არცერთ შემთხვევაში არაა განპირობებული პერსონაჟის ეთნიკური წარმომავლობით. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული თატრი და, ზოგადად, ხელოვნება, როგორც არასდროს, მიუახლოვდა მედეას ინტერპრეტაციის ევროპულ მოდელებს - უკანა პლანზეა გადაწეული მედეას ეთნიკური წარმომავლობა და სულ უფრო მეტადაა ხაზგასმული სხვა შტრიხები; მაგალითად, ემიგრანტის მდგომარეობა უცხო ქვეყანაში, გენდერული უთანასწორობა და სხვა (შამანიდი, 2024:57); რაც შეეხება ციკოლიას მედეას, ასეთი შემზარავი და დაუნდობელი ტექსტი მანამდე არ შექმნილა ქართველი ავტორის მიერ.

თავიდანვე უნდა მივაქციოთ ყურადღება სათაურში არსებულ ინიციალებს, რომლებიც ერთგვარად იწვევს მკითხველის დაინტერესებას; ეს არის მინიშნება, რომ ავტორის მიერ შექმნილი ტექსტი მედეას შესახებ წარმოადგენს „სერიალს” და ჩვენს წინაშე არის პირველი სეზონის მეექვსე ეპიზოდი, ანუ მწერალი გვიჩვენებს მედეას მითის მხოლოდ ფრაგმენტს, ეს მითი კი აქამდე დიდი ხნის დაწყებულია და, რა თქმა უნდა, ამ ეპიზოდის შემდეგაც გაგრძელდება.

მედეას ისტორიის ჩვენება, თითქოს ეს სერიალია, საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაციაა და ამით ნათელი ხდება საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო სერიალების მიმართ.

პიესა დაწერილია სამი მსახიობისთვის და ქოროსთვის. მთელი მეექვსე ეპიზოდი, რომელსაც ავტორი გვიჩვენებს, 11 მოქმედებისგან შედგება, თითოეულ ამ მოქმედებას აქვს დასათაურება (1. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი “ეგალე”. კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 2. ილუმენია ქალკიოპე. ხალკოტაურუს მონასტერი. კოლხეთის ტყე. ის დღე. დილა; 3. უფლისწული აბსირტო, მეფე აიეტის უფროსი ვაჟი, მხლებლებით. კოლხეთის ტყე. ის დღე. დილა; 4. მეფის ასული მედეა და ეპოპე, მეფე აიეტის დაცვის უფროსი. კოლხეთის ტყე. ის დღე. შუადღე; 5. ჰეკატეს ფესტივალი. კოლხეთის ტყე. ის დღე. შუადღე; 6. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი “ეგალე”. კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 7. უფლისწული აბსირტო. სასტუმრო „ფაზიფა“. კოლხეთის მთები. ის დღე. საღამო; 8. არგონავტების მითის შესახებ; 9. ეპოპე. მეფე აიეტის დაცვის ყოფილი უფროსი. პანსიონატი “ეგალე”. კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 40 წელი. საღამო; 10. ეპოპე; აბსირტო და ეპოპე. სასტუმრო “ფაზიფა”. კოლხეთის მთები. იმ დღიდან გასულია 12 წელი. დილა; 11. მედეა, არგო, ის ღამე), რომელიც მკითხველს წინასწარ აწვდის ინფორმაციას, თუ რაზე იქნება საუბარი, მოცემულ თავში.

მთელი პიესა ვითარდება კოლხეთის მიწაზე, ანუ სანამ მედეა იასონთან ერთად ჩავა კორინთოსში, რაც, ბუნებრივია, იწვევს მედეას მიერ შვილების მკვლელობის ეპიზოდის ამოვარდნას, ეს კი ავტორის ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გამოვლენაა. „ამ პიესაში შვილების მკვლელობის სცენა არ გვაქვს, მაგრამ ავტორი მიგვანიშნებს, რომ ქალი, რომელიც ასეთი გულგრილობით (თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ძალიანაც წვალობს, როდესაც ამას აკეთებს) აკუწავს მისდამი უპირობო ნდობით აღვსილ საკუთარ, ჯერ კიდევ ბავშვ ძმას, სავარაუდოდ, იმის გამკეთებელიცაა, რაც ასე არ გვინდა გვჯეროდეს ქართველებს - შვილებსაც დახოცავს იასონისადმი შურისძიების გამო” (შამანიდი, 2024:56).

საინტერესოა, რომ ციკოლიას პერსონაჟებს აქვთ მობილური ტელეფონები, სოციალური ქსელები, აქვე ყურადსადებია ფაქტი, რომ საუბარია ქრისტიანულ მონასტრებზე და ტურიზმის პოპულარულ მოდელზე, ანუ ერთგვარი დროის სარტყელი ავტორთან აღრეულია და ძველი მითების სამყაროში შეტანილია თანამედროვე ნიუანსები საკმაოდ დიდი დოზით, თუმცა, პიესა საკმაოდ ბევრი ატრიბუტით ინარჩუნებს არგონავტების მითის ელემენტებს.

პიესის პირველი თავი იწყება კოლხეთის მთებში მაშინ, როდესაც 40 წელია გასული მედეას ამბიდან, გარდაცვლილია მეფე აიეტიც და უკვე ის ჟამი დგას, როცა მედეას სახელის ხსენება დასაშვები ხდება. დიალოგში კარგად ჩანს, რომ მედეა 40 წლის შემდეგაც არავის დავიწყებია, პირიქით - ყველა ნიუანსი კარგად ახსოვთ და არ ავიწყდებათ მისი ხმა და კივილი: „ეს მე ვარ, მედეა!“ (ციკოლია, 2020: 69).

ხალკოტაურის მონასტერი, რომელიც ნახსენებია პიესის მეორე ეპიზოდში, ერთგვარად წარმოადგენს ავტორის ჩანართს და კიდევ ერთ მცდელობას, რომ მითში შეიტანოს ახლებური ინტერპრეტაცია, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ეკლესია - მონასტრები. როგორც პიესიდან ჩანს, ეს მონასტერი მდებარეობს კოლხეთის ტყეში და მისი მმართველი არის ილუმენია ქალკიოპე. მონასტერში ყველას აინტერესებს მედეა და მისი ამბავი, მათ თითქოს შურთ მედეას სიძლიერის და თავისუფალი ცხოვრების. მონაზვნების მთავარ ინტერესს წარმოადგენს, ვის ვინ უყვარს და ვინ ვისი ცოლი იქნება. ასევე, ჩვენდა გასაკვირად, მონაზვნები თავისუფლად სარგებლობენ სოციალური ქსელებით და გამოირჩევიან მუდმივი აქტიურობით.

ციკოლიას პიესაში მესამე ეპიზოდიდან მედეასა და მის უფროს ძმას - აბსირტოსს შორის გაჩაღებულია სასტიკი ომი - ძმა მუდამ ცდილობს მედეას დამცირებას, შერცხვენას და წამებას, რაც ძალიან ცუდი ხერხებით ხდება: ის ამოსვრილი ყავს შარდში, ნაცეში და შეურაცხყოფილი მედეა ყველას წინაშე და ვერაფრით იცავს თავს. ამ საზარელ სანახაობას კი „ლაივის“ მეშვეობით გადასცემენ და მთელი კოლხეთი თვალს ადევნებს. აფსირტოსს სძულს მედეა და მას მამის გამყიდველ კახპას უწოდებს: „ბერძენის ყ.ზე გაცვალე მამა!“ (ციკოლია:2020:19) აბსირტო დაავალებს მეფე აიეტის დაცვის უფროსს - ეპოპეს, რომ მედეა

გაუპატიუროს და, მართლაც, მედეას არც ეპოპე დაინდობს, შეიძლება სხვა გზაც არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მედეა საკუთარ განავალშია ამოსვრილი და შერცხვენილია, მაინც ცდილობს, მყარად იდგეს, სულიერად არ დაეცეს და კარგად დაიმახსოვროს ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება, რათა მერე ყველას მისხალ - მისხალ გადაუხადოს სამაგიერო.

პიესის მთავარი ეპიზოდია მედეას სამსჯავროზე გაყვანა საკუთარი ოჯახის წევრების მიერ, ამ ეპიზოდს არცერთ ავტორთან არ ვხვდებით, ანუ ციკოლია ერთადერთია, ვინც მედეას პერსონაჟს დამსახურებული შურისძიების მიზეზს აძლევს; სწორედ ამიტომაც წარმოგვიდგენს იგი ამ ეპიზოდს ასე მწვავედ: „(მედეას) მედეა, დაო, ეს რა დაგმართნია? - (ეპოპეს) ფუჰ, როგორ ყარს. - რა ქენით, სცემეთ? - სცემეთ? - როგორ შეიძლება?! - 13 - უფლისასულის ცემა როგორ გაბედეთ, მონებო?! - რომელმა დაარტყით, ჰა?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - პოპიი, შე ბებერო! - (მედეას. მშვიდად) კაბა დაგსვრია, დაო! - ფსელით და ძღრენით. - ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - რომელმა დაარტყით ხელი ჩემს დას? - (ღრიალებს) ჰა! - რა სახეები გაქვთ, ბიჭო, რა?! - ჰა-ჰა-ჰა-ჰა! - რაო, შეგეშინდათ? - რამ შეგაშინათ? - უნდა ურტყათ, აბა, რა! - აბა, რისთვის მოათრევდით ტყეში? (მოფერებით) ამას და ამისნაირებს უნდა ურტყა, აბა რა! - (უცებ, მედეას სცემს) უნდა ურტყა, აბა, რა! აბა, რა! აბა, რა! - (დგება. ტელეფონს იმარჯვებს) - მედეა, გაჩერდი ერთი წამი, ვიდეოს გიღებ. - მედეა, ნუ ხოხავ!“ (ციკოლია, 2020 : 12).

დამცირებული მედეა, რომელიც შერცხვენილია მთელი კოლხეთის წინაშე საკუთარი ძმის მიერ, რა თქმა უნდა, არ ივიწყებს ამას და იწყებს შურისძიებას მთელ სამყაროზე; თავიდან იწყებს უფროსი ძმის დასჯას და სასტიკი წესებით დახოცავს ახალგაზრდებს. ამ რეალობის შემყურე ხალხი გაოცებული რჩება იქ არსებული რეალობით, რადგან ასეთი სისასტიკე არასდროს უნახავთ არსად: „როგორც ჩანს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა გენიტალიები დააგლიჯეს და პირებში ჩაუტენეს, რადგან ორი თუ სამი ასფიქსიით იყო გარდაცვლილი, თავისივე გენიტალიებით დამბრჩვალნი“ (ციკოლია:2020:37); შემდეგ კი, ოქროს საწმისთან და უმცროს ძმა ეგალესთან ერთად, მიემგზავრება კოლხეთიდან, თუმცა აქ მისი შურისძიება არ მთავრდება. ამ პიესაში მედეა არ არის იასონზე შეყვარებული ქალი და არც ოქროს საწმისის ბერძნებისთვის გადაცემის მიზეზი გამხდარა იასონი, პირიქით - მედეა კოლხეთიდან გაიქცა, რადგან ამით დაუპირისპირდა მამას და ძმას, რათა, სათანადოდ

დაესაჯა; ამიტომ მას სჭირდებოდა კოლხეთიდან გაქცევა და, რა თქმა უნდა, ძლიერი საყრდენი ბერძნების მხრიდან. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კოლხეთის დამხობა და საკუთარი ოჯახის განადგურება.

მთელი პიესა აგებულია მწვავე, დამაბული ეპიზოდებით, რადგან „აქ არჩევანის გაკეთება ცუდსა და იმ მომენტისათვის უფრო ცუდს შორის გვიწევს: აიეტს (გახრწნილი სახემწიფოს სახეს) მედეა ღალატით უპირისპირდება; მოღალატე მედეას აიეტი (ხელქვეითების ხელით) სჯის; თავის მხრივ, მედეა შურს იძიებს აიეტზე“ (შამანიდი, 2024:56).

მედეა კლავს (ეს უფრო მსუბუქი ნათქვამია, უფრო სწორად „ჩეხავს და ანაკუწებს“ უმცროს ძმას ეგალეს, რათა მამამისმა სხეულის ნაწილების შეგროვება ვერ შეძლოს და მუდმივად დაეძვდეს ზღვაში. ამ შემზარავი ფაქტით მედეამ მოახერხა აიეტის განადგურება, რადგან აიეტმა არა მხოლოდ ეგალე, არამედ მედეაც დაკარგა. მძიმე იყო უძლეველი კოლხი მეფისთვის ამ ფაქტთან შეგუება. მრისხანე მედეამ მთელი კოლხეთი დაშალა და ძველი დიდება წაართვა, გააკეთა ის, რაც მტერმა ვერ შეძლო კოლხეთის წინაშე. აიეტი გაწირეს საკუთარმა შვილებმა, ის კი ამისთვის სასჯელს ვერავის დააკისრებდა, რადგან თავად იყო დამნაშავე.

ფინალური, მეთერთმეტე, სცენა - „მედეა, არგო, ის ღამე“ - სრულდება მედეას საოცარი მონოლოგით:

„ახლა ხომ გეცნობით, ეს მე ვარ, მედეა, სასტიკი მკვლელი!

მე ის არა ვარ, ვინც დამარცხდება.

მე ის არა ვარ, ვისაც წაქცეულს ნახავთ“.

(ციკოლია, 2020:68).

ჩვენმა უძლეველმა პერსონაჟმა საწადელს მიაღწია, აღასრულა ყველა ჩანაფიქრი და ბოლო მოუღო საკუთარ ოჯახსაც და მთელ კოლხეთსაც; თითქოს ამ ყოველივეს მისთვის უნდა მოეტანა სიმშვიდე, მაგრამ მედეა მაინც ღელავს და თითქოს რაღაცნაირად გრძნობს სამომავლო საფრთხეს, იმას რაც მას მომავალში ელოდება. ამავე დროს მედეამ იცის, რომ უცხო მიწაზე ის არის „გვამი“, თუმცა, მაინც „მედეაა“.

5.1.4. გურამ მგელაძე - „მედეა“

გურამ მგელაძის „მედეა“ თანამედროვეობას ასახავს და ყველასგან განსხვავებული სიუჟეტით გამოირჩევა, მოქმედების ადგილი ჩვენი თანამედროვე ეპოქაა. პიესა შედგება 5 სცენისგან (I - მედიაქაოსი; II - გულახდილი საუბრები; III - ინტერმედია; IV - აქციები, ათენი და სხვა...; V - დემონტაჟი ანუ Deus Ex machina) და სავსებით სრულყოფილად ასახავს როგორც ავტორის - ასევე, მითის მთავარ სათქმელსაც. მართალია, სიუჟეტი აგებულია ევრიპიდეს „მედეას“ მიხედვით, მაგრამ მკვეთრად იგრძნობა ავტორის თანამედროვე ხედვებიც.

მგელაძის სიურეალისტური კომედია, რომელიც რამდენიმე მოქმედებადაა დაყოფილი, იწყება ასე: „დიდ ევრანზე ერთდროულად რამდენიმე (ლიბერალური თუ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი) ტელევიზია იწყებს მაუწყებლობას. ხმების და რეპორტაჟების კაკაფონიაა. ყველანი: ობიექტურად პროფესიონალებიც და ცალსახად არაპროფესიონალებიც ერთ ამბავს აანალიზებენ. შემთხვევა, მართლაც, შოკისმომგვრელია. ქ. ბათუმში, ამა და ამ წლის ამ რიცხვში თავისუფლების (ყოფილი ერას) მოედანზე აღმართული კოლხი და, პრინციპში, ყველაზე ტრაგიკული ქართველი ქალის – მედეას ძეგლი გაცოცხლდა“ (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019;).

სიუჟეტს საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ ავტორმა მედეას საკითხი ფემინისტურ ჭრილში განიხილა, ასეთი სახით მედეას წარმოჩენა ავტორის მხრიდან ნიშნავს, რომ მისი სურვილია, დაგვანახოს ქვეყნის დღევანდელი რეალობა, კერძოდ ის, თუ როგორ მუშაობს დღევანდელი საინფორმაციო პორტალები, რა არის მათთვის მთავარი, როგორია ჩვენი პოლიტიკური თოქშოუები და, საერთოდ, რას ნიშნავს, იყო ჟურნალისტი ჩვენს ქვეყანაში.

ავტორმა ქალაქ ბათუმში, ევროპის მოედანზე, არსებული მედეას ცნობილი ქანდაკება გააცოცხლა. რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერს საქართველოში, ამ მოვლენასაც, რომელიც ერთობ დაუჯერებელია, პოლიტიკური სარჩული მოუძებნეს და დაადანაშაულეს გასული წლების ხელისუფლება, რომელმაც ეს ძეგლი აღმართა. გაჩნდა ათასი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ძეგლი აქ არ უნდა ყოფილიყო; ვიღაცეები ამბობდნენ, რომ ამგვარი იდეა არ იყო მისაღები მათთვის; ზოგიც კიდევ დახარჯულ

თანხებზე დარდობდა; ზოგს კიდევ ის არ მოსწონდა, რომ მედეა, როგორც „ქალი“, იყო საუკუნოვანი ისტორიის შემქმნელი და ჩვენი წინაპარი, რომელმაც საქართველო და კოლხეთი პირველმა გააცნო მსოფლიოს, ანუ აქ მთავარი პრობლემა სწორედ გენდერის საკითხი იყო, რასაც მოწმობს საინფორმაციოს წამყვანის სიტყვები: „ამაშია საქმე! გვაქვს ჩვენ საამაყო ისტორია, ხომ? მითუმეტეს, ისტორიას ყოველთვის კაცები ქმნიდნენ და ქმნიან. ქალის როლი ამ შემთხვევაში, მინიმალურია“ (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019;).

მედეას გამქილიკებელი ამ საუკუნეშიც არ მოკლებია, დღესაც თვლიან, რომ ის ჩვენი ქვეყნის შემარცხვენილი და შვილების მკვლელია.

გასაკუთრებულად საყურადღებოა ფაქტი, რომ ამ რეალობაში ერთვება სამღვდლოებაც, რომელიც თავისთავად აბსურდული მაგალითებით და რწმენის კანონების უაზრო მოშველიებით ცდილობს ხალხის გაჩერებას, რადგან მათ ეუბნება, რომ მეორედ მოსვლა ახლოა და ეს ყველაფერი ამის მანიშნებელია.

პიესაში საზოგადოების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, აპროტესტებს „ევროპეიზმს“, მედეას კი, როგორც თავისუფალ და დამოუკიდებელ ქალს, აიგივებენ ევროპასთან, ევროპულ ღირებულებებთან და ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ჩვენი დღევანდელი ქალები გადაჯიშდნენ და ამის მთავარ საწყისად, სწორედ, მედეას თვლიან. პიესის ერთ - ერთ მონაკვეთში მამა საბა თავის გამოსვლაში ამბობს: „უფლის რისხვის შედეგი მგონია მე ის მოვლენები, რის წინაშეც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში აღმოვჩნდით. თავის ნებაზე მიშვებული და დედა ეკლესიისგან განდგომილი, მე ვიტყოდი, გონებადაბინდული და დაავადმყოფებული პიროვნებების ბრალია ეს ყოველივე (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019;).

ჩვენს დროში რომ ეცხოვრა მედეას, რა თქმა უნდა, ეყოლებოდა ფემინისტი მიმდევრების და დამცველების დიდი არმია, რომლებიც მისი ინტერესების დაცვას დაიწყებდნენ და პიესაშიც ასე ხდება - აქაც არის დამცველი ქალების არმია, რომლებიც ამბობენ, რომ მედეას დისკრიმინაციას არავის აპატიებენ და იბრძოლებენ მისი ინტერესების დასაცავად. აქვე ინტერესდებიან იმითაც, თუ რა რეაქცია ექნებათ კაცებს, თუ რომელიმე მეფის ძეგლი გაცოცხლდება; ასევე, აფიქსირებენ აზრს, რომ

ქალებიც ადამიანები არიან, რომ მათაც აქვთ გრძნობები, რომ მათაც ტკივათ და ეშინიათ.

მეცნიერებისა და ფსიქოლოგების დასკვნები, რომლებიც ავტორს პიესაში აქვს წარმოდგენილი, აბსურდამდე მიდის; გადმოსცემენ აზრს, რომლის მნიშვნელობაც არავის ესმის. ასევე, გურამ მგელაძეს ტექსტში საკმაოდ მოხერხებულად აქვს აღწერილი საქართველოს პრემიერმინისტრის ჩართვა საფრანგეთიდან, რომლის თითოეულ ფრაზაში კარგად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს საქართველოს წარსული, მისი ისტორია და იდენტობა: „ძეგლის უფლებების დაცვის დროა ახლა? შოკირებული ვარ. არა, მედეა ცალსახად მნიშვნელოვანი ფიგურაა და პატივს ვცემ, ევრიპიდეს წავიკითხე თავის დროზე, მაგრამ ახლა კულტურული პრევენციების დრო ნამდვილად არაა. ტურისტული სეზონია, საფრთხე ექმნება როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე - მთლიანი სახელმწიფოს სტაბილურობას. პრემიერმინისტრისთვის მთავარია, ქვეყანაში არსებულ ტურიზმს არ შეეშალოს ხელი, იყოს სიმშვიდე ქალაქში და ევროპას ისე მოაჩვენონ თავი, თითქოს არაფერი ხდება. გენდერის საკითი მას საერთოდ არ ანაღვლებს, რადგან მისთვის არა მარტო მედეას გამოჩენა, არამედ გორგასლის ძეგლის გაცოცხლებაც პრობლემა იქნება, რადგან ქუჩას გადაკეტავს და საცობებს წარმოქმნის. სულაც არ მესიამოვნება გორგასლის ძეგლის ჭიხვინი შუაგულ რუსთაველზე. ისედაც საცობებია“. გამოსვლას კი ასრულებს პარტიის სლოგანით: „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019).

მეორე სცენაში (გულახდილი საუბარი) უკვე მოქმედებას იწყებს მედეაც. ჟურნალისტი ათასი უაზრო შეკითხვით ცდილობს რეიტინგის მომატებას და უსვამს შეკითხვებს, რომლებსაც ყველა ქართველი და არამარტო ქართველი დაუსვამდა მედეას, რომელზე პასუხიც საუკუნეებია, რაც კაცობრიობას აწუხებს.

მედეა ამ პიესაშიც სამშობლოს მოღალატეა, ძმის და შვილების მკვლელი, იასონზე უზომოთ შეყვარებული. თავს კი შემდეგი სიტყვებით იმართლებს: „ მე ის მიყვარდა, ჰო, მიყვარდა ჩემ თავზე მეტად. არ ვიცი, როგორ, რანაირად დამასწავლა. სიყვარული სწეულებაა, ავადმყოფობა, რომელიც გწამლავს. მე ის მიყვარდა... უფრო

სწორად, მისი სიყვარული უფრო მიყვარდა, როგორც გაირკვა” (მგელაძე გურამ, „მედეა”, ჟ. „არილი”. N8, თბილისი.2019;).

მედეა, ასევე, აღწერს ოჯახური ცხოვრების იმ რეალობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში ისევ არსებობს - უამრავი ქალი იზიარებს მედეას ბედს, დღეს ჩვენთან. ისინი კი ვერ ახერხებენ ხმის ამოდებას, საკუთარი თავის და შვილების დაცვას, პირიქით - გაღაბულები და ღირსებააყრილები არიან საკუთარი შვილების თვალწინ, საზოგადოება კი მათ მიმართ ყოვლად დაუნდობელია.

პიესის მესამე სცენა „ინტერმედია” კარგად წარმოაჩენს იმ აგრესიას, რაც ჩვენს სოციალურ ქსელშია გამოყენებული; ავტორს ჩართული აქვს საზოგადოების კომენტარები, რომლებიც იწერებოდა სოციალურ ქსელში, თითოეულ კომენტარში, ნათლად ჩანს დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულება, მათი განათლების დონე და ცხოვრებისეული ხედვები. ძნელია, ასეთ გარემოში თავი დაიცვას ადამიანმა, მითუმეტეს - ქალმა, რომელსაც ყავს შვილები და არსად აქვს წასასვლელი. გთავაზობთ ერთ - ერთ კომენტარს: „ ხო თქვეს უკვე, არაქრისტიანულად აიგო ეგ ძეგლი, დაჟე ნაკურთხიც არ ყოფილაო. აიღეთ, ძმაო, ვერტალიოტი, დასვით მღვდელი, ჩაუსხით შლანგში ნაკურთხი წყალი და დაასხას რა თავზე ამ დედააფეთქებულს იქნება ქრისტეს რჯულზე მობრუნდეს და გვეშველოს რამე ვაახ!” (მგელაძე გურამ, „მედეა”, ჟ. „არილი”. N8, თბილისი.2019;).

„გულახდილმა საუბრებმა” რეკორდი მოხსნა, პირდაპირი ტრანსლაცია იყო BBC-ზე და CNN-ზე, მედეაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა, ეს კი დასტურია იმისა რომ მსოფლიოს დღესაც ახსოვს და გულშემატკივრობს მედეას, რა თქმა უნდა, ირონიულად.

მეოთხე სცენაში ნაჩვენებია, თუ როგორ თანაუგრძნობენ მედეას ქალები; წარწერები, რომლებიც ტრანსპარანტებზეა გამოსახული: „ქალიც ადამიანია”, ძირს მასკულინური ჰეგემონია”, ჩვენც მოგვისმინეთ”, „ნუ გვკვლავთ”, „უთხარი არა ოჯახის დესპოტს!” და სხვა. არის გამოხატულება ამ მხარდაჭერისა, რაშიც იგრძნობა ირონია და სარკაზმი. ეს პერსონაჟი საუკუნეების განმავლობაში განწირული იყო სწორედ, ქალების მხრიდან, არ ჰქონდა მათი თანაგრძნობა, ეს კი არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მედეას დაცვას სწორედ ქალები ცდილობენ. ალბათ, ეს ყველაფერი

რომ მომხდარიყო, ამისთვის 25 საუკუნის გასვლა იყო საჭირო, მაგრამ სავალალოა ის ფაქტი, რომ 25 საუკუნის შემდეგაც ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ამ ქალებმა მედეაში დაინახეს საკუთარი თავი, ცხოვრება და რეალობა, რომელშიც ისინი თავადაც იმყოფებიან. ჩემი აზრით, ეს ქანდაკებაც გაცოცხლდა იმისთვის, რომ ყველა ქალისთვის ყოფილიყო სიმბოლო და მათში გაეღვიძებინა პროტესტის გრძნობა.

მეხუთე, დასკვნით, სცენაში ნაჩვენებია მედეას ქანდაკების დემონტაჟი; ეს არის სიმბოლო კულტურის უარყოფის, განადგურების და მიჩქმალვისა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ისევ მივატოვეთ, უარვყავით და არ მივიღეთ მედეა. ავტორი ნაწარმოებს ასრულებს მედეას შემდეგი სიტყვებით: „ვიცოდი, არ მიმატოვებდი, მაღალო ჰელიოს! წამიყვანე ერეხთევსის სამფლობელოში, იქ პანდიონის ძე ეგევსთან ერთად ვიცხოვრებ!“ (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019;).

მთელი პიესა გაჟღენთილია ირონიითა და სარკაზმით, რაც უფრო კარგად წარმოაჩენს ჩვენს თანამედროვეობაში მედეას სახეს, ყველასგან დევნილს, დამცირებულს და ჩაგრულს.

5.2. მედეას დაბრუნება - შეცვლილი სტერეოტიპები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესმა განაპირობა, ლიტერატურულ ტექსტებს მიღმაც გვეკვლია მედეას უკვდავი მითის მიმართ არსებული დამოკიდებულებები, რადგან მედეა იყო განწირული, მიუღებელი და მიტოვებული ქართული საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში.

ჩვენ შევეცადეთ, კვლევა ჩავვეტარებინა ბოლო 5 წლის ფარგლებში იმ სტუდენტებთან (რაოდენობა 600 - მდე), რომლებიც უშუალოდ შეისწავლიან ანტიკურ მითოსს და ლიტერატურას და მედეას ლიტერატურული პერსონაჟი მათთვის კარგად ნაცნობია. ამ სტუდენტებისთვის საგანგებოდ შევადგინეთ კითხვარი:

- ვინ არის თქვენთვის მედეა (შვილების მკვლელი დედა, შურისმაძიებელი ცოლი, სამშობლოს მოღალატე, „უცხო“, გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლი, პირველი ფემინისტი ქალი) ?
- თქვენი აზრით, დამნაშავეა თუ არა მედეა?
- რომელ დანაშაულში სდებთ მას ბრალს (შვილების მკვლელობა, სამშობლოს ღალატი, მმის მკვლელობა / არცერთი, ყველა) ?
- ჩამოაცილებდით თუ არა მედეას შვილების მკვლელის „იარლიყს“ და რატომ?
- უცხოეთში მოხვედრისას იტყოდით თუ არა, რომ „მედეას ქვეყნიდან“ ხართ?
- დაწერეთ რამდენიმე წინადადებით: თქვენი აზრით, დღეს რომ მედეას ეცხოვრა, როგორ მოიქცეოდა? შურს იძიებდა?
- თქვენი აზრით, მედეამ მორალური კანონი დაარღვია, თუ იურიდიული?
- ეთანხმებით თუ არა, რომ მედეას ძეგლი დგას ქალაქის (ბათუმის) ცენტრში?
- შესაძლებლობა რომ გქონდეთ, მედეას სამშობლოში დააბრუნებდით?

კვლევის შედეგები საინტერესოა და დასკვნების გამოტანის საშუალებასაც გვაძლევს:

- კითხვაზე, იყო თუ არა მედეა დამნაშავე, გამოკითხულ სტუდენტთა 55% - მა თქვა, რომ ის უდანაშაულოა, ხოლო 20%- მა ის დამნაშავედ მიიჩნია, 25.% - თვლის,

რომ ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ შეუძლიათ და მათი დამოკიდებულება მედეას მიმართ ამბივალენტურია: ისინი მედეას დამნაშავედ თვლიან შვილების მკვლელობაში, მაგრამ იასონზე შურისძიებაში უდანაშაულოდ მიიჩნევენ;

➤ შეკითხვაზე, რომელ დანაშაულში სდებთ ბრალს მედეას, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის დამნაშავეა შვილების მკვლელობაში, სხვა ჩამოთვლილი ვარიანტებიდან (სამშობლოს ღალატი/ძმის მკვლელობა) უდანაშაულოდ თვლიან, რადგან მიიჩნევენ, რომ მედეას იასონი უყვარდა, ეს მისი სიყვარულის გამო ჩაიდინა და თითქოს ამით ამართლებენ კიდეც; ამ შემთხვევაშიც 75% თვლის, რომ მედეა არცერთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ იყო დამნაშავე, რადგან ის გარემოების მსხვერპლი იყო და სხვა გზა არ ჰქონდა.

➤ შეკითხვაზე, თუ ვინ არის მედეა, პასუხი უმრავლეს შემთხვევაში იყო, რომ ის მკვლელი დედა და შურისმაძიებელი ცოლია, ხოლო 25% ამბობს, რომ ის იყო გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლი პირველი ფემინისტი ქალი.

➤ მომდევნო შეკითხვას - თუ რამდენად ახლდა ემოციური აფექტი მედეას მიერ შვილების მკვლელობის თემას (ვთქვათ, რომ მართლა დახოცა მედეამ შვილები), სტუდენტების უმრავლესობა კვლავ მიიჩნევს, რომ ეს არ იყო აფექტური მდგომარეობა და განზრახ ჩაიდინა მედეამ, გააზრებულად და წინასწარ დაგეგმილად; მხოლოდ 25% მიიჩნევს, რომ ეს აფექტური მდგომარეობა იყო, რომ განრისხებულმა მედეამ თავი ვეღარ მოთოკა და ჩაიდინა დანაშაული, რომლის გამოც თავადაც ძალიან დაიტანჯა.

➤ შეკითხვაზე - ჩამოაცილებდით თუ არა მედეას შვილების მკვლელის „იარლიყს“ და რატომ, სტუდენტების უმრავლესობამ, მიუხედავად ყველაფრისა და მათი აქამდე გაცემული პასუხებისა, აღნიშნა, რომ, დიახ, ჩამოაცილებდნენ; თუმცა, 31% თვლის, რომ მედეას ეს იარლიყი არ შეიძლება მოვაშოროთ, რადგან მან თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება და მანვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი; ასევე, 43% - მა აღნიშნა, რომ ამ „იარლიყის“ გარეშე მედეა დაკარგავდა პოპულარობას, რითაც მას მთელი მსოფლიო იცნობს.

➤ შეკითხვაზე, უცხოეთში მოხვედრისას იტყოდით თუ არა, რომ მედეას ქვეყნიდან ხართ, სტუდენტების დიდი ნაწილი დადებით პასუხს სცემს და მიიჩნევს,

რომ აუცილებლად იტყოდნენ, რომ მედეას ქვეყნიდან არიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ეს პერსონაჟი მსოფლიო მასშტაბით აღიარებულია; თუმცა, 9%-მა აღნიშნა, რომ დამალავენ მედეასთან ეთნიკურ კავშირს.

➤ მედეას ძეგლთან დაკავშირებით დასმულ კითხვას სტუდენტთა დიდი ნაწილი პასუხობს, რომ ეს ძეგლი უნდა იყოს საქართველოში; მეტიც - 64%-მა აღნიშნა, რომ ეს ძეგლი ყველა ქვეყანაში უნდა იდგეს, როგორც სიმბოლო „ძლიერი ქალისა“.

➤ კითხვაზე, მედეამ მორალური კანონი დაარღვია თუ იურიდიული, 35% - მა უპასუხა, რომ დაირღვა მორალური კანონი, ხოლო 55% პასუხობს, რომ დაირღვა იურიდიული კანონი და მედეა, სწორედ, კანონის წინაშე დამნაშავე და აქ მორალი არაფერ შუაშია; 10% გვეუბნება, რომ მედეამ დაარღვია როგორც მორალური, ასევე იურიდიული კანონიც, გააჩნია რომელიმე მხრიდან შევხედავთ მის დანაშაულს.

➤ შეკითხვაზე, დააბრუნებდით, თუ არა მედეას სამშობლოში, სტუდენტთა უმრავლესობა პასუხობს რომ დიახ, ისინი მედეას, ყველაფერის მიუხედავად, მაინც დააბრუნებდნენ მშობლიურ მიწაზე; მხოლოდ 6%-მა თქვა უარი მედეას სამშობლოში დაბრუნებაზე. რამდენიმე სტუდენტმა უპასუხა, რომ იმიტომაც დააბრუნებდა მედეას სამშობლოში, რომ ის კიდევ უფრო მეტად დატანჯულიყო საკუთარი საქციელის გამო.

➤ კითხვაზე - თქვენი აზრით, დამნაშავე მედეაა, თუ იასონი, 80%-მა უპასუხა, რომ დამნაშავე იასონია, რადგან მისმა საქციელმა აიძულა მედეა, ასე მოქცეულიყო, თუმცა, ასევე, აღნიშნავენ იმასაც, რომ იასონის დანაშაული არ ამართლებს მედეას საქციელს.

თანამედროვე ქართველი მკითხველი მეტ თანაგრძნობას ამჟღავნებს კოლხი მედეას მიმართ; ახალგაზრდები მედეას დანაშაულს უკვე იურიდიული ასპექტით განიხილავენ და ცდილობენ, მასში დაინახონ ფემინისტი ქალი, რომელიც იბრძვის საკუთარი უფლებების დასაცავად. ამგვარი შეფასებების საფუძველი ისიცაა, რომ თანამედროვე ავტორებმა მედეას პერსონაჟს ახალი სიცოცხლე შესძინეს და რომ ქართულ სალიტერატურო სივრცეში მოხდა მედეას პერსონაჟის ახლებური გადააზრება, რაც გამოიხატება მისთვის განსხვავებული როლისა და ფუნქციის მინიჭებით და პერსონაჟის სახის თანამედროვე რეკონსტრუქციით.

ძირითადი დასკვნები

1. მედეას მითოპოეტური სახე რთული და მრავალშრიანია; მის ასეთ მასშტაბურობას იწვევს არგონავტების მითის სიუჟეტში გამოკვეთილი ისტორიული, კულტურული, რელიგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური პლასტები, რაც ზემოქმედებს მითის მთავარი პერსონაჟის მხატვრულ სახეზე. არგონავტების მითის „ინფორმაციულმა სქემამ“ საუკუნეების განმავლობაში მრავალი ტრანსფორმაცია განიცადა და მედეას არქეტიპული მითოსურ-ისტორიულ-მხატვრული პერსონაჟიც მრავალი ვერსიით გაცოცხლდა ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) და ევროპულ ლიტერატურაში, ბოლო ათწლეულებში კი აქტუალური გახდა ქართული მწერლობისთვისაც.
2. ჩვენამდე მოღწეულ ანტიკურ ლიტერატურაში მედეას მითოპოეტური სახის შტრიხები, ძირითადად, შენარჩუნებულია, თუმცა პერსონაჟის ლიტერატურული ინტერპრეტაციები მაინც განსხვავებულია, რაც განპირობებულია ავტორთა ინდივიდუალური ხედვით და მათი თანადროული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ტენდენციების გავლენით.
3. კლასიკურმა ბერძნულმა ლიტერატურამ (ლირიკა, დრამა, ეპოსი) მედეა გამოიყვანა მითის ჩაკეტილი კონსტრუქციიდან და აქცია ლიტერატურულ პერსონაჟად, მას მისცა საუბრის, მოქმედების, შეცდომის, სიყვარულის და თავგანწირვის, სიძულვილის, შურისძიების უფლება; უდიდესი მასშტაბის ტრაგიზმით, დრამატიზმით და ემოციურობით იგი დაახლოვა მკითხველთან და უკვდავება შესძინა მას.
4. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მედეას ევრიპიდესეული ინტერპრეტაცია - შვილების მკვლელი დედის მოტივის შემოტანით ევრიპიდემ განსაკუთრებული ტრაგიზმი შესძინა მედეას პერსონაჟს და დიდი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელ ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურაზე.
5. განსხვავებული სახით წარმოგვიდგება მედეა მეოცე საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში, სადაც მედეას ლიტერატურული პერსონაჟის გადააზრება მოხდა არქაული მითის ფემინისტურ ჭრილში: ა) გენდერული უთანასწორობის განხილვა; ბ) პოსტკოლონიური პერსპექტივით წარმოჩენა, როგორც „სხვა“, უცხო კულტურის

წარმომადგენლისა; გ) ფსიქოანალიზით მიდგომა, სადაც ყურადღება მახვილდება მედეას სულიერ ტრავმებზე და მის შინაგან სამყაროზე; დ) სოციალური კრიტიკის თვალთახედვით გაანალიზება, როცა ავტორები მედეას ისტორიას იყენებენ თანამედროვე საზოგადოების პრობლემების წარმოსაჩენად და სხვ.

6. პარადოქსულია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ასეთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ გვიან ჩნდება; ქართველი ავტორების ეს „საუკუნოვანი დუმილი“ იმით აიხსნება, რომ მედეას ბერძნული მითოსის პერსონაჟად მიიჩნევდნენ და, ამავე დროს, სამშობლოს, ოჯახის, მამის მოღალატე, ძმის და შვილების მკვლეელი დედის სახე ეწინააღმდეგებოდა ქართულ ლიტერატურაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ქართველი ქალის - „ქართლის დედის“ სტერეოტიპს.

7. ერთ-ერთი პირველი, ვინც გაზედა და ქართულ მწერლობაში მედეა, როგორც პერსონაჟი, შემოიყვანა, აკაკი წერეთელი იყო. მან მედეას მხატვრული სახე ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ბედის სიმბოლოდ გაიაზრა: უცხო ძალების გამო, თავისუფლების დაკარგვის ტრაგედია.

8. მეოცე საუკუნის ქართველი მწერლებიც (ლირიკა, პროზა), ინტერესდებიან მედეას მითოსით და ისტორიით კოლხეთში, ოქროს საწმისით, რომელიც მიიჩნევა კოლხური ცივილიზაციის სიმდიდრისა და უძლეველობის სიმბოლოდ; საუბრობენ მის მიერ სამშობლოს ღალატზე და ძმის მკვლელობაზე (თანამონაწილეობაზე), თუმცა არაფერს ამბობენ შვილების მკვლელობაზე, რადგან ვერ ხსნიან და არ ესმით მედეას ამ ირაციონალური ქცევის მიზეზი: „რა შეიძლება მომხდარიყო, ან როგორ უნდა მომხდარიყო /ან რატომ უნდა მომხდარიყო ასე...“.

9. XXI საუკუნის უახლეს ქართულ ლიტერატურაში მედეას მხატვრული პერსონაჟი განსხვავებული ინტერპრეტაციებით წარმოგვიდგება, განმარცვულია მითოსური საბურველისგან, ის ერთი ჩვეულებრივი ქალია, მიტოვებული, მოტყუებული, შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული, რომელიც იბრძვის ოჯახის, შვილების გადარჩენისთვის. ავტორებმა მედეას მხატვრული პერსონაჟი დაუახლოვეს თანამედროვე საზოგადოების აქტუალურ პროცესებს, უპირველეს ყოვლისა, ემიგრანტი ქალების თემას, რაც, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბოლო

ათწლეულების მთავარი დრამატული ნარატივია. მედეას მითოპოეტური სახე, დეკონსტრუქციის და დემითოლოგიზაციის შედეგად, თითქოს კარგავს წარსული დიდებულების, ღვთაებრიობის ნიშნებს, მაგრამ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაშიც მისი ახალი ჰიპოსტასი ვერ თავისუფლდება არქეტიპული იდენტობისგან: ერთი მხრივ, მედეა კვლავ ის ქალია, რომელიც ტოვებს სამშობლოს და სწირავს (აობლებს, სულიერად კლავს) შვილებს, მათ ხშირად ტოვებს ბედის ანაბარა და მათთვის გადაულახავი წინააღმდეგობების წინაშე, მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმებითა და დრამებით; მეორე მხრივ, ის ისევ ის ქალია, რომლისთვისაც უმთავრესია პიროვნული ღირსება, შინაგანი თავისუფლება, საკუთარი ბედის და პიროვნული იდენტობის არ დათმობა, რითაც ის ემანსიპაციის სიმბოლოა.

10. თანამედროვე ავტორებმა მედეას პერსონაჟს ახალი სიცოცხლე შესძინეს - ქართულ სალიტერატურო სივრცეში მედეას პერსონაჟი ახლებურად გადაიაზრეს, რაც გამოიხატება მისთვის განსხვავებული როლისა და ფუნქციის მინიჭებითა და პერსონაჟის თანამედროვე რეკონსტრუქციით.

11. საგულისხმოა, რომ XXI საუკუნეში მედეას მრავალათასწლოვანი მითოპოეტური სახე კვლავ აფორიაქებს თანამედროვე ავტორების, შესაბამისად - მკითხველების, შემოქმედებით ფანტაზიას. ის ფაქტი, რომ მედეას მხატვრული პერსონაჟი დღეს ასეთი აქტუალურია, მეტყველებს ამ არქეტიპული პერსონაჟის მასშტაბურობასა და მარადიულობაზე.

12. მედეა, როგორც არქეტიპი, არის მარადიული სახე - სიმბოლო, ეროვნული იდენტობის, კულტურული და ცივილიზაციური კოდი, რომელიც კიდევ არაერთხელ გაცოცხლდება ლიტერატურასა და ხელოვნებაში: როგორც ამბობენ, ქვეყნად ხომ იმდენი მედეა არსებობს, რამდენიც ამა თუ იმ შემოქმედმა შექმნაო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „არგონავტები“, ბერძნული მითების სამყარო, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 1999;
2. „არგონავტიკა მედეა მითი და ისტორია“, გამომცემლობა „გრიფონი“, თბილისი 2024, სარედაქციო კოლეგია რისმაგ გორდეზიანი, ვალერი ასათიანი, რამაზ შენგელია, ნანა ტონია, ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი, ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან ტომარაძე);
3. „არგონავტიკა“, აპოლონიოს როდოსელი, თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევები, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი. 1975;
4. „ანტიკური ლირიკა“, ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გიგლა სარიშვილმა, ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988;
5. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია - I“, შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2009;
6. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია - II“, შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2009;
7. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია - III“, შეადგინა, წინათქმანი და საკუთარ სახელთა განმარტებანი დაურთო ეკატერინე კობახიძემ, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2009;
8. „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ - მოძიებულია 2 თებერვალი, 2025, <http://classicaltradition.tsu.ge/geo/>;
9. ბრაუნდი დევიდ, „საქართველო ანტიკურ ხანაში“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014;
10. „მედეა“, ლევან ბერძენიშვილის თანგმანები გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.2022;

11. „მითოლოგიური ლექსიკონი“, შეადგინა ნოდარ გაფრინდაშვილმა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1972;
12. „მეტამორფოზები“, ლათინურიდან თარგმნეს: ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ, რედაქცია, შესავალი წერილი და კომენტარები აკაკი ურუშაძისა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1980;
13. „ორფიკული არგონავტიკა“ ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა, რედაქცია, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი. 1977;
14. „სამი მედეა“, ხარატიშვილი ნინო, ფლურაკისი ანდრეას, ბუღაძე ლაშა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2020;
15. ალიგიერი დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი. 2012;
16. ანფიმიადი დიანა „მედეა“, „სხვა მედეა, მოძიებულია 15 თებერვალი, 2025 წელი, <https://poetry.ge/poets/diana-anpimiadi/poems>;
17. ბერძენიშვილი ლევან, „ჩვენები“ (ქართველები ბერძნულ მითოსში), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2023;
18. გორდეზიანი რისმაგ, „ბერძნული ლიტერატურა“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2009;
19. გორდეზიანი რისმაგ, ტონია ნანა, „ანტიკური ლიტერატურა,“ გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2005;
20. დევიდ ბრაუნდი „საქართველო ანტიკურ ხანაში“, ბსუ -ს გამომცემლობა, ბათუმი. 2014;
21. ევრიპიდე ტრაგედიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილები და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი. 2022. ტომი I;
22. ევრიპიდე, „მედეა“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2017;

23. ელიადე მირჩა, „მითის ასპექტები“, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2009;
24. ვოლფი კრისტა, „მედეა“ (გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა), გამომცემლობა „იზისი“, თბილისი. 2004;
25. ლორთქიფანიძე ნინო, „მედეას ახლად აღმოჩენილი უძველესი გამოსახულება“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 1998;
26. ლორთქიფანიძე ოთარ, „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1986;
27. მარგველაშვილი გივი, „კოლხი მედეა კოლხოზში“, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, თბილისი. 2021;
28. მაჭავარიანი მუხრან, „პოეზია“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი. 2019;
29. მახაჭაძე შორენა, „სულთა გადამახილი“, გამომცემლობა „მარეთი-93“, ბათუმი. 2006;
30. მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“ N -7 , თბილისი. 02/12/2020
31. მილერი მადელინ, „კირკე“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი. 2020.
32. ნადარეიშვილი ქეთევან, „ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2008;
33. ნონეშვილი იოსებ, „100 ლექსი“, გამომცემლობა „ინტელექტი, თბილისი. 2007;
34. რობაქიძე გრიგოლ, „მეგი - ქართველი გოგონა“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2018;
35. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „მედეას თემა მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2018;
36. სანიკიძე ლევან, „ამბავი კოლხი ასულისა“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი. 1963;
37. ტაბიძე ტიციან, „ლექსები, პოემები, პროზა, წერილები“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი. 1985;

38. ტონია ნანა, კიკნაძე ზურაბ, „მითოლოგიური ენციკლოპედია“, გამომცემლობა „ბაკმი“, თბილისი.2019;
39. ურუშაძე აკაკი, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი. 2018;
40. შამანიდი სოფიო, „ აუტანელი“ ქალები“, გამომცემლობა „სულაკაური“, თბილისი. 2024;
41. ჩიტეშვილი მანანა, მოძიებულია 9 თებერვალი, 2025, <https://ketevanjervalidze.wordpress.com>
42. ცანავა აპოლონ, „ქართული ფოლკლორის საკითხები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1990;
43. ციკოლია პაატა, „მედეა s01e06“, თბილისი.2020;
44. წერეთელი აკაკი, რჩეული ნაწარმოებები 5ტომად, ტ2, პოემები; თბილი 1989; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
45. ჭილაძე ოთარ, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, გამომცემლობა „არეტე“, თბილისი.2018;
46. ჯერვალაძე ქერთევან. (მარტი, 2018) ესე „მედეას“ მოძიებულია 22 იანვარი, 2025, <https://ketevanjervalidze.wordpress.com>
47. Мифы древней Греции, Прогресс,1992